ავტორის სტილი დაცულია

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტი

ნინო ნაზღაიძე

გოდერძი ჩოხელის ლიტერატურული მემკვიდრეობა

ფილოლოგიის დოქტორის (Ph.D.) აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

წარმოდგენილი დისერტაცია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: **კახაბერ ლორია**

ფილოლოგიის დოქტორი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

თბილისი

2021 წელი

სადისერტაციო ნაშრომის აბსტრაქტი

ავტორის გვარი, სახელი: ნინო ნაზღაიძე

ნაშრომის სათაური: „გოდერძი ჩოხელის ლიტერატურული მემკვიდრეობა“

საკვანძო სიტყვები: გოდერძი ჩოხელი, რელიგია, ექსისტენციალიზმი, პატრიოტიზმი, ბუნება.

სადისერტაციო თემის აქტუალობა

პრობლემა აქტუალურია, გამომდინარე იქიდან, რომ გოდერძი ჩოხელის შესახებ ღირებულ გამოკვლევათა რიცხვი საკმაოდ მწირია. არადა მისი მრავალმხრივი შემოქმედების განხილვა და მკითხველის წინაშე წარმოჩენა, ერთდროულად საშური საქმეცაა და გამოწვევაც ქართული ლიტერატურის მკვლევართათვის. მიგვაჩნია, რომ მწერალი და კინორეჟისორი, მიუხედავად ხალხის სიყვარულისა, არ არის სათანადოდ აღქმული და დაფასებული. მისი ღრმად ფილოსოფიური ლიტერატურული მემკვიდრეობიდან ქართული საზოგადოება ძირითადად მსუბუქ, იუმორისტულ ნაწილს იცნობს. თუმცა მწერლის ნაწარმოებები შეიცავს უფრო სერიოზულ, გაცილებით მნიშვნელოვან პლასტებს, რომელთა გათვალისწინების გარეშე, პრეტენზია მხოლოდ ზედაპირის ცოდნაზე შეგვიძლია ვიქონიოთ. გოდერძი ჩოხელს მკითხველისა და მაყურებლის წინაშე გამოაქვს და ამუშავებს ისეთ საკითხებს, როგორიცაა: ღმერთის ადგილი და როლი სასოწარკვეთილ საზოგადოებაში, სამშობლოს თემა, ადამიანის თავისუფლებისა და პასუხისმგებლობის პრობლემა, სიკეთისა და ბოროტების მარადიული დაპირისპირება, ტრადიციები და მათ მნიშვნელობა ერის თვითგამორკვევის საქმეში, ადამიანის დამოკიდებულება ბუნებასთან, ინდივიდის ბრძოლა საკუთარ თავთან მისასვლელად და ა. შ. შემოქმედი თვითონვე იმეორებდა ინტერვიუებსა და წერილებში, რომ იმაზე უნდა წერო, რაც კარგად იცი, რამაც შენს სულში გაიარა და კვალი დატოვა. ჩვენი არჩევანიც საკვლევ

თემასთან დაკავშირებით გარკვეულწილად იმან განაპირობა, რომ მეტ-ნაკლებად ვიცნობთ მწერლის გარემოს, რაც საშუალებას გვაძლევს შიგნიდან დავინახოთ და ავხსნათ ზოგიერთი საკითხი.

გოდერძი ჩოხელის შემოქმედებამ აირეკლა ეპოქა, რომელშიც ცხოვრობდა და მოღვაწეობდა მწერალი. ეს არის ერთ-ერთი უაღრესად საინტერესო ხანა ჩვენი ლიტერატურის ისტორიაში. მკვლევართა ნაწილი ხსენებულ პერიოდს „ფერისცვალების მოლოდინს“ უწოდებს. მართლაც, გასული საუკუნის 70-80-იანი წლები უკვე გამოცოცხლებულ ლიტერატურულ ასპარეზზე ახალი თაობის შემოსვლით აღინიშნა. ახალმა სისხლმა ახლებური თემები და ტენდენციები მოიტანა, რამაც, რაღა თქმა უნდა, ჩოხელის შემოქმედებაშიც ჰპოვა ასახვა. ესეც კიდევ ერთი მიზეზია, რატომ შეიძლება ხსენებული მწერლისა და კინორეჟისორის შემოქმედების კვლევა აქტუალური იყოს ლიტერატორთათვის.

კვლევის სიახლე და ინოვაციურობა

როგორც უკვე აღვნიშნეთ, გოდერძი ჩოხელის შემოქმედების შესახებ ღირებულ გამოკვლევათა რიცხვი საკმაოდ მწირია. ქართული ლიტერატურათმცოდნეობისთვის სადისერტაციო ნაშრომის მეცნიერული სიახლე იქნება ქართველთა უძველესი სარწმუნოების მეტ-ნაკლებად (რამდენადაც ამის საშუალება სამეცნიერო და ფოლკლორულმა მასალამ მოგვცა) სრული სახით წარმოდგენა და მისი ქრისტიანობასთან დამოკიდებულების განხილვა გოდერძი ჩოხელის შემოქმედებაში; აგრეთვე, მწერლის ლიტერატურული მემკვიდრეობის ანალიზი ექსისტენციალიზმთან მიმართებით. მართალია, გოდერძი ჩოხელის ბუნებასთან დამოკიდებულების საკითხს ჩვენამდეც შეეხო რამდენიმე კრიტიკოსი, მაგრამ მის შემოქმედებაში არსებული საფეხურებრივი მიახლოვება ბუნებასთან, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ჯერ არავის შეუნიშნავს - ვგულისხმობთ, ადამიანსა და ბუნებას

შორის არსებული ზღვრის ეტაპობრივად გადალახვას და საბოლოოდ მის სრულიად წაშლას.

მთლიანობაში წარმოდგენილი გამოკვლევა არის მცდელობა იმისა, რომ გოდერძი ჩოხელს, როგორც გასული საუკუნის ერთ-ერთ გამორჩეულ შემოქმედსა და მოაზროვნეს (და არა უბრალოდ მკითხველისთვის საყვარელი, მსუბუქი ტექსტების ავტორს) საკადრისი ადგილი მოეძებნოს უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორიაში.

კვლევის მიზანი/მიზნები და ამოცანები

სადისერტაციო კვლევის მიზანია, წინ წასწიოს მე-20 საუკუნის ერთ-ერთი გამორჩეულად საინტერესო და მრავალმხრივი ქართველი შემოქმედის, გოდერძი ჩოხელის ლიტერატურული მემკვიდრეობის შესწავლის საქმე. რა თქმა უნდა, ძალიან რთულია ერთი ნაშრომის ფარგლებში მწერლის შემოქმედების სრულად ამოწურვა, მაგრამ შევეცადეთ მაქიმალურად გამოგვეკვეთა და გაგვეანალიზებინა ჩოხელის თხზულებათა ძირითადი თემები და ტენდენციები.

კვლევის ამოცანაა დავადგინოთ, თუ რომელ ლიტერატურულ მიმდინარეობას მიეკუთვნება ავტორი; განვიხილოთ გ. ჩოხელის დამოკიდებულება საქართველოს აღმოსავლეთ მთიანეთში შემორჩენილ უძველეს სარწმუნოებასთან; გავარკვიოთ, როგორ აისახა ეს რწმენა-წარმოდგენები მწერლის ნაწარმოებებში და როგორ ხერხდება მისი მორიგება ქრისტიანობასთან; აგრეთვე, ავტორის ლიტერატურულ მემკვიდრეობასა და სამეცნიერო ლიტერატურაზე დაყრდნობით, გავაანალიზოთ გოდერძი ჩოხელის მიმართებები თავისუფლების, საკუთარი თავის ძიების, რწმენისა და ურწმუნობის, სიკეთისა და ბოროტების დაპირისპირების, სამშობლოს მსახურების, ბუნებასთან დამოკიდებულების მარად აქტუალურ თემებთან.

სამეცნიერო ნაშრომის სტრუქტურა და კვლევის მეთოდოლოგია

ნაწარმოების ინტერპრეტაციისთვის უმთავრეს მასალას, უპირველეს ყოვლისა, თავად ტექსტი იძლევა. თუმცა, ასევე უაღრესად მნიშვნელოვანია, განსახილველი პრობლემატიკის სპეციფიკიდან გამომდინარე, მართებულად შეირჩეს შესაბამისი კვლევის მეთოდოლოგია.

წარმოდგენილ სადისერტაციო ნაშრომში, ლიტერატურული მასალის ანალიზისას, გამოყენებულია კვლევის როგორც ინდუქციური, ისე დედუქციური მეთოდები.

ინტერტექსტუალური მეთოდის გამოყენებით, კომპარატივისტული ანალიზის საფუძველზე გამოვლენილია გოდერძი ჩოხელის ნაწარმოებების კავშირი მსოფლიო მნიშვნელობის ფილოსოფოსებისა თუ მწერლების ნააზრევთან.

ავტორის შემოქმედების ძირითადი ტენდენციების გამოსავლენად, კვლევაში ჩართულია ისეთი ტრადიციული ლიტერატურული მეთოდები, როგორებიცაა დისკრიფციული, ფსიქოანალიტიკური, შეპირისპირებითი და სხვა.

კვლევის შედეგების სამეცნიერო ღირებულება და პოტენციური პრაქტიკული მნიშვნელობა

სადისერტაციო ნაშრომი დააინტერესებს გოდერძი ჩოხელის შემოქმედების მკვლევართ, სტუდენტებსა და ქართული ლიტერატურის ისტორიის, კულტურის საკითხებით დაინტერესებულ ნებისმიერ მკითხველს.

Abstract of the dissertation

Author's surname, first name: Nazghaidze Nino

Title of the dissertation: Literary heritage of Goderdzi Chokheli

Keywords: Goderdzi Chokheli, religion, existentialism, patriotism, nature.

Pertinence of the Problem

The considered problem is relevant due to the fact that the scope of valuable research focused on Goderdzi Chokheli is quite small. However, discussing his multifaceted work and presenting it to the readers is both an enviable task and a challenge for the researchers of Georgian literature. We believe that the writer and filmmaker, despite being loved by the people, is not properly understood and appreciated. Out of his mostly deeply philosophical literary heritage, the Georgian society is mostly familiar with its light-hearted, humorous part. However, the writer's works contain more serious, and much more important layers, without considering which we can only claim knowledge of solely its surface. Goderdzi Chokheli brings up to the readership and audience, and addresses issues such as: God's place and role in a desperate society, the theme of the homeland, the problem of human freedom and responsibility, the eternal confrontation between good and evil, traditions and their importance in the self-determination of the nation, human dependence on nature, struggle of an individual to approach oneself, and so on. The author has himself repeated in interviews and essays that you should write about what you know well, what has moved through your soul and has left a mark. Our choice of the research topic was partly due to the fact that we are quite familiar with the writer's native environment, which allows us to see and interpret some issues from the insider’s perspective.

Goderdzi Chokheli's oeuvre has represented the era in which the writer lived and worked. This was one of the most exciting time periods in the history of our literature. Some researchers would call this period – that of "anticipation of transfiguration." Indeed, the 70s and 80s of the

last century were marked by the entry of a new generation into the already revived literary arena. The new blood brought new themes and trends, which, of course, can be found in Chokheli's work. This is another reason why the research of the works of this writer and film director may be seen as relevant by the literary community.

Novelty of the Study

As already mentioned, the number of valuable researches focusing on Goderdzi Chokheli's works is quite modest. What would create the scientific novelty of the dissertation for Georgian literary criticism is a possibly complete presentation of the ancient beliefs of the Georgians (as far as the available scholarly publications and folklore material allows us) and a discussion of their relationship with Christianity in Goderdzi Chokheli's work; Also, an analysis of the writer's literary heritage in its relation to existentialism. It is true that Goderdzi Chokheli's relationship with nature has been considered by several critics, but the step-by-step approach to nature observable in his work, as far as we know, has not been noticed as yet - we mean the gradual crossing of the boundary between man and nature, and finally its complete erasure.

The presented research publication as a whole is an attempt to allocate an appropriate place for Goderdzi Chokheli, as one of the outstanding creative artists and thinkers of the last century (and not just the author of the readership's favorite light-hearted texts), and in the history of modern Georgian literature.

Aims and Objectives of the Dissertation Research

The aim of the dissertation research is to advance the study of the literary heritage of Goderdzi Chokheli, one of the most interesting and versatile Georgian creative professionals of the 20th century. Of course, it is very difficult to fully exhaust covering the oeuvre of a writer within a single such work, but we have tried to identify and analyze the main themes and trends of Chokheli's heritage.

The task of our research is to determine which literary current the author belongs to; To consider G. Chokheli's attitude toward the ancient religious beliefs preserved in the highlands of Eastern Georgia; To find out how these beliefs were reflected in the writer's works and how he could reconcile them with Christianity; Also, based on the author's literary heritage and existing scientific literature, to analyze Goderdzi Chokheli's relations with the ever-relevant topics of freedom, self-search, belief and godlessness, confrontation of good and evil, service to the homeland, and relationship with nature.

Theoretical and Methodological Foundations of the Research

The main material for the interpretation of the work is, first of all, presented by the text itself. However, it is also extremely important, due to the specifics of the issues under consideration, to properly select the appropriate research methodology.

In the presented dissertation, both inductive and deductive methods of research are used in the analysis of the literary material.

Using the intertextual method, based on comparative analysis, the connection of Goderdzi Chokheli's works with the thoughts of world-renowned philosophers or writers has been revealed.

In order to reveal the main tendencies of the author's creative work, such traditional

literary methods as descriptive, psychoanalytic, comparative and other approaches have been applied in the research.

The Scientific Value and Potential Practical Significance of the Research Results

The dissertation will be of interest to researchers of the latest Georgian literature and of the works by Goderdzi Chokheli, students of the relevant profile, as well as to anyone interested in Georgian literature and culture.

შინაარსი

შესავალი **12**

თავი I. გოდერძი ჩოხელი და ქართული სალიტერატურო კრიტიკა **21**

1.1. მწერლის შემოქმედებითი პორტრეტი 21

1.2. ქართველი ლიტერატორები გოდერძი ჩოხელის შესახებ 26

თავი II. ქართველ მთიელთა რწმენა-წარმოდგენები გოდერძი ჩოხელის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში **32**

2.1. ქართველთა უძველესი სარწმუნოებისა და ქრისტიანობის ურთიერთმიმართება გოდერძი ჩოხელის შემოქმედებაში 33

2.2. ქართველთა უძველესი სარწმუნოების რაობა და მისი ასახვა გოდერძი ჩოხელის შემოქმედებაში 43

მორიგე ღმერთი 43

ღვთისშვილები 44

ადგილის დედა 48

ავი სულები 49

ქადაგი 52

2.3. საიქიოზე არსებული წარმოდგენების ასახვა გოდერძი ჩოხელის შემოქმედებაში 54

თავი III. სამშობლოს თემა გოდერძი ჩოხელის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში **62**

3.1. პატრიოტული სულისკვეთება გოდერძი ჩოხელის მოთხრობებში, ლექსებსა და პუბლიცისტურ ნააზრევში 63

3.2. რომანი „მღვდლის ცოდვა“ 68

3.3. რომანი „სულეთის კიდობანი“ 80

თავი IV. ექსისტენციალიზმი და გოდერძი ჩოხელის ლიტერატურული მემკვიდრეობა 87

4.1. ექსისტენციალიზმის განვითარების გზა და რაობა 88

4.2. ექსისტენციალიზმის უმთავრესი ცნებები და დებულებები 98

4.3. ექსისტენციალური ტენდენციები გოდერძი ჩოხელის შემოქმედებაში 101

"აღმართი" 103

"წერილი ნაძვებს" 108

"დავიწყების მდინარე" 112

"არწივთან ფრენა" 114

"ადამიანთა სევდა" 115

„წითელი მგელი" 122

თავი V. ბუნება გოდერძი ჩოხელის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში 147

5.1. ავტორი და ბუნება 148

5.2. გოდერძი ჩოხელის პერსონაჟთა დამოკიდებულება ბუნების მიმართ 155

დასკვნა 158

გამოყენებული ლიტერატურა 163

შესავალი

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

XX საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისში ჩვენი ქვეყნის იძულებითი გასაბჭოება განხორციელდა. ამის შემდეგ ტოტალიტარული რეჟიმი ნელ-ნელა ამკაცრებდა დამოკიდებულებას ქართველ შემოქმედებთან, 30-იანი წლებიდან კი ხელოვნება სრულიად დაუქვემდებარა სახელმწიფოს ინტერესებს. შემოქმედი ადამიანები სიკვდილის საფრთხის წინაშე აღმოჩნდნენ, შესაბამისად, ვეღარც დასავლეთისკენ გაიხედავდნენ და ვეღარც წარსულისკენ - მხოლოდ და მხოლოდ ტოტალიტარიზმის სამსახურში უნდა ჩამდგარიყვნენ სიცოცხლის შესანარჩუნებლად. ეს მდგომარეობა კარგა ხანს გაგრძელდა. ლიტერატურაში ლიბერალური ღირებულებების ერთგვარი გამოცოცხლება შეინიშნება ე. წ. „ოტტეპელის“ პერიოდში: ქართულმა მწერლობამ თითქოს იქიდან განაგრძო არსებობა, სადაც ეს მას ძალით შეაწყვეტინეს.

ცოტა მოგვიანებით, 70-80-იანი წლების გზაგასაყარზე უკვე აღიარებულ, სახელოვან მწერლებს (ოთარ და თამაზ ჭილაძეები, ნოდარ დუმბაძე, ჭაბუა ამირეჯიბი, ოტია იოსელიანი, ჯემალ ქარჩხაძე, გურამ დოჩანაშვილი და სხვა) ახალი თაობის წარმომადგენლები ამოუდგნენ მხარში. მათ შორისაა გოდერძი ჩოხელიც, რომელმაც, მიუხედავად ხანმოკლე ცხოვრებისა, მოახერხა ნათელი კვალი დაეტოვებინა ქართულ კულტურაში.

ამბობენ, ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობა რომ შეიძინო, ზოგადსაკაცობრიო თემებზე უნდა წერდეო. იმასაც ამბობენ, ერთ კუთხეში ჩაკეტილ მწერალს დიდი პრეტენზიები არ უნდა ჰქონდესო. გოდერძი ჩოხელი კი თითქმის არ გასცილებია თავისი მხარის, გუდამაყრის მთებს. მაშ საიდან მოდის ჩვენი ხმამაღალი განცხადება ნათელი კვალის შესახებ? ჩოხელისავე უბრალო ნათქვამიდან: „ნამში სამყარო ჩანს“. და მართლაც, ჩანს, თუკი დანახვა შეუძლია ვინმეს. ვაჟა-ფშველა თავის ცნობილ

პუბლიცისტურ წერილში „კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“ წერდა: „ვერ წარმომიდგენია ადამიანი სრულის ჭკუისა, საღის გრძნობის პატრონი, რომ ერთი რომელიმე ერი სხვებზე მეტად არ უყვარდეს, ან ერთი რომელიმე კუთხე. რატომ? იმიტომ: ერთი და იგივე ადამიანი ათასს ადგილას ხომ არ იბადება, არამედ ერთს ადგილას უნდა დაიბადოს, ერთს ოჯახში, ერთი დედა უნდა ჰყავდეს!“ (ვაჟა-ფშაველა, 1964:254). სხვათა შორის, ყველას კარგად მოეხსენება, რომ იყო დრო, დიდი ფშაველიც მხოლოდ თავისი კუთხის მწერლად მოიაზრებოდა, მაგრამ დღეს ერთხმად არის აღიარებული მისი მსოფლიო მნიშვნელობა. ვახუშტი კოტეტიშვილი ბრძანებდა: „ვაჟამ მთელი საქართველო გაოცებით მიახედა ფშავის მთებისკენ და მოწიწებით ქუდი მოახდევინაო“ (წიკლაური, 2010:35). იგივე მოხდა ახლაც. გოდერძი ჩოხელმა გუდამაყრისკენ მიგვახედა არანაკლები გაოცებითა და მოწიწებით.

ნაშრომში განხილულია მწერლისა და კინორეჟისორის ლიტერატურული მემკვიდრეობის ძირითადი ტენდენციები; აგრეთვე, საუბარია შემოქმედის დამოკიდებულებაზე რელიგიასთან, ტრადიციებთან, სამშობლოსა და ბუნებასთან; ახსნილია ავტორის მსოფლმხედველობის თავისებურებები და ლიტერატურულ მიმდინარეობებთან მიმართების საკითხი.

პრობლემის აქტუალურობა

პრობლემა აქტუალურია, გამომდინარე იქიდან, რომ გოდერძი ჩოხელის შესახებ ღირებულ გამოკვლევათა რიცხვი საკმაოდ მწირია. არადა მისი მრავალმხრივი შემოქმედების განხილვა და მკითხველის წინაშე წარმოჩენა, ერთდროულად საშური საქმეცაა და გამოწვევაც ქართული ლიტერატურის მკვლევართათვის. მიგვაჩნია, რომ მწერალი და კინორეჟისორი, მიუხედავად ხალხის სიყვარულისა, არ არის სათანადოდ აღქმული და დაფასებული. მისი ღრმად ფილოსოფიური ლიტერატურული მემკვიდრეობიდან ქართული საზოგადოება ძირითადად მსუბუქ, იუმორისტულ

ნაწილს იცნობს. თუმცა მწერლის ნაწარმოებები შეიცავს უფრო სერიოზულ, გაცილებით მნიშვნელოვან პლასტებს, რომელთა გათვალისწინების გარეშე, პრეტენზია მხოლოდ ზედაპირის ცოდნაზე შეგვიძლია ვიქონიოთ. გოდერძი ჩოხელს მკითხველისა და მაყურებლის წინაშე გამოაქვს და ამუშავებს ისეთ საკითხებს, როგორიცაა: ღმერთის ადგილი და როლი სასოწარკვეთილ საზოგადოებაში, სამშობლოს თემა, ადამიანის თავისუფლებისა და პასუხისმგებლობის პრობლემა, სიკეთისა და ბოროტების მარადიული დაპირისპირება, ტრადიციები და მათ მნიშვნელობა ერის თვითგამორკვევის საქმეში, ადამიანის დამოკიდებულება ბუნებასთან, ინდივიდის ბრძოლა საკუთარ თავთან მისასვლელად და ა. შ. შემოქმედი თვითონვე იმეორებდა ინტერვიუებსა და წერილებში, რომ იმაზე უნდა წერო, რაც კარგად იცი, რამაც შენს სულში გაიარა და კვალი დატოვა. ჩვენი არჩევანიც საკვლევ თემასთან დაკავშირებით გარკვეულწილად იმან განაპირობა, რომ მეტ-ნაკლებად ვიცნობთ მწერლის გარემოს, რაც საშუალებას გვაძლევს შიგნიდან დავინახოთ და ავხსნათ ზოგიერთი საკითხი.

გოდერძი ჩოხელის შემოქმედებამ აირეკლა ეპოქა, რომელშიც ცხოვრობდა და მოღვაწეობდა მწერალი. ეს არის ერთ-ერთი უაღრესად საინტერესო ხანა ჩვენი ლიტერატურის ისტორიაში. მკვლევართა ნაწილი ხსენებულ პერიოდს „ფერისცვალების მოლოდინს“ უწოდებს. მართლაც, გასული საუკუნის 70-80-იანი წლები უკვე გამოცოცხლებულ ლიტერატურულ ასპარეზზე ახალი თაობის შემოსვლით აღინიშნა. ახალმა სისხლმა ახლებური თემები და ტენდენციები მოიტანა, რამაც, რაღა თქმა უნდა, ჩოხელის შემოქმედებაშიც ჰპოვა ასახვა. ესეც კიდევ ერთი მიზეზია, რატომ შეიძლება ხსენებული მწერლისა და კინორეჟისორის შემოქმედების კვლევა აქტუალური იყოს ლიტერატორთათვის.

კვლევის სიახლე

როგორც უკვე აღვნიშნეთ, გოდერძი ჩოხელის შემოქმედების შესახებ ღირებულ გამოკვლევათა რიცხვი საკმაოდ მწირია. ქართული ლიტერატურათმცოდნეობისთვის სადისერტაციო ნაშრომის მეცნირული სიახლე იქნება ქართველთა უძველესი სარწმუნოების მეტ-ნაკლებად (რამდენადაც ამის საშუალება სამეცნიერო და ფოლკლორულმა მასალამ მოგვცა) სრული სახით წარმოდგენა და მისი ქრისტიანობასთან დამოკიდებულების განხილვა გოდერძი ჩოხელის შემოქმედებაში; აგრეთვე, მწერლის ლიტერატურული მემკვიდრეობის ანალიზი ექსისტენციალიზმთან მიმართებით. მართალია, გოდერძი ჩოხელის ბუნებასთან დამოკიდებულების საკითხს ჩვენამდეც შეეხო რამდენიმე კრიტიკოსი, მაგრამ მის შემოქმედებაში არსებული საფეხურებრივი მიახლოვება ბუნებასთან, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ჯერ არავის შეუნიშნავს - ვგულისხმობთ, ადამიანსა და ბუნებას შორის არსებული ზღვრის ეტაპობრივად გადალახვას და საბოლოოდ მის სრულიად წაშლას.

მთლიანობაში წარმოდგენილი გამოკვლევა არის მცდელობა იმისა, რომ გოდერძი ჩოხელს, როგორც გასული საუკუნის ერთ-ერთ გამორჩეულ შემოქმედსა და მოაზროვნეს (და არა უბრალოდ მკითხველისთვის საყვარელი, მსუბუქი ტექსტების ავტორს) საკადრისი ადგილი მოეძებნოს უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორიაში.

სადისერტაციო კვლევის მიზნები და ამოცანები

სადისერტაციო კვლევის მიზანია, წინ წასწიოს მე-20 საუკუნის ერთ-ერთი გამორჩეულად საინტერესო და მრავალმხრივი ქართველი შემოქმედის, გოდერძი

ჩოხელის ლიტერატურული მემკვიდრეობის შესწავლის საქმე. რა თქმა უნდა, ძალიან რთულია ერთი ნაშრომის ფარგლებში მწერლის შემოქმედების სრულად ამოწურვა, მაგრამ შევეცადეთ მაქიმალურად გამოგვეკვეთა და გაგვეანალიზებინა ჩოხელის თხზულებათა ძირითადი თემები და ტენდენციები.

კვლევის ამოცანაა დავადგინოთ, თუ რომელ ლიტერატურულ მიმდინარეობას მიეკუთვნება ავტორი; განვიხილოთ გ. ჩოხელის დამოკიდებულება საქართველოს აღმოსავლეთ მთიანეთში შემორჩენილ უძველეს სარწმუნოებასთან; გავარკვიოთ, როგორ აისახა ეს რწმენა-წარმოდგენები მწერლის ნაწარმოებებში და როგორ ხერხდება მისი მორიგება ქრისტიანობასთან; აგრეთვე, ავტორის ლიტერატურულ მემკვიდრეობასა და სამეცნიერო ლიტერატურაზე დაყრდნობით, გავაანალიზოთ გოდერძი ჩოხელის მიმართებები თავისუფლების, საკუთარი თავის ძიების, რწმენისა და ურწმუნობის, სიკეთისა და ბოროტების დაპირისპირების, სამშობლოს მსახურების, ბუნებასთან დამოკიდებულების მარად აქტუალურ თემებთან.

კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები

ნაწარმოების ინტერპრეტაციისთვის უმთავრეს მასალას, უპირველეს ყოვლისა, თავად ტექსტი იძლევა. თუმცა, ასევე უაღრესად მნიშვნელოვანია, განსახილველი პრობლემატიკის სპეციფიკიდან გამომდინარე, მართებულად შეირჩეს შესაბამისი კვლევის მეთოდოლოგია.

წარმოდგენილ სადისერტაციო ნაშრომში, ლიტერატურული მასალის ანალიზისას, გამოყენებულია კვლევის როგორც ინდუქციური, ისე დედუქციური მეთოდები.

ინტერტექსტუალური მეთოდის გამოყენებით, კომპარატივისტული ანალიზის საფუძველზე გამოვლენილია გოდერძი ჩოხელის ნაწარმოებების კავშირი მსოფლიო

მნიშვნელობის ფილოსოფოსებისა თუ მწერლების ნააზრევთან.

ავტორის შემოქმედების ძირითადი ტენდენციების გამოსავლენად, კვლევაში ჩართულია ისეთი ტრადიციული ლიტერატურული მეთოდები, როგორებიცაა დისკრიფციული, ფსიქოანალიტიკური, შეპირისპირებითი და სხვა.

საკვლევი საკითხები

სადისერტაციო ნაშრომის საკვლევ საკითხებს წარმოადგენს გოდერძი ჩოხელის რელიგიური და ფილოსოფიური მსოფლმხედველობა; ქართველთა უძველესი სარწმუნოებისა და ქრისტიანობის ურთიერთმიმართების საკითხი მწერლის შემოქმედებაში; ჩოხელის თვალით დანახული ტრადიციები და მათი შენარჩუნების მნიშვნელობა; ექსისტენციალური მოტივები გოდერძი ჩოხელის შემოქმედებაში; მწერლის დამოკიდებულება სამშობლოს წარსულსა და პატრიოტიზმთან; ბუნების აღქმა ავტორისა და მისი პერსონაჟების მიერ და სხვა.

წყაროებისა და სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა

სადისერტაციო ნაშრომში მსჯელობის საგნად გოდერძი ჩოხელის ის ნაწარმოებებია ქცეული, რომლებიც საკვლევი თემატიკისთვის განსაკუთრებულად საინტერესო აღმოჩნდა. დამოწმებულია განსახილველ საკითხებთან დაკავშირებული სამეცნიერო ლიტერატურა.

პირველ თავის პირველ ნაწილში მწერლის შემოქმედებით პორტრეტზე გავამახვილეთ ყურადღება, შემდეგ კი ქრონოლოგიურად დავალაგეთ ქართული სალიტერატურო კრიტიკის გამოხმაურებები ჩოხელის ამა თუ იმ ნაწარმოებზე.

მეორე თავში, ავტორის რელიგიური მსოფლმხედველობის ახსნისას, დავეყრდენით მომდევნო ტექსტებს: „ადამიანთა სევდა“, „აღმართი“, „თოვაში გასვენებული დღესასწაული“, „წითელი მგელი“, „ხთიშვილი“, „გაცოცხლებული მიცვალებული“, „მღვდლის ცოდვა“, „ღმერთის შვილები“, „სულეთის კიდობანი“; სამეცნიერო ლიტერატურიდან მოვიშველიეთ: ვ. ბაგრატიონის „აღწერა საქართველოისა“, დ. გოგოჭურის „წარმართულ და ქრისტიანულ რწმენათა ბრძოლის ასახვა ზეპირსიტყვიერებაში“, ვაჟა-ფშაველას „ეპისკოპოს ანტონის აზრი ფშავ-ხევსურთა სარწმუნოებაზე“ და „ეთნოგრაფიული წერილები“, ლ. იარაჯულის სადისერტაციო ნაშრომი „სამყაროს მხატვრულ-ესთეტიკური საზრისი გოდერძი ჩოხელის შემოქმედებაში“, ვ. ითონიშვილის „ნარკვევები ქართული ქრისტიანობის ისტორიიდან“, ს. მაკალათიას შრომები, ს. ჯანაშიას რედაქტორობით გამოცემული „მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის“, I-III ტომები, ტ. მახაურის, გ. ცოცანიძისა და ბ. ნიჟარაძის კვლევების საფუძველზე განვიხილეთ საიქიოზე არსებული წარმოდგენები გოდერძი ჩოხელის შემოქმედებაში, ვერა ბარდაველიძის, ალექსი და თინა ოჩიაურების ნაშრომებმა დიდი სამსახური გაგვიწიეს საკვლევი თემის შესწავლისა და დამუშავების საქმეში.

მესამე თავში, გოდერძი ჩოხელის ხსენებულ ნაწარმოებებს დაემატა: ლექსები __ „გაზაფხულზე“, „ცისფერია საქართველოს გული“, „დალიე შხამის ფიალა“, „ქართველების გადაფრენა“; პუბლიცისტური წერილები __ „კლდემ ერთხელ თქვა, მე ათასჯერ ვიტყვი“, „ცივ ქვაზე შემდგარი ჩოხელის განცდები“, „გოდერძი ჩოხელის სევდა“; მოთხრობები __ „მართა“, „საქართველოს სამხედრო გზაზე“, „გოგრის ტელევიზორი“, „აფრენა და დაფრენა“; რომანები „მღვდლის ცოდვა“ და „სულეთის კიდობანი“ მესამე თავი ძირითადად მ. წიკლაურისა და ლ. სორდიას ნაშრომების გამოყენებით განვიხილეთ.

სადისერტაციო კვლევის მეოთხე თავი ეძღვნება გოდერძი ჩოხელის შემოქმედების მიმართებების გარკვევას ექსისტენციალიზმთან. ნაშრომის ამ ნაწილში განვიხილავთ შემდეგ ნაწარმოებებს: „აღმართი“, „თევზის წერილები“, „წერილი

ნაძვებს“, „დავიწყების მდინარე“, „არწივთან ფრენა“, „ადამიანთა სევდა“, „წითელი მგელი“. სამეცნიერო ლიტერატურიდან გამოვიყენეთ თ. ბუაჩიძის „ფილოსოფიური ნარკვევები“ და „თანამედროვე დასავლური ფილოსოფიის სათავეებთან“, ზ. კაკაბაძის „რჩეული ფილოსოფიური შრომები“, ნ. კუციას „ხატი ჟამისა“, „რო არა ეს ყვავილი...“, ი. რატიანის „ტექსტი და ქრონოტიპი“, „ქართული მწერლობა კულტურული იზოლაციის წინააღმდეგ“, „ქართული მწერლობა და მსოფლიო ლიტერატურული პროცესი“, გ. ხორბალაძის სადისერტაციო ნაშრომი „გოდერძი ჩოხელის შემოქმედების ძირითადი ტენდენციები“, ა. კამიუს „სიზიფის მითი“, ჟან-პოლ სარტრის „სარკის მეორე მხარე“, „ეგზისტენციალიზმი ჰუმანიზმია“, შოპენჰაუერის „ცხოვრების ამაოება და სიმწარენი“, ჰაიდეგერის „რა არის ეს __ ფილოსოფია?“ და ა.შ.

უკანასკნელ, მეხუთე, თავში წარმოდგენილია ავტორისა და მისი პერსონაჟების დამოკიდებულება ბუნებასთან და გაანალიზებულია ლექსები: „ტყემლები“, „შემოდგომის ქარი“, „ბალახის ცხოვრება“, „წამო ჩემთან, დედისერთა ნიავო“, „მიწამ დააბარა იას“ და ა.შ. მოთხრობები: „იფნის წესი“, „ლოდი“, „ვედრება“, „მტირალი კლდე“, „წერილი ნაძვებს“, „მგელი“, „გიგია ბუბუნაურის ძმადნაფიცი“, „ველური ყვავილების თაიგული“, „თევზის წერილები“, „მთავარი როლის შემსრულებელი“, „ტყის ტრაგედია“, „არწივთან ფრენა“, „კესანე ბორბალოს მთაზე“, ფრაგმენტები რომანებიდან „ადამიანთა სევდა“, „წითელი მგელი“, „სულეთის კიდობანი“. კვლევის ამ ნაწილში ძირითადად განვიხილავთ გოდერძი ჩოხელის შემოქმედების მიმართებას ვაჟა-ფშაველასა და ვასილ ბარნოვის ლიტერატურულ მემკვიდრეობასთან. ამ თავში გამოყენებულია კახაბერ ლორიას ნაშრომი „ვასილ ბარნოვის მსოფლმხედველობისათვის“ და ნინო ზედელაშვილის „ნაწილიანი“.

ნაშრომის სტრუქტურა

სადისერტაციო ნაშრომი მოიცავს 151 გვერდს. იგი შედგება შესავლის, ძირითადი ნაწილისა და დასკვნისაგან. ძირითადი ნაწილი დაყოფილია ხუთ თავად: 1. „გოდერძი ჩოხელი და ქართული სალიტერატურო კრიტიკა“, 2. „ქართველ მთილეთა რწმენა-წარმოდგენები გოდერძი ჩოხელის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში“, 3. „სამშობლოს თემა გოდერძი ჩოხელის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში“, 4. „ექსისტენციალიზმი და გოდერძი ჩოხელის ლიტერატურული მემკვიდრეობა“, 5. „ბუნება გოდერძი ჩოხელის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში“. თავები იყოფა ქვეთავებად. ნაშრომს ახლავს დამოწმებული ლიტერატურის სია.

თავი I. გოდერძი ჩოხელი და ქართული სალიტერატურო კრიტიკა

1.1. მწერლის შემოქმედებითი პორტრეტი

მწერლის შემოქმედებითი პორტრეტი ყველაზე უკეთ მის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში იკითხება, რადგან, როგორც ამბობენ, „მწერალი ჟონავს ნაწარმოებში“. და პირიქით, ბევრად უფრო მრავლისმთქმელი ხდება ამა თუ იმ ავტორის შემოქმედება, როდესაც მის პიროვნებას ვიცნობთ ზედმიწევნით კარგად. გოდერძი ჩოხელის პიროვნული და შემოქმედებითი პორტრეტის შესაქმნელად, ნაწარმოებების გარდა, განსაკუთრებით მდიდარ მასალას მისი ინტერვიუები და პუბლიცისტური წერილები იძლევა.

წარმოუდგენელია მწერლის შესახებ საუბარი, იმ გარემოს გათვალისწინების გარეშე, რომელშიც მისი მსოფლმხედველობა ჩამოყალიბდა და რომლის გარშემოც ტრიალებდა გამუდმებით.

„იმაზე უნდა წერო, რაც კარგად იცი. იმ ადამიანებზე, რომლებმაც შენს სულში ჩაიარეს და ვისაც რა შეეძლო, ის დაგიტოვეს. კარგად ამბობს ეგზიუპერი: ყველანი ჩვენი ბავშვობიდან მოვდივართო. მე ჩემი გუდამაყრიდან მოვდივარ და ვწერ ამ გუდამაყარზე“ _ ამბობს გოდერძი ჩოხელი (ზედელაშვილი, 2012:92). მას ხშირად საყვედურობდნენ ერთი კუთხის ამოჩემების გამო. მწერალი კი ოცნებობდა, იმდენ ხანს ეცოცხლა, რომ რაც კი გუდამაყრის ხეობაში სითბო და სიყვარული იყო, ერთ დიდ თაიგულად შეეკრა და მთელი საქართველოსთვის, მთელი დედამიწისთვის მიეძღვნა. ბარზე ბარისამ დაწეროსო, იმეორებდა ინტერვიუებსა და წერილებში.

წერდა შეულამაზებლად, ბუნებრივ სახეს უნარჩუნებდა თავის პერსონაჟებს.

„_აღარ ჩავაცმევ ჩემს მოთხრობებს ლამაზ ტანსაცმელს.

_ რატომ?

_...მე მინდა ისეთები დარჩნენ, როგორიც ბუნებრივად არიან, მე მათ არ

გავალამაზებ. მე მხოლოდ მათ წინ ჩამოფარებულ ბინდისფერ ფარდას გადავწევ და ვისაც რომელი მოთხრობა მოეწონება, ის წაიკითხოს" (ჩოხელი, 2017:151).

მწერალსა და კინორეჟისორს გუდამაყრის ხეობა ერთ დიდ წიგნად ესახებოდა, რომელშიც ჯერ კიდევ იყო შემორჩენილი ის საგანძური, ასე ძალიან რომ სჭირდებოდა ბარს, ქალაქს.

"მე წამოვედი სხვა სამყაროდან, მოვედი სხვა სამყაროში. ნელ-ნელა, ხან ქურდულად, ხან გაბედულად შევდივარ იქ და გამომაქვს აქაურებისთვის იმათი სული, გული, სილაღე, უკომპლექსობა, ერთგულება" (ჩოხელი, 2012:149).

ვერასოდეს გახდა ამ ახალი სამყაროს ნაწილი. თავს მუდმივად უცხოდ გრძნობდა. ინტერვიუებში აწერინებდა, ჩემზეაო ნათქვამი: "ირემო მთასა მყვირალო, რამ ჩამოგაგდო ბარადა?" დაბრუნებაც აღარ შეეძლო, რადგან ის გუდამაყარი, რომელიც ბავშვობიდან ახსოვდა, აღარ არსებობდა. დედის გარდაცვალების შემდეგ გაუცხოვებამ კიდევ უფრო მწვავე ხასიათი შეიძინა. სიცოცხლის ბოლო პერიოდში თითქოს იბოდიშებდა საკუთარი მკითხველისა და მაყურებლის წინაშე, ალბათ გადავამლაშეო სევდის სიყვარულში.

მიუხედავად ამ „გადამლაშებისა“, ხშირად იმეორებს წერილებსა და ინტერვიუებში, რომ სურს, ეს სევდის მარილი ადამიანთა გულებს მოაყაროს. ასეთია მისი მთელი შემოქმედება _ ადამიანის გამაკეთილშობილებელი ძალის მატარებელი. მწერალი მკითხველს აიძულებს მეტად დააკვირდეს ყველაფერს, მეტი იგრძნოს და მეტი იფიქროს.

ამბროსუკუნა, მოთხრობიდან "ვარდისფერი კაცი", ბათილა, მოთხრობიდან "ლიდელთ ბათილაი", სალომე, ამავე სახელწოდების მოთხრობიდან, ჯუღურაი, მოთხრობიდან "თხილობის ღამე" _ გარშემომყოფთა როყიოდ ჩადენილ ცოდვებს ეწირებიან. ერთობიან ადამიანები მათი გულუბრყვილობით, ატყუებენ და იცინიან. ამასობაში კი ხელში ადნებათ მოთხრობების მთავარი გმირები. ერთ-ერთ ინტერვიუში პირდაპირაც ამბობს ჩოხელი: "მე იმისთვის ვარ მოსული, რომ დავწერო ისეთი მოთხრობები და გადავიღო ისეთი ფილმები, რომ ადამიანს ხანდახან სევდის ცრემლი

მოვგვარო, რომ ცოტათი უკეთესები გახდნენ" (ჩოხელი, 2012:53). სხვაგან ჟურნალისტის კითვაზე, თუ რატომ კლავს მოთხრობის გმირებს, ასეთ პასუხს სცემს: "დამიჯერე, ეგ უკეთესია. როცა ადამიანი დაფიქრდები, ცრემლი გადმოგვარდება. ეს არის ადამიანად ყოფნის ტკბილი სევდა, მონატრება სიცოცხლის. სევდა ადამიანის სულის მარილია. რომ არა სევდა, ადამიანები უფრო ბრიყვები და ამპარტავნები იქნებოდნენ. როცა ადამიანებს აჩვენებ, რომ სიკვდილი აქვეა, იმას დაენანება კაცი სასიკვდილოდ. ამ დროს აყრი სულში სევდის მარილს, რომელიც მკურნალია, ისევე, როგორც სარწმუნოება. ასეთი ადამიანები ნაკლებად ჩაიდენენ ცოდვას. გაუშვი, ჯობია ცრემლი ჩამოუვარდეს და გული ეტკინოს, ოღონდ დაფიქრდეს, რა ცუდია, როცა ადამიანი კვდება, როცა უბრალო რაღაცას ეწირება, როცა უბრალო რაღაცისთვის ტკენენ გულს" (ჩოხელი, 2012:56).

მომავალი მწერალი და კინორეჟისორი დაიბადა 1954 წლის 2 ოქტომბერს, გუდამაყარში, ჩოხელების საგვარეულო სოფელ ჩოხში. უფრო სწორედ, როგორც თვითონ გვიამბობს, ჩოხი წმინდა ადგილად ითვლებოდა და იქ მშობიარობა აკრძალული იყო, ამიტომ მწერალი ბურსაჭირისკენ (დედის, ლელას სოფელი იყო) მიმავალ გზაზე მოევლინა სამყაროს, ერთი შავად წამოყუდებული კლდის ქვეშ.

სოფლის რვაწლიანი სასწავლებლის დასრულების შემდეგ განათლების მიღება ფასანაურის საშუალო სკოლაში განაგრძო. 1972 წელს გოდერძი ჩოხელმა ჩააბარა შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალურ ინსტიტუტში კინომცოდნეობის ფაკულტეტზე, ორი წლის შემდეგ კი კინოსარეჟისოროზე გადავიდა. მუშაობდა კინოსტუდია „ქართულ ფილმში“ დამდგმელ რეჟისორად. 1980 წელს გამოიცა მისი პირველი წიგნი „წერილი ნაძვებს“, 1881 წლიდან უკვე მწერალთა კავშირის წევრია.

1882 წელს გოდერძი ჩოხელი თავისი ცხოვრების თანამგზავრს, ნინო მელაშვილს შეხვდა. თავად მწერალი იგონებს, რომ გოგონა ბავშვობის დროინდელ სიზმარში ჰყავდა ნანახი, მერე უბრალოდ იპოვა და იცნო. ჯვარი სამთავროს დედათა მონასტერში დაიწერეს. იქვე მონათლეს პირველი ვაჟიც.

გოდერძი ჩოხელმა თავისი ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე გამოსცა არაერთი

წიგნი, რომლებიც დიდი პოპულარობით სარგებლობდა და დღესაც სარგებლობს ქართველ მკითხველებში. წიგნების გამოცემა მწერლის გარდაცვალების შემდეგაც გრძელდება.

2003 წელს გოდერძი ჩოხელის თვითმკვლელობის მცდელობის ამბავმა შეძრა მთელი საქართველო. "პაოლომ როცა იგლიჯა ტყვია, დროს გლიჯა ტყვია, დროს გლიჯა დროსა..." მუხრან მაჭავარიანის ამ სიტყვებით ასრულებს ნუგზარ სხირტლაძე 2006 წელს ჩაწერილ ინტერვიუს, რომელიც შესაბამისად სათაურდება, "დროისთვის ნასროლი ტყვია" (ჩოხელი, 2012). გალაკტიონის გარდაცვალების შესახებ სჯელობისას ძალიან სწორად ითქვა, რომ ჩვენს ქვეყანაში ზუსტად ნახევარი საუკუნის შემდეგ განმეორდა წიწამური. „და წყდება ძაფი სიცოცხლის თუმცა საკუთარ ხელით, დიდ კითხვად შემობრუნდება: მაინც ვინ არის მკვლელი?..“ ეს უკვე მიხეილ ღანიშაშვილის გოდერძი ჩოხელისთვის მიძღვნილი ლექსიდანაა ამონარიდი (ღანიშაშვილი, 2003:12). დამნაშავე ვინ არის, ამას იქნებ დრომ გასცეს პასუხი. გოდერძი ჩოხელი კი, საბედნიეროდ, მაშინ გადარჩა და კიდევ რამდენიმე წელი იცოცხლა.

შესანიშნავი მწერალი და კინორეჟისორი გარდაიცვალა 2007 წლის 17 ნოემბერს 53 წლის ასაკში. დაკრძალულია სამთავროს დედათა მონასტრის ეზოში.

„მე კი დევრჩები ქვეყანას
ჭრელ-ჭრულა ყვავილივითა,
თავ-თმაზე შემოსაწნავად
ნეფიონთ გვირგვინივითა,
სიკვდილ-სიცოცოცხლის შემკვრელად,
ოქროს საამო მძივითა...
დავრჩები გასახსენებლად
ლამაზი სიკვდილივითა“ (ჩოხელი, 2011:22).

ხშირად ამბობენ, რომ გოდერძი ჩოხელი ხელმოკლეობამ მიიყვანა სიკვდილამდე. ვინ იცის, მაგრამ მოგონებების, ნაწარმოებების, მეგობართა საუბრების გაცნობის შემდეგ უფრო სხვა შთაბეჭდილება იქმნება. გოდერძი ჩოხელმა იმედი

დაკარგა. მას ის სამყარო გაუქრა, სადაც უნდა დაბრუნებულიყო. და დარჩა ამ უზარმაზარ ქვეყანაზე სახლიდან გამოგდებული ბავშვივით, რომელსაც ის სახლი დაენგრა.

მწერალი ხშირად იმეორებდა, რომ ჯერ ორი ვაჟის მამა იყო და მერე თავისი ნაწარმოებების და ფილმებისა. თავად მას თუ ვერ გავუფრთხილდით, იქნებ მის შვილებად შერაცხულ ლიტერატურულ მემკვიდრეობას მაინც მოვუაროთ სათანადოდ. მით უფრო, რომ სრულიად დაუმსახურებლად არის ჩრდილში მოქცეული ეს დიდი საგანძური.

1.2. ქართველი ლიტერატორები გოდერძი ჩოხელის შესახებ

გოდერძი ჩოხელის გამოჩენას ლიტერატურულ ასპარეზზე კრიტიკა გარკვეული ეჭვით შეხვდა. შესაძლოა ეს იყო ვერდაჯერება: მაინც რა უნდა ეთქვა ღვთისგან და კაცთაგან მივიწყებული სოფლიდან ჩამოსულ ბიჭს ისეთი განსაკუთრებული, რომ მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობით განებივრებული ქართული საზოგადოება ოდნავ მაინც გაეკვირვებინა. შეიძლება იყო წაყრუებაც. მ. წიკლაურის აზრით, საბჭოთა ხელისუფლებამ განგებ უპასუხა დუმილით ჩოხელის მწვავე დაცინვას, თითქოს ღირსიც არ იყო რამის თქმისა. ასეა თუ ისე, ფაქტი ერთია, გოდერძი ჩოხელი ქართულმა ლიტერატურულმა კრიტიკამ გულგრილად მიიღო და გულგრილადვე გააცილა. თუმცა ისიც ფაქტია, რომ სანთელ-საკმეველი თავის გზას არასდროს კარგავს და არც ამჯერად დაუკარგავს. გოდერძი ჩოხელმა პირველ რიგში მკითხველთა გულებში დაიმკვიდრა ადგილი, რაც მოდი ვთქვათ, არც ყველაზე უარესია შესაძლო ვარიანტებიდან. თუმცა დუმილი არ ყოფილა საყოველთაო, ზოგიერთი ლიტერატორი თავიდანვე გამოეხმაურა „მაგიური მთიულის“ [რეზო ინანიშვილის ტერმინია __ ნ. ნ.] გამოჩენას. განსაკუთრებული გამოცოცხლება ამ საკითხში, სამწუხაროდ, მაინც მწერლის გარდაცვალების შემდეგ შეინიშნება. დისერტაციის „მაცნეს“ ამ ნაწილში მიმოხილულია სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული წერილები და წიგნები გოდერძი ჩოხელის შესახებ, რომლებიც ვეცადეთ, ქრონოლოგიურად დაგველაგებინა (წარმოდგენილი ლიტერატურა დამუშავებული და მეტნაკლებად გამოყენებულია მთელ გამოკვლევაში):

გასული საუკუნის 70-80-იან წლებში დაიბეჭდა ლევან ბრეგაძის „სამი ეტიუდი გოდერძი ჩოხელზე“, რომელიც შედგება სამი სხვადასხვა დროს დაწერილი წერილისგან. პირველი მათგანი არის 1979 წელს „ლიტერატურული საქართველოს“ 29-ე ნომერში დასტამბული წერილის „ახალგაზრდული პროზის პრობლემების“ ნაწილი. მასში განხილულია მწერლის ორი მოთხრობა: „გარსია

ხევსურული სახელია“ და „გუდამაყრელი დედაკაცები“. მეორე ეტიუდი 1983 წელს დაიბეჭდა „ცისკრის“ მე-2 ნომერში და შემდეგნაირად არის დასათაურებული, „ბინდისფერი ხეობის სურათები“. მკვლევარი აქ გოდერძი ჩოხელის ერთი წლით ადრე გამოცემულ წიგნზე, „ბინდისფერი ხეობა“ წერს. მესამე _ ნაწილია წერილისა „ცისკრის“ პროზა 1983 წელს“ და დასტამბულია ამავე ჟურნალის მე-9 ნომერში 1984 წელს.

ჟურნალ „ცისკრის“ 1983 წლის მე-2 ნომერში დაიბეჭდა ჯემალ შარაშიძის უაღრესად საინტერესო წერილი „შემოქმედებითი პერსპექტივისათვის“, სადაც გარჩეულია რამდენიმე მოთხრობა წიგნიდან „ბინდისფერი ხეობა“. მკვლევარი ხსენებული წიგნის მთავარ ნაკლად „სიკეთისა და სინათლის ნაკლებობას“ თვლის.

ამავე ჟურნალ „ცისკარში“ რევაზ მიშველაძე ამტკიცებს, რომ მწერალი სუსტად იცნობს მთის ყოფა-ცხოვრებას და საკუთარ მეზობლებს თითიდან გამოწოვილ პრობლემებს აბრალებს, რაც ჯ. შარაშიძის ზემოთხსენებულ დასკვნაზე არანაკლებ მოულოდნელი და უცნაურია.

1987 წელს გამომცემლობა „მერიდიანში“ დაისტამბა ნოდარ წულეისკირის წიგნი „მთისა და ბარისა“, რომელშიც გოდერძი ჩოხელის „საზიარო ყვავს“ ცალკე თავი ეთმობა.

სოსო სიგუა 1994 წელს გამოცემულ წიგნში „ავანგარდიზმი ქართულ ლიტერატურაში“ ცალკე ქვეთავად გამოყოფს მონაკვეთს, „შენიშვნები ახალგაზრდულ პროზაზე“, სადაც განიხილავს მიკა ალექსიძის, ლაშა იმედაშვილის, ანა მხეიძის, მერაბ აბაშიძის, მამუკა დოლიძისა და გოდერძი ჩოხელის შემოქმედებას.

გაზეთ „თბილისის“ 2000 წლის 22 იანვრის ნომერში დაიბეჭდა იოსებ ჭუმბურიძის სტატია „უსათაურო სევდა“, სადაც ავტორი გ. ჩოხელის „სიყვარულის ცეცხლს“ განიხილავს.

2001 წელს დაიბეჭდა მანანა კვაჭანტირაძის წიგნი „წერილები ლიტერატურაზე“, რომლის ერთ თავში გოდერძი ჩოხელის შემოქმედებაზეა

საუბარი, ეს ნაწილი ამგვარად სათაურდება: „ბრჭყალით ვუპყრივარ სევდასა“.

2006 წელს გამოცემულ წიგნში „სიცოცხლის საიდუმლო“ არის ასეთი თავი: „კაცი ყვავილით მგლების რკალიდან“, სადაც მაია ჯალიაშვილი განიხილავს გოდერძი ჩოხელის რომანს „წითელი მგელი“.

გოდერძი ჩოხელის ენობრივ თავისებურებებზე მუშაობს მკვლევარი მადლენა ოჩიგავა. მან 2009 წელს გამოსცა ორი წიგნი სათაურებით: „ზოგი სტილური თავისებურებისათვის გოდერძი ჩოხელის ენაში“ და „ზოგი დიალექტური თავისებურებისათვის გოდერძი ჩოხელის ენაში“.

ამავე 2009 წელს გამოიცა ლუარა სორდიას ნაშრომი „გოდერძი ჩოხელის „მგელი“. სადაც მკვლევარი უმთავრესად წმინდა წერილზე დაყრდნობით ხსნის რომანის სახეებს თუ ძირითად სათქმელს.

2009 წლით თარიღდება ნანა კუციას წიგნიც „ქართული რომანის პარადიგმები“, რომელშიც ვრცელი წერილი ეძღვნება გ. ჩოხელის რომანს „წითელი მგელი“.

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ვახტანგ გურული არის ავტორი გოდერძი ჩოხელის შესახებ დაწერილი რამდენიმე სტატიისა და ორი მომცრო წიგნისა, რომლებიც 2010 წელს დაუბეჭდავს და რომლებსაც, მწერლის შემოქმედების გააზრების მოკრძალებულ ცდას უწოდებს. წიგნების სათაურებია: „დედამიწიდან გაფრენაზე მეოცნებე“ და „მართალი გოდერძი“.

გოდერძი ჩოხელის მეგობარი, ლიტერატორი ლელა ჯიყაშვილი სხვადასხვა დროს იწერდა შემოქმედის მოგონებებს, აზრებს, დამოკიდებულებებს სხვადასხვა ადამიანების მიმართ. ყველაფერი ეს ერთ წიგნად შეიკრა და გამოიცა 2011 წელს სათაურით „გუდამაყრელი იები“.

ასევე მოგონებებია თავმოყრილი ნინო ზედელაშვილის „ნაწილიანში“, თუმცა ამჯერად არა გოდერძი ჩოხელის, არამედ _ გოდერძი ჩოხელზე. წიგნი გამოიცა 2012 წელს. იგი მწერლის ცხოვრებით დანიტერესებულ პირებს მდიდარ მასალას სთავაზობს.

2007-2012 წლებში დაიბეჭდა გოდერძი ჩოხელის ხუთტომეული ნათელა

ჭყოიძისა (I-IV) და ნინო ზედელაშვილის (V) რედაქტორობით, რომლის პირველი ოთხი ნაწილი სრულად მოიცავს მწერლის ლიტერატურულ მემკვიდრეობას, ხოლო მე-5 ტომში შესულია სხვადასხვა მკვლევართა მიერ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული კრიტიკული წერილები გ. ჩოხელის შემოქმედებაზე.

მარინე ტურავას წიგნში „სიცოცხლე შვენობს შენითა“ (სიკვდილის პარადიგმა ქართულსა და უცხოურ მოდერნიზმში) რომელიც 2012 წელს გამოვიდა, 263-271 გვერდები ეთმობა გოდერძი ჩოხელის შემოქმედებაში ასახულ სიკვდილის თემას.

გოდერძი ჩოხელის შემოქმედების მკვლევარმა, ლიტერატორმა მაია წიკლაურმა ორგზის გამოსცა ძალიან საინტერესო ნაშრომები მწერლის ცხოვრებასა და ლიტერატურულ მოღვაწეობაზე. პირველი წიგნი ჩოხელის სიცოცხლეშივე დაიბეჭდა 2006 წელს სათაურით „გოდერძი ჩოხელი _ ერისა და მთის შვილი“. იგი გაცნობით ხასიათს უფრო ატარებდა. ხოლო მეორე _ „გოდერძი ჩოხელი _ შემოქმედება საზღვრების გარეშე“ 2010 წელს გამოვიდა და წარმოადგენს მწერლის შემოქმედების ღრმა კრიტიკულ ანალიზს.

ზემოთხსენებული სათაურითვე („გოდერძი ჩოხელი _ შემოქმედება საზღვრების გარეშე“) დაიბეჭდა ორი წლის შემდეგ გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის მიერ 2012 წელს ჩატარებული საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები. წიგნში მრავალი საინტერესო მოხსენებაა შესული. მათგან ჩვენი კვლევისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი აღმოჩნდა: გიორგი გოგოლაშვილის „გოდერძი ჩოხელი და ქართული ენა“, ვახტანგ გურულის „გოდერძი ჩოხელის სამყარო“, მაია წიკლაურის „გოდერძი ჩოხელის შემოქმედების ჟანრობრივი ნოვაციები“, ნანა კუციას „რო არა ეს ყვავილი...“ (საღმრთო სახელისათვის გოდერძი ჩოხელის რომანში „მგელი“), ელისო წიკლაურის „გოდერძი ჩოხელის მსოფლმხედველობა“, მექა ხანგოშვილის „მგლის ფენომენი გოდერძი ჩოხელის შემოქმედებასა და კავკასიის რეალობაში“, ელიკო წიკლაური-ლამიხის „მოგონებები გოდერძი ჩოხელზე, ან გოდერძის საფლავზე ამოსული იები“, ნინო ვახანიას „გოდერძი ჩოხელის პოეტური აბრისი“, ლუარა სორდიას

„რწმენის და სამშობლოს მომავლის გადარჩენის პრობლემა გოდერძი ჩოხელის „სულეთის კიდობნის“ მიხედვით“, თამარ ყალიჩავას „ტოტალიტარული სინამდვილის მიერ ადამიანში ღვთიური საწყისის მოკვდინება“ (გოდერძი ჩოხელის რომანი „მგელი“), მილდრედ კალანდარიშვილის „მკითხველის თვალით დანახული „მგელი და მგლობა“ გოდერძი ჩოხელის რომანში „მგელი“ (რუსულ ენაზე), თამარელა წოწორიას „თევზის წერილები“ და „წერილი ნაძვებს“ პოეტიკა“, ანა დათუაშვილისა და გიორგი ხორბალაძის „მითოლოგიური და რელიგიური საწყისები გოდერძი ჩოხელის შემოქმედებაში“, მაია ჯალიაშვილის „მგლობის ფენომენის მითოპოეტური ასპექტები გოდერძი ჩოხელის რომანში „მგელი“, ნინო ზედელაშვილის „გოდერძი ჩოხელის ფილოსოფია“ (ინტერვიუ მწერალთან), ლალი დათუაშვილის „ღმერთის შვილები და წუთისოფელი“ (გოდერძი ჩოხელის მოთხრობების მიხედვით), ნატო ჩხაიძე-აბესაძის „სისხლის აღების ადათის გმობა ქრისტიანულ აღმსარებლობასთან მიმართებით გოდერძი ჩოხელის შემოქმედებაში“.

ნატო ჩხაიძე-აბესაძემ 2013 წელს გამოსცა კომპლექსური ნაშრომი „გოდერძი ჩოხელი ბინდისფერი ფარდის მიღმა“, რომელშიც მკვლევარი ჩოხელის მოთხრობებზე დაყრდნობით განიხილავს ეროვნულ მოტივებს, რწმენის, სიყვარულის, ქალის თემას მწერლის შემოქმედებაში, ბუნებასთან დამოკიდებულებას ვაჟა-ფშაველასთან შეპირისპირებით. ცალკე თავი ეთმობა ტრადიციებს, რომლებიც მეტად თუ ნაკლებად აისახა გოდერძი ჩოხელის ნაწარმოებებში.

გიორგი ხორბალაძემ 2013 წელს დაიცვა დისერტაცია თემაზე „გოდერძი ჩოხელის შემოქმედების ძირითადი ტენდენციები“, ხოლო 2015 წელს ტექსტი წიგნად გამოიცა სათაურით „იების სევდა“.

თეა ტეტელოშვილისა და სოფიკო ბერულავას ნაშრომი, „ზმნის დიალექტური ფორმები გოდერძი ჩოხელის მოთხრობების მიხედვით,“ დაბეჭდილია დიალექტოლოგიური კრებულის 37-ე წიგნში, 2017 წელს.

2017 წელსვე თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში შედგა ლ. იარაჯულის სადოქტორო ნაშრომის დაცვა, სათაურით „მხატვრულ-ესთეტიკური საზრისი გოდერძი ჩოხელის შემოქმედებაში“. ნაშრომი საინტერესო მასალას იძლევა სახე-სიმბოლოთა, ტრადიციების, რწმენის საკითხებთან დაკავშირებით.

თავი II. ქართველ მთიელთა რწმენა-წარმოდგენები გოდერძი ჩოხელის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში

მითოლოგია ნათელ სურათს გვაძლევს ამა თუ იმ ხალხის რწმენა-წარმოდგენებზე, მსოფლმხედველობაზე, დამოკიდებულებაზე გარემომცველ სამყაროსა თუ საკუთარ თავთან. გოდერძი ჩოხელის შემოქმედება ქართული მითოლოგიითაა გაჯერებული, კერძოდ, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში გავრცელებული ძველი ამბებითა და თქმულებებით, რომელთა გარემოცვაშიც აღიზარდა და მსოფლმხედველობრივად ჩამოყალიბდა მწერალი. რიგ შემთხვევებში, მკითხველს ისეთი შთაბეჭდილება ექმნება, თითქოს მხოლოდ კი არ აცნობენ, ერთგვარად „თავსაც იწონებენ“ მის წინაშე, თუმცა, ვფიქრობთ, ჩოხელი ტრადიციულის მხოლოდ შეხსენებას ცდილობს. რადგანაც ეს სიმდიდრე ყოველი ქართველის კუთვნილებაც ისევეა, როგორც - თავად მისი. უბრალოდ, უნდა გავიხსენოთ, აღვიდგინოთ, გავაცნობიეროთ, რისი მფლობელები ვართ სინამდვილეში.

,,არ მინდა, არაგვის ხეობაზე მოიშალოს ის წესები, რაც ჩვენს მამა-პაპას დღემდე შემოუნახავს, ეს სალოცავები, ქალის გათხოვება-დანიშვნის წესები, ჭრელა-ჭრულა წინდების და ფარდაგების მოქსოვის წესი და ყველაფერი ის, რაც ჩვენმა წინაპრებმა დაგვიტოვეს“ (ჩოხელი, 2012, გვ. 43).

ქართველ მთიელთა წარმოდგენებში, ქრისტიანობასთან ერთად, უძველესი სარწმუნოების კვალიც შეინიშნება, მართალია, გადაშლილი, გადასხვაფერებული, მაგრამ გარკვეულ დონეზე სურათის აღდგენა მაინც შესაძლებელია. ნაშრომში განვიხილავთ ამ უძველესი რელიგიის რაობასა და გამოვლინებას გოდერძი ჩოხელის შემოქმედებაში.

2.1. ქართველთა უძველესი სარწმუნოებისა და ქრისტიანობის ურთიერთმიმართება გოდერძი ჩოხელის შემოქმედებაში

ხევისბერის ლოცვებში გვერდიგვერდ მოიხსენიება ქრისტიანული და ქართველთა უძველესი სარწმუნოების ელემენტები:

„ღმერთო, გაუმარჯვე თავში კვირესა, კვირეს გავლილობას, ღვთის კარის მაშვენებელს, კეთილის პასუხის მიმტანსა და მამტანსა, კეთილის კარავის დამდგმელს ანგელოზსა. [...]

ღმერთო, გაუმარჯვე დიდებულსა დედას ღვთისასა, ღვთისმშობელს, წმინდა სანებას (სამებას), წმიდას ცის ნამის გადმამშვენებელს, დედამიწის ძუძუ-მკერდის დამკურთხებელსა, გამარჯვებულო. [...]

ღმერთო, გაუმარჯვე გმირს კოპალასა, დიდის უნჯისა და განძის პატრონს ანგელოზს. ღმერთო, გაუმარჯვე იახსარს, დევ-კერპების გადამსხვავებელს, ხახმატის ჯვარს, ქაჯავეთის ციხის გამტეხს, გამარჯვებულო“ („ჯვარ-ხატთა სადიდებლები“, 1998, გვ. 149).

როგორც მოხმობილ ციტატაში ვხედავთ, ლოცვის ტექსტში ერთმანეთის მიყოლებით არიან ნახსენებნი ქრისტიანული: ღვთისმშობელი, სამება („სანება“) და ძველი ქართული: კვირია, კოპალა, იახსარი, ხახმატი.

სანამ უშუალოდ მიმართებათა გარკვევაზე გადავიდოდეთ, აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ სიტყვა „წარმართულს“ არ ვიყენებთ მიზანმიმართულად, რადგან:

„ახალი აღთქმის მიხედვით, წარმართობის ქვეშ იგულისხმებოდა რელიგია, რომელიც უცხოა ქრისტიანობისთვის, არაჭეშმარიტი რელიგია, რელიგია, რომელიც, ადამიანის ხსნას არ იწვევს“ (კიკნაძე, 1989, გვ. 125).

სათაურში გამოტანილ ტერმინს („ქართველთა უძველესი სარწმუნოება“) კი თინა ოჩიაურს დავესესხეთ (ოჩიაური თ., „ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან“, თბ. 1954).

გაქრისტიანებამდე ჩვენმა ქვეყანამ რამდენიმე რელიგია გამოიცვალა.

სახელმწიფოსთვის სარწმუნოება თავისთავად არასოდეს ყოფილა მხოლოდ რწმენის საქმე, აქ გასათვალისწინებელი იყო მრავალი ფაქტორი. როგორიცაა, მაგალითად, ქვეყნის პოლიტიკური ორიენტაცია, განწყობა მეზობელი სახელმწიფოებისადმი და სხვა. აქედან გამომდინარე, ჩვენში ხან კერპთაყვანისმცემლობა ვრცელდებოდა და ხანაც - ცეცხლთაყვანისმცემლობა. თუმცა, ცხადია, ჩვენც გვქონდა ჩვენი რწმენა-წარმოდგენები გარემომცველ სამყაროზე, დამბადებელ ღმერთსა და მის ნების გამტარებლებზე ქვეყნად (ღვთისშვილებზე). დღეს იმ ძველი რელიგიის თავდაპირველი სახით აღდგენა ძალიან რთულია, ერთი მხრივ, მკვლევართა სიფრთხილის, მეორე მხრივ კი, სიძველისა და უამრავი დანაშრის გამო, მაგრამ გარკვეული სურათი მაინც იხატება.

ქრისტიანობა ნელა და რთულად შედიოდა მთაში და, ცხადია, დამხვდურ რელიგიასთან უწევდა რიგ კომპრომისებზე წასვლა. ძველ სარწმუნოებას ღრმად ჰქონდა ფესვები გადგმული და მთიელის დინჯი, კონსერვატორული ბუნება მარტივად ვერ ურიგდებოდა არცთუ თავაზიანად მიწოდებულ სიახლეს, მით უფრო, ქალის შემოტანილს და, მით უფრო, გარკვეულწილად, ძალის გამოყენებით დამკვიდრებულს. „ქართლის ცხოვრებაში“ ვკითხულობთ: „მერმე ინება მეფემან მოქცევა მახვილითა მთიულთა და აუწყა ნინოს და ეპიზკოპოზსა, არამედ წმიდამან არა ნება-სცა; რამე თუ არა ბრძანებულ არს მახვილი, არამედ ქადაგება და ეტყოდა მეფესა: „მე წარვიდე მუნ ქადაგებად“. ხოლო მისრულმან ქადაგა სახარება ქრისტესი; არამედ უმრავლესთა არა უსმინეს და არა შეიწყნარეს. ამისთვის მეფემან დაურთო ხარკსა ზედა ხარკი მთიულთა და ერისთავმან მეფისამან **მცირედ წარმართა მახვილი** და შემუსრნა კერპნი მათნი. ამისთვის ფხოველნი გადაეშენნენ თუშეთს“ („ქართლის ცხოვრება“, 1973:93)

დ. გოგოჭური კი ასეთ კომენტარს დაურთავს ჩვენი ისტორიის ამ უსიამოვნო მონაკვეთს: „ბრძოლა საკმაოდ მძაფრი ყოფილა, მეფის მხედრობას დაურღვევია ნინოს შეგონება იმის შესახებ, რომ „არა ბრძანებულ არს მახვილი“, მათი წარმართული სალოცავები დაუნგრევია, რაც, ცხადია, სისხლისღვრის გარეშე ვერ მოხდებოდა,

ხოლო ფხოველთათვის კი სარწმუნოების გამო ჩამოვარდნილი ეს ინციდენტი იმდენად მნიშვნელოვანი ყოფილა, რომ მათ (ფშავ-ხევსურებს) თავისი მიწა-წყალი მიუტოვებიათ და თუშეთში გადასახლებულან. ყოველივე ეს კი სრულიად არა ჰგავს „მახვილის მცირედ წარმართვას“, რასაც, ცხადია, შელამაზებულად გადმოგვცემს ქრისტიანობის ქომაგი მეისტორიე“ (გოგოჭური, 1986:130).

ბრძოლა ქრისტიანობის დასაკანონებლად ამით არ დასრლებულა.

გადის თითქმის რვა საუკუნე და ახლად გამხედართმთავრებული ივანე ათაბაგი თამარ მეფეს წარუდგენს ფხოველთა შემომტკიცების გეგმას. თანხმობასაც იღებს. თამარის ბრძანებით, აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა ერთი ნაწილი მეორე ნაწილის წინააღმდეგ გამოჰყავთ საბრძოლველად. სამეფო ლაშქარი ათაბაგის მეთაურობით კავკასიონის თხემის გავლით შედის ფხოვში. „ცნეს რა მისვლა ათაბაგისა, მოვიდეს ძღვნითა მეფენი დურძუკთანი [ქისტები - ნ.ნ.], მოსცეს ლაშქარი და დაუდგეს გვერდსა. **და იწყეს ზეიდაღმან ბრძოლად და რბევად და კლვად და ტყვეობად და დაწვად.** მოსწყვიდეს ურიცხვი კაცი დიდი და ფხოვი. და დაყვნეს სამნი თვენი - ივნისი, ივლისი და აგვისტო“ („ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“) (ქართული პროზა, ტ. III, 1982:243). ამის შემდეგ ფხოვის ერთ ნაწილში დააარსეს ახალი სალოცავები: ლაშარის ჯვარი და თამარ მეფე. არც მომდევნო საუკუნეებში იხსნება მთიელთა „ურწმუნოებისა“ და ურჩობის პრობლემა. ვ. ითონიშვილს, ნაშრომში „ქართული ქრისტიანობის ისტორიიდან“, წარმოდგენილი აქვს რამდენიმე ყურადსაღები საბუთი, რომელთაგან ზოგიერთის გაცნობა, ვფიქრობთ, ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს: „ანანურს ზევით მთიულეთს წილკნელისა არა ედვა რა: არა დრამა, არა საწირავი, არა სახუცო, არც ძველს გუჯარში ეწერა. ახლა ჩვენ ფრიად ცოდვილმან და ყოველთა კაცთა უნარჩევესმან, წილკნელ ეფისკოპოზმან რომანოზს გვიბრძანა არაგვის ერისთავმან ზაალ, დამწყსა და კეთილად გარჯულვა. ჩვენც არა უდებ ვექმენით ბრძანებასა მწყემსმთავრისასა, რომელმან ბრძანა, წარვედით და მოიმოწაფენითო, და შემდგომ ამის, წარვედით და შეუდექით კვალსა ისე მამადმთავრისასა და მოვედით

მთიულეთსა. მცირე რამ ქრისტიანობა იყო და ორი ხუცესი. არც ქრისტიანობა და არც ნათლისღების შვილობა მართ არ ეწოდებოდა, იესევ კერპის მგზავსი იყვნენ: არც მართლა ნათლისღება იცოდნენ, აღსარება სრულიად არ იყო, არც მარხვა იცოდნენ, თვინიერ დიდმარხვის მეტი. ფრიადითა ჭირითა ვიღვაწე: **ზოგი ერისთვის ძალი მქონდა შემწედ, ზოგნი თავისი ნებით მოიქცნენ**“ („1669 წ. წილკნელის სამწყსოს დრამისა და საწირავის გარიგების სიგელი“) (ითონიშვილი, 2003:85).

წილკნელი ეპისკოპოსის ამ გუჯრიდან აშკარად ჩანს, ვერც XVII საუკუნეში გამხდარან მთიელნი სანიმუშო ქრისტიანები და ეკლესიას კვლავ დასჭირვებია „ერისთავის მცირედი შეწევნა“ მათს გასანათლავად.

ვაჟა-ფშაველა, 1914 წელს დაწერილ საპასუხო წერილში „ეპისკოპოს ანტონის აზრი ფშავ-ხევსურთა სარწმუნოებაზე“, გულისტკივილით საუბრობს ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის დამოკიდებულებაზე აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა რწმენისადმი. 1912 წელს ანტონ ეპისკოპოსს უმოგზაურია ფშავ-ხევსურეთში და სასულიერო მთავრობის წინაშე ამ კუთხეთა მცხოვრებნი დაუხასიათებია, როგორც წარმართები და კერპთაყვანისმცემლები, რომლებიც ხატებში ლოცულობენ და საკლავს სწირავენ თავიანთ „ხვთისშვილებს.“ ვაჟა-ფშაველა არ უწონებს მის უწმინდესობას სიმკაცრეს, ცდილობს, ქრისტიანულად ახსნას მთაში მიმდინარე სულიერი ცხოვრების თავისებურებები და, პირიქით, სამღვდელოების წესიერებას აყენებს ეჭვქვეშ. ასეა თუ ისე, ამ წერილშიც მრავალსაუკუნოვანი დაპირისპირების გაგრძელება იკითხება (ვაჟა-ფშაველა, 1914).

თუმცა „ყველაფერი ამის მიუხედავად, მორწმუნე მთიელი შეურაცხყოფად ღებულობს, რომ მის ქრისტიანობაში ეჭვი შევიტანოთ. არ შეიძლება აქვე არ გავიხსენოთ „ქართლის ცხოვრების“ ის ადგილი, სადაც წერია, რომ „ფხოველნი ჯვარის მსახურნი არიან და ქრისტიანობას იჩემებენ“ (გოგოჭური, 1986, გვ. 136).

გოდერძი ჩოხელიც ჭეშმარიტი ქრისტიანია, მთელი თავისი შეგნებითა და მსოფლმხედველობით. ერთ-ერთ წერილში, რომელიც ასე სათაურდება __ "დარდების შემგროვებელი", საუბრობს მეფე მირიანის გადაწყვეტილების სისწორეზე, რომლის

გაგზავნილმა სპასალარმაც "მცირედ წარმართა მახვილი" ურჩ მთიელთა წინააღმდეგ. იქნებ, აჯობებს, ახლაც სიმკაცრე გამოვიჩინოთ და ავკრძალოთო სექტების მოღვაწეობა, რათა დავიცვათ საკუთარი სარწმუნობა (ქრისტიანობა), რომელმაც დღემდე მოგვიყვანაო. მაგრამ თვითონვე ამბობდა, „ჩემი გუდამაყრიდან მოვდივარო“ და ვერსაით წაუვა „ძველი სარწმუნოების“ ზეგავლენას (ვინ იცის, იქნებ, არც ღირდეს და არც თავად უღირდეს?!).

მწერლის შემოქმედებაში ქრისტიანობასაც ვხვდებით და ქართველთა უძველეს სარწმუნოებასაც, მაგრამ ისე შერწყმულსა და ერთმანეთში გადასულს, რომ მათი გამიჯვნა რთული ხდება.

„ადამიანთა სევდაში“ ჩართულია მოთხრობა „ხატად ქცეული კაცი.“ ამბავი, ერთი შეხედვით, მიამიტურია. სიზარმაცით სახელგანთქმული მამუკა თეთრ ტანსაცმელს შეიმოსავს და სალოცავთან ჯდება, მთის წვერზე. იჩემებს, თითქოს ხატი ლაპარაკობდეს მისი პირით. ადამიანები უსიტყვოდ ასრულებენ თვითმარქვიას სურვილებს. ისიც ერთობა მათი გულუბრყვილობით: ჭალიდან ლამაზ-ლამაზ ქვებს აზიდინებს მწვერვალზე, მოეწონება - დაიტოვებს, არ მოეწონება და - უკან უგორებს. მთელი დღე აწვალა კოტორიანთ წიწაც, რამდენი ქვაც ამოუტანა, იმდენი დაუგორა. გაწიწმატდა წიწა, სტაცა ხელი ხატად ქცეულ კაცს და მთიდან გადმოუძახა.

ნაწარმოების ხსენებული მონაკვეთი რაღაცით გვაგონებს თუშების ზეპირ გადმოცემას ერთი ღვთისშვილის შესახებ, რომელსაც, თითქოს, ცალი რქა აქვს, მეტად უცნაური და ღიმილის მომგვრელი შემთხვევის გამო: თურმე, ეს ღვთისშვილი თავის დღეობაზე ხატის თავზე ავიდოდა, გადმოიხრებოდა და ღამისთევაზე მოგროვილ მლოცველს გადმოვარდნით ემუქრებოდა.მლოცველს უნდა ეთხოვა, შენი ჭირიმე, არ გადმოვარდეო. ერთ კაცსაც მობეზრებია ხვეწნა და აღარ უთხოვია, გაბრაზებულა. გადმოვარდა და ცალი რქა აქვს ახლა დარჩენილი (ცოცანიძე, 1987).

როგორც თქმულებიდან, ისე ნაწარმოებიდან მშვენივრად ჩანს მთიელის ლაღი დამოკიდებულება უფლისა და მისი წარმომადგენლებისადმი დედამიწაზე (ე.ი., ღვთისშვილებისადმი). მთაში არც ორ მუხლზე იჩოქებენ. ხევისბერებიც პირდაპირ

ცაში შესძახიან ღმერთს, სჯერათ, გაუგონებს.

„სასმლისგან გაჟინთული ფშაველი, რომელსაც დედამიწაზე აღარ უდგა ფეხები, ხანდახან თავის „დიდ ბატონსაც“ გაუხუმრებს ხოლმე, კახური ჭაჭანაური სარწმუნოებისაგან აშენებულს ციხეში დაპატიმრებულს გონებას დაიხსნის ხოლმე. მაშინ ფშაველი მღერის:

ფშაველთა ლაშარის ჯვარი ნეტარ არ დაუბერდაა?

ამბობენ დაბერებასა, ნეტარ არ მაუკვდებაა?“ (ვაჟა-ფშაველა, 1956:51-52).

ასეთივე დამოკიდებულება იკითხება სხვა ხალხურ ლექსშიც:

„ხახმატის ჯვარის დროშაო,

რა გაჟრიალებს, რა არი?

ჩემს სალოცავად გაჰხადე,

საცა კი ერთი ქვა არი.

ერთი კაცი გყავ მსახური,

სადაც საურმე გზა არი,

სუყველგან გიდგა ლოგინი,

საცა სათიბი მთა არი“ (ცანავა, 1986:34).

სხვა ვარიანტით:

„შე ხახმატისჯვრის დროშაო, რა გაჟრიალებს, რა არი?

შარშან ორ საკლავ დაგიკალ, წელს ეს მესამე სხვა არი.

ჩემ სალოცავად გახადე, სადაც რომ სამი ქვა არი“ (გოგოჭური, 1986:137).

როგორც ვხედავთ, აქ არსადაა ის ქედმოდრეკილი მოწიწება, რომელიც თითქმის ყველა რელიგიას ახლავს. ჩანს, ქართველმა მთიელმა ძველი სარწმუნოებიდან გადმოიყოლა ეს უჩვეულო განწყობა. რადგან იმ რელიგიური მსოფლმხედველობით, კაცი ღვთისშვილის თანამებრძოლად აღიქმებოდა ბოროტების (ე.ი. დევ-კერპთა) წინააღმდეგ, და არა - მონად ღვთისად. იქ კაცი კი ემსახურება ღვთისშვილს, მაგრამ თან ანგარიშს სთხოვს, ამ უკანასკნელმა წყალობა თუ დაუგვიანა:

„რას ჩაით, ჩვენნო ხვთიშვილნო, გასაგო არცრა თქვენია,

ხვეწნაი, ზღვნების ხოცაი, სად მიდის ამოდენია? (ოჩიაური ალ., 1970:162).

ან კიდევ:

„დღესღამ დღეობა ვისია?

წმინდისა გიორგისია.

ყმათ აღუმატე, გიორგი,

თუ გინდან მოსახელენი.

პურს აღუმატე, გიორგი,

თუ გინდან კოდნი სავსენი.

ცხვარს აღუმატე, გიორგი,

თუ გინდან რქა-ჯანგიანნი [...]“ („მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის“, ნაკვეთი 1, 1938:39).

ქრისტიანულ და ე.წ. წარმართულ რელიგიათა ურთიერთმიმართებაზე მსჯელობისას მკვლევართა განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია გ. ჩოხელის ორმა ნაწარმოებმა. რომანში „ადამიანთა სევდა“ ჩართულია მოთხრობა, „მამამთილის სამართალი“. აქ განხილულ თემას უბრუნდება ავტორი „აღმართშიც“. ორივე ამბავი ძველი დროის შემზარავ ტრადიციას, პირველი შვილის მსხვერპლად შეწირვას ეხება.

მ. წიკლაური „აღმართის“ მთავარ სათქმელს ასე განმარტავს: „მასში [მწერალში-ნ.ნ.] მართლმადიდებლობა უკვე იმდენად ძლიერია, რომ წარმართულ წეს-ჩვეულებებს ქრისტიანული მორალის თვალსაზრისით ხსნის და მისი უპირატესობის დამტკიცებას ცდილობს“ (წიკლაური, 2010:113).

ჩვენი აზრით კი, ცოდვის მთლიანად ძველი რელიგიისთვის დაბრალება არ უნდა იყოს გამართლებული. აქ სიბნელეს, გაუნათლებლობასა და ბრმა რწმენას (საითაც არ უნდა იყოს ეს რწმენა მიმართული, აკი აბრაამმაც აიღო ხელში დანა შვილის დასაკლავად) უპირისპირდება ჩოხელი და არა ე. წ. წარმართობას.

მწერლის რელიგიური მსოფლმხედველობის გამორკვევისას ყურადსაღებ მასალას გვაძლევს მოთხრობა „თოვაში გასვენებული დღესასწაული“.

მოქმედება ერთ მიუვალ, ღვთისა და კაცისგან მივიწყებულ სოფელში ვითარდება, რომელშიც რამდენიმე მოხუცი ღა დარჩენილა. ისინი „აყენებენ წესს“ (ასრულებენ რიტუალებს). ახლაც ხის თაგვები გამოუთლიათ და რაკარუკით გარბიან სოფლიდან: „გამო, თაგვო, გამო, რწყილო! ანგელოზო, შინ დაბრძანდი!“ უკან არაფრით იხედებიან, ვაითუ, თაგვები ისევ მათს სახლებში მობრუნდნენ და ფუჭად ჩაუაროთ ამოდენა შრომამ. გაღმა მთიდან უშველებელი თეთრი ზვავი შემოეგება შავ მოხუცებს, უბეში შეიხვია, „ხევი ხველებით ჩაიარა და არაგვის ჭალაზე დაჯდა ფეხმორთხმით“ (ჩოხელი, 2013:169).

ლ. იარაჯული მოთხრობის ამგვარ დასასრულს ქრისტიანობის გამარჯვებად აღიქვამს წარმართობაზე (იარაჯული, 2017). ჩვენ კი ვერაფრით დავიჯერებთ, რომ ავტორი ზვავთან ერთად ზეიმობდეს ისედაც უპატრონოდ დარჩენილი მოხუცების თოვლში შეხვევას. გვგონია, უფრო იმ ერთადერთი გადარჩენილი ცალფეხა ბერიკაცის გვერდით უნდა იდგეს და ჭირისუფალივით გაჰყურებდეს დაცარიელებულ ხეობას, საიდანაც ამ მოხუცებთან ერთად წავა და დაიკარგება ყველა ტრადიცია, ცხოვრების წესი და რწმენა-წარმოდგენა, რომელიც ასე ალამაზებდა და უნიკალურს ხდიდა ამ მივიწყებულ ხეობას.

ცნობილია, რომ ბიბლიური სიუჟეტები გამარტივებული სახით გადადიოდა ხალხში. უმეტესად, ამ პროცესს თავად სასულიერო პირები უწყობდნენ ხელს, რათა საზოგადოების დაბალი ფენა რამენაირად დაეახლოვებინათ რელიგიასთან. ამან გამოიწვია ე.წ. „ქრისტიანობის გახალხურება“ და თანდათან ფოლკლორის საკუთრებად ქცევა.

უცნაური სიმარტივით უყვება მოხუცი პაპა თავის შვილიშვილს აბელისა და კაენის ისტორიას, რომანში „წითელი მგელი“. სიუჟეტი ბიბლიურია: ძმა ძმას კლავს და ქვეყანაზე პირველი შემზარავი დანაშაული ხდება, მაგრამ ყურადღებას იქცევს უსაზღვრო კაცთმოყვარეობა მწერლისა, რომელიც ცდილობს, ამბავი სხვა მხრიდან დაგვანახოს _ თითქოს კაენმა ცხელ გულზე ისე ჩაარტყა ძმას ქვა, ფიქრადაც არ მოსვლია მისი მოკვლა. ან საიდან მოუვიდოდა, არც იცოდაო, რა იყო სიკვდილი. მერე:

„წამოყენება უნდოდა, აზიდა, ასწორა, ფეხზე ვერ დააყენა. რა არ სცადა, რა არ იღონა, არ იცოდა, რა იყო სიკვდილი და ხან ეხვეწებოდა, ადექიო, ხან უყვიროდა“ (ჩოხელი, 2007:170).

იქმნება შთაბეჭდილება, რომ მწერალი დედამიწაზე ჩადენილ პირველ და უსაზარლეს ცოდვაზე კი არა, გაგულისებული ძმების ჩვეულებრივ, რიგით წაკინკლავებაზე გვიყვება, რომელიც, სრულიად შემთხვევით, ტრაგიკულად დამთავრდა.

აქვე უნდა ვახსენოთ გოდერძი ჩოხელის კიდევ ერთი ნაწარმოები, რომელშიც ასეთივე მსუბუქი, გულუბრყვილო კილოთია მოთხრობილი ერთი შეხედვით წარმოუდგენელი სისასტიკის ამბავი. მთიელებს კათალიკოსისთვის მღვდელი უთხოვიათ - მიცვალებულს ვერ მარხავდნენ წესის აუგებლად. მღვდელმთავარმა ცოტა ხნის წინ წარგზავნილი სასულიერო პირი მოიკითხა. აღმოჩნდა, რომ ის წინა მიცვალებულისთვის ჩაეყოლებინათ საფლავში, რადგან გაფრთხილებულები იყვნენ, მღვდლის გარეშე მკვდარი არ დაემარხათ. ეს ამბავი მთაში სახუმარო ისტორიის სახით დადის, მწერალს კი ნაწარმოებად უქცევია. აქ კარგად ჩანს, ერთი მხრივ, მთიელთა ბოლომდის ვერგაქრისტიანება და, მეორე მხრივ, ავტორის ღიმილიანი დამოკიდებულება მათი „უწესობისადმი.“

მ. კვაჭანტირაძესთან ჩაწერილ ინტერვიუში ჟურნალისტი სვამს კითხვას: როგორ ახერხებსო მწერალი ქრისტიანული და ქართულ მითოლოგიაზე აღმოცენებული რწმენის მორიგებას? რაზეც მკვლევარი პასუხობს: "არამგონია, ისინი ერთმანეთს უშლიდნენ ხელს და მოსარიგებლად იყოს საქმე. ორივენი კვებავენ ჩოხელის მხატვრულ აზროვნებას, როგორც ორი დიდი წყარო შთაგონებისა, ხან გაუცნობიერებლად, ხან ცნობიერად. ნიჭიერ მწერალს არ უჭირს, მითს, თქმულებას ქრისტიანული შინაარსი მოარგოს, თანაც სრულიად ბუნებრბივად, ძალდაუტანებლად (ჩოხელი, 2012:511).

როგორც დავინახეთ, ძველი და ახალი რელიგიები საუკუნეების განმავლობაში უპირისპირდებოდა ერთმანეთს, ზოგჯერ ეს დაპირისპირება სისხლისღვრაშიც კი

გადაიზრდებოდა ხოლმე, მაგრამ გოდერძი ჩოხელთან საკითხი ასე არ დგას. მის ნაწარმოებებში თანაარსებობს ქრისტიანული და უძველესი ქართული. ისინი არ ეჯიბრებიან ერთმანეთს პირველობის მოსაპოვებლად. მკვლევართა ნაწილი რიგ ნაწარმოებებზე დაყრდნობით ცდილობს დაამტკიცოს, რომ მწერალი ქრისტიანული თვითშეგნებით ებრძვის და იმარჯვებს ძველ, „წარმართულ“ სარწმუნოებაზე. ჩვენ ამგვარი მტკიცების საფუძველს ვერსად მივაგენით, სამაგიეროდ, დიდი კვლევა-ძიება არ დაგვჭირვებია იმის დასანახად, რომ გოდერძი ჩოხელი ყოველთვის იყო გუდამაყრისა და მთელი მთიანეთის გულმხურვალე ჭირისუფალი და იქ არსებული ტრადიციების, რწმენა-წარმოდგენების შემონახვას ცდილობდა თავისი ნაწარმოებებითა თუ ფილმებით.

2.2. ქართველთა უძველესი სარწმუნოების რაობა და მისი ასახვა გოდერძი ჩოხელის შემოქმედებაში

მორიგე ღმერთი

ქართველთა უძველესი რწმენის მიხედვით, სამყარო მორიგე (ე.ი., წესისა და რიგის დამდებმა) ღმერთმა შექმნა. გამჩენი ღმერთის ცნება სამივე ქართველურ ენაში გვხვდება (სვანურად „დამბადებელ ხოშა ღერმეთ“, მეგრულად „გამრჩქინალი დიდ(ი) ღორონთ“), რაც მიგვანიშნებს, რომ, როგორც ჩანს, გამჩენ-დამბადებელ, რიგის დამდებ ღმერთზე წარმოდგენა ქართველურ ტომებში საწყისი, ფუძე ენის დაყოფამდე არსებობდა.

ქართველთა ერთღმერთიანობის შესახებ მოგვეპოვება წერილობითი ცნობაც. ვახუშტი ბატონიშვილი თავისი მონუმენტური ნაშრომის, „აღწერა საქართველოისა“ შესავალ ნაწილში („ზნენი და ჩვეულებანი საქართველოსანი“) წერს:

„არამედ სარწმუნოება მათი იყო ერთისა დამბადებელისა ღუთისა თაყუანის-ცემა. [...] ზნენი აქუნდათ პირ-მტკიცობა, მტერთა ზედა ერთობა, თავის-უფლებისა-თვის მხნედ ბრძოლა, მაგრად დგომა მის-თვის. [...] ხოლო შემდგომად დაივიწყეს ღმერთი დამბადებელი თვისი, და თაყვანის-სცემდნენ მზესა, მთოვარესა, ვარსკულავთა, და ნივთიერთა და პირ-უტყუთა. [...] და უმეტეს დაივიწყეს დამბადებელი თვისი, და წესნი და ჩვეულებანი, და იქმნენ ყოველთა წარმართთა უუწარმართესნი და უუსჯულოესნი“ (ბაგრატიონი, 1842:6).

მოხმობილ ციტატაში საუბარია ძველაღმოსავლური რელიგიური ფილოსოფიის გაბატონებაზე, რომელიც გულისხმობდა მნათობთა თაყვანისცემას და რომელიც შემდეგ კერპთაყვანისმცემლობაში გადაიზარდა. ქრისტიანობის შემოსვლისას ქართლი უკვე ცეცხლთაყვანისმცემლობასაც იცნობდა, მაგრამ ამ რელიგიებიდან მთაში ფეხის მოკიდება ბოლომდე ვერც ერთმა მოახერხა.

ღვთისშვილები

ღმერთმა გააჩინა ღვთისშვილები და მათ დაავალა აქაურობის დაცვა და პატრონობა. მთიელთა რწმენით, ღვთისშვილთა შორის არიან: დიდი ლომისა - ქსნისა და არაგვის თავდამყურე; ხადას სახვთო (საღვთო) გორის ანგელოზი - ხადას მფარველი; გზოვანის წვერის ანგელოზი - ცხავატის მფარველი; დუმაცხოს საღვთო მაღალი - გუდამაყრის მფარველი; პირიმზე - წიკლაურ-ბექაურთა და მათთან შემოფიცულ გვართა მფარველი; ბერმუხის ანგელოზი (ლაშარის ჯვარი) - ფშავის მფარველი; თავადი წყაროსთაველი - უკანა ფშავის თემის მფარველი; პირქუში - ახადის თემის მფარველი; კოპალა (გმირი, ლახტიანი) - უძილაურთა თემის მფარველი; იახსარი (ლაღი) - ქისტაურთა თემის მფარველი; პირცეცხლი - ჭიჩოს თემის მფარველი; ბერბაადური (გუდანის ჯვარი) - სამოგანძუროს თემის მფარველი; ნახარელა - ჭინჭარაულთა მფარველი; ხმალა (ხმლიანი) - ლიქოკის თემის მფარველი; მთის ვეშაგი - არხოტის თემის მფარველი; ნაღვარმშვენიერი - ხახმატის თემის მფარველი; ცირასებ წვერის ანგელოზი - ჩოხის მფარველი და სხვ.

თითოეულ თემს თავისი, საკუთარი გამრიგე ჰყავდა, რომლის მეშვეობით უზენაესი წესრიგი და სამართალი განიჩინებოდა.

ღვთისშვილებს სხვადასხვა წარმოშობა აქვთ. ხალხის რწმენით, ზოგიერთი მათგანი ჯერ ადამიანი იყო და მერე იქცა ღვთისშვილად, ზოგი კი ღმერთმა ჩამოსხა ციდან (ადგილსაც უთითებენ, გერგეთის მთაზე).

„ხატები პირველად კაცები იყვნენ, მადლიანნი, უცოდველნი; დაიხოცნენ და ამიტომ ღმერთმა ისინი ანგელოზებად, ხატებად გარდაქმნა“ (ვაჟა-ფშაველა, 1937:131).

სხვა მითოლოგიური ვარიანტის მიხედვით კი, მორიგე ღმერთმა გერგეთის მთაზე ჩამოსხა ღვთისშვილები. ამ დროს ქვეყანა დევებს ეჭირათ და ხალხს ავიწროვებდნენ („ქართული მითოლოგია“, 1992).

ალ. ოჩიაურის თანახმად, მთაში ადამიანთა ცხოვრება შესაძლებელი მხოლოდ მას შემდეგ გამხდარა, რაც ღვთისშვილებს იქ გაბატონებულ დევ-კერპებთან

გაუმართავთ ბრძოლა და, ღმერთის შეწევნით, ამოუწყვეტავთ ისინი (ოჩიაური ალ., 1993).

,,დღეს არავინ იცის ღვთისშვილთა საბრძანისი, ალბათ, მას მერე, რაც დევები გაწყვიტეს, ისევ ზეცაში ამაღლდნენ, ანდა, შეიძლება, ისევ დედამიწაზე არიან და იმ დარბაზში იმყოფებიან, სადაც ოქროს აკვანში მწოლარე ყრმა“ (ჩოხელი, 2011:15-16).

ქრისტიანობის შემოსვლასთან ერთად ღვთისშვილთა უმეტესობა წმინდა გიორგისთან გაიგივდა. და ამას აქვს თავისი მიზეზები: ჩვენი ღვთისშვილები, იგივე ხატები, მებრძოლები იყვნენ. მებრძოლი იყო წმინდა გიორგიც. ახალი სარწმუნოებიდან ძველმა ის მიიღო, ვინც უფრო თავისიანად მიიჩნია.

აკად. ივ. ჯავახიშვილის აზრით, წმინდა გიორგისთანვე გაიგივდა უძველესი მთვარის ღვთაებაც. ცნობილი ქართველი მეცნიერი ანტიკური ავტორის, სტრაბონის ტექსტის შედარებით თანამედროვე დღესასწაულთან ასკვნის, რომ „წმინდა გიორგის ძველი წარმართობისდროინდელი ქართველების მთავარი ღვთაების, მთვარის ადგილი უკავია“ (ჯავახიშვილი, 1960:50). უნდა აღინიშნოს, რომ სტრაბონს აღწერილი აქვს მთვარის თაყვანისცემის ალბანური რიტუალები. ივ. ჯავახიშვილი კი კახეთში დღემდე შემორჩენილ თეთრ-გიორგობის დღესასწაულში ხედავს ხსენებული რიტუალების ნაშთებს.

მეცნიერის მტკიცებით, სქესით მთვარეც მამრობითია, ამის დასადასტურებლად ხალხურ პოეზიას იშველიებს:

„ნათელმა მთვარემა ბრძანა,
ბევრით მე ვჯობივარ მზესა,
დაჯდა, დასწერა წიგნები,
ზენა ქარი მიათრევსა.
მზეს რომ კაცი მიუვიდა,
მზე ძალიან გაჯავრდესა:
„მე და ვარ და ის ძმა არის,
რად ვძულდებით ერთმანეთსა“ (ჯავახიშვილი, 1960:58).

ან კიდევ:

„ბჟა დიდა ჩქიმი

თუთა მუმა ჩქიმი

ხვიჩა ხვიჩა მურიცხეფი

და დო ჯიმა ჩქიმი“ (ჯავახიშვილი, 1960:59).

„მთვარე მთავარ ღვთაებად ასურელებისა და ქარანელების ანუ საბიელთა სარწმუნოებაში ითვლებოდა, მას „სინ“-ს ეძახდნენ და ქვეყნიერების მბრძანებლადა სთვლიდნენ. საყურადღებოა მეტადრე ის, რომ ამ ორივე ხალხის შეხედულებითაც მთვარე მამაკაცად ითვლებოდა“ (ჯავახიშვილი, 1960:60).

ქართული სარწმუნოებით, მორიგე ღმერთს ერთი განსაკუთრებულად დაახლოებული ღვთისშვილი ჰყავს, რომელსაც ღვთის კარზე კარავი უდგას - ხმელთმოურავი კვირია. ივ. ჯავახიშვილი დიდ მორიგეს კრონოსთან აიგივებს, რადგან ისიც, ფშავ-ხევსურების რწმენით, მეშვიდე ცაზე სუფევს, ხოლო კვირიას განაყოფიერებისა და შვილიერების მფარველ ღვთაებად მიიჩნევს. ამ უკანასკნელ მოსაზრებას მკვლევარი სვანური მურყვამობის ტრადიციის გაანალიზებით ამყარებს. „მურყვამობის დღეს, არს. ონიანის სიტყვით, რვა სხვადასხვა ჩვეულება იციან, რომელთაგან პირველი არის „ადრეკილაი“, მეორე „მელიაი ტულეფიაი“, მესამე „კვირიაი“[...](ჯავახიშვილი, 1960:64). ტრადიციის გამოწვლილვით აღწერისა და შესაბამისი კომენტარების დართვის შემდეგ, ივ. ჯავახიშვილი ასკვნის, რომ „მურყვამობა სქესობრივი სიყვარულისა და შვილოსნობის მფარველი ღვთაების „კვირიაი“-ს დღესასწაულის ნაშთი უნდა იყოს“(ჯავახიშვილი, 1960:70).

როგორც უკვე ითქვა, შესაძლებელი იყო ჩვეულებრივი ადამიანის ღვთისშვილთა დასში გადასვლა. რადგან მათს ნაწილს ადამიანური წარმომავლობა აქვს და ხატად მხოლოდ შემდეგ ქცეულა (მაგალითად, **კოპალაზე** არსებობს გადმოცემა, რომ ხორციელი იყო თავიდან და მერე იქცა ღვთისშვილად. ბავშვობაში დედასთან ერთად დაუჭერიათ დევებს. დედა შეუჭამეს და ამას აცდიდნენ გაზრდას. კოპალა დავაჟკაცდა და გამოიპარა ციხე-გორიდან. ისმინა უფალმა კოპალას ვედრება

და დიდი ძალ-ღონე დაულოცა დევების დასახოცად. ზოგი ვერსიით, ღმერთმა მისცა ცეცხლისმფრქვეველი ლახტი, ზოგით კი _ თავადვე გაიმზადა. კოპალამ ამოწყვიტა დევები, ვინც გადარჩა, ისიც სულად იქცა. **პირქუშიც** კაცი ყოფილა, მჭედელი, ხევსური. ქალებს მოსწონდათ თურმე და ის სიწმინდეს იცავდა, არავინ უჯდებოდა ჭკუაში. ღმერთს მისთვის ბედნიერი (დაავადება) შეუყრია და „პირი გადატრუშვია“. მერე ქცეულა ღვთისშვილად). გოდერძი ჩოხელს აქვს ერთი ძალიან საინტერესო ნაწარმოები, „ხთიშვილი“, რომლის მთავარი პერსონაჟის შობა ზუსტად იმეორებს თავად მწერლის ავტობიოგრაფიის დასაწყისს. ზოსიმეც თავისი სოფლიდან შორს იბადება, რადგან ეს ადგილი წმინდად ითვლება და აქ მშობიარობა აკრძალულია. ბავშვს საოცარი უნარი აღმოაჩნდება, ანთებულ სანთელს თუ მოჰკიდა ხელი, ცისკენ მიფრინავს. ყურადღებით არიან მშობლები, მაგრამ ერთ ხატობა დღეს თვალსა და ხელს შუა დაეკარგება მამას ზოსიმე. ბიჭი ერთად დანთებულ სანთლების კონას იღებს, ზეცისკენ ეწევა და ნელ-ნელა ცაში უჩინარდება. სანთლებს ახლიდან მოკრებენ ხალხში და ხევისბერი ილოცება:

„ღმერთო, შენა ხარ სადიდებელი!

ღმერთო, შენა ხარ სახსენებელი!

ღმერთო, დიდება შენთვისა,

ღმერთო, მადლობა შენთვისა,

რო ღირსად გვცანი, ღირსად ჩაგვთვალე,

ხთიშვილი ცოდვილთ მოგვივლინე [...]“ (ჩოხელი, 2013:446-7).

არის შემთხვევები, რომ ადამიანი ისწრაფვის ღვთისშვილად ქცევისკენ, მაგრამ არ გამოსდის და ისევ საკუთარ ცხოვრებას უბრუნდება.

გოდერძი ჩოხელს თავის ნაწარმოებში „გაცოცხლებული მიცვალებული“ ჩაურთავს მითი გახუა მეგრელაურის ურთიერთობაზე ღვთისშვილებთან. გახუა სხეულიდან ამოდის და ისე მიჰყვება ხატებს სალაშქროდ. როცა ბრუნდება, სხეული გახრწნილი ხვდება. სული აღარ ინდომებს სხეულში დაბრუნებას, მაგრამ ხატები გაწყრებიან: „ჩაძვერ, შე მეყველპურე გახუავო“, უბრძანებენ. მაინც რატომ დაამცირეს

ასე, მოკვდავთაგან გამორჩეული და აღმატებული ადამიანი უკვდავებმა? ლ. იარაჯულის აზრით, იმიტომ რომ უდროოდ, დაუმსახურებლად მოინდომა სულად ყოფნა და ღვთისშვილებთან გატოლება (იარაჯული, 2017).

მთიელთა გადმოცემით, ხოგაის მინდიც სხეულს ტოვებდა და სულის სახით დაიარებოდა ღვთისშვილებთან ერთად სალაშქროდ.

ადგილის დედა

ნ. ჯალაბაძეს თავისი ერთ-ერთი სტატიის („ღვთაება „ადგილის დედის“ ბუნებისათვის“) სქოლიოში ჩამოტანილი აქვს ასეთი ინფორმაცია: „ჩვენ ვიზიარებთ მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ ფშავ-ხევსურეთში „ადგილის დედის“, „ადგილის დედა ღვთიშობლის“ და „ღვთიშობლის“ სალოცავები (იშვიათად, სხვა სახელწოდებებით) იდენტური სალოცავებია“ (ჯალაბაძე, 1986:62).

„ადგილის დედა ღვთისმშობელი“ ძველი და ახალი რელიგიების შერწყმით ჩამოყალიბდა. კონკრეტული ტერიტორიების მფარველ ქალ ღვთაებას ღვთისმშობლის სახე გადაეფარა. ადგილის დედა ფუნქციურად მეორეხარისხოვანი სალოცავია, მას, უმთავრესად, მოსავლიანობას, ოჯახის კეთილდღეობას, საქონლის სიმრავლეს სთხოვენ. ნ. ჯალაბაძის ვარაუდით, ღვთაების თავდაპირველი ფუნქცია ნაყოფიერების მინიჭება უნდა ყოფილიყო. არგუმენტად მკვლევარს ის გარემოება მოჰყავს, რომ ადგილის დედა ქადაგ-მკითხავებს გველის სახით ეჩვენება, გველი კი მსოფლიო მითოლოგიაში ნაყოფიერების ღვთაებათა აუცილებელი თანმხლებია.

ადგილის დედა, ხევსურების წარმოდგენით, შაოსანი ქალია, ტანად „წვრილ-მაღალია“ და ჯვარ-სამკაული „ზძეს“ (ოჩიაური, ალ., 1993).

სამკაულიც ნაყოფიერების ღვთაების ერთ-ერთი აუცილებელი ატრიბუტია.

„მღვდლის ცოდვაში“ ადგილის დედისთვის „თავის მიბარების“ წესი აქვს აღწერილი გოდერძი ჩოხელს. რომანის ერთ-ერთი პერსონაჟი, ნადირა, ეხში იძინებს ღამის გასათევად და ასე მიმართავს ღვთაებას:

„- ადგილის დედავ, გალაღებულ-დამშვენებულიმც იყავ ანგელოზთ შორის. შენ გებარები ამაღამ, მფარველად და შემწედ მექმენ, დალოცვილო“ (ჩოხელი, 2011:481).

მთიელს თუ სახლს გარეთ დაუღამდებოდა, აუცილებლად მიებარებოდა იქაურ ადგილის დედას. მტკიცედ სჯეროდათ, რომ ყველა ადგილს თავისი პატრონი ჰყავს და სტუმრად მისულს ნებისმიერი განსაცდელისგან იფარავს. ამიტომაც მთაში ძალიან ერიდებოდნენ მძინარე ადამიანისთვის ზიანის მიყენებას, თუნდაც ეს ადამიანი მათი მოსისხლე მტერი ყოფილიყო. ასეთი საქციელი, გარდა იმისა, რომ არცთუ ვაჟკაცურია, შეიძლება შურისმაძიებელს შემოუბრუნდეს ცუდად, ადგილის დედის რისხვის სახით. აკი შემოუბრუნდა კიდეც. ხევსურეთში არსებობს სალოცავი, სადაც მხოლოდ ერთი მამიშვილობის (კომლის) ხალხი დადის. გადმოცემით, ამ ადგილზე მათს წინაპარს მძინარე ქისტი მოუკლავს, რომელმაც საქონელი გასტაცა და იქვე, ახლოში მიიძინა. ამის შემდეგ ოჯახს ისე ცუდად წაუვიდა საქმე, მკითხავს მიმართეს და შეიტყვეს, რომ ადგილის დედა ამიზეზებდათ, რადგან იმ ქისტს დაძინებამდე მისთვის თავის მიბარება მოესწრო.

ავი სულები

უძველესი ქართული სარწმუნოების მიხედვით, ჩვენი ღვთისშვილები „ქაჯავეთს ციხის გამტეხელნი“, „დევ-კერპთა გადამსხვავებელნი“ არიან. ესე იგი, ისინი ეომებიან და იმარჯვებენ ავ სულებზე, ადამიანი კი მათი თანამებრძოლია ამ საქმეში. ამ რელიგიის მთავარი მოთხოვნებია: იყავი მართალი, იყავი უტეხი (ე. ი. ერთგული) და იყავი უშიშარი. თორემ, თუ შეგეშინდა, დაგძლევენ და ბოროტების მხარეს გადაგხრიან. შიში მიუტევებელ ცოდვად ითვლება, რადგან სწორედ შიში ხდება ადამიანის მცდარ გზაზე დადგომის, სულის წაწყმედის წინაპირობა. ამ რწმენითაა ნასაზრდოები ის მსოფლმხედველობა, რომლითაც ვაჟა-ფშაველა საკუთარ დედასაც არ დაატირებინებს ბრძოლის ველიდან გამოქცეულ და მერე სირცხვილით თავმოკლულ შვილს („ბახტრიონი“).

ქართულ სარწმუნოებაში არ გვაქვს ეშმაკის ცნება, სამაგიეროდ, ბოროტი

სულების დიდი მრავალფეროვნებაა: ალები, ქაჯები, მაჯლაჯუნები, ჭინკები, ტყაშმაფები თუ წყარიშმაფები, მაცაცელები, მაზაკვალები, დევები და ა.შ. ყველანი მაცილ-მაცდურები არიან და, არათუ დამბადებელ ღმერთთან, ღვთისშვილებთანაც ვერაფერს ხდებიან. ვერც კაცს მოერევიან, თუ უშიშრად დაუხვდა.

ყოველი მათგანის სათითაოდ აღწერა და მათთან დაკავშირებული თქმულებების განხილვა ძალიან შორს წაგვიყვანს, ამიტომ მხოლოდ იმ ავ სულებს შევეხებით, რომელთაც გოდერძი ჩოხელი შეეხო და გააცოცხლა თავის ნაწარმოებებში. დავადგენთ მიმართებებს მითოლოგიურ წარმოდგენებსა და ავტორის ხედვას შორის.

გოდერძი ჩოხელს, რომანში „წითელი მგელი“, დახატული აქვს ბოროტების სავანე, მგლების სამეფოს, დორაისხევის სახით. მკვლევართა აზრით, ამ ჯურღმულში საბჭოთა იმპერია იგულისხმა მწერალმა და მართლაც, მმართველობის წესი ზუსტად ემთხვევა საბჭოეთისას. ქართულ სარწმუნოებაში მგელი ბოროტების სიმბოლოდ არსად გვევლინება, ეს, სავარაუდოდ, ქრისტიანობის გავლენა უნდა იყოს, თუმცა ამაზე სხვაგან უფრო ვრცლად ვისაუბრებთ, ახლა მხოლოდ იმას ვიტყვით, რომ ძველი რელიგიაც ავი სულების სამყოფლად ხევებსა და ჩაღრმავებულ ადგილებს იგულებდა. ამის გამო მთიელები დღესაც ერიდებიან ღამით ჭალებში სიარულს.

ამავე რომანში ავტორს შემოჰყავს ალი. ალი ქართულ მითოლოგიაში ლამაზი ქალია და გამუდმებით ვაჟის შეცდენას ლამობს. ერთი ეს არის, ტერფები აქვს უკუღმა მოქცეული. ზოგადად, ყველა ავ სულს ასე ახასიათებენ. სიტყვა „უკუღმართიც“ ამასთან უნდა იყოს კავშირში. ნაწარმოებში ალს მოეწონება გულადი ჯარჯი და დაეხმარება გასაჭირიდან თავის დაღწევაში, თუმცა, როგორც წესია, ვაჟმა ნანახის გაუთქმელობის ფიცი უნდა დადოს, პირობა დაირღვეს და გმირი დაიღუპოს. ასე ხდება მითებში და ასე მოხდა ნაწარმოებშიც.

ძველი ქართული სარწმუნოების მიხედვით, დევი იხატება, როგორც დიდი, ბანჯგვლიანი, ღონიერი და მოსულელო არსება. იგი ადამიანს ეჭიდება, შეუძლია შეჭამოს კიდეც, მაგრამ თუ კაცი არ შეუშინდა და ღვთისშვილიც ახსენა, დევი მარცხდება. ზოგადად, გაბედულების წინაშე ყველა ავი სული კარგავს ძალას. ამიტომ

მოითხოვდა ძველი რელიგია ადამიანისგან უშიშრობას ასე დაჟინებით.

გოდერძი ჩოხელს თავის ბევრ ნაწარმოებში ჰყავს დახატული დევი, მაგრამ მასთან ეს უსიამოვნო ქმნილება უცნაურად დადებით ემოციებს იწვევს მკითხველში. მწერალი „დევების ნასოფლარში“ აღწერს მათს ფიზიკურ სახეს და იქვე დასძენს: „დევი სხვაა და ეშმაკი სხვაა. დევი არ არის ეშმაკივით ბოროტი. იგი დიდია, ბალნიანი და გაქრობა შეუძლია, როგორც ეშმაკს, ამიტომ ერეოდათ გუდამაყრელებს დევები და ეშმაკები ერთიმეორეში. ზოგი დევი ისეთი კეთილიც კი იყო, რომელიმე ოჯახს მიეჩვეოდა და ხვნა-თესვაში ეხმარებოდა. სახლის კუთხეში საჭმლიან ჯამს დაუდგამდნენ და ამოჭამდა.

მაგრამ, როცა ღამეა და ეშმაკიც დასუნსულებს, ალიც და ქაჯიც, წადი და გაიგე, რატომ შემოგეყარა გზაზე დევი“ (ჩოხელი, 2013:387-8).

მკითხველის სიმპათიას იწვევს დევი ჩოხელის კიდევ ერთ მოთხრობაში, „ღმერთის შვილები“. ნაწარმოები თქმულებით იწყება, თითქოს უხსოვარ დროში ერთ მიყრუებულ სოფელში ღმერთს ღამე გაუთენებია და წამოსვლისას იმ სოფლის მაცხოვრებლებისთვის ასეთი რამ უთქვამს: „შვილებო, ყველა თქვენგანში ჩემი სული დგას, ეშმაკი კი ცდილობს, თქვენი თავი წამართვას და ასე ლამობს ჩემს დაუძლურებას. კეთილად მოიქეცით, ნუ მიეყიდებით ეშმაკსო“ (ჩოხელი, 2016:13) ამიტომაც ჰქვიათ ამ სოფლის მცხოვრებლებს ღმერთის შვილები. ანდა რა ვიცი, _ ამბობს მწერალი, _ „იქნებ, არც კი არის ეს სოფელი, იქნებ მთელ დედამიწას ერქვა მაშინ სოფელი, როცა ღმერთი აქ ბრძანდებოდა _ ჩვენ, ყველანი, ხომ ღმერთის შვილები ვართ“ (იქვე).

ამ სოფელში წესად ჰქონიათ, შვილი რომ შეეძინებოდათ, ვინმე გამოჩენილ, ჭკვიან, კეთილ ადამიანს ჩაუდებდნენ ჯიბეში ჩვილის ჭიპლარს და ბავშვიც მას ემსგავსებოდა. მაგრამ აირია ქვეყანა, თუკი ვინმე გონიერი და გულიანი იპოვეს, ან მოკლეს, ან გადაასახლეს. სოფელში კი ბავშვები მაინც იბადებოდნენ. საგონებელში ჩაცვივდნენ ახლადგაჩენილი საპყარისა და ბაყდარის მამები, აღარ იცოდნენ, რა ეღონათ, ვისთვის ენდოთ ბიჭების დამსგავსება. ითათბირეს, ითათბირეს და ბოლოს

გადაწყვიტეს, მძინარე დევს მიპარვოდნენ და თითო ჯიბეში თითო ჭიპლარი ჩაეცურებინათ.

„საშიში საქმეა ძალიან, დევი ხო კეთილია და ისედაც გაბრაზებულია, ეშმაკებმა რო ჩაიგდეს ხელში ქვეყანა, იშვიათადღა ჩნდება აქა-იქ.

ცოტანიღა დარჩნენ, მაგათაც რა ქნან, თორე დედას უტირებდნენ ეშმაკებს, თანაც ეშმაკური ხრიკებისა არაფერი გაეგებათ და ერიდებიან მაგათთან შეხვედრას. ეშინიათ, კაცო, თავს ზემოთ აღარც მაგათა აქვთ ძალა. ეშმაკების დროა. კეთილი კია, მაგრამ მაინც საშიშია მასთან შეხვედრა. [...] რა იცის იმან, კაცი ხარ თუ ეშმაკი ხარ? ახლა ხო ეშმაკებმა კაცების სახე მიიღეს და ისე დადიან. რა ქნას ამ საწყალმა დევმა, ვეღარ გაიგო, ვინ ეშმაკია, ვინ _ კაცი“ (ჩოხელი, 2016:15).

კიდევ მრავალი მაგალითის მოყვანა შეიძლება, თუმცა დამოკიდებულების გასარკვევად ესეც კმარა. მწერალს ბოროტი სულებიც კი გაკეთილშობილებული ჰყავს თავის ნაწარმოებებში.

ქადაგი

თ. ოჩიაურს, წიგნში „ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან“, განხილული აქვს ქადაგის ინსტიტუტი. მკვლევრის დაკვირვებით, ქადაგი არც ბარისათვის ყოფილა უცხო, მაგრამ ძალიან განსხვავდებოდა მთის ქადაგისგან. ბარში ადამიანს რომ ღმერთი გაუწყრებოდა და „დაიჭერდა“, ის ეცემოდა ქადაგად (ოჩიაური თ., 1954), ესე იგი, ქადაგად ქცევა აქ სასჯელად, ღვთის რისხვად განიხილებოდა, მთაში კი „ქადაგი ერთგვარი შუამავალი იყო ღმერთსა და ხალხს შორის. ის აუწყებდა სამწყსოს: რა სიამოვნებდა ღმერთს, რა სწყინდა, რას მოითხოვდა მათგან, რით შეიძლებოდა ღმერთის კეთილგანწყობილების დამსახურება“ (ფანჯიკიძე, 1986:53).

„წითელ მგელში“ ლუკა იხსენებს ერთ-ერთ დღესასწაულს თავისი ბავშვობიდან. მოგონებაში აღწერილია ხატობა, სადაც (როგორც ხდება ხოლმე) შეზარხოშებული კაცები ჩხუბს ატეხენ. მათ დასაწყნარებლად ქალი ქადაგად ეცემა და ღვთისშვილის სახელით ემუქრება.

მთაში ქადაგისადმი რწმენა იმდენად დიდი იყო, რომ ისეთ მნიშვნელოვან საკითხებსაც კი, როგორიც ომში წასვლა-წაუსვლელობა გახლდათ, ამ გზით წყვეტდნენ. ერთი გადმოცემის მიხედვით, ერეკლე მეფეს უსარგებლია მთიელთა ამ მიამიტობით და თავი ღვთისშვილთა ძმობილად გამოუცხადებია. ამის შემდეგ, როცა კი საქვეყნო საქმე წყდებოდა, მეფე თავად შედიოდა სალოცავში, რჩებოდა იქ გარკვეული ხნით და გარეთ გამოსულს „ღვთისშვილებთან ნათათბირევი“ გადაწყვეტილება გამოჰქონდა.

„ერეკლეს აქ ყოფნა ხევსურებს დღესაც ახსოვთ. გადმოცემით, ერეკლე გუდანში მისულა, გზად ღულის ვაკეზე გაუვლია და აქ შეუსვენია ორი მუხის ქვეშ, რომელსაც ახლაც უჩვენებენ. გუდანში ერეკლე ხატში შესულა და უთქვამს: მე გუდანის-ჯვრის მოძმე ვარო. ამიტომ ერეკლე თურმე თავისუფლად შედიოდა ხატის დარბაზში, სადაც სხვას შესვლა ეკრძალებოდა. დარბაზში ერეკლე ხმამაღლა დაიწყებდა ლაპარაკსო, ვითომც გუდანის-ჯვარს ესაუბრებოდაო. შემდეგ მეფე დარბაზიდან გამოდიოდა და ხევსურებს ამცნობდა გუდანის-ჯვრის ბრძანებას ლაშქრობის შესახებო. ხევისბერები მაშინვე აიღებდნენ გუდანის-[ჯვრის] დროშას და სალაშქროდ ქუდზე კაცი გადიოდაო“ (მაკალათია, 1984:37).

ქადაგის ინსტიტუტის ნამდვილობის რწმენა შემდგომაც დიდხანს გამოჰყვა მთიელთა ცნობიერებას.

2.3. საიქიოზე არსებული წარმოდგენების ასახვა გოდერძი ჩოხელის შემოქმედებაში

უძველეს ქართულ სარწმუნოებაში საიქიოს განსხვავებული იერი ჰქონდა, რაც რწმენა-წარმოდგენების სახით დღემდეა შემორჩენილი მთაში. რა თქმა უნდა, ეს განსხვავებული შეხედულებები გოდერძი ჩოხელის შემოქმედებაშიც აისახა.

„ფშავლის წარმოდგენით, საიქიო ქვეყნის შუაგულში არის; საიქიოს ის ეძახის „შავეთს“. შავეთში მართალნი არიან მკრთალს ნათელში. ეს ნათელი ისე აქვს წარმოდგენილი ფშაველს, როგორც ჩასული მზის ახლად გამქრალი სხივები მთის წვერებზედ; ყველამ იცის, რომ მთის წვერები ცოტადღა არიან ამ დროს წითლები, ამას ფშაველი ეძახის „მკვდართა მზეს“. შავეთს ჩამოუდის შუაზე დიდი ხევი, რომელზედაც მოდის კუპრის მდინარე, ცეცხლმოდებული. მასზედ არის გადებული ბეწვის ხიდი, მართალი გაივლის ამ ხიდზე, ცოდვილი კი ჩავარდება და იწვის კუპრში“ (ვაჟა-ფშაველა, 1956:16-17). „ვინც ნახევრად ცოდვიანია და „საკუპრისალე“ არ არის, ის ხიდზე გავა. ბეწვის ხიდის იქით ძალიან დიდი, ტრიალი მინდორია. თვალი არ სწვდება. მინდორი ახალი ბალახით არის გამწვანებული და აქა-იქ ტყის ბუჩქებიც სდგას“ (მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, ტ. III, 1940:59).

ძველ სარწმუნოებაში აღსარების თქმით ცოდვებისგან არ თავისუფლებლდებიან, რასაც აიკიდებ, ვეღარ ჩამოიხნი, სულს დაიმძიმებ და ბეწვის ხიდსაც ჩაიწყვეტ სასუფევლისკენ მიმავალი.

,,ერთი გზა გვიდევს სიცოცხლით,
საიქიოსკენ სავალი,
ყველა იმ გზაზე მივდივართ,
მათხოვარიც და მთავარიც,
სუყველას ზურგზე ჰკიდია
თავის თავგადასავალი“ (ჩოხელი, 2011:26).

ხალხური ლექსიც ამასვე ამოწმებს:

„ამბობენ, ბეწვის ხიდზედა რა ძნელი გასავლელია,

მტრედივით გადაფრინდება, ვინაც მადლისა მქნელია.

ვარდება კუპრის ალშია, ვინაც ცოდვისა მქნელია, __

მამა-ძმის მოღალატეი, ნათლიის შამგმობელია“ (ქართული ხალხური პოეზია, ტ. II, 1973:335).

ტ. მახაურის დაკვირვებით, ხევსურთა წარმოდგენაში, სულეთი სამ ნაწილადაა დაყოფილი: სამოთხე, ჯოჯოხეთი და კუპრის ალი. კუპრის ალს გადარჩენილნი ოთხსართულიან ციხეში ცხოვრობენ: პირველ სართულზე ისინი არიან, ვისაც ნაკლები ცოდვა აქვს ჩადენილი; მეორე სართულზე - მადლიანი ადამიანების სულები; მესამეზე _ „უწამებელნი“ _ გაუთხოვარი ქალები და უცოლო ვაჟები; მეოთხე სართულს ბავშვები იკავებენ; ხოლო სულ ზევით, სახურავზე, ძუძუმწოვარა პატარები არიან ანგელოზებად (მახაური, 2008).

სვანების წარმოდგენით, „კარგის სასულეთის მოშორებით არის ერთი კუნჭული, სადაც განუწყვეტლივ წყვდიადი სუფევს (მუშვინ უტკვინ). აქ არის, სხვათა შორის, ფისის ტბა. [...] ეს არის გლახა სასულეთი, ანუ ჩვენებურად ჯოჯოხეთი (ხოლა ლაქუნ). ეს არის სამყოფელი წაწყმედილ სულებისა; იგინი ვერა ჰხედავენ ვერც ქრისტეს, ვერც იმის ნათელსა და ტაბაკს. ისე ბნელა, რომ ერთი მეორეს ვერ არჩევს. ზოგის აზრით, საკურთხი იმათაც მოსდით, მაგრამ ყველაფერი უშნო და უგემურია, რადგანაც სიბნელეში უნდა მოიხმარონ (სვანს დიდ სირცხვილად მიაჩნია ამ ქვეყნადაც სიბნელეში სმა-ჭამა)“(ნიჟარაძე, 1962:179).

ჩოხელის შემოქმედებაში მიცვალებულთა საუფლოს სურათი ავტორისეული რწმენისა და ცოდნის ერთგვარი შეზავებითაა მიღებული. მასში ქრისტიანული ელემენტებიც გვხვდება, უძველესი ქართული სარწმუნოებისაც და ძველბერძნული თუ ძველაღმოსავლური მითოლოგიისაც კი. მაგალითად, „წითელი მგლის“ მთავარი გმირი, ლუკა იგონებს თავის თანასოფლელს, რომელიც ერთთავად სავაჟკაცო საქმეებს ეძებდა და ამის გამო მუდმივად შარში ეხვეოდა. ერთხელაც გარსიას ნამდვილი გმირობის ჩადენის საშუალება მიეცა, წითელ გველეშაპს (როემლმაც სოფელში მიწა ამოანგრია და განადგურებით დაემუქრა იქაურობას) ზურგზე მოექცა და ქვესკნელში

ჩაჰყვა. ქვესკნელი აღწერილია, როგორც მოწითალო შუქით მკრთალად განათებული ადგილი, რომელიც გმირს მოეწონება კიდეც. ხალხი ელოდება გარსიას დაბრუნებას, ამიტომ არ ქოლავენ ქვესკნელიდან ამონგრეულ მიწას, რომლიდანაც გოგირდის სუნი ამოდის და უცნაური ხმები ისმის.

ეს აღწერილობა მოგვაგონებს ძველბერძნულსა და ძველ აღმოსავლურ მითოლოგიაში არსებულ წარმოდგენებს მიწისქვეშეთზე.

მთიელთა რწმენით, მიცვალებულის სულს იქაც, საიქიოშიც, ისევე სჭირდება ყველაფერი, როგორც აქ, ამიტომ ცოცხლები თავიანთ გარდაცვლილზე განსაკუთრებულად ზრუნავენ, რადგან სჯერათ, „მკვდრის სულს, თუმც თავისი თავის საპატრონოდ უძლურია, აქ მყოფთა ბედზე შეუძლია გავლენის მოხდენა. რაიმე სამსახურის დაკლებისათვის იგი ჭირისუფალს „დაუცოდვებს“ _ ცოდვას მოჰკიდებს და „მკვდართ ცოდვა“ კი მას თუ არა, მის შთამომავალს მაინც მოეკითხება ოდესმე“ (ცოცანიძე, 1987:101).

მომაკვდავს მარჯვენაში ხმალს მისცემდნენ, მარცხენაში _ სანთელს, სახლის კარზე ცხენს დააბამდნენ. სანამ გაუსვენებელი მიცვალებული იყო სოფელში, მთელი სოფელი უქმობდა და მხოლოდ მისი დაკრძალვისთვის ემზადებოდა.

ზუსტად ასე, ხმლითა და სანთლით ეგებება სიკვდილს ჩოხელის პერსონაჟი „გაცოცხლებული მიცვალებულიდან“, თუმცა მას სულეთის ქვეყანაში არ იღებენ, მიუტევებელი ცოდვა აქვს და მოკლული არ ანებებს სასუფეველში შესვლას. ცოლი ტაბლას გაუმზადებს მსხვერპლს და შეევედრება, გზა მისცეს მის ქმარს სულეთის ღმერთისაკენ, რომ მან თავისი სამართალი განუჩინოს.

გ. ცოცანიძე წიგნში „გიორგობიდან გიორგობამდე“ აღწერს მსგავს შემთხვევებს. როდესაც მომაკვდავი იტანჯებოდა, ამბობდნენ, მგებრნი (დედისძმათა, დედის მხრის მიცვალებულთა სულები) სულს არ იღებენო, ესე იგი, მოუნანიებელი ცოდვა რჩება და მის სულს საიქიოში არ შეესვლებაო. ამ დროს ტაბლის დადგმა იცოდნენ.

არც გარდაცვალების შემდეგ ელის მკვლელს მოსვენება. ბ. ნიჟარაძე, განიხილავს რა სვანურ წარმოდგენებს საიქიოზე, წერს:

„მოკლულის სული უკან დასდევს მკვლელს, დაჰბღავის და ამითი უწუხებს სულს. მკვლელი ცდილობს დაემალოს სადმე, მაგრამ ვერ ახერხებს, რადგანაც ეს ქრისტეს ბრძანებაა“ (ნიჟარაძე, 1962:180).

საიქიოში აგრძელებს სული ცხოვრებას. იზრდება, ტანისსამოსი უცვდება, გრძნობს, სწყინს, უხარია. მაგალითად, ფშაველი შვილებმკვდარი დედა ასე დაიტირებს თავის ქალებს:

„ნეტავი გაუმარჯვა ღმერთსა,

შავეთსამც მისცა, შავეთს კარი,

რო შვილებისად თვალ დამევლო,

ჩემ სანათაი როგორ არი?

თამარ ვერ გაიზრდებოდაა,

გასათხოვარი ნეტარ ქალი?“ (ქართული ხალხური პოეზია, 1992:103).

მაგრამ, როგორც ჩანს, მკვეთრ ცვლილებებს მიცვალებული არ განიცდის. როგორი სახითაც გარდაიცვალა, ისეთად მიიჩნევენ შემდეგშიც. იქ დაბერება არ ხდება. ძირითადად ასეა გოდერძი ჩოხელის შემოქმედებაშიც. მაგალითად, ბერა ჩოხელი ისევ ოცდათვრამეტი წლისა ბრუნდება ხატობაში სასუფევლიდან („გაცოცხლებული მიცვალებული“).

ჩოხელების გვარი წმინდა გიორგის გორაზეა შეკრებილი და თავიანთ წინაპარს, ბერას იგონებენ, ფერხულში ჩაბმულნი. (თ. ფანჯიკიძის მტკიცებით, გარდაცვლილთა და წინაპართა ასეთი თაყვანისცემა ქართველთა უძველესი სარწმუნოებისთვის იყო დამახასიათებელი). ლხინობენ ჩოხელები. სახელიან, უდროოდ წასულ ვაჟკაცს „უყენებენ წესს“. მათს „ფერხისას“ ვერც ავდარი შლის და ვერც მომსკდარი ნიაღვარი, სანამ ხევისბერი არ შეუძახებს და წვიმისაგან მოთხრილ კუბოებს არ გაადევნებს. ახლიდან გაჭრიან საფლავებს, ახლიდან მიაბარებენ მიწას თავიანთ მოგვარეებს, მაგრამ ბერას კუბოს გახსნას მოუნდომებენ, რადგან ახალგაზრდებს აინტერესებთ, რამდენი ნაჭდევი აქვს მის თოფს (ე.ი., რამდენი ქისტი გამოასალმა სიცოცხლეს). თავახდილი ჩასასვენებლიდან სულმობრუნებული გმირი ამოდის და ხალხს

მიმართავს. ჯერ უმხელს, რომ ორი ისეთი ცოდვა ჰქონდა წამოკიდებული, სასუფეველში არ უშვებდნენ. შემდეგ კი სთხოვს, ილოცონ მისთვის და არასოდეს დაადგნენ შურისგების გზას. ხატის გორზე შეკრებილნი უსრულებენ მიცვალებულს თხოვნას და სანთლები თავისით ინთება, აბუდელაურის ტბიდან კი მტრედი ამოფრინდება. ლ. იარაჯული მტრედის სახეს იაზრებს, როგორც სულიწმინდას, რომელსაც შენდობა ჩამოაქვს ზეციდან ბერასთვის. ჩვენი ფიქრით კი, ფრინველის მაინცდამაინც აბუდელაურის ტბიდან ამოფრენა (საიდანაც, ლეგენდის მიხედვით, იახსარი სწორედ ამ სახით ამოდის) და მყინვარისკენ გაფრენა (სადაც, ისევ ლეგენდის მიხედვით, ღმერთმა ღვთისშვილები ჩამოსხა) არ უნდა იყოს შემთხვევითი. მტრედს ჩვენც შენდობის სიმბოლოდ მივიჩნევთ, ოღონდ სულიწმინდად კი არა, ღვთისშვილად, ღმერთისგან გამოგზავნილად.

საიქიოდან ბრუნდებიან ჩოხელის სხვა გმირებიც. მაგალითად, „წითელი მგლის“ ერთ-ერთი პერსონაჟი, ქვესკნელში გველეშაპს ჩაყოლილი გარსია, სულის სახით მოდის სოფელში და თიბვაში ეშველება ცოლ-შვილს. დახმარება სჭირდებათ აქ დარჩენილებს და ამიტომ ბრუნდება.

სულეთიდან აბრუნებენ უდროოდ წასულებსაც. მოთხრობაში „წითელა“ პატარა მართას დრო ჯერ არ დამდგარა. მას გარდაცვლილი და საშინლად მონატრებული ძმის რამდენჯერმე მონახულების საშუალება ეძლევა, მაგრამ, რადგან ჯერ არ გაულევია თავისი სიცოცხლის გზა, ვერ დაიტოვებენ საიქიოში.

,,ხდებოდა ხოლმე, რომ სულეთს მივიდოდა სული, რომლის ვადა ჯერ არ დამდგარიყო და მას უკან აბრუნებდნენ. იგი მოიხილავდა სულეთის სამყაროს, შეხვდებოდა სულეთის ღმერთს, ბედის მწერლებს, თავისიანებს, და დაბრუნების შემდგომ, როცა ახლობელთაგან მკვდრად მიჩნეული სხეული გაცოცხლდებოდა, სულეთში ნახულსა და გაგონილს უამბობდა ხალხს... მსგავსი მაგალითები მთელ საქართველოშია დამოწმებული“ (სურგულაძე, 2002:13).

,,- ბებო, ბებო, რა გახარო, ბებო! - ეხვეოდა ბიჭი ბებიას, - მართლა გასცურა ცის ნაპირამდე ჩვენმა კიდობანმა, ღმერთს ვთხოვე, რომ სულეთის ქვეყანა ეჩვენებინა და

იმიტომ ჩავწექი კიდობანში, ჩავწექი და გავცურე კიდეც. - იცი, რა ლამაზია სულეთის ქვეყანა, იცი, რა კარგად არიან ჩვენები, დედაც ვნახე, მამაც, ჩემი პატარა ძმაც, პაპაჩემიც. აღარ მინდოდა იქიდან წამოსვლა, მაგრამ ბოლოს თასით წყალი მოიტანეს, ჩემ წინ დაღვარეს და მიბრძანეს: წადი და სანამ შენი აქ მოსვლის ჟამი არ მოვა, ქვეყანას ემსახურეო. ნეტავ გენახა, რა დიდებულია სულეთის ქვეყანა და რა ბედნიერები არიან ყველანი, ასე ხო აღარ იტირებდი, ბებო“ (ჩოხელი, 2010:172).

ეს უკვე პატარა თადეოზია, კიდობნით რომ მიცურა სულეთის ქვეყანაში, რადგან მშობლები ენატრებოდა და ბებოსგან ჰქონდა გაგებული: ბიბლიურმა ნოემ მიაღწია იქამდე და ისევ უკან დაბრუნდაო.

,,მე დავბრუნდები სიკვდილის მერე,
ყვავილს მოგიტანთ საიქიოდან,
მოვიტან ღმერთის ლამაზ სიმღერებს
და თვითონ ღმერთის იმედს მოვიტან.
მე დავბრუნდები საიქიოდან,
მაღალი ღმერთის სუნთქვას მოვიტან.
მე დავბრუნდები თავისუფალი
სიკვდილისა და სიმარტოვისგან“ (ჩოხელი, 2011:68).

***

როგორც დავინახეთ, გოდერძი ჩოხელისეული საიქიო სამი წყაროთია ნასაზრდოები: მისი ქრისტიანული რწმენით, გარემოთი (რომელიც გაჯერებულია უძველესი ქართული სარწმუნოებით) და ცოდნით (ძველბერძნულ და ძველაღმოსავლურ მითოლოგიასთან მსგავსება მწერლის განსწავლულობით უნდა იყოს გაპირობებული), თუმცა ჩვენთვის ამჯერად განსაკუთრებით საყურადღებო ქართველთა უძველესი სარწმუნოების გავლენის ძიება იყო.

ძიების შედგეად ამგვარი სურათი დაიხატა: სულეთში შესასვლელად გარდაცვლილის სულმა კუპრის მდინარეზე გადებულ ბეწვის ხიდზე უნდა გაიაროს, რომელიც მხოლოდ იმ შემთხვევაში გაუძლებს, თუ სიცოცხლეში ძალიან არ დამძიმებულა ცოდვებით. ისეც ხდება, სასუფეველში საერთოდ არ უშვებენ დამნაშავის სულს (ბერა ჩოხელი, თამარიძე), სანამ ცოცხლად დარჩენილები არ ითხოვენ მის ნაცვლად პატიებას. სულეთში არ იტანჯებიან კუპრის მდინარეს გადარჩენილი მიცვალებულები, მათზე სააქაოდან ზრუნავენ და იგონებენ. რიგ შემთხვევებში, სამზეოს სტუმრობაც ხდება და დაბრუნებაც. იქნებ, აქედან მოდის ის ლაღი დამოკიდებულება სიკვდილისადმი, მთაში რომ არსებობს და ჩოხელიც რომ იმეორებს: „კაცი სანამ ცოცხალია, არ მოკვდება, ხოლო თუ მოკვდა, აბა მითხარ, რისიღა უნდა ეშინოდეს, სიკვდილის იქეთ უფრო დიდი სიცოცხლეა!“ (ჩოხელი, 2016:86).

გოდერძი ჩოხელის შემოქმედება თითქმის მთლიანად ეყრდნობა ქართულ მითოლოგიას. წინამდებარე ნაშრომში განვიხილეთ როგორ აისახა ქართველ მთიელთა რწმენა-წარმოდგენები მწერლის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში.

კვლევის პირველი ნაწილი დავუთმეთ ქრისტიანობისა და უძველესი ქართული სარწმუნოების ურთიერთმიმართების გამორკვევას. დავასკვენით, რომ ეს ურთიერთობა მეტ-ნაკლები სირთულით მიმდინარეობდა საუკუნეების მანძილზე, ზოგჯერ სისხლისღვრამდეც კი მიდიოდა საქმე. მაგრამ გ. ჩოხელთან ორი რელიგია უმტკივნეულოდ თანაარსებობს და გადადის ერთმანეთში. მკვლევართა ნაწილის აზრს, რომ თითქოს მწერალი ქრისტიანობით ცდილობს დაუპირისპირდეს და

ამოძირკვოს „დრომორჭმული წარმართული ჩვეულებები“, პრინციპულად არ ვეთანხმებით. პირიქით, მიგვაჩნია, რომ გოდერძი ჩოხელი სწორედ იმიტომ გვიყვება ძველი რწმენა-წარმოდგენებისა თუ ტრადიციების შესახებ, რომ არათუ თავად დაივიწყოს და უგულებელყოს, არამედ ჩვენც გაგვახსენოს, რა სიმდიდრის მფლობელნი ვართ სინამდვილეში.

მეორე ნაწილში შევეხეთ უშუალოდ ძველი ქართული სარწმუნოების რაობასა და მის ასახვას მწერლის ნაწარმოებებში. განვიხილეთ სამყაროს შექმნის, ღვთისშვილთა გაჩენისა და ფუნქციების, ავი სულების, ქადაგისა და ადგილის დედის საკითხები.

ბოლო, მესამე ნაწილი დავუთმეთ წარმოდგენებს საიქიოზე. გოდერძი ჩოხელისეულ საიქიოს სამი წყარო ასაზრდოებს, მისი რწმენა (ქრისტიანობა), გარემო (გუდამაყარი, რომელიც გაჯერებულია უძველესი ქართული სარწმუნოებით) და ცოდნა (მწერალი იცნობს სხვადასხვა კულტურაში არსებულ წარმოდგენებს მიცვალებულთა საუფლოზე და თავის შემოქმედებაშიც გადმოაქვს).

დაბოლოს, აუცილებლად ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ წინამდებარე გამოკვლევა მიზნად არ ისახავს მწერლის ქრისტიანობაში ეჭვის შეტანას. მხოლოდ იმის ჩვენება გვსურდა, რომ სხვა რელიგიების შემოსვლამდე ჩვენს წინაპრებსაც უფიქრიათ და ჩამოუყალიბებიათ გარკვეული მსოფლმხედველობა, რომელიც რწმენა-წარმოდგენების სახით შემოინახა საქართველოს მთიანეთმა. გოდერძი ჩოხელის შემოქმედება გაჯერებულია ძველი ქართული სარწმუნოებით და ვერც მასთან ბრძოლის ნიშნებს ვხედავთ სადმე. პირიქით, თხრობას თითქმის ყოველთვის გასდევს სიამაყე ტრადიციის სიძველის გამო. ვფიქრობთ, რომ ის, რაზეც გვიყვება, გოდერძი ჩოხელისთვის, ამოსაძირკვი და დასავიწყებელი კი არა, შესასწავლი და გასაფრთხილებელია.[1]

---

[1] სადისერტაციო ნაშრომის II თავში შემავალი ტექსტის ძირითადი ნაწილები გამოქვეყნებულია ჟურნალებში:

1) „LITINFO“, თბ. 2020, N14 (სტატიის სათაურია: “The Relations of Christianity and the Preceding Religion in Goderdzi Chokheli's Literary Works“);

თავი III. სამშობლოს თემა გოდერძი ჩოხელის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში

ქართველი მკითხველისთვის გოდერძი ჩოხელი, ძირითადად, მხარზე ამოსულ ნაძვთან; მონდომებული მოსწავლეებივით პატარა საკლასო ოთახში ჩამომსხდარ მოხუცებთან; ბავშვებთან, რომლებიც ცაში გაფრინდნენ და ჩიტებთან, რომლებიც ვერ გაფრინდნენ, მაგრამ ბოლომდე ჯიუტად ცდილობდნენ; დაძმობილებულ ბიჭთან და არწივთან __ მოკლედ, სხვადასხვაგვარ სიკეთესთან ასოცირდება. თუმცა შემოქმედის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში ვხვდებით უაღრესად საინტერესო რიგს ნაწარმოებებისა, რომლებიც საქართველოს ისტორიულ რეალობას ასახავს. ამ რიგის თხზულებები გამოირჩევა შედარებით მკაცრი წერის მანერით. მწერლისათვის დამახასიათებელი მსუბუქი იუმორი ხშირად მწვავე სატირაში გადადის, ეს, განსაკუთრებით, ითქმის ქვემოთ განსახილველ რომანებზე: „მღვდლის ცოდვა“ და „სულეთის კიდობანი“. თუმცა სანამ უშუალოდ მათ მივადგებოდეთ, საკითხისადმი მწერლისეული დამოკიდებულების გასარკვევად, შედარებით მცირე ზომის პროზაულ თუ პოეტურ ნაწარმოებებს, წერილებსა და ინტერვიუებს შევეხებით.

---

2) „კულტურათაშორისი კომუნიკაციები“, თბ., 2021, N34 (სტატიის სათაურია: „უძველესი რწმენა-წარმოდგენები საიქიოს შესახებ და მათი ასახვა გოდერძი ჩოხელის შემოქმედებაში”);
3) „Scientia”, თბ., 2020, N1 (სტატიის სათაურია: „ქართველთა უძველესი სარწმუნოების რაობა და მისი ასახვა გოდერძი ჩოხელის შემოქმედებაში“/„Ancient Georgian Religious Beliefs in Goderdzi Chokheli’s Works“)

3.1. პატრიოტული სულისკვეთება გოდერძი ჩოხელის მოთხრობებში, ლექსებსა და პუბლიცისტურ ნააზრევში

პატრიოტიზმი გოდერძი ჩოხელის შემოქმედების ერთ-ერთი მაგისტრალური ხაზია. მწერალი ყველა საშუალებას იყენებს რათა განავრცოს და სხვებსაც გადასდოს საკუთარი სულისკვეთება. მისი წერის სტილი რადიკალურად იცვლება ნაწარმოებიდან ნაწარმოებამდე. ხან მსუბუქად, გულზე მჯიღის ცემის გარეშე ხსნის მწერალი სიყვარულს:

"გაზაფხულზე რომ გათბება მიწა,

რომ ამოვა ენძელა და ია,

საქართველოვ, შენს ყველაფერს ვფიცავ,

ლექსს დაგიწერ ცისფერ პეპლებიანს.

ანანურთან არაგვის წყალს დავლევ,

გამარჯობას ვეტყვი ცისფერ კალმახს,

ციხისძირთან შემეყრება გველი,

ის მაჩუქებს უკვდავების ალმასს.

მერე წავალ, ბილიკებზე ვივლი,

მსურს ვეფერო დეკასა და ღვიას,

ნელა-ნელა მყინვარწვერზეც ავალ,

რომ იქიდან გადმოგხედო მთლიანს" (ჩოხელი, 2012:16).

გოდერძი ჩოხელი სამშობლოს ყოველ კუთხე-კუნჭულს განსაკუთრებულად აღიქვამს და ეფერება:

"მთვარე ადგას სვეტიცხოვლის გუმბათს,

თითქოს რაღაც უხარია მთვარეს,

მიმოკრთება, ქრება, ისევ კრთება,

თრთოლვით უვლის სვეტის შემოგარენს.

ზეცისაკენ გაფრენილი ჯვარი,

თითქოს ცაში გაქცევია ღამეს,

ჩუმად რეკავს ზედაზენზე ზარი

და აფხიზლებს ცისფერ არემარეს.

წიწამურთან ანგელოზებს ვხედავ,

იქვე ახლოს, ხარირემი ყვირის,

ვის მოუხმობს, ვის გასძახის ნეტავ,

ასე მწარედ ნეტავ რატომ ტირის...

ღამე არის წყნარი, წყნარზე წყნარი,

ამ სიწყნარეს ვერაფერი არღვევს.

მთვარე ადგას სვეტიცხოვლის გუმბათს,

სვეტებს შორის გალობს ღმერთის სული,

მთვარე ადგას ზედაზენის აღმართს,

ცისფერია საქართველოს გული" (ჩოხელი, 2011:104).

ზემოთ მოხმობილ ლექსებში ასახული განწყობა არაა საერთო და საყოველთაო მწერლის ყველა ნაწარმოებისათვის. ზოგჯერ ავტორი პირდაპირ მოწოდებებზე გადადის:

"[...] დალიე შხამის ფიალა

მამულისათვის ტკბილადა

და დაეკერე სამშობლოს

"გულს მარგალიტის ღილადა"! (ჩოხელი, 2011:59).

იგივე სურათია მწერლის პუბლიცისტურ წერილებშიც. ავტორი ხან იხვეწება სამშობლოს მოვლასა და მოფრთხილებას („კლდემ ერთხელ თქვა, მე ათასჯერ ვიტყვი“), ხან ამას ჯიქურ ითხოვს („ცივ ქვაზე შემდგარი ჩოხელის განცდები“). თუმცა ჩოხელის მთავარი სათქმელი მაინც ერთი შეშლილი პერსონაჟის სიტყვებში ამოვიკითხეთ: „თუ გიყვარდეთ [სამშობლო _ ნ. ნ.], არ ისხდებოდით, ირბოლებდით მაინცა, ირბოლებდით" (ჩოხელი 2017:157). პატრიოტიზმის გოდერძი ჩოხელისეული გაგება ასეთია: ვისაც რა შეუძლია, ის უნდა აკეთოს ქვეყნისათვის, მთავარია, გულს ხელი არ დაიკრიბოს, არ ჩათვალოს, რომ მაინც ვერაფერს შეცვლის და დინებას არ მინებდეს.

მწერალი ძალიან მტკივნეულად განიცდიდა ემიგრანტობის თემას. ერთ-ერთ წერილში ("გოდერძი ჩოხელის სევდა") წერს: "სხვანაირად ვარ შეყვარებული ამ მიწაზე. ხომ იცით, ეკლესიას რომ ბატკნებს შესწირავენ, ისინი სულ იმ ეკლესიის ეზოში სძოვენ, სხვაგან არაფრით არ წავლენ. ასეთ შეწირულ ბატკანს ვგავარ მეც. საქართველოზე შეწირულს" (ჩოხელი, 2012:25). წერილებსა და ინტერვიუებში მუდმივად სამშობლოდან იძულებით წასული თანამემამულეების გამო ემართლებოდა ხელისუფალთ. ერთ ლექსში წერს:

"ყველაფერს სევდა ახლავს,

რადგანაც ჟამმა

ქართველები დაგვამსგავსა

მომთაბარე ლამაზ ფრინველებს,

თბილ ქვეყნებისკენ გაფრენილებს

სამშობლოს ჭირით.

ჩვენც წასვლა-მოსვლის საგალობელს

ვმღერით და ვტირით,

რადგან შორს დავრჩით,

ვერ დავბრუნდით,

ვერ გავძეხით სამშობლოში

ბავშვური ძილით,

და

ბევრს, საფლავიც აღარ გვერგო

ჩვენ ჩვენი წილი" (ჩოხელი, 2011:16).

მართალია, მწერლის შემოქმედებაში ხშირია ისტორიული წარსულის გაცოცხლება, მაგრამ გოდერძი ჩოხელი ძირითადად მაინც თანამედროვეობას უტრიალებს. შემოქმედი მშვენივრად იაზრებს საკუთარ დანიშნულებას ერის წინაშე. არ გაურბის პასუხისმგებლობას და ყოველთვის იქ დგას, სადაც ეკადრება დგომა. იმ თემებზე წერს, რაც იმჟამად სტკივა მის ქვეყანას. წარსულსაც იმისთვის იშველიებს, რომ იმედის ნაპერწკალი გაუჩინოს ერს. შეახსენოს, რა გზა გამოიარა და მაინც გადარჩა.

თავის ერთ ძალიან საინტერესო მოთხრობაში „მართა“, მწერალი ქართველი დების გატაცების ამბავს აღწერს. მათგან ერთ-ერთი ბედს შეურიგდება და უცხო ტომელს ეცოლება, მეორე კი, მართა შვილსაც კი ტოვებს უცხო მხარეში, ოღონდ კიდევ

ერთხელ ნახოს თავისი სამშობლო. ნაწარმოების ბოლოს გამოქცეულ ქალს მდევარი კლავს. ავტორი კი წერს:

„შეტორტმანდა, უნდოდა უკან მიხედვა, მაგრამ წინ საქართველო იყო. მთაზე მდგარი ქარისაგან დაძრულ ლერწამივით ქანაობდა და მანამდე გადაჰყურებდა მშობლიურ მთებს, სანამ რამის დანახვა კიდევ შეეძლო მის თვალებს. მერე წინ გადაქანდა მოწყვეტით და საქართველოს მხარეს თავგადახრილი მიწას ჩაებღაუჭა.

თქვენ კი მაინც ჯიუტად კითხულობთ:

_ რამ გადაარჩინა ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ?!“ (ჩოხელი 2017:230).

შორიდან იწყებს მწერალი თხრობას ნაწარმოებში „საქართველოს სამხედრო გზაზე“. მოულოდნელ სიუჟეტს გვთავაზობს და იქიდან გვაყურებინებს მოვლენებისთვის: ბებო სალომეს ავად აყივლებულ მამალს გვაცნობს, ავისმომასწავლებელ წინათგრძნობას უჩენს მკითხველს და შემდეგ ამბობს მთავარს: "ვერა, ვერ გადაგვარჩინა უსისხლოდ ბებოს ლოცვამ. ავად გაგვითენდა ცხრა აპრილი". (ჩოხელი, 2011:212).

საქართველოს უახლეს ისტორიას ეხმიანება მოთხრობა "გოგრის ტელევიზორი". აქ გუდამაყრიდან ჩამოსულ მოხუც ქალს აქოთქოთებს ქვეყნის იმჟამინდელი მეთაურის გამო: "პრეზიდენტს მაინც რას ერჩიან, ან უფროსი არ გაეგებათ, ან უმცროსი, რო წარამარა, როცა მოუნდებათ, ხან შეაძვრენენ და ხან გამააძვრენენ მაგ ყუთიდანა. მაგ ხნის კაცია და აღარც რიდი აქვთ და აღარც ხათრი, შეაძვრენენ შიგა და ხალხის გასაგონად მაგ ხნის კაცს იმდენ ტყუილებს ალაპარაკებენ, შაგეცოდება პირდაპირა" (ჩოხელი, 2011:221).

სამშობლოს სატკივარი აწუხებს გამიხარდასაც, მოთხრობიდან "აფრენა და დაფრენა". აქ მთავარი გმირი მიწას მოსწყდება და ზემოდან ჩამოსძახებს მწერლის სათქმელს ადამიანებს.

3.2. რომანი „მღვდლის ცოდვა“

არა სწორ არს ცოდვა მღვდლისა და მხედრისა

(ჟამთააღმწერელი)

„კვდებოდა წითელი მღვდელი. უნდოდა სიკვდილის წინ ვინმესთვის გადაეშალა გული, უნდოდა აღსარება ეთქვა, მაგრამ ახლომახლო კაციშვილი არ ჩანდა. ღმერთთანაც კარგა ხანია შემომწყრალი იყო,“ (ჩოხელი 2011:383) - შთამბეჭდავად იწყებს გოდერძი ჩოხელი თავის ერთ-ერთ ძალიან საინტერესო რომანს „მღვდლის ცოდვა“.

რომანის დასაწყისი რეალურად მისი დასასრულია. ნაწარმოებში მოვლენები არ არის ქრონოლოგიურად დალაგებული. ეს არის ახალი და ძველი ცოდვების კრებული, რომლებსაც ყვავის ჩხავილით გამოღვიძებული მღვდლის მახსოვრობა უკავშირებს ერთმანეთს. თხზულებაში აღწერილი ამბები ხდება ორი ეპოქის მიჯნაზე: მეფის რუსეთის ბატონობისა დასასრულსა და კომუნიზმის დამყარების საწყის პერიოდებში. ეპოქათა შესაბამისად, სხვადასხვაგვარია მთავარი მოქმედი პერსონაჟის სოციალური სტატუსიც: ძველ დროში მღვდლის, ხოლო ახალში __ კოლმეურნეობის თავმჯდომარის როლში გვევლინება.

მკვლევარი მაია წიკლაური შიო მღვდლის პერსონაჟს ადარებს ყვარყვარე თუთაბერს, რომელიც დრომ შვა და დრომვე შეჭამა, როგორც ცოფიანმა ნადირმა თავისი პირმშო (წიკლაური 2010). ჩვენი აზრით კი შიო დროს არ შეუქმნია, ის ასეთი იყო, უბრალოდ დრომ ხელსაყრელი პირობები შეუქმნა თავისი ბნელი ზრახვების განსახორციელებლად.

„ _ ჩვენ იქედან უნდა დავიწყოთ ჩვენი ნამდვილი ცხოვრება, სადაც თვითონ ღმერთმა დაასრულა და ამით საბოლოოდ დაამტკიცა თავისი არარსებობა, _ მიმართა კოლმეურნეობის კრებაზე შიომ ხალხს და ახალი ცხოვრება იმით დაიწყო, რომ საუკუნეების მანძილზე წმინდა ადგილად მიჩნეულ ხატის მოედანზე ხალხს ქვა

მიატანინა და ეკლესიის მოპირდაპირე მხარეს ბოსელი ააშენებინა“ [ჩოხელი 2011:383].

მღვდელმა ხალხს ჯერ რწმენა დააკარგვინა, ამის შემდეგ კი ნელ-ნელა დაიყოლია სხვადასხვაგვარ უწესობაზე. გოდერძი ჩოხელი გვიჩვენებს სისხლის გაფუჭების, გარყვნის ისტორიას თაობების მანძილზე. ჯერ შიოს პაპაზე მოგვითხრობს მწერალი, რომელიც სიკეთით განთქმული, ღვთისმოსავი მღვდელი ყოფილა. მერე მამაზე, რომელმაც მშობელთან შედარებით საგრძნობლად ქვემოთ ჩამოინაცვლა სათნოების კიბეზე. შიოს კი ამ კიბეზე ფეხიც არ შეუდგამს. პაპისეული სიკეთის გზა ნელნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ მრუდდება.

ტექსტში ვხვდებით ორ მიმართვას. ახალი ცხოვრების დადგომა აქამდე ნაქადაგების უარყოფას ითხოვს მღვდლებისგან.

შიო:

„ _ ტყუილია, ხალხო, ტყუილი. რა ღმერთი, რის ღმერთი, არავითარი ღმერთი არ არსებობს. კუჭი, კუჭი! _ შიო მღვდელმა მუცელზე დაირტყა ხელი, _ აი, ამ კუჭის გულისთვის გატყუებდით“ (ჩოხელი 2011:390).

თადეოზი:

„ _ ხალხო, არა ჩემი და შიოს მოგონილია ღმერთი, არცა ჩვენი პაპების და არცა იმათი პაპის პაპების, არამედ თვით ღმერთია საწყისი და მომგონებელი. არა მითქვამს რა ღვთის შესახებ ტყუილი სიტყვა, ვერც ეხლა გეტყვით. არცა რა შიოს უარყოფით დააკლდება ღმერთს და არცარა იმით, თუ რომელიმე თქვენგანი არ იწამებს. უარმყოფელებს კი ბევრი, ძალიან ბევრი დაგვაკლდება უღმერთოდ“ (ჩოხელი 2011:391).

იმ დღის მერე ლამაზი მღვდელი, რომელიც შიოსთან ერთად მსახურობდა და რომელსაც ხალხი ასე გარეგნობის გამო ეძახდა, აღარავის უნახავს.

საინტერესო ის არის, რომ სიმართლე თქვა ორივემ: შიო ნამდვილად კუჭის გამო ატყუებდა ხალხს, რომ ღმერთი არსებობს. ატყუებდა, რადგან თვითონ არ სწამდა. და მხოლოდ ახალი ცხოვრების პირობებში გაეხსნა ხელ-ფეხი სიმართლის სათქმელად. თადეოზიც მართალი იყო. არავინ მოუტყუებია, სწამდა ღმერთის არსებობის და

სხვებსაც უქადაგებდა ამ რწმენას.

მწერლისეული ჩანაფიქრით, ბოროტება პასუხგაუცემელი არ უნდა დარჩეს და მღვდელყოფილს ყვავი შეუჩნდება. თავს დასტრიალებს ავად აყრანტალებული ფრინველი შიოს, ადამიანის ხმაზე დასჩხავის და ძველ, მივიწყებულ ცოდვებს ახსენებს. მწერალს ძალიან საინტერესო ხერხი აქვს შერჩეული ნაწარმოების ასაგებად: მოგონებების ცნობიერებიდან „ამოსათრევად“ ყვავს დააჩხავლებინებს შიოსგან გაუბედურებული კაცის სახელს და ამის შემდეგ იწყებს მღვდლის მორიგი ცოდვის ხატვას.

ჯერ ლამაზო (თადეოზი) გაახსენა ფრინველმა შიოს. შემდეგ გამიხარდაი, რომელიც უკვე წითელ სამოსში გამოწყობილმა შიომ გადაკარგა სოფლიდან, მხოლოდ იმის გამო, რომ კაცმა უნებლიეთ წითელი მღვდელი დაუძახა. ამას მოჰყვა ულამაზესი ქალიშვილის, ელენას გახსენება, რომელიც სულ ახალგაზრდა შიოს შეუყვარდა. გოგონამ მღვდელს აღსარებაში გაანდო გულისსწორის სახელი. შურისძიების სურვილით ანთებულმა სულიერმა მამამ შემთხვევით თავისივე სატრფო შეიწირა. იმ დღის შემდეგ მიცვალებულზე მეტად შიოს ამძიმებდაო გოგონას საფლავის ლოდი, წერს ავტორი. ელენას შეყვარებულიც მოუსავლეთის გზას გაუყენა მღვდელმა, ეკლესიის განძის მოპარვის ბრალდებით.

მწერალი შეულამაზებლად აღწერს რუსი მოხელეების ძალადობას სასულიერო პირებსა და მოსახლეობაზე, რასაც რეალური ისტორიული საფუძველი გააჩნია. რომანში მოთხრობილია განძის საპოვნელად ეკლესიაში ჩატარებული ჩხრეკის ამბავი; ხალხის იძულებით გამოყვანა სამხედრო გზის გასაწმენდად, რასაც უამრავი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა; პრისტავის მექრთამეობა და სულმდაბლობა, ამასთან გაიძვერა და ულმობელი ხასიათი, ერთდროულად. მოთხრობილია ნამდვილი ამბავი, იმის შესახებ, თუ როგორ შეაბეს უღელში ქალები და მათრახის ცემით აიძულეს ტვირთის ზიდვა. ნაწარმოების მიხედვით, ამ შემთხვევას მთავარმართებლის სახელზე საჩივრის დაწერა და ხელჩართული ჩხუბი მოჰყვა. ისტორიულად კი, სწორედ ამ ინციდენტმა მისცა ბიძგი ყველასათვის ცნობილ მთიულეთის აჯანყებას 1804 წელს. რუსეთის იმპერია

იმდენად შეაშფოთა მთიელთა დაუმორჩილებლობამ, რომ მოღალატე ქართველ გენერალს, ციციანოვს ერევნის ციხის ალყა მოახსნევინა და უკან მოაბრუნა.

ნაწარმოებში ავტორის იუმორი ძირითადად რუსი მოხელეების მეტყველებისკენაა მიმართული:

„გაზაფხულამდე ჯერ მთელი ზამთარი იყო და იმ დროისათვის, როცა მისი უდიდებულესობა იკადრებდა ამ გზით მგზავრობას, ალბათ თოვლი თვითონვე დადნებოდა, მაგრამ როგორც პრისტავი ამბობდა: ტადარიგი მაინც ტადარიგი იკო“ (ჩოხელი, 2011:406).

„პრისტავის ვარაუდით „ასე აჩრელებული“ ეკლესია არ შეესაბამებოდა ქრისტიანულ სისადავეს და რაკი გაზაფხულზე მისი უდიდებულესობა იმპერატორი მობრძანდებოდა, სირცხვილი იყო ასეთ ეკლესიაში მისი შეყვანა“ (ჩოხელი, 2011:407).

„პრისტავმა ერთხელ კიდევ დაუყვავა მღვდლებს და აღუთქვა, თუ მისცემდნენ (რა თქმა უნდა დროებით) ღვთისმშობლის ხატსა და ბრილიანტს, მისი „განატლებული“ სიძე პარიზის საგამოფენო დარბაზებს მოატარებდა და შემდეგ უკანვე დაუბრუნებდა. რაღა თქმა უნდა, პრისტავი ნუშისკარელებისთვის ზრუნავდა, „ტორემ მის ადგილას სხვა ტავსაც კი არ შაიტკივებდა“ (ჩოხელი, 2011:407).

ამის შემდეგ მწერალი გვაგებინებს, რომ ნუშისკარის ეკლესია, რომელიც შუა საუკუნეების დროინდელი ფრესკებით იყო მოხატული, შიგნიდან შეათეთრეს პრისტავის ბრძანებით. გადათეთრებული ეკლესიების ამბავიც ჩვენი ისტორიდან კარგად ცნობილი სამწუხარო რეალობაა.

მთავარი პერსონაჟის სახე კარგად ჩანს რომანის იმ მონაკვეთში, სადაც მღვდელყოფილი თანასოფლელ გიორგის აიძულებს, რომ უძველესი კაკალი მოჭრას. მიზეზად იმას ასახელებს, რომ თითქოს ხემ მის ბოსტანში გაიდგა ფესვები. სინამდვილეში კი გიორგის ნათქვამი გაიგო, ისე არ მოხსნიან შიოს თანამდებობიდან, როგორც მე იმ ჩემს კაკლის ხეს არ მოვჭრიო. იცოდა წითელმა მღვდელმა რამდენად ძვირფასი იყო ეს ხე გიორგისა და მისი ოჯახისთვის და სწორედ ამიტომ მოსთხოვა მოჭრა. ამ ტიპის ადამიანებს ხომ ჩვევად აქვთ, ამოძირკვონ ყველაფერი ადამიანური.

გიორგის ყველა მნიშვნელოვანი მოგონება ამ კაკალს უკავშირდება. აქ დალიეს სული მისმა დამ და მამამ, აქ არწევდნენ მისი წინაპრები აკვანს ახალშობილებისთვის, აქ ჰქონდა პირველი ღამე თავის პატარძალთან გიორგის. ნაწარმოებში კაკლის ხე წარსულის სიმბოლოდ გვევლინება, შვილები _ მომავლისა. თუ პერსონაჟი წარსულს არ გაწირავს, მაშინ საფრთხე მომავალს დაემუქრება. საბოლოოდ გიორგი არჩევანს აკეთებს. ძალიან საინტერესოა ავტორისეული გადაწყვეტა სიუჟეტისა: მოხუცი დედა, როგორც წარსულის კიდევ ერთი სიმბოლო, წაქცეული კაკლის ქვეშ კვდება. მაგრამ შიოსთვის ასეთი მსხვერპლიც კი არ არის საკმარისი. ბოროტებას გამოსაკვებად უფრო მეტი უბედურება სწყურია. გაუბედურებული ადამიანი ბედავს ხმის ამოღებას. იმდენად დიდია მწუხარება, რომ უკვე სულერთია რა მოუვა და გაიბრძოლებს უკანასკნელად. თუმცა ეს არ არის სიკეთის გაბედული გალაშქრება ბოროტების წინააღმდეგ. უფრო მეტად ეს სასოწარკვეთილი კაცის ბოლო დაყვირებაა, რასაც დაყრუებულ და დამუნჯებულ საზოგადოებაში არავითარი გაგრძელება არ მოყვება. ხალხი კი მართლაც დამუნჯებულა შიშის წინაშე. ამ გაუსაძლის სიჩუმეს შემდეგნაირად აღწერს მწერალი:

„სიტყვების შიშიანობა არის ჩამოვარდნილი და ხალხი ფრთხილობს, ენას კბილს აჭერს. მილიონობით საშიში სიტყვა არის ტყვეობაში. პატრონები გარეთ არ უშვებენ. რა ქნან სიტყვებმა, ვერ გამოდიან გარეთ და გაბრაზებულები, შიგნით ეძებენ გზას, გულს ეხვევიან და რაკი იგი ყველაზე მგრძნობიარე და ყველას გამკითხავი არის, ისიც ყურს უგდებს, ღონავს, წუხდება.

დუმილი ისწავლა ხალხმა...“ (ჩოხელი 2011:426).

რომანის ეს მონაკვეთი შეიძლება შევადაროთ ჯორჯ ორუელის ნაწარმოებს „1984“, რომელშიც, ავტორის თქმით, ადამიანები შიშის ზეგავლენის ქვეშ ისე არიან მოქცეულნი, რომ არათუ ლაპარაკს, ფიქრსაც კი გაურბიან. ქვეყანაში დამყარებული ტოტალიტარული რეჟიმის მეთაურები ახალ, შეკვეცილ ენას ქმნიან, რომელშიც არსებობის უფლება მხოლოდ „აუცილებელ“ სიტყვებს აქვს. დანარჩენი უარყოფილია, როგორც უსარგებლო და ზედმეტი (ორუელი 2014). ხსენებული რომანი არ აღწერს

კონკრეტულად ერთი რომელიმე ქვეყნის რეალობას. ეს არის წინასწარმეტყველება იმისა, თუ სადამდე შეიძლება მიიყვანოს დიქატატურამ სახელწიფო და თითოეული ადამიანი. „1984“-ისგან განსხვავებით, ისტორიულ სინამდვილეს ასახავს „მღვდლის ცოდვაში“ აღწერილი მოვლენები. მასში მხილებულია ის მანკიერებები, რაც ჯერ რუსულმა მმართველობამ მოიტანა საქართველოში, შემდეგ კი __ საბჭოთა წყობის დამყარებამ. თუმცაღა, ავტორი არ ცდილობს მარტივი გამოსავლის პოვნას და მთავარი მოქმედი პირის გაუკუღმართებას დროს არ აბრალებს. შიო თავიდანვე იყო ნოყიერი ნიადაგი ბოროტების გასაღვივებლად. უბრალოდ ახალი ხელისუფლების პირობებში მეტი ასპარეზი მიეცა თავისი ზრახვების განსახორციელებლად, თორემ ანაფორაშიც მგელი იყო და წითელ პერანგშიც მგლად დარჩა. ჩოხელი მუდმივად ეძებს ხოლმე გამართლებას თავისი პერსონაჟებისთვის, ებრალება ისინი და მკითხველსაც თანაგრძნობას უღვივებს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ხელს აფარებს მათ ბოროტებას. პირიქით, დღის სინათლეზე გამოფენს ყველა დაფარულ სისაძაგლეს. ჯერ ხომ უნდა დაინახო ნაკლოვანება, რომ გამოსწორება სცადო. ესეც ილიასეული სარკეა, მწერლის მიერ მოყვასისთვის მიტანილი.

ზოგჯერ ავტორი ერთი ხელის მოსმით ჩამოგლეჯს თავის პერსონაჟებს დიდობის თუ დიდკაცობის კარგად მორგებულ ნიღაბს და ბავშვობაში აბრუნებს:

„სხვა ბალღებთან ერთად, გუთანს ადევნებული ბრიგადირი, ადრეც ბრიგადირი ხომ არ იყო, თანდილა ერქვა, ფხოლასა და მაჩიტას დაეძებდა ბელტებს შორის“ (ჩოხელი 2011:454).

მკითხველს კი ხელში რჩება ნახნავ მიწაში პირქვე წაქცეული და გუთნისჩიტას (როგორც თავის ბავშვობას) მიჩერებული კაცი. აღარც მლიქვნელი ღიმილი ჩანს სადმე და აღარც მოვალეობები. ისევ პატარა ბიჭია თანდილა, სამყაროც კვლავ პირველქმნილი მშვენიერებით დგას მის წინაშე. ერთი კარგი მკითხველი სადღაც წერდა, ჩოხელს არ ვეკარები, მეშინია, ისევ ადამიანად არ ვიქცეო. მართალიც იყო, პირდაპირ გაიძულებს ეს მწერალი გაადამიანებას. თავადაც ხომ ხშირად იმეორებდა წერილებსა და ინტერვიუებში, ადამიანთა სულებს სევდის მარილს ვაყრი, მინდა,

განვკურნო და გავაკეთილშობილოო.

ყვავი კი კვლავ აგრძელებს მღვდელყოფილისთვის ცოდვების მოგონებას. ამჯერად ხის კენწეროდან თეკლას სახელი გაისმა. ელენეს და იყო თეკლა. მასავით მშვენიერი და მასზე უმცროსი. შიოს თეკლაც ელენესავით შეუყვარდა. მაგრამ აქ შეყვარება ძალიან ხმამაღალი განაცხადია. თუკი სიყვარული საკუთარი თავის სრულად გაცემას გულისხმობს, ყოველგვარი სანაცვლო მოლოდინისა და აღებ-მიცემობის გარეშე, მაშინ მღვდელს თეკლა კი არ შეუყვარდა, მოესურვილა. აისრულა კიდეც ჟინი და შედეგად გოგონა თვითმკვლელობამდე მიიყვანა. მართალია, ვერ ვიტყვით, რომ შიო მაინცდამაინც ცუდს უსურვებდა თეკლას. პირიქით, განზრახული ჰქონდა ცოლიანი კაცის ტყუილისგან ეხსნა და თავად დაქორწინებულიყო მასზე. მხოლოდ ის ვერ გაითვალისწინა, რომ ქალს მაინცდამაინც ის ცოლიანი კაცი უყვარდა. საერთოდ, მწერალი თავის პერსონაჟებთან მიმართებით ყოველთვის ტოვებს ხელჩასაჭიდს: მკითხველმა თუ მოინდომა, ნებისმიერს გაამართლებს. ასე, მაგალითად, შიოს ზღვარგადასული ბოროტება იმითაა განპირობებული, რომ ის არავის უყვარს. მისი შეყვარება ვერასოდეს ვერავინ შეძლო და სწორედ ამიტომ მას სიკეთის ქმნა არ შეუძლია. მხოლოდ ნგრევა გამოსდის. ერთ-ერთ მოთხრობაში მწერალი მამას შვილს აკვლევინებს და მერე მწუხარებისგან მის საფლავზე დააყუდებს, მანამ, სანამ მუხლებამდე მიწაში არ ჩავა. ხომ შეუძლებელია ამხელა ბოროტების პატიება, მაგრამ როცა ასე წერს ჩოხელი, არპატიებაც ვეღარ გამოსდის მკითხველს.

მღვდელყოფილს ძველი ცოდვების მოგონება არაფერს შველის. ის ახალ-ახალ ბოროტებას სჩადის, ახალ-ახალ ადამიანებს აუბედურებს. მწერალი გვიხატავს გაორებული ადამიანის ტანჯვას:

„თითქოს, ვინმე სხვა კაცის ამბებს იხსენებდეს. თითქოს, შიო მღვდელი სხვა იყო თავისი ცოდვა-მადლით, ეს კი სხვა არის. ამას იმისი აღარაფერი ახსოვს, თუ ყვავმა არ შეახსენა, იმას კი ამისი არ ადარდებს არაფერი.

ერთიც და მეორეც ცოდვიანნი არიან.

ის წარსულში, ეს კი აწმყოსა და მომავალში.

ამათ შუა მახსოვრობის ყვავი ჩხავის და ცდილობს როგორმე იცნონ ერთმანეთი. იცნონ ერთმანეთის ცოდვა, გამოფხიზლდნენ, ერთმანეთს თვალებში ჩახედონ და სიკეთე მოიძიონ“ (ჩოხელი 2011:497).

ყველანი ხომ ჩვენი ბავშვობიდან მოვდივართ და მწერალიც მკითხველის წინაშე შიოს პატარაობას გამოამზეურებს, რათა იქ ვიპოვოთ ფესვი, იქიდან გავარკვიოთ, როგორ იხარა ამ ადამიანში ამხელა ბოროტებამ.

ყრმა შიო სასულიერო სასწავლებელში იზრდებოდა უმკაცრეს პირობებში. ერთხელ გაქცევაც სცადა, მაგრამ წინააღმდეგობის სურვილი როზგებით ჩაუხშეს და მორჩილ მოწაფედ აქციეს. მერე სიყვარულიც გამოსცადა, ღალატიც, დამცირებაც და შურისძიებაც. როგორც ჩანს, რწმენას ბზარი მაშინ უჩნდება, როცა იქ ხედავ სიბინძურეს, სადაც წესით სიწმინდე უნდა ტრიალებდეს.

მწერალს ნელ-ნელა მივყავართ უბედურების სათავემდე:

„შიოს მიმართ ყველას ბაგე დადუმებული იყო ამის სათქმელად. თითქოს მის გამოსაჯავრებლად ისმენდა აღსარებაში სხვათა მისამართით თქმულს: „მიყვარს, მამაო“. სხვა უყვარდათ, იმ სხვას თქმას ვერ უბედავდნენ და შიოს კი ანდობდნენ“ (ჩოხელი, 2011:512-513).

ხოლო თუ ადამიანი ნამდვილად იქამდე ცოცხლობს, სანამ ვინმეს უყვარს (ჭილაძე, 1980), გამოდის, შიო სულიერად მკვდარი ყოფილა და აქედან მისი უსულგულო მოქმედების ახსნაც აღარაა რთული.

გოდერძი ჩოხელს სიყვარული ღმერთისკენ მიმავალ გზად აქვს გააზრებული. შიო მღვდლის გზა ღმერთისკენ არ მიდის.

„ძლიერია შიო.

ძლიერია თავის ინსტინქტით.

ძლიერია თავის უცოდველობით.

ძლიერია თუნდაც იმიტომ, რომ ყოველთვის შეუძლია ტალახიდან „სუფთად“ გამოვიდეს.

თუნდაც იმიტომ, რომ მის სულში არ ყივის სინდისის მამალი“ (ჩოხელი 2011:514).

ეს უკანასკნელი ფრაზა ნოდარ დუმბაძის ერთ ბავშვობისდროინდელ ამბავს გვაგონებს: მოხუც კაცს რაღაც რომ მოჰპარა ბაღიდან, ის რომ გამოეკიდა, ვერ დაეწია, თუმცა იცნო და პირზე დაადგა, შენ იყავიო. რას დაუმტკიცებდა, შორიდან ჰყავდა დანახული მხოლოდ, ბავშვი კი ჯიუტად უარობდა. მაშინ მოხუცს ასეთი რამ უთქვამს, ადამიანს შუბლზე ერთი ძარღვი აქვს, სინდისის ძაფს ეძახიან, ის თუ გაგიწყდა, მერე ადვილია ცხოვრება და ეცადე, რომ არ გაიწყვიტოო (დოკ. ფილმი „ნოდარ დუმბაძე“, რეჟისორი ზ. ინაშვილი).

ჭეშმარიტად თქვა მოხუცმა, მარტივია ცხოვრება სინდისის გარეშე. მაგრამ ოთარ ჭილაძეს თუ დავესესხებით, „ადამიანი სინდისია, სინდისის გარდა, რაც არ უნდა წაართვა მაინც ადამიანი იქნება. სიკვდილის მერეც ადამიანისგან მარტო სინდისი რჩება. სინდისი იგივე სულია ადამიანისა, ან სული იგივე სინდისია.“ (ჭილაძე, 2006).

ნაწარმოებში აღწერილია უკუღმართი მმართველობის მიერ შექმნილი მახინჯი რეალობა, სადაც ადამიანები ერთმანეთს პირში უცინიან და ზურგს უკან კი ძირს უთხრიან. ასეთია მაგალითად თავმჯდომარე შიოსა და სკოლის დირექტორის ურთიერთობა. ვინც უფრო მგელი აღმოჩნდება, ის გადარჩება. სიკეთეს კი ჯერ ძალა არ მოუკრეფია, ჯერ მხოლოდ ხმადაბლა თუ გასძახებს საღმრთო დღეს მომუშავე ხალხს მოხუცი ქალის პირით:

„ _ რაც თქვენ მამა-პაპათ არ უქნია, ნუ იზამთ, ხალხო, იმას, თორე ინანებთ, ჩემი სიტყვა წინ დაგხვდებათ და გვიანღა იქნება. მერე აღარც ღმერთი გიშველით და ეშმაკის ანაბარას დარჩენილი კაცი ხომ თვითონაც ეშმაკიღა არის“ (ჩოხელი, 2011: 519).

ცნობილია, რომ სულმდაბალ ადამიანებს ჩვევად აქვთ, სიწმინდის ტალახში ამოსვრა. რაკი თავად არ ჰყოფნით სიმაღლე, ცდილობენ სხვები გაითანაბრონ, არც სხვათა სიკარგე შეუძლიათ დაიჯერონ. ამის გამო დაღუპეს მარიტა (გიორგი ლეონიძის „ნატვრის ხე“). ვერ შესწვდნენ და ტალახი დაუშინეს. ქრისტეც ამის გამო

გააკრეს ჯვარზე. სიმაღლე არ ეყოთ. ეს იმედი ასულდგმულებს შიო მღვდელყოფილსაც: რომ თავის სიმდაბლეში მარტო არ არის, რომ ყველა მასავით სულმოკლეა სინამდვილეში და თუკი რამ სიკეთისა სცხიათ _ მხოლოდ და მხოლოდ გარეგნულად.

„რაკი თვითონ ვერ ეღირსა სიყვარულს, სხვისი სიყვარული შურდა შიოს და თავს არწმუნებდა, რომ არ არსებობდა ქმრისადმი ბოლომდე ერთგული ცოლი. ...უნდოდა დაეჯერებინა, რომ არ არსებობდა ქალი, რომელიც ადრე თუ გვიან ქმარს არ უღალატებდა“ (ჩოხელი, 2011:525).

ძალიან საინტერესოა წითელი მღვდლის სიზმარი. შიო ორ გველეშაპს ნახულობს: შავსა და წითელს. ვფიქრობთ, შავი გველეშაპი მის წარსულად უნდა მივიჩნიოთ, მღვდლობის პერიოდად; წითელი კი _ აწმყოდ. ნიშანდობლივია ისიც, რომ მღვდლობისას შიოს შავი ანაფორა ეცვა, კოლმეურნეობის თავმჯდომარეობისას კი უკვე წითელი პერანგით შეიმოსა. წარსული დასანთქმელად ეტანება ცოდვებისგან დამძიმებულ მღვდელყოფილს და მისი შიშით შავ მდინარეში ჩავარდნილი შიო იხრჩობა.

სიზმარს განსაკუთრებული დატვირთვა აქვს მხატვრულ ნაწარმოებში. ამ შემთხვევაში წითელი მღვდლის სიზმარი იმის მანიშნებელი უნდა იყოს, რომ პერსონაჟის ქვეცნობიერში დანაშაულის განცდა და დამსახურებული მომავლის წინათგრძნობა უკვე შემოვიდა.

არის კიდევ ერთი, სხვა სიზმარიც, რომელშიც მეორედ მოსვლის სცენაა გაცოცხლებული. თუმცა ამაზე სხვა თავში უკვე გვქონდა საუბარი და აქ აღარ შევჩერდებით.

ნაწარმოებში მთის ერთი სოფლის ბარად ჩამოსახლების ამბავია მოთხრობილი. ხსენებულ მონაკვეთს საფუძვლად რეალური ისტორა უდევს. მხედველობაში გვაქვს ხევსურეთის თითქმის სრული, მიზანმიმართული დაცლა, რაც მძიმე ადამიანური ტრაგედიების ფონზე მიმდინარეობდა. მიუჩვეველი ხალხი ბარად ვერ ძლებდა და იხოცებოდა. ზოგიც უკან ბრუნდებოდა დიდი რისკის ფასად, როგორც ამ რომანის

ერთ-ერთი პერსონაჟი მოიქცა.

ზემოთაც აღვნიშნეთ, რომ მღვდელყოფილი შიო მხოლოდ ძველ ცოდვებს არ ჯერდება და ახალ-ახალი დანაშაულებით იმძიმებს სულს. ასე, მაგალითად, მიიღებს თუ არა ცნობას ომის დაწყების შესახებ, თავის სრულწლოვან შვილს გადამალავს და ჯერ ისევ ყმაწვილ ბუთას გააგზავნის ფრონტის ხაზზე. ძალიან საინტერესოდ შემოჰყავს მწერალს ხსენებული პერსონაჟი თხრობაში. ჭენებით უახლოვებს და წმინდა გიორგიდ მოალანდებს თეთრ ცხენზე ამხედრებულს. სწორედ ამ დროს აითვალწუნა ბუთა წითელმა მღვდელმა, შემდეგ კი საჭირო ვითარებაში გაიხსენა.

საზარელია შიოს შურისძიება ყვავზე, რომლის ჩხავილიც სინდისის ხმად ექცა. მღვდელყოფილი კვერცხებს მოუხარშავს დაბუდებულ ფრინველს ჩუმად, ყვავი ვერ იგებს რატომ აგვიანებენ მისი ბახალები გამოჩეკვას, როცა მეზობელი ბუდეებიდან დაფრთიანდნენ კიდეც. ფრინველი აღარ დგება საბუდრიდან და შიმშილით სიკვდილის პირას მიდის, მაგრამ შიოსთვის ესეც არაა საკმარისი, მღვდელი იმ ხის მოჭრას იწყებს, სადაც ზის ყვავი და კვდება.

შიოს ნატანჯი, ცოდვილი სული წამოქცეული ხის ქვეშ ეყრება სხეულს. ირგვლივ მხოლოდ მარტოობა და წითელი ფერია.

„კვდებოდა წითელი მღვდელი. საზარელ სიმარტოვეს გრძნობდა სიკვდილის წინ. უნდოდა ვინმესთვის აღსარება ეთქვა, მაგრამ ახლო-მახლო კაციშვილი არ ჩანდა...

თვალებში თანდათან სისხლი მოსწოლოდა და ამის წყალობით, ზემოდანაც სისხლივით წითელი ცა გადმომხობოდა“ (ჩოხელი 2011:567-568).

მღვდლის ანაფორით ჩააწვინეს კუბოში შიო. ჩოხელი მისსავე გაუბედურებულ მოხუც ქალს დაატირებინებს მღვდელყოფილს (საინტერესოა, რომ სიკვდილსაც მაინცდამაინც შვილმკვდარი დედა ტირის „ადამიანთა სევდაში“):

„აქამდე სად იყავ, შიო მღვდელო?

რა მხარეს, რომელ ქვეყანაში?

მკვდარი იყავია, თუ ცოცხალი,

აქამდე, ამდენ ხანს როგორ სძლებდი? (ჩოხელი 2011:569)

ვერაფერი დატოვა ქვეყნად მღვდელმა, ერთ ადგილას ამობერილი მიწის გარდა: „დარჩა ერთ ადგილას ამოწეული მიწა, რომლისთვისაც სულ ერთია, როგორი ტანსაცმლით ჩაუგორებენ უბეში ადამიანს, სული კი...“ (ჩოხელი 2011:571).

სული იქ, სადაც იმსახურებდა. თუმცა მწერალი ამაზე შორს აღარ მიდის. განკითხვა მისთვის უცხოა. საფიქრალს მკითხველს ანდობს მთლიანად.

ბევრჯერ უსაყვედურეს ავტორს „მღვდლის ცოდვის“ გამო, თითქოს ეს იყო დროისათვის გაღებული ხარკი, რომელიც საეკლესიო პირების განქიქებას გულისხმობდა. მაგრამ, როგორც მღვდელმსახური გიორგი წეროძე წერს, შიო მღვდელი „სხვების გასაფრთხილებლად, ერთგვარ ყანის საფრთხობელადაა გამოსახული“ (წიკლაური, 2010:248-249).

გარდა ამისა, ჩოხელის მიზანი აქ სულაც არ არის სასულიერო იერარქიის წარმომადგენელთა უკეთურების ჩვენება. მთავარი პერსონაჟი პიროვნულად ვერ დგას სათანადო ზნეობრივ სიმაღლეზე და არ აქვს არავითარი მნიშვნელობა იმას, თუ რა სტატუსი ექნება მას საზოგადოებაში. ნაწარმოებშიც ხომ იცვლება პერსონაჟის წოდება, თუმცა არ იცვლება მისი ბოროტება.

საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ რომანში გაცოცხლებულია საქართველოს ისტორიული წარსული. ნაჩვენებია ორი ეპოქა: მეფის რუსეთის ბატონობა და კომუნისტური რეჟიმის დამყარება. ისტორიული სიანმდვილე მთავარი პერსონაჟის ცხოვრების ფონადაა გამოყენებული, მაგრამ მწერლისეული პოზიცია ორივე ეპოქასთან მიმართებით ნათლად იკითხება.

3.3. რომანი „სულეთის კიდობანი“

ისტორიულ სინამდვილეს ასახავს გოდერძი ჩოხელის კიდევ ერთი რომანი, „სულეთის კიდობანი“. მასში ალეგორიულად ნაგულისხმევი ფაქტები ქრონოლოგიურად მოსდევს ზემოთ განხილულ ნაწარმოებში აღწერილ ეპოქას. ისტორიკოს ვახტანგ გურულის აზრით, რომანში გაცოცხლებლია საქართველოს უახლოესი წარსული __ ეროვნული მოძრაობის დასაწყისიდან XX საუკუნის ბოლომდე (გურული, 2010).

რომანს წამძღვარებული აქვს სიტყვები „დაბადებიდან“, რომლითაც უფალმა ნოეს მიმართა და აკურთხა წარღვნის შემდეგ.

„სულეთის კიდობანიც“ არ არის შემთხვევით შერჩეული სათაური. ავტორი ამ კიდობანს ატანს სულეთის ქვეყნისაკენ წარსულის დიდებას. კიდობნის ფუნქციაც ხომ სწორედ ის არის, რომ რაც არსებობის ღირსია, წარღვნას გამოსტაცოს. ნაწარმოებში მოვლენები ისე ვითარდება, რომ მუზეუმში არსებული ყველა ღირებული ექსპონატი ამ ხის სკივრში იყრის თავს. ნაწარმოების ბოლოს ყველაფერს ადიდებული არაგვი ანგრევს და სამუზეუმო ნივთებს ტალღებში იხვევს, ფარდაგზე ამოქარგული საქართველოს რუკის გარდა. კიდობანში მოგროვებული სახელოვანი წარსულის ნაშთები კი სულეთის ქვეყნისკენ მიცურავს. ვფიქრობთ, მწერალი სასურველ რეალობას ხატავს, აღდგენილი ისტორიული სამართლიანობით.

ნაწარმოების მთავარი გმირი, სება მუზეუმის აშენებას გადაწყვეტს პირიმზის ხატის მოედანზე. მიზნად დაუსახავს, მომავალ თაობისთვის წარსული გადაარჩინოს.

რომანში ვახტანგ გორგასლის ნაგზევს, როგორც წარსული დიდების სიმბოლოს, განსაკუთრებული დატვირთვა ენიჭება. მელიის თქმით, სწორედ ამ ნაგზევიდან იღებენ ქართველები სასიცოცხლო ძალას. სიმბოლურია, რომ მწერალმა მაინცდამაინც გზა აირჩია წარსულის ხატად. განვლილი გზა არამარტო იმას გიჩვენებს, თუ როგორ იარე, არამედ იმასაც _ როგორ იარო.

ერთ-ერთ პუბლიცისტურ წერილში ("ვაზმა მაინც ამოხეთქა") გოდერძი ჩოხელი

ასეთ ისტორიას იხსენებს: "ცეცხლითა და მახვილით შემოსული მტერი პირველ რიგში ვაზს ჩეხავდა. ამოძირკვავდნენ ძირფესვიანად, გულდამშვიდებულნი გაგვეცლებოდნენ. მეორე წელს, ყველასგან გასაოცრად, ის გაკაფული ვაზი ისევ ამოდიოდა. ამის საიდუმლოს მტერი ვერ მიმხვდარიყო. ბოლოს ისევ ქართველმა გასცა. თურმე ამ ვაზს სადღაც შორს, ფერდობზე წყაროსთან ჰქონია ფესვები გადგმული. წყაროთი იკვებებოდა და გაკაფვის შემდეგ ხელახლა იყრიდა ყლორტებს.

ასე მგონია, ამ წყაროსავით, ვიღაცამ მიაგნო ჩვენი არსებობის საიდუმლოს, რომ სამუდამოდ გადავგვარდეთ და აღვიგავოთ პირისაგან მიწისა" (ჩოხელი, 2012:36).

გოდერძი ჩოხელს ძალიან აწუხებდა თავისი კუთხის მივარდნილობის საკითხი. იმდენადაც კი, რომ „ადამიანთა სევდაში“ ერთ-ერთ დარდად ჩააწერინა გამიხარდას. მწერალი ყველა საშუალებას იყენებს გუდამაყარზე სასაუბროდ, რათა ის მკითხველისთვის ნაცნობი და ახლობელი გახადოს.

ჩოხზე წერს ჩოხელი „სულეთის კიდობანშიც“. ადრე ეს სოფელი მთის ფერდობზე ყოფილა შეფენილი. მერე ნელნელა ჩამოივაკა. მოსწორებული ადგილი პირიმზე-ფუძის ანგელოზის მოედნად ითვლებოდა წარსულში. რუსებმა პირველებმა შებღალეს მოედნის სიწმინდე. შუაგულში ბასტიონი ააშენეს და შიგ თავისი ჯარი ჩააყენეს.

შეიცვალა დრო და ახლა უკვე სხვა სახის რუსები მოვიდნენ გუდამაყარში. გაკრიჭეს მღვდლები, გაძარცვეს ხატები და კანტორა ააშენეს პირიმზის მოედანზე.

მწერალი მისთვის დამახასიათებელი მსუბუქი იუმორით მოგვითხრობს სოფელში გაჩენილი ახალი დროის ძეგლების ისტორიას.

პირიმზის მოედანზე ჯერ რუსეთის იმპერატორის, ნიკოლოზის ძეგლი მდგარა, შემდეგ იმავე საძირკველზე ლენინი დააყენეს, კიდევ უფრო მოგვიანებით _ სტალინი, ხოლო სულ ბოლოს შუაზე გადახერხილ ბელადის ქვედატანს ისევ ლენინის თავი დაადგეს.

„ერთი ის იყო ლენინსა და სტალინს შორის განსხვავება, სტალინს აღმოსავლეთისკენ ჰქონდა ხელი გაშვერილი, ამას ხან დასავლეთისკენ ხან

სამხრეთისკენ. ეს იმაზე იყო დამოკიდებული, რამდენი ბალღი დავეკიდებოდით გაშვერილ ხელზე და საით მხარეს გაიხსნებოდა წებო“ (ჩოხელი 2011:147).

ერთხელაც ბელადის გადაქცეული ზედატანის გამო ყარაული გაუბრაზდება ბავშვებს. და მწერალი ღიმილით კითხულობს:

„ეხლა ვფიქრობ, ლენინს რად უნდოდა ყარაული, მე შენ გეტყვი გაიქცეოდა სადმე, ისედაც სოსოს ფეხებზე იდგა და იდგა“ (ჩოხელი 2011:147).

საგულისხმოა, რომ ძეგლებს მწერალი მაინცდამაინც ბავშვებს აქცევინებს. ვფიქრობთ, ავტორს ამით იმის თქმა სურს, რომ მომავალმა უნდა დაანგრიოს უსახური, მახინჯი წარსული. ამისავე ჩვენებას ემსახურება მუცელში გაჯიუტებული ჯერარგაჩენილი ბიჭის ამბავი, რომელიც სიზმარში ელაპარაკება დედას: სანამ ეგ ძეგლი ჩვენს სოფელში დგას, მანამდე ფეხს არ გამოვდგამო აქედან. ბელადის ძეგლს საძირკველი ეშლება და ბავშვიც იბადება.

მწერალი კვლავ ახლანდელ დროში აგრძელებს თხრობას. სადაც სება ძალისხმევას არ იშურებს მუზეუმისთვის. მარტო წვალობს, მარტო აგროვებს ექსპონატებს. არავინ ეხმარება არც სიტყვით და არც საქმით. ან როდის იყო საქვეყნო საქმეზე აუტკივარ თავს იტკიებდა ხალხი. გოდერძი ჩოხელს აქ ნაჩვენები აქვს „საკუთარ ჯამში ჩამაცქერლობის“ პრობლემა. როგორც იქნა დაასრულა კაცმა შენობის გადახურვა და ახლა სამუზეუმო ექსპონატების დალაგებას შეუდგა.

ავტორის გადაწყვეტილებით, ერთ კედელზე ძველი ფარდაგი იკიდება, რომელზეც საქართველოს რუკაა ამოქარგული. ფარდაგს ნინია აფციაურის, სამასი არაგველის მედროშის, ხმალი ამშვენებს.

ვ. გურულის აზრით, ნინია აფციაურის ხმლის მუზეუმში გადმოტანა სიმბოლურად ასახავს ქაიხოსრო ჩოლოყაშვილის საბრძოლო რაზმის დროშის გადაცემას საქართველოს ეროვნული ხელისუფლებისთვის (რომელიც ჩოლოყაშვილის თანამებრძოლმა, ალექსანდრე სულხანიშვილმა გადასცა). (გურული, 2010).

შუაღამისას სებას ხმაურზე ეღვიძება. ყველაფერი ერთად ცდილობს

საქართველოს რუკაზე აცოცხებას.

„ _ მოიცათ, მოიცათ, რა დაგემართათ?! ყველანი რო ამ ფარდაგზე ჩამოვეკიდოთ, ვერ გაგვიძლებს, ჩამოწყდება, _ ხმამაღლა იძახდა ფარი და იერიშზე წამოსულ ნივთებს იგერიებდა.

_ შენ რო ფარდაგზე და გამოსაჩენ ადგილას ხარ გამოჭიმული, ვაჟბატონო, ჩვენც გვინდა მანდ ყოფნა! _ შეუტია არყის ტიკმა“ (ჩოხელი 2011:103).

„ჩამოწყდება ხალხო ფარდაგი! ჩამოწყდება საქართველო!“ _ იმეორებს ვეფხისტყაოსანიც.

უწესრიგოდ მიყრილი მნიშვნელობას მოკლებული ნივთები რევოლუციას აწყობენ, ფარდაგს იპყრობენ და მუზეუმის ხელმძღვანელად მელიის ფიტულს ირჩევენ, რომელიც მანამდე რუსების აშენებული ბასტიონის გალავანზე იყო ჩამოკიდებული. მსგავსება იმდენად აშკარაა, ვფიქრობთ, განმარტებასაც კი აღარ საჭიროებს. მკითხველს ისედაც მშვენივრად ახსოვს ეს ავადსახსენებელი მონაკვეთი საქათველოს უახლესი ისტორიიდან.

„ძირს თოფი!

ძირს ხმალი!

გაუმარჯოს დემოკრატიას!“ (ჩოხელი 2011:104).

მიცოცავენ სამუზეუმო ექსპონატები ფარდაგზე და ყვირიან. რუსული ბასტიონიდან ჯარისკაცების აჩრდილები გამოდიან და აჯანყებულ ნივთებს ფარულად ეხმარებიან ღირებული ექსპონატების ძირს ჩამოყრაში.

რკინის ფიწალმა, ხის ორთითამ და ჟანგიანმა სადგისმა ფარდაგის შუაგული დაიკავეს. მერე უკვე აღარ მოეწონათ, ყველაფერი რომ ზემოთ ამოცოცებას ცდილობდა და:

„ _ ეე, ეეე! ეგრე არ არის, _ იყვირა ორთითამ, _ ეგრე არ გამოვა, დემოკრატია იმას კი არ ნიშნავს, ყველანი ისევ ამ ფარდაგზე ამობობღდეთ!“ (ჩოხელი, 2011:105).

დემოკრატიის სახელით მოსულები დემოკრატიის პრინციპებს აღარაფრად დაგიდევენ.

საინტერესოა მელიის საზეიმო სიტყვა, რომელიც პრეზიდენტად არჩევის დროს წარმოთქვა. მუზეუმის ახალი პრეზიდენტის განცხადებით, წარსულში დაშვებულ შეცდომებს, დრო მოითხოვდა, ახლა სხვა რეალობაა, რომელიც დემოკრატიულ პრინციპებზე დგომას მოითხოვს და მეტი გზა არ არის, ერთმანეთს ძველი წყენები უნდა აპატიონ. გარდა ამისა, ხედავს გორგასლის ნაგზევს და პატივსაც სცემს, მაგრამ ახალი გზები უნდა მოძებნონ, რომლებიც დემოკრატიისკენ გაუძღვება და სხვა დემოკრატიულ მუზეუმებთან დააკავშირებს.

ამის შემდეგ იწყება რეპრესიები: ახლადარჩეული პრეზიდენტი ხან რომელ სახელოვან ექსპონატს ჩააკეტინებს სკივრში სებას, ხან რომელს. ცხადია, სიმშვიდის შესანარჩუნებლად.

მოწინააღმდეგეთა ჩამოშორების შემდეგ ხის ორთითა და რკინის ფიწალიც ჩაალაგებინა მელიამ სებას. შიშისგან დაბეჩავებული სადგისი კი ინფორმატორად გაიხადა.

მსგავსება კვლავ ძალიან აშკარად იკითხება საქართველოს უახლოეს წარსულთან.

რომანში ამის შემდეგ ჩართულია რამდენიმე მოთხრობა-მოხსენება ექსპონატების შესახებ. მათგან, საქართველოს ისტორიულ სინამდვილესთან ჩოხელის დამოკიდებულების გასარკვევად, განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს კიდობნის ამბავი, რომელსაც მწერალი ვრცლად აღწერს და ჯერ მეფის რუსეთის ბატონობას, შემდეგ კი კომუნისტურ ეპოქას გვიხატავს. თუმცა მანამდე მელიამ თავისი ბნელი ზრახვები უნდა აისრულოს და მუზეუმი თითქმის ბოლომდე გამოაცარიელოს.

უაღრესად საინტერესო დიალოგი იმართება ახლად არჩეულ პრეზიდენტსა და ბასტიონიდან შემომძვრალ რუსის ჯარისკაცის აჩრდილს შორის. რუსს ამბავი მოაქვს, რომ ჩრდილოეთიდან დარეკეს და მუზეუმის მოსპობა მოითხოვეს, მელას პასუხი კი შემდეგია:

„ _ დრო და მოთმინებაა საჭირო, დრო და მოთმინება. ამათ საჩვენო საქმე თუ ისე არ შევუმზადეთ, რომ თვითონვე არ დაშალეს მუზეუმი, ისე არაფერი არ გამოვა.

...ამათი ამბავი რომ ვიცი, აიმ ერდოდან რომ ვახტანგ გორგასლის ნაგზევი ჩანს, იმ ნაგზევს მისტირიან და ის აძლევს ძალას. აი, ამ ფარდაგზე რომ ანდერძია ამოქარგული, ათას ხუთასი წლის წინათ არის ნაანდერძევი და მაინც ეგ აძლევს ძალას. ამათ თუ ეროვნულობისა და წინაპართაკე ყურების საფუძველი არ გამოაცალე, სხვანაირად მუზეუმის მშენებლობას არ მოიშლიან. მუზეუმი კი ამათთვის იგივეა, რაც სალოცავი“ (ჩოხელი 2011:152).

პრეზიდენტიც ამზადებს ნიადაგს: ფარდაგზე ამოქარგულ გორგასლისეულ ანდერძს ჩრჩილებს ამოაჭმევინებს და ფრაზიდან: „მტკიცედა სდექით სარწმუნოებასა ზედა და ეძიებდით ქრისტესათვის სიკვდილსა, რათა მარადიული დიდება მოიგოთ“ (ჩოხელი, 2011:151), დაატოვებინებს მხოლოდ: „სდექით სარწმუნოებასა ზედა და ეძიებდეთ სიკვდილსა“. მელია სებას განუმარტავს, რომ არც ეროვნულობას უნდა გაუსვან ხაზი და არც ქრისტიანობას, რათა დემოკრატიის ფერხულში მოახერხონ ჩაბმა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მწერლისეული პოზიციის გასარკვევად განსაკუთრებით საინტერესოა ხის ყუთის ამბავი, რომელიც რომანში ღირსეული სამუზეუმო ექსპონატების სატუსაღოდ აქცია უღირსმა პრეზიდენტმა. კიდობანი ეკუთვნოდა ერთ უბედურ ოჯახს, რომელიც სახელმწიფოსთან შეურიგებლობამ დაღუპა. გადარჩენა მხოლოდ ყველაზე პატარა წევრმა მოახერხა და ისიც ათონის მონასტერში წაიყვანა იქ მცხოვრებმა ქართველმა ბერმა. წლების შემდეგ პატარა ბიჭი უკვე ბერის ანაფორით და წმინდა ნაწილებით ბრუნდება სამშობლოში. მის სახლში უკვე მისივე ბიძაშვილი ცხოვრობს. კიდობანში მოტყუებით ჩაწოლილ წმინდა მამას ჩეკისტებთან დაასმენს მასპინძელი და იქვე მოაკვლევინებს.

მწერალი უფრო შორეულ ამბავსაც მოგვითხრობს, თითქოს ერთხელ ამ კიდობნით სულეთის ქვეყანაში იმოგზაურა მერე ბერად ქცეულმა ბავშვმა. ამიტომაც დაარქვეს ყუთს სულეთის კიდობანი. როგორც ჩანს, ავტორს ეს სახელი იმდენად მნიშვნელოვნად მიუჩნევია, რომ ნაწარმოების სათაურად გამოუყენებია.

მელიის ბრძანებით ხომ სახელოვანი წარსულის ნაშთებით ივსება კიდობანი. მაგრამ წარღვნის დროს გადარჩენის შანსი მხოლოდ მათ გააჩნიათ. აბობოქრებული შავი არაგვი, მუზეუმს რომ ანგრევს და იტაცებს, დროის სიმბოლოა. დრომ უნდა წაიღოს და დავიწყებას მისცეს ვითომ გმირები. ნამდვილ ღირებულებებთან კი ხელი არ აქვს, ვერ ერევა.

საინტერესო პარალელს ავლებს „ყვარყვარე თუთაბერისა“ და „სულეთის კიდობნის“ დასასრულებს შორის ლ. სორდია. მკვლევარს მელიის უკანასკნელი სიტყვები („მაინც დავბრუნდები, ნახე, თუ არ დავბრუნდები“) აგონებს ყვარყვარეს ბოლო დაქადნებას („მე კიდევ ავცოცდები“). სორდიას მტკიცებით, ამით ავტორმა სულგაყიდულთა, მედროვეთა პერიოდულ მოვლინებაზე მიგვანიშნა (სორდია 2012).

განხილულ ორ რომანში დახატული ისტორიული მონაკვეთები ქრონოლოგიურად ერთმანეთს მოსდევს. მწერალს პირადად მოუწია ცხოვრება ამ ეპოქებში (ვგულისხმობთ კომუნიზმისა და ეროვნული მოძრაობის პერიოდებს). შესაბამისად, ათმაგად უფრო დასაფასებელია, რომ ვერც ერთ ნაწარმოებში ვერაფერს ვხვდებით მაამებლურს. გოდერძი ჩოხელი ყოველ ჯერზე იქ დგას, სადაც მას დგომა ეკადრება.

თავი IV. ექსისტენციალიზმი და გოდერძი ჩოხელის ლიტერატურული მემკვიდრეობა

ექსისტენციალიზმის ნიშნები ქართულ ლიტერატურაში განსაკუთრებული სიმძლავრით გასული საუკუნის 70-80-იანი წლებიდან იჩენს თავს, თუმცა გარკვეულწილად უფრო ადრეული წლების ნაწარმოებებშიც გვხვდება. გოდერძი ჩოხელის შემოქმედება საინტერესო მიმართებებს ავლენს ხსენებულ ფილოსოფიურ მიმდინარეობასთან. წინამდებარე სამეცნიერო-კვლევითი პროექტი კი ამ მიმართებების აღმოჩენისა და ახსნის მცდელობაა. ნაშრომის ძირითადი ნაწილი შეგდება ორი თავისაგან. პირველ თავში ნაჩვენებია ექსისტენციალიზმის ჩამოყალიბების გზა და მისი რაობა. განხილულია: შოპენჰაუერის, ნიცშეს, კირკეგორის, იასპერსის, ჰაიდეგერის, სარტრისა და კამიუს ფილოსოფიური ნააზრევი; შემდეგ საუბარია მის ძირითად ცნებებსა და დებულებებზე. მეორე ნაწილის დასაწყისში საუბარია ლიტერატურულ ვითარებაზე 70-80-იანი წლების საქართველოში. შემდეგ კი _ ექსისტენციალურ ტენდენციებზე უშუალოდ გოდერძი ჩოხელის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში. ამ თავის ფარგლებში განხილულია შემდეგი ნაწარმოებები: „აღმართი“, „თევზის წერილები“, „წერილი ნაძვებს“, „დავიწყების მდინარე“, „არწივთან ფრენა“, „ადამიანთა სევდა“, „წითელი მგელი“. დაძებნილია პარალელები, გამოთქმულია მოსაზრებები, გამოტანილია შესაბამისი დასკვნები.

4.1. ექსისტენციალიზმის განვითარების გზა და რაობა

ექსისტენციალიზმის, როგორც ფილოსოფიური მიმდინარეობის, ჩამოყალიბება სამი დიდი მოაზროვნის: არტურ შოპენჰაუერის, ფრიდრიხ ნიცშესა და სიორენ კირკეგორის სახელს უკავშირდება. ამ ფილოსოფოსებს მათი თანამედროვე დასავლური კრიზისის გაცნობიერება და ასახვა ანათესავებთ. შოპენჰაუერი ქმნის ღრმად პესიმისტურ კონცეფციას და დიდი უბედურებებისთვის თავის არიდება უკვე დიდ ბედნიერებად მიაჩნია; ნიცშე ღმერთის სიკვდილს აცხადებს და ზეკაცში ხედავს ხსნას; კირკეგორი კი უზენაესთან მისასვლელი დაკარგული გზების ხელახლა პოვნაში ეძებს გამოსავალს. თუკი მანამდე დასავლური საზოგადოება ჰეგელის „აბსოლუტურ გონს“ იყო მინდობილი და თავი საიმედო ხელში ეგონა, ამ ფილოსოფოსებმა თვალი გაუსწორეს კარს მომდგარ კრიზისს და გადარჩენის გზების ძიება დაიწყეს.

„შოპენჰაუერთან, ნიცშესა და კირკეგორთან მოხდა ე.წ. „შემობრუნება სიცოცხლისაკენ“ (ბუაჩიძე, 2013:16), რამაც თავის მხრივ დასაბამი მისცა ისეთ მძლავრ ფილოსოფიურ ნაკადებს, როგორებიცაა „სიცოცხლის ფილოსოფია“ და ექსისტენციალური ფილოსოფია __ „სიცოცხლის ფილოსოფიის“ ძიებათა თავისებური გაგრძელება და დასრულება“ (იქვე).

არტურ შოპენჰაუერი. „ქვეყნიერების არსებობაში გასახარელი არაფერია, დასაღონებელი კი ბევრი; [...] მისი არყოფნა ბევრად აჯობებდა მის ყოფნას; [...] ის ისეთი რამეა, რასაც არც უნდა ეარსება...“ (შოპენჰაუერი, 2012:44)

„ვინც ჩასწვდა ჩემი მოძღვრების არსს, მან იცის ჩვენი ყოფის ნამდვილი ფასი, იცის, რომ აჯობებდა სულაც არ ვყოფილიყავით, და რომ უდიდესი სიბრძნე არსებობის უარყოფაა“, მაგრამ რადგან მაინც გვიწევს ცხოვრება, პოეტ ანვარის სიტყვების მსგავსად უნდა გავლიოთ ჩვენი ყოფა: „ხელიდან გამოგეცალა ქვეყნის მეუფება? __ ნუ სწუხარ: არაფერია. ხელთ იგდე ქვეყნის მეუფება? __ ნუ ხარობ: ეგეც არაფერია. წარმავალია ბედნიერებაც და უბედურებაც; მაშ, შენც მშვიდად ჩაუარე გვერდით სამყაროს: სამყაროც არაფერია“ (შოპენჰაუერი, 1994:50-51).

ამ ორ ფრაზაში შეიძლება დავინახოთ შოპენჰაუერი, როგორც ფილოსოფოსი და პიროვნება. მისი აზრით, სიცოცხლე არავითარი საჩუქარი არ არის, პირიქით, ის ვალი უფროა, რომელსაც დაბადების წამს ვკისრულობთ და ვეღარ ვთავისუფლდებით სიკვდილამდე. აქილიკებს ლაიბნიცს უსაფუძვლო ოპტიმიზმისთვის. ფილოსოფოსის მტკიცებით, ამაზე უარესი სამყარო უბრალოდ ვეღარ იარსებებდა, ჩამოიშლებოდა, ამიტომ სამადლობელი არაფერი გვაქვს. იგი სავსებით ეთანხმება მექსიკელთა ტრადიციას, რომლის მიხედვითაც ახალშობილ ბავშვს ტირილით ხვდებოდნენ, რადგან იცოდნენ, რომ ტანჯვისთვის მოდიოდა ამ ქვეყნად. შოპენჰაუერისთვის არც ადამიანები იყვნენ სანდონი. ეს ჩანს როგორც მისი ფილოსოფიიდან, ისე ცხოვრების წესიდან. მიიჩნევდა, რომ ისინი პატივმოყვარე, სასტიკი არსებები არიან და მათთან გონიერების წარმოჩენა, თითქმის სასიკვდილო განაჩენის გამოტანას ნიშნავს საკუთარი თავისთვის. ხოლო ის, ვინც მაინც გადაწყვეტს ხალხს ჭეშმარიტება ამცნოს, ბედნიერი უნდა იყოს, თუ ცოცხალი გადაურჩა მისი სიკეთით შეურაცხყოფილ ბრბოს.

სამყაროს არსებობაც კი არ იყო შოპენჰაუერისთვის ურყევი მოცემულობა. მან 30 წლის ასაკში დაწერა თავისი ცხოვრების მთავარი ნაშრომი, „სამყარო როგორც ნება და წარმოდგენა“, რომლის ამოსავალი დებულება შემდეგნაირია: „სამყარო არის ჩემი წარმოდგენა“. სუბიექტზე, აღმქმელზეა დამოკიდებული აღსაქმელის „როგორობა“. „ობიექტია არა თავისთავად საგანი, არამედ ის, რაც სუბიექტის მიერაა წარმოდგენილი“ (ბუაჩიძე, 2013:23) თუმცა შოპენჰაუერი არ არის „აბსოლუტური იდეალისტი“, რომლისთვისაც სამყარო მხოლოდ ილუზიაა. „განჭვრეტილი ობიექტი, __ წერს ის „დამატებებში“, __ უნდა იყოს რაღაც თავისთავადი და არა მხოლოდ რაღაც სხვისთვის, რადგან სხვაგვარად ის იქნებოდა მხოლოდ წარმოდგენა და ჩვენ გვექნებოდა აბსოლუტური იდეალიზმი, რომელიც გადაიქცეოდა თეორიულ ეგოიზმად, რომლისთვისაც ყოველგვარი რეალობა ქრება და სამყარო გადაიქცევა მხოლოდ სუბიექტურ მოჩვენებად“ (ბუაჩიძე, 2013:33).

ფრიდრიხ ნიცშე. შოპენჰაუერის მიერ განცდილმა და გამოაშკარავებულმა დასავლური საზოგადოების კრიზისმა ნიცშეს ფილოსოფიაში შემდეგი გამოხატულება

ჰპოვა: „ღმერთი მოკვდა“. აქამდე ღმერთი იყო ის მთავარი საყრდენი, რომლის გამოც ადამიანს თავისი არსებობა აზრიანად და შედეგიანად მიაჩნდა. მარტინ ჰაიდეგერის მტკიცებით, გამოთქმა „ღმერთი მკვდარია“ მებრძოლი ათეისტის მიერ წამოსროლილი ფრაზა კი არ გახლავთ, არამედ ღრმა პირადი ტრაგედიის გამოძახილია. ღმერთი თუ მკვდარია, ესე იგი აღარც საყრდენი და მიმართულების მიმცემი არსებობს. აღარავის შეუძლია თქვას რა არის კარგი და რა არის ცუდი. ადამიანი დანამდვილებით მარტო რჩება თავისი თავის ამარა. „მრავალი საუკუნის განმავლობაში კაცობრიობა ღმერთს იყო მინდობილი. მისი არსებობა განათებული იყო ღვთაების შუქით“ (ბუაჩიძე, 2013:103). მაგრამ ახლა, რადგანაც „ღმერთი მკვდარია“, „კარზეა მომდგარი „ყველა სტუმართაგან ყველაზე შემზარავი“__ ნიჰილიზმი. [...] უმაღლესი ღირებულებები უფასურდება, არ არის მიზანი. არ არის პასუხი კითხვაზე „რისთვის?“ (იქვე).

აქამდე თუ ადამიანის არსებობას სამყაროს ერთიანობის იდეა ანიჭებდა აზრს, ახლა აღმოჩნდა, რომ ეს ერთიანობა არ არსებობს.

ნიცშე თავის ფილოსოფიურ ნაშრომში „ესე იტყოდა ზარატუსტრა“ სულის სამი სახეცვლილების შესახებ საუბრობს: იგი იქცევა ჯერ აქლემად, რომელიც უდრტვინველად ასრულებს ყველა „შენ უნდა“-ს (ნიცშესთვის ასეთია ქრისტიანობის რწმენით აღსავსე კაცობრიობა); მეორე სახე, ლომი „უნდას“ უპირისპირებს „მე მსურს“ (ნიჰილიზმის ეპოქა); სულ ბოლოს კი __ ბავშვი სიმბოლოა ახალი დასაწყისისა, ზეკაცისა, რომელმაც უნდა შექმნას ახალი ღირებულებები, ასე წარმოუდგენია ნიცშეს კაცობრიობის მომავალი.

სიორენ კირკეგორი. სამყაროს საწყისი, ფუძე ჰეგელისთვის აბსოლუტური აზროვნებაა. მისთვის სამყარო არის გარკვეული მკაცრი შინაგანი წესრიგის მქონე მთლიანობა, რომელიც ადეკვატურად მხოლოდ სისტემის საშუალებით შეიძლება გადმოიცეს. კირკეგორისათვის კი ცხოვრება სულაც არ არის ლოგიკურად აწყობილი მთლიანობა, შესაბამისად, მისი სისტემის საშუალებით გადმოცემა შეუძლებელია. თ.ბუაჩიძის აზრით, კირკეგორი, ჰეგელისგან განსხვავებით, „არასისტემატიკოსია“, „გულის ლოგიკოსია“.

განსხვავდება ამ ორი ფილოსოფოსის ადამიანთან მიმართებაც. თუ ჰეგელისთვის „ადამიანის დანიშნულება გაიაზრება როგორც ინდივიდუალურის, საკუთრივის, ინტიმურის დაძლევა და ზოგადთან გაერთიანება. კირკეგორი ინდივიდის ინტერესების დამცველია. [...] ადამიანი მით უფრო სრულყოფილია, რაც უფრო მეტადაა „თვითონ“ (ბუაჩიძე, 2003:346).

კირკეგორი ადამიანის არსებობის ორ მხარეს გამოყოფს: ესთეტიკურსა და ეთიკურს. „ესთეტიკური ადამიანში ისაა, __ ვკითხულობთ „ან-ანში“ __ რითაც იგი უშუალოდ არის ის რაც არის“ (ბუაჩიძე, 2003:348). „ეთიკურია ის, რითაც იგი (ადამიანი _ თ.ბ.) ხდება ის, რაც ხდება“ (იქვე). ესე იგი, ესთეტიკური ადამიანისთვის ბუნებას უბოძებია, ხოლო ეთიკური მას თავადვე გამოუძერწავს. ესთეტიკოსთა მთავარი მიზანი ცხოვრებით ტკბობაა, რაც სავსებით გარეგანია, არ არის დამოკიდებული მათზე და, შესაბამისად, ისინი, როგორც წესი, განწირულნი არიან სასოწარკვეთილებისათვის. ეთიკური ცხოვრება კი გონების კარნახით ცხოვრებაა. თუმცა კირკეგორისთვის არც ესაა ცხოვრების უმაღლესი საფეხური. „დანიელი მოაზროვნისთვის უმაღლესი საფეხური გულისხმობს ღმერთთან თავისებურ მისვლას __ რელიგიურ ცხოვრებას, რწმენაში და რწმენით ცხოვრებას“ (ბუაჩიძე, 2003:350).

სამი ფილოსოფოსის ნააზრევთა მცირე მიმოხილვის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ შემდეგი: შოპენჰაუერი თავის გზას გვთავაზობს ცხოვრებაში __ ასკეტიზმს. მაგრამ ამ გზას ჩიხში შევყავართ, ეს გზაა „არარაში“. ნიცშეს გზა განსხვავებულია __ კაცობრიობის გადარჩენა ეკისრება ზეკაცს, რომელიც თავადაა ღირებულების შემოქმედი, შესაბამისად არ სჭირდება არავითარი გარეგანი საყრდენი და მიმართულების მიმცემი. თუმცა, თ. ბუაჩიძის თქმით, ეს აბსოლუტური თავისუფლება თვითნებობის ელემენტს შეიცავს. ამ გზასაც ჩიხში შევყავართ. კირკეგორი რწმენის გზას გვთავაზობს, მაგრამ ეს რწმენა მეტისმეტად პიროვნულია და არ შეუძლია, სხვებისთვის მაგალითის მიმცემი გახდეს.

სიცოცხლის ფილოსოფია. შოპენჰაუერის ნიცშესა და კიკეგორის კრიზისზე მოლაპარაკე ნააზრევმა წარმოშვა „სიცოცხლის ფილოსოფია“. მის მამამთავრებად

თვით ფრიდრიხ ნიცშე და ვილჰელმ დილთაი მიიჩნევიან. ეს არის თავისებური გაგრძელება და განვითარება ადრევე არსებული ფილოსოფიური ტენდენციებისა, რომელთაც განსაკუთრებით შოპენჰაუერთან ვხვდებით.

„სიცოცხლის ფილოსოფიის სხვადასხვა წარმომადგენელს აერთიანებს ღრმა რწმენა იმისა, რომ სამყარო არ არის „გონების“, „რაციოს“ გამოვლენა, ხოლო სამყაროს წვდომის იარაღი არ არის მხოლოდ განსჯა, ინტელექტი. ამ ფილოსოფიური მიმდინარეობის წარმომადგენლების თანახმად, სამყაროს პირველფენომენია სიცოცხლე, რომელიც მარად ქმნადია, თავისი თავის შემოქმედია და რომლის დინების წინასწარ გაანგარიშება სავსებით გამორიცხულია. სიცოცხლე ის ფენომენია, რომელზე დაყრდნობითაც უნდა გადაიჭრას ყველა ფილოსოფიური პრობლემა, ამოიხსნას სამყაროს საიდუმლო, თვითონ სიცოცხლის, როგორც ყოვლისამხსნელის წვდომა კი აღარ საჭიროებს სხვა მის გარეთ არსებული ინსტანციებისა და ფაქტორების მოხმობას: სიცოცხლე თავად სიცოცხლიდან გაიგება __ ასეთია სიცოცხლის ფილოსოფიის ერთ-ერთი ძირეული თეზისი“ (ბუაჩიძე, 2013:180).

სიცოცხლის ფილოსოფიის მიმდევრებისთვის სიცოცხლე „დასაკითხი“ ობიექტიცაა ერთდროულად და „დამკითხველი“ სუბიექტიც, სიცოცხლის წვდომა ხდება სიცოცხლის საშუალებით.

სიცოცხლის ფილოსოფია თავისებურად გადაიზარდა და განვითარდა ექსისტენციალიზმში. ამ ფილოსოფიურ მიმდინარეობას განვიხილავთ მისი ფუძემდებლებისა და მთავარი წარმომადგენლების ნააზრევის ფონზე.

კარლ იასპერსი. იასპერსის ფილოსოფიური ძიების მთავარ ამოცანას ყოფიერების ნათელყოფა წარმოადგენს, მაგრამ არა „ყოფიერება როგორც ასეთი“, არამედ ყოფიერების სამი სახე: სამყარო, ექსისტენცი და ტრანსცენდენტური (ღვთაება). იგი, კამიუს, სარტრის, ჰაიდეგერისაგან განსხვავებით, ექსისტენციალისტთა თეისტურ ფრთას მიეკუთვნება.

„ექსისტენცი იქცევა სინამდვილედ მაშინ, როდესაც მე ვარსებობ საკუთარი თავის ძალით. ექსისტენცი არის თვითყოფიერება, ჩემი „თვითონ“-ის გამოღვიძება. ეს

არის საწყისი ადამიანისა, მისი მოქმედებისა და აზროვნებისა. ექსისტენცი ნიშნავს მიმართებას თავისთავისადმი, ადამიანური ყოფიერების უპირობო, აბსოლუტურ არსებას. ადამიანში, როგორც ექსისტენცში, მოხსნილია გარეგანი შემბოჭველი პირობები, რომლებიც ერთმნიშვნელოვნად განსაზღვრავენ საგანთა ქცევას სამყაროში, მუნყოფიერების სფეროში. ექსისტენცის არსება თავისუფლებაშია“ (ბუაჩიძე, 2013:316).

თავისუფლება, კარლ იასპერსს ესმის, როგორც გადაწყვეტა, არჩევანი იმისა, რომ მე შევძლო ვიყო „თვითონ“, საკუთრივ მე. მე მხოლოდ იმ შემთხვევაში ვარ თავისუფალი, თუ გადაწყვეტილების მიღების უფლება მაქვს. ვირჩევ, ესე იგი ვარსებობ. საკუთარ თავად გახდომის გზად ფილოსოფოსს სხვა ადამიანებთან კომუნიკაციის დამყარება ესახება, მაგრამ კომუნიკაცია ვერ იქნება სრულყოფილი თუკი ინდივიდმა მოსამზადებელი ეტაპი, მარტოობა, არ გაიარა.

მარტინ ჰაიდეგერი. ექსისტენციალური ფილოსოფიის ერთ-ერთი ფუძემდებელი და უმნიშვნელოვანესი წარმომადგენელია მარტინ ჰაიდეგერი. სწორედ მისი დამკვიდრებულია „გადაგდებულობის“ ცნება ექსისტენციალურ ფილოსოფიაში. რაც იმას გულისხმობს, რომ ადამიანი მიტოვებულია, უსახლკაროა ამ უცხო სამყაროში. გაჩნდა და არავის მიუცია ინსტრუქცია, როგორ მოიქცეს, საით წავიდეს. ფილოსოფოსი თავის ნაშრომში „ყოფიერება და დრო“ სულით დაავადებულს უწოდებს ადამიანს, რომელმაც იცის რომ ცოცხალია, მაგრამ არ ეძებს პასუხს კითხვაზე __ რატომ. თითქოს დავიწყებია საკუთარი არსებობა და ინერციით მიჰყვება ცხოვრებას. ჰაიდეგერისთვის ექსისტენცია არის ყოფა. ადამიანი მყოფობს გარემომცველ სამყაროში. „ყოფა სამყაროში“ შედგება „ყოფისგან სხვებთან ერთად“ და „საკუთარი თავის ყოფისგან“. „საკუთარი თავის ყოფა“ არის „ყოფა თვითონ“. „ყოფა სხვებთან ერთად“ მიმართულია პიროვნების შთანთქმისკენ, მისი სხვებთან გათქვეფისკენ, რათა თავადაც ყველასნაირი გახდეს. ადამიანი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება იყოს თავისუფალი, თუ სხვებისგან გამოარჩევს საკუთარ „მეს“. ჰაიდეგერის მტკიცებით, ინდივიდის შთანთქმისკენ მიდრეკილ სამყაროში საკუთარი სახის შენარჩუნება ადამიანის მთავარ საზრუნავს წარმოადგენს.

ჟან-პოლ სარტრი. ფრანგი ფილოსოფოსი ჟან-პოლ სარტრი ექსისტენციალიზმის ძირითად დებულებებს აყალიბებს ნაშრომში „ეგზისტენციალიზმი ჰუმანიზმია“.

„უპირველეს ყოვლისა, ეგზისტენციალიზმს ადანაშაულებენ იმაში, თითქოს ის მოუწოდებს ადამიანებს, დარჩნენ სასოწარკვეთილების კვიეტიზმში.

[...] მეორე მხრივ, ჩვენ გვადანაშაულებენ იმაში, რომ ხაზს ვუსვამთ ადამინურ სიმდაბლეს, ყველგან ვაჩვენებთ საზიზღარს, ბნელს, ბინძურს.

[...] თავის მხრივ ქრისტიანები გვადანაშაულებენ იმაში, რომ ჩვენ უარვყოფთ რეალობას და ადამიანური საქციელის მნიშვნელობას. ღვთის მცნებების და მარადიული ღირებულებების განადგურებით თითქოს არაფერს არ ვტოვებთ თვითნებობის გარდა“ (სარტრი, 2006:21-22).

უპირატესად ამ ბრალდებათა საპასუხოდ შეიქმნა დასახელებული ნაშრომი. ჟ. პ. სარტრის ვარაუდით, ასეთი მწვავე კრიტიკა ექსისტენციალიზმისა იმით იყო განპირობებული, რომ მოწინააღმდეგეებს არჩევანის შესაძლებლობის, თავისუფლების შეეშინდათ, რომელსაც ეს მოძღვრება ქადაგებს.

ექსისტენციალისტთა მთავარი გამაერთიანებელი დებულება, სარტრის მიხედვით ასეთია: „არსებობა წინ უსწრებს არსებას“, რაც იმას ნიშნავს, რომ ადამიანი თავდაპირველად არაფერს წარმოადგენს, ის არ არის ადამიანობის იდეის განხორციელება, მხოლოდ შემდგომ, როდესაც უკვე არჩევანი შეუძლია, იქცევა ადამიანად, და თან ისეთ ადამიანად, როგორიც მას თავად სურს.

„თუ არსებობა ნამდვილად წინ უსწრებს არსებას, მაშინ ადამიანი პასუხს აგებს იმაზე, თუ როგორია ის, ამრიგად, ეგზისტენციალიზმი პირველ რიგში აყენებს ყოველი ადამიანის მიერ თავისი ყოფნის ფლობას და აკისრებს მას სრულ პასუხისმგებლობას არსებობისთვის“ (სარტრი, 2006:28). და იგი პასუხისმგებელია არა მხოლოდ საკუთარ თავზე, არამედ ყველა ადამიანზე. როცა ვირჩევ ასეთად და არა სხვაგვარად ყოფნას, „ჩემი საქციელი ეძღვნება მთელ კაცობრიობას. ამრიგად, მე პასუხისმგებელი ვარ საკუთარ თავზე და ყველაზე; მე ვქმნი ადამიანის გარკვეულ ხატს, რომელსაც ვირჩევ, ვირჩევ რა საკუთარ თავს, მევირჩევ ადამიანს საერთოდ“ (სარტრი, 2006:29).

გამოდის, ექსისტენციალიზმში სწორად ხედავდნენ შიშის მიზეზს: თავისუფლება აქ გაიგივებულია პასუხისმგებლობასთან. ეს მოძღვრება პირდაპირ ავალდებულებს ადამიანს იყოს თავისუფალი და შემდეგ პასუხი აგოს იმაზე, რაც ამ თავისუფლებაში ჩაიდინა. იგი გადაგდებულია სამყაროში და მისჯილი აქვს საკუთარი თავის ბატონ-პატრონობა სრულ სიმარტოვეში.

ექსისტენციალიზმის ათეისტური ფრთის წარმომადგენლები (სარტრი, კამიუ, ჰაიდეგერი) აცხადებენ რომ ღმერთი არ არის, მაგრამ წუხან მისი არარსებობის გამო, ვინაიდან თუ ღმერთი არ არსებობს, აღარც დასაყრდენი არსებობს სამყაროში. დოსტოევსკი რომ მოვიშველიოთ, თუ არ არის ღმერთი, მაშინ ყველაფერი ნებადართულია.

ექსისტენციალიზმი არ სცნობს თავის მართლებას. თუ სხვა მიმართულების მწერლები საკუთარ გმირებს ბრალეულობას უმსუბუქებენ თანდაყოლილი თვისებებითა და გარემოებებით, „ეგზისტენციალისტი აღწერს რა მშიშარას, გულისხმობს, რომ ეს მშიშარა პასუხისმგებელია საკუთარ შიშზე. ის მშიშარაა არა იმიტომ, რომ მას მშიშარა გული, ფილტვები ან ტვინი აქვს, ანდა თავისი ფიზიოლოგიური ორგანიზაციის შედეგად, არამედ იმიტომ, რომ თვითონ აქცია თავისი თავი მშიშრად თავისი ქცევებით“ (სარტრი, 2006:44).

საბოლოოდ სარტრი ასკვნის, რომ, დიახ, ექსისტენციალიზმი ადამიანს უდიდეს პასუხისმგებლობას აკისრებს, მაგრამ ამავდროულად აძლევს სრულ თავისუფლებასაც. მას შეუძლია აირჩიოს ისეთი ყოფა, როგორიც თავად სურს. ამასთან, ამ მოძღვრებით, ადამიანს არ ჰყავს არავითარი სხვა კანონმდებელი გარდა საკუთარი თავისა. ის თავად განკარგავს საკუთარ ბედს „გადაგდებულობაში“.

ალბერ კამიუ. „სიზიფის მითის“ შესავალში ა. კამიუ წერს, რომ ეს არის სულიერი ტკივილის უბრალო აღწერა და იქვე ამატებს: „მხოლოდ ერთი მნიშვნელოვანი ფილოსოფიური პრობლემა არსებობს: თვითმკვლელობა. გადაწყვიტო, ეს ცხოვრება ღირს თუ არა იმად, რომ ბოლომდე გალიო, იგივეა, რაც ძირითად ფილოსოფიურ კითხვას გასცე პასუხი“ (კამიუ, 2017:11).

კამიუ ადასტურებს ცხოვრების აბსურდულობას, მაგრამ საპირისპირო დასკვნა გამოაქვს __ რომ თვითმკვლელობა დაუშვებელია. მწერალი და ფილოსოფოსი რეალობის მიღების, მასთან პირისპირ დადგომის მომხრეა. კამიუ მზადაა, ყოველგვარი გარე საყრდენის (ღმერთი, სულის უკვდავება) გარეშე თვალი გაუსწოროს ცხოვრებისგან შეთავაზებულ აბსურდს და მხოლოდ მისი აღიარების შემდეგ დაიწყოს გამოსავლის ძიება. აბსურდი პირველ რიგში ამბოხებას იმსახურებს და ხშირად ეს ამბოხება თვითმკვლელობად ესახებათ. მაგრამ ა. კამიუ ამის საპირისპიროდ განმარტავს, რომ „თვითმკვლელობა ამბოხება კი არაა, არამედ სწორედ __ შერიგება, დათმობა და დანებება. აბსურდს სიკვდილის გარდაუვალობა ქმნის და ამიტომაც აბსურდის წინააღმდეგ ამბოხება სიკვდილის წინააღმდეგ გაბრძოლებას მოასწავებს; ხოლო თვითმკვლელი კი არ ებრძვის სიკვდილს, არამედ ნებდება და უთმობს მას. აბსურდის წინააღმდეგ ჭეშმარიტი ამბოხება, თვითმკვლელობის, ანუ ცხოვრების ნებაყოფლობითი აღკვეთის ნაცვლად, ცხოვრების განგრძობაა“ (კაკაბაძე, 2012:276).

აბსურდის არსი ფილოსოფოსს შემდეგნაირად ესმის: ეს არის პირველ რიგში, გათიშვა, შეუსაბამობა ადამიანის მარადიულობისკენ სწრაფვასა და მისი არსებობის სასრულობას, მის „ფაციფუცსა“ და მისი ძალისხმევის ამაოებას შორის. სწორედ აქედან გამომდინარეობს თვითმკვლელობის სურვილი, მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, კამიუ სხვა გამოსავალს გვთავაზობს.

აბსურდის ადამიანმა წინასწარ იცის, რომ მისი ყოველი მცდელობა მარცხით დასრულდება. ამის სიმბოლური გამოხატულებაა სიზიფის მითი, სადაც სიზიფეს დაუღალავად, შეუდრეკლად ააქვს უზარმაზარი ლოდი მთაზე, დაუგორებენ და ისევ თავიდან იწყებს.

„სიზიფის მითი იმით არის ტრაგიკული, რომ მის გმირს გაცნობიერების უნარი აქვს. რა ფასი ექნებოდა მის წამებას, ყოველ ნაბიჯზე თუ წარმატების იმედით აღივსებოდა? დღევანდელ მუშასაც ხომ იგივე ჯაფა ადგას ყოველდღიურად და მისი ბედი ნაკლებად ტრაგიკული როდია, მაგრამ იგი ტრაგიკული იმ იშვიათ წამებშია, როდესაც თავის ყოფას აცნობიერებს“ (კამიუ, 2017:192).

აბსურდის სრული აღიარება იმაში გამოიხატება, რომ ადამიანი უარს ამბობს საზოგადოების თამაშის წესების მიღებაზე, აღარ ინიღბება, აღარ ცდილობს მოერგოს დეკორაციას და ხდება უცხო. სწორედ ასეთია კამიუს ამავე დასახელების რომანის მთავარი პერსონაჟი, მერსო. თუმცა მერსო არ მიიჩნევს თავს სხვებისგან განსხვავებულად. მან იცის, რომ ისინიც მისნაირები არიან, უბრალოდ ჯერაც მორჩილად თამაშობენ დაკისრებულ როლს და თავს ირწმუნებენ დეკორაციის ნამდვილობაში.

კამიუს უცხო გაუცხოვებულია სამყაროსთან, ადამიანებთან და საკუთარ თავთან. სარტრი უცოდველს უწოდებს მერსოს, რადგან ის აბსურდის ადამიანია, სამყაროში ჩაგდებული მეამბოხე, რომელსაც არაფერი აქვს დასამტკიცებელი.

„უცხო, რომლის დახატვაც მას [კამიუს _ ნ.ნ.] სურს, ერთ-ერთი იმ საშინელ უცოდველთაგანია, რომელიც დაბრკოლებად ეღობება საზოგადოებას, რადგან უარს ამბობს საზოგადოების მიერ შემოღებულ წეს-ჩვეულებებზე. ის უცხოთა შორის ცხოვრობს და თვითონაც უცხოა“ (სარტრი, 1993:34).

„უცხო“ ის წიგნი არ არის, რომელიც რაიმეს განმარტავს, __ წერს ჟ. პ. სარტრი და ძალიან საინტერესო მაგალითი მოჰყავს __ წარმოიდგინეთ, რომ კაცი საუბრობს ტელეფონით, შუშის ტიხარს აქეთ მისი ხმა არ გვესმის, მხოლოდ მიმიკებზე დაკვირვება შეგვიძლია. საკმარისია კარი გამოვაღოთ, ტელეფონი ყურთან მივიტანოთ და ყველაფერი გასაგები გახდება, უაზრო მოძრაობებსა და სახის გამომეტყველებას აზრი მაშინვე მიეცემა. ა. კამიუ შუშის ტიხარს სხვამს პერსონაჟებსა და მკითხველს შორის. შუშა მნიშვნელობას ართმევს ჟესტს. „უცხოს“ ცნობიერება მართლაც გამჭირვალეა: ვხედავთ ყველაფერს, რაც მასში აირეკლება. ოღონდ ის გამჭირვალეა საგნებისთვის, მნიშვნელობისათვის კი დაბინდული“ (სარტრი, 1993:54).

4.2. ექსისტენციალიზმის უმთავრესი ცნებები და დებულებები

ექსისტენციალიზმის უმთავრესი ცნებები და დებულებები შემდეგნაირად შეიძლება გადმოიცეს:

„არსებობა წინ უსწრებს არსებას" __ გულისხმობს, რომ ადამიანი არ არის ადამიანობის იდეის გამნხორციელება, არამედ ჯერ იბადება და შემდეგ ძერწავს საკუთარ თავს და ძერწავს ისეთად, როგორადაც მას სურს გახდომა.

თავისუფლება უდრის პასუხისმგებლობას __ ადამიანის თავისუფლების მტკიცება ექსისტენციალიზმის ძირითადი დებულებაა. მაგრამ თუ ვამბობთ, რომ პიროვნება თავისუფალია, იგი პასუხისმგებელიცაა თავის ყოველ ქმედებაზე. ამ მიმდინარეობაში არ სცნობენ თავის მართლებას. რადგან არჩევანი ყოველთვის არსებობს და ადამიანს შეუძლია სხვაგვარად მოიქცეს.

ჰეგელისეული ფილოსოფიით, ადამიანის ბედი წინასწარ იყო განსაზღვრული აბსოლუტური გონის მიერ. ექსისტენციალისტები ამ დებულებას დაუპირისპირდნენ განსაკუთრებით. ისინი ადამიანის არჩევანის უფლებასა და თავისუფლებას ამტკიცებენ. ადამიანს აქვს უნარი, არ დაეთანხმოს თავისი სოციუმის მოცემულ სტრუქტურას, არ დაექვემდებაროს მის მოთხოვნებს და ცხოვრების გზა მის საპირისპიროდ, მის წინააღმდეგ აირჩიოს. უპირატესად სწორედ ამაში გამოიხატება ადამიანის თავისუფლება.

„რა პირობებშიც არ უნდა მოხვდე, სულერთია, შენ სხვაგვარად შეგიძლია მოიქცე, ამიტომაც როგორც იქცევი, ეს შენი და მხოლოდ შენი ბრალია, ამის გამო შენ და მხოლოდ შენ ხარ პასუხისმგებელი და ვერაფერი ვერ გაგამართლებს, თუკი ადამიანისთვის შეუფერებლად იქცევი" (კაკაბაძე, 2012:230).

ზ. კაკაბაძე ექსისტენციალიზმის ფილოსოფიური მიმდინარეობის განხილვისას ასკვნის, რომ ადამიანი ან იმისთვის იყენებს მინიჭებულ თავისუფლებას, რომ არჩევანი თავად გააკეთოს, ან იმისთვის, რომ ეს არჩევანის უფლება სხვას გადააბაროს. მკვლევარი საუბრობს man-ის დიქტატურაზე (პრობლემას განსაკუთრებული

სიმწვავით მ. ჰაიდეგერი აშუქებს). ეს გახლავთ საზოგადოდ გავრცელებული აზრები, ნორმები, რომელსაც ჩვენს გონებასა და ქმედებებს ვუქვემდებარებთ, რადგან საკუთარი აზრის ქონის უნარი არ გაგვაჩნია.

„ასე ვცხოვრობთ ჩვენ ყოველდღიურად მან-ის ხელმძღვანელობით, არსებითად საკუთარი ფიქრისა და აზროვნების გარეშე, გულდაჯერებულნი, რომ საიმედო ხელში ვართ. მაგრამ ზოგჯერ ხდება ხოლმე ისე, რომ ჩვენს გულდაჯერებას ერთბაშად ბზარი უჩნდება და სრულიად მოულოდნელად თავისებური არაჩვეულებრივი ხასიათის შიშის გრძნობა გვეწვევა“ (კაკაბაძე, 2012:232). მან-ის დიქტატურის ქვეშ ყოფნა არყოფნასთან იგივდება. ზოგჯერ, სწორედ მაშინ, როცა ის სულისშემძვრელი შიში მიაკითხავს კაცს არყოფნისა და არარაობისა, როცა სამყარო მის წინაშე შიშვლდება და ნამდვილ სახეს იღებს, ადამიანთა აბსოლუტური უმრავლესობა ვერ ახერხებს მისთვის თვალის გასწორებას და საკუთარი ცხოვრების სადავეების ხელში აღებას, არამედ ისევ ჩვეულ ყოფას (რომელიც არც არის ყოფა) უბრუნდებიან და მასშივე რჩებიან.

ექსისტენციალური შიში __ როგორც უკვე ვახსენეთ, ყოველდღიურობაში ჩაძირული ადამიანი შეიძლება გამოფხიზლდეს, მის წინ სამყარო გაშიშვლდეს და დაინახოს სიცოცხლის სრული აბსურდულობა, ამ დროს მას ეუფლება შიში თავისი არსებობის უაზრობის გამო.

გაუცხოება __ გამოფხიზლებული ადამიანი უუცხოვდება გარემოს, რომელშიც ჯერ ისევ მორჩილად სჯერათ, რომ ცხოვრება მშვენიერი და შედეგიანია.

გადაგდებულობა/მიტოვებულობა __ ეს ტერმინი მარტინ ჰაიდეგერს ეკუთვნის და გულისხმობს ადამიანის მიუსაფრობას, სრულ მარტოობას. თითქოს ვიღაცამ გადააგდო თვალუწვდენელ სამყაროში და თავისუფლება მიუსაჯა. მიუსაჯაო, იმიტომ ვამბობთ, რომ ადამიანი დაბადების წამიდან პასუხს აგებს ყველაფერზე, რასაც სჩადის.

აბსურდი __ ყოფის აბსურდულობას ქმნის ადამიანის მისწრაფება მარადიულობისკენ და მისი სიცოცხლის სასრულობა, სიკვდილის გარდაუვლობა.

რწმენა __ ამ ფილოსოფიური მიმდინარეობის წარმომადგენლებში ორი ჯგუფი გამოიყოფა, თეისტი და ათეისტი ექსისტენციალისტებისა. პირველებს (მაგ., იასპერსი)

სწამთ ღმერთის არსებობა და, შესაბამისად, ადამიანის ბედის გარკვეული დოზით განსაზღვრულობა. მეორენი (მაგ., ჰაიდეგერი, სარტრი, კამიუ) კი ამტკიცებენ, რომ ადამიანს საკუთარი თავის გარდა არავინ და არაფერი აბადია და რომ მან თავად უნდა შექმნას ღირებულებები, თავად იპოვოს ცხოვრების გზა და საზრისი.

ყოფნა-არყოფნა __ ა. კამიუს თქმით, მხოლოდ ერთი ფილოსოფიური პრობლემა არსებობს: გადაწყვიტო, ეს ცხოვრება ღირს თუ არა ბოლომდე მისაყვანად. ადამიანი, რომელმაც შეიცნო ყოფის აბსურდულობა, გამოსავლად ხშირად თვითმკვლელობას სახავს. თუმცა მწერლისავე მტკიცებით, აბსურდს სიკვდილის გარდაუვლობა ქმნის და თვითმკვლელობა მის წინააღმდეგ ამბოხი კი არა __ დანებებაა.

ყოფნა კვალის დასატოვებლად. მარადისობაში გასვლის სურვილი __ ექსისტენციალისტები გამოყოფენ ყოფნის შესაძლებლობის ორ სახეს: სასრული და უსასრულო. ადამიანს შეუძლია, აირჩიოს პირველი, სასრული ყოფნა (ე. ი. ყოფნა ბიოლოგიური ცოცხალი ორგანიზმის სახით) და მასზე ზრუნვაში გალიოს ცხოვრება, მაგრამ ასევე შეუძლია არ იკმაროს ამგვარი ყოფნა და მარადიულობისკენ მიმართოს თავისი ძალები. ცხოვრება კი იმას შეალიოს, რომ ამ მარად ყოფნის შესაძლებლობა დაიმსახუროს.

ექსისტენციალიზმის ზოგიერთი წარმომადგენელი (მაგ., კამიუ) ამგვარ მისწრაფებებს კვლავ თავის მოტყუების მცდელობას, გარე საყრდენის ძებნას უწოდებს. მას მიაჩნია, რომ ადამიანმა თვალი უნდა გაუსწოროს ცხოვრების სრულ უაზრობას და მაინც გაიკვლიოს გზა ამ აბსურდში.

4.3. ექსისტენციალური ტენდენციები გოდერძი ჩოხელის შემოქმედებაში

XX საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისში ჩვენი ქვეყნის იძულებითი გასაბჭოება მოხდა. ტოტალიტარული რეჟიმი ნელ-ნელა ამკაცრებდა დამოკიდებულებას ქართველ შემოქმედებთან, 30-იანი წლებიდან კი ხელოვნება სრულიად დაუქვემდებარა სახელმწიფოს ინტერესებს. შემოქმედი ადამიანები სიკვდილის საფრთხის წინაშე აღმოჩნდნენ, შესაბამისად, ვეღარც დასავლეთისკენ გაიხედავდნენ და ვეღარც წარსულისკენ. ტოტალიტარიზმის სამსახურში უნდა ჩამდგარიყვნენ სიცოცხლის შესანარჩუნებლად.

„გასული საუკუნის 30-იანი წლების ბოლოსთვის, ხელისუფლების მიერ ჩატარებული დიდი „პოლიტიკური წმენდის“ შედეგად ქართული ლიტერატურა (ისევე როგორც სხვა საბჭოთა ქვეყნების ლიტერატურები) სრულიად იზოლირებული აღმოჩნდა საერთაშორისო ლიტერატურული პროცესისგან: ქართულმა მოდერნიზმმა და ავანგარდმა შეწყვიტეს არსებობა; ქართულმა მწერლობამ ვერ მოასწრო სრულყოფილად გადანაცვლება ექსისტენციალიზმისა და „ცნობიერების ნაკადის“ მწერლობის სიბრტყეზე; ახალმა, საბჭოთა ლიტერატურულმა კანონმა ჩაანაცვლა უნივერსალური კანონი და ქართული ლიტერატურა დისტანცირდა საერთაშორისო ლიტერატურულ სივრცესთან“ (რატიანი, 2016:175).

ლიტერატურის გამოცოცხლება შეინიშნება ე. წ. „ოტტეპელის“ პერიოდში. თითქოს ქართულმა მწერლობამ იქიდან განაგრძო არსებობა, სადაც ძალით შეაწყვეტინეს. განსაკუთრებით მძლავრად იჩენს თავს ექსისტენციალური ტენდენციები. „ამ პერიოდის პროზის მთავარი თემატური მარკერი ეგზისტენციალური პრობლემატიკა და სამყაროში მარტოდ დარჩენილი ადამიანის ტრაგიკული ბედია: ადამიანი ზნეობრივად დაეცა, ღმერთმა მიატოვა და სოციუმისაგანაც უღვთოდ გაიწირა“ (ნემსაძე, 2014:119). თუმცა, ი. რატიანის დაკვირვებით, ექსისტენციალური ტენდენციები ჩვენს ლიტერატურულ ტექსტებში

მანამდეც შეინიშნება. მაგალითად, მიხეილ ჯავახიშვილი „ჯაყოს ხიზნებში“ თეიმურაზის სახით საკუთარი თავის მაძიებელ პერსონაჟს ხატავს.

70-80-იანი წლების გზაგასაყარზე ძველი თაობის უკვე სახელოვან მწერლებს (ოთარ და თამაზ ჭილაძეები, ნოდარ დუმბაძე, ჭაბუა ამირეჯიბი, ოტია იოსელიანი, ჯემალ ქარჩხაძე, გურამ დოჩანაშვილი) ახალი თაობა ემატება, მათ შორისაა გოდერძი ჩოხელი.

ამ პერიოდის ქართულ მწერლობას თ. ციციშვილი და ი. მოდებაძე „ფერისცვალების მოლოდინს“ უწოდებენ.

„ეგზისტენციალური მოტივები დამკვიდრდა ბევრი ახალგაზრდა ქართველი მწერლის ტექსტებში. ისინი ახალი მხატვრული სისტემის ჩამოყალიბების პროცესში ცდილობენ მყარი საყრდენის პოვნას __ სკეპტიციზმის, ესკაპიზმის, გაუცხოების, მოძველებული ფასეულობებისა და რაციონალური შეცნობის შეუძლებლობის ფონზე. ამ პერიოდში მეტად აქტუალურია ადამიანის ფსიქიკის გაორების პრობლემა, „პიროვნებას ვერ გაუგეს“, მუდმივი შინაგანი კონფლიქტი, ანტაგონიზმი და დაძაბულობა, ჭარბი ემოციები, დარღვეულია პიროვნული წონასწორობა. ეს ის „სასაზღვრო სიტუაციაა“, როდესაც კონფლიქტის მიზეზი თავად ადამიანშია, რომელიც აცნობიერებს „ყოველდღიურობის აბსურდულობას“. ადამიანი საკუთარ თავს კონკრეტულ სიტუაციაში აღიქვამს, როგორც „მიტოვებულს“ და მისი ნების გარეშე „ჩასმულს“ გარკვეულ ჩარჩოში, ის უშედეგოდ ცდილობს ამ ვითარებიდან თავის დაღწევას“ (ციციშვილი, მოდებაძე, 2016:230).

მკვლევარმა გიორგი ხორბალაძემ 2013 წელს დაიცვა დისერტაცია, თემაზე „გოდერძი ჩოხელის შემოქმედების ძირითადი ტენდენციები“, ხოლო 2015 წელს ნაშრომი წიგნად გამოიცა სათაურით „იების სევდა“. გ. ხორბალაძე დისერტაციის ერთ ნაწილში ცდილობს პოსტმოდერნისტული ტენდენციები იპოვოს გოდერძი ჩოხელის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში. ამ მიზნით განიხილავს რამდენიმე ნაწარმოებს: „მგელი“, „სულეთის კიდეობანი“ და „მიჯაჭვული რაინდები“. ჩვენ არ ვიზიარებთ მკვლევრის პოზიციას. მიგვაჩნია, რომ პოსტმოდერნიზმის ნიშნები გ. ხორბალაძის

მიერ განხილული თხზულებებიდან მხოლოდ ბოლო ერთ მოთხრობაში შეიძლება დავინახოთ, რაც არასაკმარის არგუმენტად მიგვაჩნია, მწერლის რომელიმე მიმდინარეობისთვის მისაკუთვნებლად.

ხორბალაძისგან განსხვავებულ აზრს გამოთქვამს პროფ. ირმა რატიანი: „სტილის უაღრესი თავისთავადობით გამოირჩევა აწ უკვე გარდაცვლილი შესანიშნავი მწერლის, სცენარისტისა და რეჟისორის, გოდერძი ჩოხელის შემოქმედება. მის წიგნებში „ბინდისფერი ხეობა“, „ადამიანთა სევდა“, „მგელი“ თუ სხვა __ რეალობა მუდმივად არსებობს ქართული მითოლოგიური არქეტიპებისა და სამყაროს ილუზორულობის განცდის საზღვარზე. მისი ტექსტები გაჟღენთილია ექსისტენციალური კითხვებით, მთელ რიგ მოთხრობებში კი სამყაროს დარღვეული ჰარმონიისა და ადამიანის ტანჯვის აბსურდულ განცდამდე მისული ტკივილი იკითხება. გოდერძი ჩოხელის პროზაში, ისევე როგორც ამ ეპოქის მთელ ქართულ მწერლობაში, უმწვავესად იგრძნობა რეალობის ტრაგიკული განცდა, ზნეობრივი ღირებულებებისა და საყრდენების ძიების გარდაუვალი აუცილებლობა __ სამწუხაროდ, ხშირად უშედეგო...“ (რატიანი, 2018:198).

სადისერტაციო ნაშრომის მოცემულ თავში შევეცადეთ წარმოგვეჩინა გოდერძი ჩოხელის ლიტერატურული მემკვიდრეობის მიმართებები ექსისტენციალიზმთან.

„ _ თქვენს ყველა ნაწარმოებში სიკვდილი ფიგურირებს.

_ ...რატომ იცი? სიბრალული მინდა გავუჩინო ადამიანებს. სიკვდილი ხომ საბოლოოდ გიკარგავს ახლობელს _ მორჩა, წავიდა, აღარ მობრუნდება. ეს დაგაფიქრებს ცოცხლად დარჩენილს. ყოველ შემთხვევაში, უნდა დაგაფიქროს. ადამიანები სიკვდილის შვილები ვართ. მოდი რა, ერთმანეთს გულს კი ნუ ვატკენთ, სანამ ცოცხლები ვართ ერთმანეთს გავუფრთხილდეთ და მოვეფეროთ, თორემ სიკვდილი აგერ აქ არის, მგელივით წამოგვარდება და მერე იყო და არა იყო რა“ (ჩოხელი, 2012:55).

“აღმართი”. ყოფნა-არყოფნის თემას განიხილავს გოდერძი ჩოხელი მოთხრობაში „აღმართი“.

ნაწარმოების მთავარ პერსონაჟს, თორღვა თამნიაურს, რამდენი შვილიც გაუჩნდა, იმდენი დაეღუპა. შეწუხდა კაცი, მკითხავს დაეკითხა და მისი რჩევით, ახალშობილი შვილის შეწირვა გადაწყვიტა, რათა შემდეგი მაინც გადაერჩინა. გამოუვიდა კიდეც, გაეზარდა ქალიშვილი, მაგრამ გაიგო თუ არა, რამხელა მსხვერპლი დასჭირდა მის სიცოცხლეს, თავი მოიკლა გოგონამ. მოთხრობის ბოლოს სასოწარკვეთილი მამა აღმართზე დგას და გადაწყვეტილება ვერ მიუღია:

„წადი, გააგრძელე შენი დარჩენილი წუთისოფელი...“

„მთაზე ადი და შენც იქ დაასრულე ყველაფერი, სადაც ნინომ დაასრულა...“

„წადი ქვემოთ...“

„მთაზე-მეთქი!..“

„წადი...“

„არ წახვიდე...“

ხან ზემოთ გადადგა ნაბიჯი, ხან __ ქვემოთ. მზე საშინელი ხრიალით ჩადიოდა ჩასავალში...

ლასლასით აედევნა სოფლისკენ მიმავალ ხალხს თორღვაი.

სხეული ეკვეთებოდა, მაგრამ სული მაინც სოფლისაკენ ეწეოდა.

გამრავლებისა და ადამიანად ყოფნის სურვილი უხილავი ძაფით თითქოს მისდაუნებურად მიითრევდა წუთისოფლისაკენ“ (ჩოხელი, 2013:489).

ექსისტენციალიზმის ძირითად მახასიათებლებზე საუბრისას ზ. კაკაბაძე აბსურდის თემაზე აჩერებს ყურადღებას და ასკვნის: ცხოვრების უსაზრისობის ანუ აბსურდულობის გაცნობიერების ლოგიკური შედეგია თვითმკვლელობა. აბსურდის დაძლევისა და გადალახვის ერთადერთ გზად ექსისტენციალისტთა ნაწილს თვითმკვლელობა მიაჩნია. თუმცა ა. კამიუს, პირიქით, სწორედ თვითმკვლელობა ესახებოდა აბსურდთან შერიგებად. გოდერძი ჩოხელის პასუხი ნათელია __ ის ყოფნას ირჩევს. ხოლო თუ რატომ და რისთვის, ქვემოთ უკეთ დავინახავთ.

“თევზის წერილები”. ყოველდღიურობიდან გამოფხიზლების, გაუცხოების, ცხოვრების საზრისის ძიების მოტივები იკითხება გ. ჩოხელის ერთ-ერთი გამორჩეული

მოთხრობაში "თევზის წერილები".

კამიუ წერს: „კაცი იმით უფრო კაცობს, რასაც არ ამბობს, ვიდრე იმით, რასაც ამბობს“. სარტრი კი მის სიტყვებს შემდეგნაირად ეხმაურება: „უცხოში“ გადაწყვიტა ბ-ნმა კამიუმ გაჩუმებულიყო“ (სარტრი, 1993:48). „თევზის წერილებით“ გოდერძი ჩოხელმა უხმოდ იყვირა.

სანამ უშუალოდ განხილვაზე გადავიდოდეთ, ჯერ ნაწარმოების სიუჟეტს გავეცნოთ: გამიხარდაი, მთავარი გმირი, ბრიგადირის უსამართლობაზე გაბრაზდება და გადაწყვეტს, ხელი აიღოს ადამიანობაზე. ჩადგება წყალში და ყურს აღარავის უგდებს, აღარ ბრუნდება ნაპირზე. ბევრს ეცდება სოფელი, მაგრამ რომ ვერაფერს გახდება, ძველ წესს გაიხსენებს და მოიკვეთს ურჩ მოთემეს. მოთხრობის ბოლოს არაგვი დიდდება და გამიხარდა თან მიჰყავს. ხალხი მაინც ვერ შეინარჩუნებს გულგრილობას და წყალწაღებული თანასოფლელის დასაბრუნებლად გაეკიდება აბობოქრებულ მდინარეს. ერთი შეხედვით, სად ეს მოთხრობა და სად ექსისტენციალიზმი. მაგრამ თუ დავაკვირდებით აქაც იმავე საკითხს სვამს მწერალი: ღირს კი ცხოვრება? უფრო ზუსტად __ ადამიანად ყოფნა.

ნაწარმოებში ასახულია რიგი ადამიანური მანკიერებებისა: უსამართლობა, ძალმომრეობა, გაუტანლობა. გამიხარდაი სახეა აბსურდული რეალობიდან გამოფხიზლებული ადამიანისა. პერსონაჟის წინაშე „სამყარო გაშიშვლდა“ და ის უკვე აღარ არის თანახმა მიიღოს თამაშის წესები. ღირსებაშელახული (და ამის გამო, ამით გამოფხიზლებული) კაცი ამბოხის თავისებურ ფორმას ირჩევს __ წყალში ჩადგება და თევზობას დაიჩემებს. შემდეგ ჩოხელი ერთ-ერთ ინტერვიუში იტყვის, შეიძლება, თევზობაში ის ვიგულისხმე, რომ კაცს წყალი აქვსო პირში ჩაგუბებული (ჩოხელი, 2012 :63).

„ადგომა, ტრამვაი, ოთხსაათიანი სამუშაო დღე დაწესებულებაში ან ქარხანაში, სადილი, ძილი და ორშაბათი, სამშაბათი, ოთხშაბათი, ხუთშაბათი, პარასკევი, შაბათი ერთი და იგივე რიტმით...“ და მერე უცებ „დეკორაციები ინგრევა“, ჩვენ გვეუფლება უსასოო გონების სინათლე. [...] „უეცრად, ილუზიებისაგან და სინათლისაგან

განძარცვულ სამყაროში ადამიანი უცხოდ იგრძნობს თავს. მისი ლტოლვილობა უნუგეშოა, რადგან არ ახლავს არც მოგონებები დაკარგულ სამშობლოზე, არც იმედი აღთქმული ქვეყნისა“ (სარტრი, 1993:31).

გამიხარდაი გაუუცხოვდა გარემოს. იგი აღარ ეკუთვნის იმ საზოგადოებას, რომლის ნაწილადაც აქამდე მიიჩნევდა თავს.

ავტორი მიმოწერას მართავს თევზადქცეულ ადამიანსა და მთხრობელს შორის.

გამიხარდაი:

"დღეის მერე მე ხალხთან საქმე არა მაქვს. მე აღარა მსურს ადამიანად ყოფნა იქ, სადაც არც სიმართლე გადის არც შრომა ფასდება და კაცს კაცად არ გთვლიან. მე მიყვარდა ადამიანები, მაგრამ აღარ მიყვარან. აღარ მიყვარან იმიტომ, რომ აღარა ვარ ადამიანი... დღიდან თევზი ვარ და თქვენთან საერთო აღარაფერი მაქვს!

ადამიანები ერთიმეორეს სჭამთ მიწაზე. მერე როგორ გიყვართ ადამიანად ყოფნა! აბა ვინმემ გითხრათ ადამიანი არ ხარო, შეაკვდებით იმ წუთში.

სულს უფლება აქვს აირჩიოს ის, რაც მას სურს. მე თევზად ყოფნა მსურს" (ჩოხელი, 2010:162-163). ექსისტენციალიზმის ძირითადი დებულება ადამიანის თავისუფლების მტკიცებაა. თავისუფლება კი პირდაპირ გულისხმობს არჩევანის უფლებას. მე ვირჩევ, ესე იგი თავისუფალი ვარ.

მთხრობელი:

"ადამიანებს ვერ დაივიწყებ... შენს სულს ყოველთვის ემახსოვრება ადამიანური ცოდვა-მადლი. შენს სულს ყოველთვის ემახსოვრება მარტოობის ტკბილი სევდა. შენს სულს ყოველთვის ემახსოვრება ღმერთი, რომელიც გწამდა და თუ არ გწამდა, მაინც გყავდა არსებაში. შენს სულს ყოველთვის ექნება შიში, არყოფნის შიში" (ჩოხელი, 2010: 166).

„გაუცხოება საერთოდ ადამიანის ისეთი მდგომარეობაა, რომელშიც ადამიანის საკუთარი ქმედება მის წინააღმდეგაა მიმართული. ადამიანი აკეთებს და აწარმოებს რაღაც ისეთს, რაც უპირისპირდება და აფერხებს მისი საკუთარი სიცოცხლის განხორციელებას“ (კაკაბაძე, 2012:6-7).

ეს განმარტება გაუცხოებისა ზუსტად ასახავს „თევზის წერილების“ მთავარი გმირის მდგომარეობას. მან იცის, რომ თავს დაიზიანებს, მაგრამ აღარც ხელახლა დაბრმავება შეუძლია გამოფხიზლების შემდეგ.

გამიხარდაი წყლიდან არ გამოსულა. სოფელი აიმღვრა, აიჯაგრა და თავადაც უარი თქვა ადამიან-თევზზე.

ამ ამბიდან ერთი კვირის თავზე ადიდებულმა არაგვმა სოფელს შეშა მოუტანა საჩუქრად. დაერივნენ ერთმანეთს ადამიანები. ეშურებოდნენ, ვინ მეტს წაიღებდა სახლში. თევზი კი შორიდან იყურებოდა და იცინოდა. წერილიც მოსწერა მთხრობელს, შეხედე შენს ადამიანებსო. აღწერილი მონაკვეთით ჩოხელი თითქოს განგებ ცდილობს ადამიანების მანკიერებების გაზვიადებულად წარმოჩენას. უფრო მეტ გამართლებას უძებნის გამიხარდაის გადაწყვეტილებას. მართლაც, რისთვისღა უნდა მობრუნდეს ამ საგიჟეთში, ერთხელ ძლივს გაცილებული კაცი?! პასუხი მოთხრობის ბოლო სამ სტრიქონზე იკითხება. თუმცა ჯერ შეშაც წყალმა უნდა წაიღოს და გამიხარდაიც. ხოლო წინა დღეს ნაჩხუბარი ხალხი უბედურებამ ისევ ერთ მუშტად უნდა შეკრას და მდინარეს გააკიდოს.

„ისე გულსაკლავად მისდევდა ეს შავოსანი ხალხი აბობოქრებულ არაგვს, რომ უნებურად გავიფიქრე: "ღირს! ღირს!" და მეც იმათ გავყევი უკან" (ჩოხელი, 2013:218).

ნ. ჩხაიძე-აბესაძე მკაცრად აფასებს „თევზის წერილების“ მთავარი პერსონაჟის ქმედებას. მისი აზრით, გამიხარდაის გული სათანადოდ არ იყო ქრისტიანული მიმტევებლობითა და სიყვარულით ამაღლებული. მკვლევარი ამტკიცებს, რომ მთავარი გმირი მთხრობელი ლუკასთვისაც უნებისყოფო პერსონაჟია, რადგან მას არ ჰყოფნის სულგრძელობა, რათა განსაცდელს გაუძლოს. „ადამიანი, რომელიც უფლის რწმენას გულით ატარებს, არამცთუ თავად განუტევებს, არამედ ძალითაც ვერავინ განარიდებს მის სულს ადამიანური სიყვარულის ბედნიერებას, ვერანაირი განსაცდელი ათქმევინებს უარს საკუთარ შვილებზე, ახლობლებზე“ (ჩხაიძე-აბესაძე, 2013:50).

გამოთქმულ მოსაზრებას ვერ დავეთანხმებით. მთხრობელი (ლუკა) ნაწარმოების არც ერთ მონაკვეთში არ ავლენს უარყოფით დამოკიდებულებას გამიხარდაის მიმართ, არსად განსჯის მას. გარდა ამისა, ბერ-მონაზვნებიც ხომ ტოვებენ შვილებსა და ახლობლებს, მაგრამ, არ გვგონია, ეს რწმენის ნაკლებობით მოსდიოდეთ.

თ. წოწორია მოთხრობის მთავარი გმირის სახელზე აჩერებს მკითხველის ყურადღებას და წერს, რომ გამიხარდა (გამიხარდი) შემთხვევით შერჩეული არ უნდა იყოს ავტორის მიერ:

„სინამდვილეში აბა რა გაახარებდა კაცს, რომელსაც წუთისოფელი გამწარებული ჰქონდა, მაგრამ მისი განდგომა, გარდასახვა, ფერისცვალება, რომელიც წყალში დედიშობილა შთაფვლით იწყება, სამაგალითო საფიქრალად იქცევა ადამიანთათვის. მღვრიე არაგვს გამიხარდაის სულიერად შობისა და განსაწმენდელის ფუნქცია ეკისრება! არაგვი იგივე იორდანეა!“ (წოწორია, 2012:147).

ჩვენ კი გვგონია, რომ გამიხარდაის სახელში ჩადებული სიხარული ავტორისაა, რომელსაც არაგვს გადევნებულმა ხალხმა აფიქრებინა, რომ ღირს სიცოცხლე.

“წერილი ნაძვებს”. ყოფნა-არყოფნის, კვალის დატოვების და ამ გზით მარადისობასთან ზიარების თემას ეხება მოთხრობა „წერილი ნაძვებს“. ბერი, ნაწარმოების მთავარი გმირი, ომში დაიჭრება და ჭრილობაში შემთხვევით ნაძვის მტვერი ჩაეყრება. შინ დაბრუნებულს ნაიარევზე ხე ამოუვა. გული აწუხებს ბერს, ავადმყოფობს. მაინც არ იკეთებს ნემსებს, არ ტყდება, ეშინია ნაძვი არ გაუხმეს. შვილივით უვლის ხეს, უშვილო კაცი. ხან ვის მიუგზავნიან, ხან ვის, რომ დაარწმუნონ წამლების მიღების აუცილებლობაში. სკოლის ახალი მასწავლებელი უსაყვედურებს კიდეც: „სიცოცხლეს საფრთხეში იგდებთ და იცით თუ არა, რომ ამით თქვენში მყოფ ღმერთს ჰკლავთ?!“ ბერი კი პასუხობს: „განა ეს ნაძვი ცოცხალი არ არის?!“(ჩოხელი, 2010:47).

ხსენებულ მონაკვეთში პერსონაჟის რელიგიური მსოფლმხედველობა იკითხება. ეს უკვე აღარ არის ადამიანის ეგოისტური რწმენა: "ღმერთი მხოლოდ ჩემში". ბერისთვის ღმერთი ყველგანაა. სხვაგან ამბობს კიდეც ადამიანი-ნაძვი: "ღმერთი? მე

მწამს ღმერთი, რადგან მწამს დედამიწა და რაკი ჩვენ ყველანი დედამიწის ნაწილი ვართ, ალბათ, დედამიწაც ასევე ღმერთის ნაწილია" (ჩოხელი, 2010:48).

ჰეგელისა და მისი მიმდევრების მიხედვით, ადამიანის ბედი წინასწარაა განსაზღვრული აბსოლუტური გონის მიერ (კაკაბაძე, 2012). ექსისტენციალისტები ყველაზე უფრო სწორედ ამ დებულებას დაუპირისპირდნენ. ისინი ადამიანის თავისუფლებასა და არჩევანის უფლებას ამტკიცებენ. „ხოლო მთავარი ისაა, რომ ადამიანს უნარი აქვს ყოფიერების უფრო ჭეშმარიტ გაგებას მიაღწიოს, ვინემ მოცემულ სოციალურ გარემოსა და „ორგანიზმში“ ხორცშესხმული გაგებაა, და, მაშასადამე, არ გაიზიაროს ეს უკანასკნელი; მას უნარი აქვს, არ დაეთანხმოს მოცემული სოციალური გარემოს სტრუქტურას, არ დაექვემდებაროს მისგან გამომდინარე მოთხოვნებს და ცხოვრების საკუთარი გზა სწორედ მათ მიუხედავად და მათს საპირისპიროდ აირჩიოს... ადამიანს ძალა შესწევს, „დინების წინააღმდეგ“ წავიდეს და ამაში გამოიხატება, უპირატესი აზრით, მისი თავისუფლება“ (კაკაბაძე, 2012:228). საზოგადოების მოთხოვნების მიუხედავად, ჩოხელის ბერი თავად ირჩევს, რა უყოს მისთვის ბოძებულ სიცოცხლეს, ამდენად, ის თავისუფალია.

პერსონაჟში ახალი სიცოცხლე იბადება და გმირი მას საკუთარზე მეტად უფრთხილდება. გამოსაჯანმრთელებლად ნაძვნარშიც კი მიჰყავს. ხე მართლაც გადარჩება: "უცებ აიყარა ტანი ნაძვმა. ბერი გულ-მკერდში გრძნობდა იმის ფესვებს... გრძნობდა, როგორ ელაპარაკებოდნენ ხეები ერთურთს. ბერი ახალ სამყაროს გრძნობდა, გრძნობადს და არა ხილვადს, უჩინარს, იდუმალებით მოცულს. ახლა იმის სხეულში ორი სული იდგა და ეს ორი სხვადასხვა სული ერთურთის შერწყმას ლამობდა. სხეულები კი ერთსახედ გადაქცევას ესწრაფოდნენ. ისინი სვამდნენ ურთიერთს და ერთ მთლიანს ავსებდნენ თანდათან" (ჩოხელი, 2010, გვ. 44).

შინ დაბრუნებული მთავარი გმირის ცოლი ბედს ურიგდება. ტყეში ქმართან ერთად დადის, რათა შემთხვევით ტანმა არ გადასძალოს და არ გადაიჩეხოს სადმე. ადამიანი-ნაძვის სიზმრებიც სხვაგვარი ხდება :

"ხან მეჩვენება, რომ ჰაერში დავფრინავ, მერე ქვემოთ ვეშვები, მიწის გულში

ჩავდივარ და იქ მისი გულის ბაგაბუგს ვისმენ.

სუნთქავს მიწა...

მიწის გულიდან რომ გამოვდივარ, ყველაფერი რაც კი მის ტანზე ხდება, მიწის სიზმარი მგონია.

ხან შორს მიმაფრენს და შორიდან ვუყურებ დედამიწას.

დედამიწას იქიდან სხვანაირს ვხედავ:

ცოცხალს!

შორიდან კარგად ჩანს, როგორ გამოდიან ათასნაირი სახეები მიწიდან და ისევ მიწას უერთდებიან...

ნეტავი ერთხელ ჩემს სიზმრებში ჩაგახედათ და განახათ, როგორი სახე აქვს იქ დედამიწას" (ჩოხელი, 2010:47-48).

ნაწარმოების ბოლოს ბერის ადამიანური ნაწილი კვდება და მის ნაცვლად ნაძვი აგრძელებს სიცოცხლეს. მთავარი გმირი ტყეში მიდის, წელამდე დგება მიწაში და ელოდება:

"უკანასკნელი, რაც ბერმა იგრძნო, ის იყო, თუ როგორ შეავსო ორმა სხეულმა ერთი მთლიანი და გახდა ერთსახე, რომელიც წვრილი ფესვებით საოცარი სისწრაფით ჩაებღაუჭა მიწას.

ხოლო პირველი, რაც ნაძვმა იგრძნო, ეს მზის ამოსვლა იყო" (ჩოხელი, 2010:49).

ნაწარმოებში ერთი საინტერესო ჩანართი გვხვდება: სოფლის დასაწყისში მოხუცი კაცი ცხოვრობს. სანამ ახალგაზრდა იყო ღმერთი არ სწამდა და იმიტომაც გამოერიდა სოფელს. მთელი სიცოცხლე უფლის გმობაში გაატარა, ახლა კი, როცა მოხუცდა დღენიადაგ ხელაპყრობით ევედრება უარყოფილ და კვლავ ნაწამებ ღმერთს:

"ჩამომეშველე, ზენაარო,

ეგ თალხი კალთა ჩამომაფარე.

ა, ეს თვალები დამიხუჭე,

ა, ეს ენა-პირი დამიდუმე,

ა, ეს მუხლები ჩამიშალე,

სული ნამგალივით გამიღუნე

და წამიყვანე!..

ამ სახის მიღმა გამიყვანე,

თორემ დავიღალე,

ამ ბნელ მღვიმეში ყოფნით დავიღალე" (ჩოხელი, 2013:47).

მაია წიკლაურის აზრით, ჩოხელისთვის ამქვეყნიური ცხოვრება უფერულია იმქვეყნიურ სამყაროსთან შედარებით. ნათქვამის გასამყარებლად, სწორედ ზემოთ მოყვანილ ლექსს იშველიებს მკვლევარი. ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ ეს ჩოხელის ზოგადი ხედვა არ უნდა იყოს. ერთ უსათაურო ლექსში ასე წერს პოეტი:

"თუ თამარ მეფეს, რუსთაველს და

კიდევ იმათ მაჩვენებ, ღმერთო,

ვინც ასე გულში ღრმად ჩამრჩენია __

წამოვალ, ჩქარა!

თუ არა და, დამაცადე,

შენ ხო ღმერთი ხარ,

აქ მირჩევნია!" (ჩოხელი, 2011:112).

ავტორი მოთხრობაში ჩართულ პოეტურ სიტყვებს ათქმევინებს ერთ ცოდვიან კაცს, რომელსაც ამქვეყნად აღარ დაედგომება. თუმცა არც საიქიოსთვის მოუგროვებია ამ ცხოვრებაში „ზეთი განუპარველი“ ლამპრის ასანთებად და სულისთვის გზის გასანათებლად. მოხუცის ლოცვაში გამოხატულია ტრაგედია ადამიანისა, რომლის ყოფნაც არსაით გრძელდება: არც ქმნულ სიკეთეში, არც შვილში, არც ვინმეს მახსოვრობაში. ბერს არ ემუქრება ამგვარი სასოწარკვეთა. იმიტომ, რომ უკვალოდ გაქრობა არ უწერია სიკვდილის შემდეგ. მოხუცმა შეიცნო ცხოვრების აბსურდულობა, სიცარიელე და ამქვეყნიური ყოფის ამაოება. და არც არაფერი აღმოაჩნდა ამ სიცარიელის ამოსავსებად, შიშისთვის წინააღმდეგობის გასაწევად. იგი ქვეყანას "ბნელ მღვიმეს" უწოდებს და აღარ სურს ამ ბნელ მღვიმეში დარჩენა. ვფიქრობთ, ამ პერსონაჟის ფუნქცია კონტრასტული სახის შექმნაა ნაწარმოებში. მკითხველმა

განსხვავება უნდა დაინახოს ორ გზას შორის: ბერისა (რომელიც გაგრძელდება. და სწორედ ამიტომ არც ცხოვრების უაზრობა აშინებს და არც ნაადრევი სიკვდილი) და მოხუცის (რომელმაც გამოიღვიძა, დაინახა „შიშველი სამყარო“ და შიშს ვერაფერი ააფარა, რადგან მის ყოფას გამართლება არ აქვს).

“დავიწყების მდინარე”. „დავიწყების მდინარე” კიდევ ერთი ძალიან საინტერესო ნაწარმოებია გ. ჩოხელისა.

მარტუა, ასეთი სახელი შეურჩია ავტორმა მოთხრობის მთავარ გმირს. მსხლის ნერგებს დაატარებს კაცი მთელ საქართველოში და ყიდის შვილებივით გაზრდილ პატარა ხეებს. მიიტანს, დარგავს, მოუვლის, გასამრჯელოდ კი, რამდენსაც გამოიმეტებენ, იმდენს იღებს. ხეიბარია მარტუა __ ხის ფეხი აქვს. ესეც ავტორისეული ჩანაფიქრი უნდა იყოს: ხე პერსონაჟის ნაწილია, პირდაპირი და არაპირდაპირი მნიშვნელობით, ხორცისაც და სულისაც.

მოქმედება ვითარდება გუდამაყრის ერთ მიყრუებულ სოფელში. მარტუა მთიელებს მიუტანს და დაურგავს მსხლის ნერგებს. ამასობაში ხალხში ხმა გავარდება, ტყეში ქვა ამოწეულა მიწიდან და თუ დაგორდა, დავიღუპებითო. მაშინ ხეების მრგველი სოფლის გადარჩენას საკუთარ თავზე აიღებს. მთელ დღეებს ტყეში ატარებს და ქვას ნელ-ნელა ამტვრევს. მერე ბოშები მოვლენ სოფელში და როგორც სჩვევიათ, ჭრელ კაბებს და ათას ტყუილს მოიტანენ. ცრუ-მკითხავებისგან დაბრიყვებულ და გაბოროტებულ ხალხს მარტუა შერჩებათ ხელში. ტყიდან გამოათრევენ და "დავიწყების მდინარეში" გადააგდებენ, ისედაც რამდენიმე დღის ნაშიმშილებს და დავიწყებულს.

ხედავს მწერალი, რომ უსამართლოა ცხოვრება, გვანახებს ჩვენც, და გვანახებს ყოველგვარი შელამაზების გარეშე: დაუნდობლობით, უმადურობითა და დაუნახაობით სავსეს. მაგრამ მისთვის მაინც ღირს. მართალია, მარტუა კვდება, მაგრამ კვალს ტოვებს, ესე იგი, აბსურდიდან მარადისობაში გადადის. მწერალი არც განსაკუთრებული ტრაგიზმით გვიხატავს მოცემულ ეპიზოდს. ზოგადად, ჩოხელის პერსონაჟები არ კვდებიან ისეთი სიკვდილით, რომ მკითხველიც თან ჩაიყოლონ.

რადგან ყოფნა და არყოფნა მისთვის ძალიან ახლოს დგას ერთმანეთთან. „ღმერთის შვილებში“ ისე ლაღად წერს: "კაცი სანამ ცოცხალია, არ მოკვდება, ხოლო თუ მოკვდა, მერე აბა რისიღა უნდა ეშინოდეს. სიკვდილის იქეთ ხომ უფრო დიდი სიცოცხლეა..." (ჩოხელი, 2010:109).

ასეთ მსოფლმხედველობას საუკუნეები აწრთობდა მთაში. როგორც ჩანს, ყველაფერი დანარჩენის მსგავსად, სიკვდილმაც მიჩვევა იცის. განსაკუთრებით, თუ სულ გვერდით მოგყვება. მთაში კი გამუდმებით ზღვარზე დადიან, სიკვდილსა და სიცოცხლეს შორის (დაკვირვებულ მკითხველს აქ ალბათ გრიგოლ რობაქიძის „ენგადი“ გაახსენდება, სადაც მწერალი წერს: "არავის ეშინია სისხლის დაღვრისა ისე, როგორც ხევსურს" (რობაქიძე, 2012:156). მაგრამ სისხლის დაღვრას სიკვდილის შიშზე მეტად სხვა რამის გამო უფრთხოდნენ: მკვლელს აუცილებლად მოეკითხებოდა დანაშაული მთის უმკაცრესი სამართლით).

მძიმე დასასრულის მიუხედავად, სულ ბოლოს ნაწარმოებში იმედი მაინც ენთება. მსხლების თეთრად აფეთქებულ ყვავილებში ანათებს ეს იმედი. და ანათბს ყოველ გაზაფხულზე. ნიშნად იმისა, რომ ქვეყნად არაფერი იკარგება, სიკეთე __ მითუმეტეს. და ყველაფრის ჯიბრზე და საპირისპიროდ: გაუტანლობის, ბოროტების, დაუნახაობის __ ღირს. კვალის, იმედისა და სიკეთის დასატოვებლად ღირს ყოფნა.

„დავიწყების მდინარეში“ მინდოდა ადამიანის ბუნება მეჩვენებინა. ქრისტე მოვიდა და გაალამაზა ადამიანების ცხოვრება. იმათ კიდევ ჯვარს აცვეს და მოინდომეს წარმართებად დარჩენა. ისეთი ბუნება გვაქვს ადამიანებს, ვერ ვიგუებთ ღვთისგან გამოგზავნილ სიკეთეს და სინათლეს და მაინცდამაინც სიბნელეში გვინდა ყოფნა. იგივე ხდება „ვარდისფერ კაცში“... ადამიანი ხშირად ვერ ეგუება მასზე უკეთესს. იმან რატომ გაგვილამაზა ცხოვრება, ჩვენ ვერ შევძელითო და მოკლეს ვარდისფერი კაცი. აქ უჩემოდ ვით იმღერეთას პრინციპია. მერე, როცა კვდება, ყველაფერი ისევ შავ-თეთრი ხდება და დაგლახავებულია ეს სოფელი“ (ჩოხელი, 2012:54-55).

ზურაბ კაკაბაძე წერს: „სახელდობრ, რა იჩენს თავს აბსურდის სახით? ის, რომ სამყარო, რომელშიც ვიმყოფებით და ვცხოვრობთ, პრინციპულად გაუგებარი და

უცხოა ჩვენთვის, რაც მთავარია, მასში ჩვენ ყოფნას, ცხოვრებას ადრე თუ გვიან ბოლო მოეღება ისე, რომ, ამასთან სხვა სამყაროში მარადისობაში გადასვლის არავითარი გზა არა ჩენს. კამიუ განმარტავს აბსურდის ცნებას; აბსურდი ადამიანის არსებით მისწრაფებებსა და მის რეალურ შესაძლებლობებს შორის წინააღმდეგობასა და შეუსაბამობაში მდგომარეობს. სხვაგვარად, აბსურდი ადამიანისა და სამყაროს ურთიერთმიმართებაში გამოიხატება, რამდენადაც სამყარო წინააღმდეგობას უწევს და უარს ეუბნება ადამიანის არსებით განზრახვებს, მიზნებსა და სურვილებს“ (კაკაბაძე, 2012:273). ასორედ ამიტომ პიროვნება ესწრაფის ნაკვალევის დატოვებას, რათა სიკვდილის შემდეგაც გააგრძელოს სიცოცხლე. გოდერძი ჩოხელმა აბსურდულ ყოფას აზრი შესძინა და ამ აზრად კვალის დატოვება (შესაბამისად, მარადისობაში გადასვლა) გამოაცხადა.

“არწივთან ფრენა”. ადამიანის არჩევანის თავისუფლების თემაა გაშლილი მოთხრობაში „არწივთან ფრენა“.

მწყემსს, რომელიც წყაროსთან ჩამომჯდარ არწივს დაჭერას მოუნდომებს, ფრინველი იტაცებს. უფრო სწორედ, შემთხვევით აიყოლებს ზემოთ აფრენისას, რადგან კლანჭებით არის მის ხელებს ჩაჭიდებული და ვეღარ იშორებს.

ფრინველმა მაქსინაი ბუდეში მიიყვანა. პერსონაჟის ახალ საცხოვრისში ყოფნისას ბარტყებიც გამოიჩეკნენ, მისდამი მტრულად განწყობილი მამა არწივიც მოკვდა და თავადაც სიკვდილს აპირებდა, ახალ პატრონს, დიდი რისკის მიუხედავად, წყაროზე რომ არ ჩაეყვანა. წინასწარ გაფრთხილებულმა მეგობრებმა დაკარგულ მწყემსს წყალთნ დანა დაუტოვეს, რათა როგორმე თავის დახსნა მოეხერხებინა. რთული არჩევანის წინაშე დგება მაქსინაი: ან ფეხები უნდა მოაჭრას ფრინველს (სხვა გზა არ არსებობს ხელების გასათავისუფლებლად) და შიმშილით დასახოცად გაწიროს ბარტყები, ანდა კვლავ ბუდეში წაჰყვეს არწივს, სადაც გარდუვალი სიკვდილი ელის. მოთხრობის მთავარი გმირი მეორე შესაძლებლობას ირჩევს და დამფრთხალ ფრინველს ადევნებული ხალხისგან თავის დაღწევაშიც კი ეხმარება.

მაქსინაის ბუდეში ყოფნის პერიოდზე კითხვისას, უნებლიეთ გვახსენდება კობო აბეს "ქალი ქვიშაში". მთავარი პერსონაჟი დიდხანს რომ ცდილობს გაქცევას და ბოლოს ნებდება. მაგრამ, სიუჟეტის მსგავსების მიუხედავად, შესადარებელ ნაწარმოებებში აბსოლუტურად განსხვავებული პრობლემებია დასმული. კობო აბესთან ეს არის დინებას მინებება, ცხოვრებასთან დამარცხება და ფარ-ხმლის დაყრა. ჩოხელთან კი სწორედ ამ დანებებითა და ბედს დამორჩილებით ადის ადამიანი თავისი ადამიანობის უმაღლეს საფეხურზე.

„ექსისტენციალისტები [...] განსაკუთრებული აქცენტით აღნიშნავენ ადამიანის ყოფნის შესაძლებლობათა მეორე ფუნდამენტურ წყვილს [პირველი ისაა, თავად წარმართავს ადამიანი თავის ცხოვრებას, თუ „მან“-ს გადაულოცავს ამ უფლებას __ ნ.ნ.]: სასრული და უსასრულო, დროებით და მარად ყოფნის შესაძლებლობებს. ადამიანს შეუძლია ამ ქვეყნად ცოცხალი ბიოლოგიური ორგანიზმის სახით სასრული და დროებითი ყოფნა აირჩიოს, მასზე ზრუნვით განისაზღვროს და არაფერი ეძიოს ამის იქეთ. ხოლო, მეორე მხრივ, მას შეუძლია არ დასჯერდეს ამგვარ ყოფნას, არამედ მის იქეთ გაგრძელება, საბოლოო ანგარიშით, მარად ყოფნა, მარადისობა აირჩიოს და ამქვეყნად მასში გასასვლელი გზა ეძიოს“ (კაკაბაძე, 2012:239). კირკეგორის აზრით, ადამიანის თავისუფლება, უპირველეს ყოვლისა, სწორედ ამ არჩევანში მდგომარეობს (იქვე). შეიძლება ითქვას, რომ მაქსინაი არ სჯერდება სასრულ სიცოცხლეს და მარადისობის სასარგებლოდ აკეთებს არჩევანს.

“ადამიანთა სევდა”

„ _ თუ დრო არა გაქვს, ნუ დაიწყებ კითხვას.

_ რატომ?

_ ერთ მივარდნილ ხეობაზე ვწერ _ გუდამაყრის ხეობაზე“ (ჩოხელი, 2007:419).

ასე იწყება გოდერძი ჩოხელის ერთ-ერთ საუკეთესო ნაწარმოებად შერაცხული რომანი „ადამიანთა სევდა“. მწერალმა იგი 25 წლის ასაკში დაწერა. შესავალში ვკითხულობთ, რომ, თითქოს, აქ აღწერილი ამბები ავტორმა გასანთლული ბამბის

ძაფით შეკრულ ფურცლებში იპოვა, ერთ ძველ სკივრში. თვითონ კი მხოლოდ მათ დალაგებაში მიუძღვის წვლილი.

რომანში ერთი სიუჟეტური ხაზი ვითარდება და მასში ჩართულია სხვადასხვა მოთხრობა თუ ფილოსოფიური კითხვა-პასუხი. ამბავი კი შემდეგნაირია:

ერთ ჩოხელს მეზობელ სოფელში უარს ეტყვიან ქალის გამოყოლებაზე. გაწყრებიან მოგვარეები და სახელოვანი ლაშქრობის მოწყობას გადაწყვეტენ მთელი გუდამაყრის მასშტაბით, ძველი დიდების დასაბრუნებლად. ჩოხელების ასეთი განაწყენება იმან გამოიწვია, რომ მათი გვარი სახელიანად ითვლებოდა მთაში და არავის შეეძლო ამ გვარის კაცის დაწუნება, თუნდაც სასიძო კოჭლი ყოფილიყო ან ბრმა. ხოდა დადის ეს გაბრაზებული მოხუცებისგან შემდგარი ლაშქარი დაცარიელებულ ხეობაში და აქა-იქ შემორჩენილ მაცხოვრებლებს ჩოხის წმინდა გიორგის ხატის წინაშე აფიცებს ჩოხელების გვარის ერთგულებაზე. ლაშქარს ჰყავს მთავარსარდალი ვაჟი გოგი, ზარის მრეკველი სებაი, დეკანოზი (ამ შემთხვევაში მედროშე) ბიბღაი, ფილოსოფოსი ქიმბარი, მემატიანე სამხარაული, დარდების შემგროვებელი გამიხარდაი, მწერალი ჩაღი, მყვირალები, მზვერავები, და საზღვაო ნაწილიც კი.

ნაწარმოებში ჩართულია ამბები, რომელთაც სპეციალურად გამოყოფილი მწერალი იწერდა „დაპყრობილ“ სოფლებში; ვხვდებით ადამიანების საწუხარს, რომელთაც დარდების შემგროვებელი ინიშნავდა ლაშქრობისას. აგრეთვე: მემატიანის წერილებს, დღიურსა და საიდუმლო ჩანაწერებს. გოდერძი ჩოხელი რომანში მრავალ საკითხს ეხება: ერთგულებას, მეგობრობას, სიყვარულს, ვაჟკაცობას, სიცოცხლეს, სიკვდილს და ა. შ. მაგრამ აქ მხოლოდ ჩვენი თემისთვის განსაკუთრებით საინტერესო აზრებსა და ეპიზოდებზე შევჩერდებით.

„ __ რა გადარდებს?

__ მარტოობა მადარდებს. ადამიანი ხშირად ხალხშია, მაგრამ მაინც მარტოდ გრძნობს თავს. ზოგჯერ თავის თავიც ეუცხოება, საკუთარ თავს გაურბის“ (ჩოხელი, 2017:76).

„ __ ადამიანები სად არიან? […] უდაბნოში ცოტა არ იყოს, მარტოობაა...

__ ადამიანთა შორისაც მარტოობაა“ (ანტუან დე სენტ-ეკზიუპერი, გვ. 31).

პირველ ციტატაში ჩოხელის პერსონაჟი საუბრობს, მეორეში __ ეკზიუპერისა. ორივე მწერალი ადამიანის მარტოობას, „გადაგდებულობას“, გაუცხოებას გვიჩვენებს.

"სიკვდილი ისევე ალამაზებს მოთხრობების სიცოცხლეს, როგორც მზე და მთვარე ალამაზებენ წყვდიადს... წესი მაქვს ეგეთი. ისე არაფერზე ვწერ, თუ არ მიყვარს, ხოლო რაც მიყვარს, იმას სიკვდილის მომენტში წარმოვიდგენ ხოლმე და მერე ვნანობ, რომ მოვკალი, ჰოდა, ეს სინანული მაიძულებს სიცოცხლეზე ფიქრს" (ჩოხელი, 2007: 420-421), __ წერს ავტორი რომანის შესავალში და ამით ხაზს უსვამს, რომ სიცოცხლეს სიკვდილის გარშე ფასი არ აქვს. რომ სწორედ სიკვდილი აძლევს სიცოცხლეს აზრს (ამავეს ამბობს ვაჟა-ფშაველაც: „შენი ჭირიმე სიკვდილო, სიცოცხლე შვენობს შენითა“). მართლაც, სიკვდილი რომ არ არსებულიყო, ადამიანს აღარაფერი ექნებოდა მოსასწრები. ხოლო თუ მოსასწრები არ ექნებოდა, აღარც არაფერს მოიმოქმედებდა.

ნაწარმოებში ძალიან საინტერესო აზრია გამოთქმული სიკვდილის განცდის თაობაზე:

"სიკვდილი რომ გამაიგონა ღმერთმა, იფიქრა, მოდი გამოვცდიო და ჯერ ქვას მიარგინა იმის განცდა. ქვებმა ისე განიცადეს, იმდენი იდარდეს, დარდისაგან სუ იფშვნებოდნენ, აღარ ივიწყებდნენ თანამოძმის სიკვდილს და ყველანი იფშვნებოდნენ. ღმერთმა იფიქრა, ამათთვის ეს განცდა არ შეიძლება, ამისათვის სუსტებიაო, აარიდა ქვებს სიკვდილი და ახლა ხეს მიარგინა, იმათაც ძალიან განიცადეს, მთელმა ტყეებმა ტოტები ჩამაილეწეს და აღარ ივიწყებდნენ. ხეებსაც აარიდა და ახლა წყალს მიარგინა. ვერც წყალმა გაუძლო, დაშრობა დაიწყო. ადგა ღმერთი და ადამიანებს მიარგინა სიკვდილი. ადამიანმა იტირა, იტირა.. მერე დამარხა მკვდარი და ტირილით გადაიმგლოვა კიდეც. ჰოო, ამის მერე ღმერთმა ადამიანს მიაკუთვნა სიკვდილის განცდა“ (ჩოხელი, 2007:451).

ამ ეპიზოდზე მკითხველს ძალაუნებურად გაახსენდება ბესიკ ხარანაულის ლექსი:

"ჩემი მეზობელი დარდისაგან ცხოველი გახდა.

კი არ ემსგავსა,

როგორც ხშირად ვიტყვით ხოლმე ადამიანზე,

როგორებიც ბევრნი ყრიან ამ ჩვენს სოფლებში __

ცხოველი გახდა,

შეაგინა ადამიანი,

იმის წესი, იმის კანონი,

ვერგაძლება და

ღიად დარჩენილი ჭურჭელივით დარდის კლება

დროის წინაშე." (ხარანაული, „აბიათარ“)

ვერც ადამიანი გაუძლებდა: ისიც დაიშლებოდა, დაშრებოდა, ჩამოილეწებოდა, რომ არ შეეძლოს დავიწყება. ეს არის მისი ტრაგედიაც და ერთადერთი ხსნაც.

საკვლევი თემისთვის განსაკუთრებულად საინტერესოდ მივიჩნიეთ ერთი მოთხრობა მოლაშქრეთა მწერლის რვეულიდან, რომელსაც "სიკვდილთან ღრეობა" ჰქვია.

სიკვდილი იღებს ადამიანის სახეს და ხატობაში სტუმრობს ადამიანებს. ახალგაზრდაა სიკვდილი, პეპლისფერი სამოსითა და ქერა კულულებით. ყმაწვილი ვინაობას გაუმხელს თანამესუფრეთ. შაოსანი, შვილმკვდარი დედა მიდის მასთან და უცნაური დიალოგის მომსწრე ხდება მკითხველი:

„_ მაინც რატომ გვკლავ, ჰა?

_ იმიტომ რომ, სიკეთე მინდა თქვენთვის. [...] იცი რა, დედი, მე კი არა გკლავთ, თვითონ ვკვდები თქვენში, თვითონ ვიტანჯები სულის გაყრისას. მე ვასრულებ იმას, რაც უნდა მოხდეს, და ყოველთვის ხდება ის, რაც მოსახდენია. [...] თუ გინდათ ერთ საიდუმლოს გეტყვით: დღეს მარტო ჩემი მოკვლა შეგიძლიათ, თუ მომკლავთ, აღარასოდეს მოკვდებით, მაგრამ ამას ნუ იზამთ, უჩემოდ გაგიჭირდებათ სიცოცხლე, აღარც სიყვარული გექნებათ, აღარც სიხარული“ (ჩოხელი, 2007:504).

მაინც მოკლეს სიკვდილი. თუმცა ისე, რომ არავის გახარებია. ჯღუნასაც კი,

მკვლელს, მთისკენ გააქცევს ავტორი, რომ მისი კმაყოფილი სახე არ დაგვანახოს. იმ შაოსან დედას კი ასე დაატირებინებს მოკლულს:

„ჩვენთან რა გინდოდა, ჩემო შვილო,

ჩვენთან შენნაირებს ვერ იხდენენ,

აგრემც შენ სიყმეს შემოვევლე

მიწაში როგორღა მოისვენებ.

შავად ჩაგეშლება ასოობა,

თვალებს გველები წაგიღებენ.

ნუღარ მოიგონებ აქაობას,

აქ შენნაირებს არ იხდენენ.

არა, ჩემო შვილო, არ გვიწყინო,

წადი, ჩემ შვილებთან დაისვენე" (ჩოხელი, 2007:505).

რატომ დახატა ჩოხელმა ასე ტრაგიკულად სიკვდილის სიკვდილი? რამ გამოიწვია ადამიანთა ასეთი მწუხარება. მათ ხომ უყვართ სიცოცხლე. აბა რა ატირებთ და აწუხებთ ასე? ვფიქრობთ, ავტორის სათქმელი ნათლად იკითხება მოცემულ მონაკვეთში: სიკვდილის გარეშე სიცოცხლემ ფასი დაკარგა.

გოდერძი ჩოხელის შემოქმედებაში ცალკე ლექსადაც იძებნება ნაწარმოები, სადაც სიკვდილთან ძმად გაფიცვაზეა საუბარი. ლექსს "ძმობა" ჰქვია:

"ძმად გამეფიცე, სიკვდილო,

ეგრე ნუ მიცქერ, ცერადა,

ნუ მომვარდები მგელივით,

ნუ გამიხდები მტერადა.

ათასჯერ ძმობა სჯობია,

მტრად ყოფნას ქვეყნად ბევრადა,

ნუ გეშინია, არ გაწყენ,

მზადა ვარ წასასვლელადა.

არ გაგექცევი მთაშია,

არ გავიჭრები ველადა,
ვაჟკაცთა წესი არ არის,
ერთურთი ჰყავდეთ მძევლადა.
ძმას წამოგყვები ძმასავით,
გვერდს გეყოლები მრჩევლადა,
საიქიოშიც შაგყვები,
იქ მყოფთა სახილველადა.
ფიც-ვერცხლი ვჭამოთ, ნუ ჩქარობ,
დავლიოთ თითო ხელადა,
მოგვეჩვენება ქვეყანა ლამაზად, ათასფერადა.
შეგვიყვარდება ერთურთიც
გადავიქცევით მღერადა" (ჩოხელი, 2011:65).

მ. კვაჭანტირაძე რომანის განსახილველ ეპიზოდს ამგვარად აფასებს: „გუდამაყარს სიკვდილი სძულს და საშინელი ძრწოლით ეგებება მას. ასეთი საზარელი შიში კი იქაა, სადაც რწმენა ამოწურულია და ადამიანური ღირსების ხმაც _ ჩაწყვეტილი“ (კვაჭანტირაძე, 2012:328). ვერ დავეთანხმებით კრიტიკოსის მოსაზრებას. გუდამაყრელები ხატობაში მოსულ სიკვდილს ძმად ეფიცებიან, საკარგყმოს სვამენ მის სახელზე და შვილივით დასტირიან ბოლოს. ერთადერთი ადამიანი, რომელიც მის მოკვლას მოინდომებს და აასრულებს კიდეც, გარბის ხატიდან, რადგან მშვენივრად ხვდება, რომ მის საქციელს არათუ მხარდაჭერა ექნება მოთემეებში, არამედ შეიძლება ისიც მოკლული სტუმრის გზას გაუყენონ. ჩვენთვის ძნელი მისახვედრია, სად დაინახა მკვლევარმა მოთხრობაში სიკვდილის სიძულვილი, რწმენის ამოწურვა და ადამიანური ღირსების ხმის ჩაწყვეტა.

„ჩემი სოფლელები მემდურებიან, მოთხრობებს სულ სიკვდილზე წერ და სიყვარულზე კი ჯერ არაფერი დაგიწერია. მე ვერ დავარწმუნე ისინი, რომ თვითონ სიკვდილია უდიდესი სიყვარული“ (ჩოხელი, 2013:536). ამ სიტყვებით ნათლადაა გამოხატული გოდერძი ჩოხელის დამოკიდებულება სიკვდილისადმი. სიკვდილის

ადამიანის სახით ხატვა, მიღებული მეთოდი ყოფილა ძველ ანტიკურ მითოლოგიაში, მაგრამ ის სიკვდილი შიშის ზარს სცემდა მნახველს (დათუაშვილი, ხორბალაძე, 2012), ჩოხელის სიკვდილს კი სახეს ღიმილი უნათებს და პეპლისფერი ტანსაცმელი აცვია. რომანი ასე მთავრდება:

„_ რა არის სიცოცხლე?

_ სიცოცხლე სევდა არის, ადამიანად ყოფნის ტკბილი სევდა.

_ სიკვდილი?

_ სიკვდილიც სევდა არის, ადამიანად არყოფნის სევდა" (ჩოხელი, 2007:505).

მ. წიკლაური ნაწარმოების დასასრულს შემდეგნაირად განმარტავს: „ადამიანად ყოფნაა სიცოცხლის გვირგვინიც და სიკვდილისაც. სწორედ აქ იშლება ზღვარი სიკვდილ-სიცოცხლეს შორის. ადამიანი თუ გქვია, ამ წოდებას თუ ამართლებ, ორივე იპოსტასს მაშინ აქვს აზრი _ სიკვდილის შემდეგაც ცოცხალი ხარ, ადამიანად რჩები, ამ სიტყვის საუკეთესო მნიშვნელობით“ (წიკლაური, 2006:133).

ჩვენი აზრით კი, მწერალი გარკვევით აცხადებს, რომ სიკვდილი აღარ არის ადამიანად ყოფნა. ადამიანი სულისა და ხორცის ერთიანობაა. ის რომ მარტო სული იყოს და ხორციელი მოთხოვნილებები არ აიძულებდეს ავის ქმნას, ანგელოზი იქნებოდა. სიკვდილის შემდეგ სული კი არის ადამიანობაგამოვლილი, მაგრამ ადამიანი აღარაა, სულია. თუმცა ერთ რამეში ნამდვილად ვეთანხმებით მკვლევარს, ჩოხელისეული დამოკიდებულებით (რასაც ჩვენ ექსისტენციალური ტენდენციის გამოვლინებად მივიჩნევთ), სიკვდილის შემდეგაც შეიძლება სიცოცხლის გაგრძელება: თუ ღირსეულ კვალს დატოვებს ქვეყნად ადამიანი და, ამ გზით, მარადისობაში გადასვლას აირჩევს სიცოცხლის სასრულობის ნაცვლად და წინააღმდეგ.

როგორც დავინახეთ, სიცოცხლეც და სიკვდილიც სევდაა გოდერძი ჩოხელისათვის, ოღონდ ერთი ყოფნის სევდა, მეორე __ არყოფნის. მაგრამ არყოფნა არაა მწერლისათვის დასასრული. სიკვდილიც დასაწყისიაო __ ათქმევინებს რომანის ერთ-ერთ პერსონაჟს, მაგრამ რისი დასაწყისი? სხვაგვარი ყოფნის. ადამიანი საკუთარი ცხოვრებით თავად ირჩევს თუ როგორი იქნება ეს „სხვაგვარი ყოფა“ სიკვდილის

შემდეგ. თუკი არაფერს შექმნის და დატოვებს ქვეყნად ღირებულს, ნიშნავს, რომ გაქრობა აირჩია, არყოფნაში დაკარგვა.

„წითელი მგელი“

თავდაპირველად ნაწარმოების სათაური „წითელი მგელი“ იყო, შემდეგ „კეთილად ურჩიეს“ მწერალს და ფერის აღმნიშველი სიტყვა ჩამოაცილებინეს. 2007 წელს რომანი კვლავ პირვანდელი სახელით გამოიცა.

მკვლევართა უმეტესობა ნაწარმოებში საბჭოთა რეჟიმის კრიტიკას ხედავს, თუმცა თხზულების მხოლოდ პოლიტიკურ ჭრილში განხილვა, ვფიქრობთ, მისი მნიშნელობის დამცრობა იქნებოდა. ჩვენი აზრით, რომანს ბევრად უფრო მნიშვნელოვანი სათქმელი აქვს, ვიდრე ერთი კონკრეტული ეპოქის გაკრიტიკებაა. ეს არის სიკეთისა და ბოროტების მარადიული, ზედროული დაპირისპირება, საკუთარი თავის ძიება და ადამიანური არჩევანის თავისუფლება.

საინტერესოა, თუ რატომ შეაჩერა მწერალმა ყურადღება მაინცდამაინც ამ ცხოველზე. საკითხის გარკვევას ჩოხელის შემოქმედების რამდენიმე მკვლევარი ჩვენამდეც შეეცადა.

მთიელი კაცისთვის მგელი უარყოფითზე მეტად დადებითი არსებაა. „ადამიანის მგლისადმი სიმპათიას ამ მხეცის თავისუფლება, მისი მოთვინიერების უპერსპექტივობა განსაზღვრავს“ (წიკლაური, 2010:214).

ხსენებული ცხოველით არამგოლოდ ქართული მითოლოგია ინტერესდება. მაგალითად, მგელი თურქული ტომების მთავარი ტოტემი იყო; სლავური მითოლოგია ადამიან-მაქციებს იცნობს (წიკლაური 2010); იჩქერიის ემბლემა მგელია, ხოლო უმთავრესი მოწოდება: „ბერზალოშ ლარბო ჰხომე დაიმოხქ“ _ მგლები იცავენ ძვირფას სამშობლოს (ხანგოშვილი, 2012).

თავად ჩოხელის შემოქმედებაშიც ვხვდებით რამდენიმე ნაწარმოებს, სადაც მგლებს არავითარი უარყოფითი დატვირთვა არ გააჩნიათ და უბრალოდ ბუნების შვილებად მოიაზრებიან. ეს ითქმის, განსაკუთრებით, მოთხრობა „მგელზე“,

რომელშიც ავტორი ადამიანისა და მგლის მეგობრობაზე წერს, თხზულებას კი ასე ასრულებს:

„რატომღაც მინდოდა სიკეთის ყმუილი მოგესმინათ აქედან ყველას“ (ჩოხელი 2013:505).

ჩვენი აზრით, მწერლისეული არჩევანი მისი სარწმუნოებიდან უნდა მომდინარეობდეს. ქრისტიანულ სიმბოლიკაში ხშირად იგივდება ეშმაკი და მგელი ერთმანეთთან (სორდია, 2009). თ. ყალიჩავა ამის მიზეზად უცნაურ გარემოებას ასახელებს: კისერში სახსრების ნაკლებობის გამო მგელს თავის უკან მობრუნება არ შეუძლია. ეს კი ეშმაკისთვისაა დამახასიათებელი _ იგი არასოდეს მოიხედავს უკან მოსანანიებლად (ყალიჩავა, 2012).

გოდერძი ჩოხელმა ბოროტების სამყოფლად ეშმაკთან გაიგივებული არსება აირჩია და გასაკვირი ამაში არაფერია. თუმცა მგელი, როგორც ცხოველი, მწერლისთვის სულაც არ არის მიუღებელი. მას მგლადქცეულ ადამიანთან აქვს მხოლოდ პრეტენზია.

უარყოფითი პერსონაჟების მგელთან შედარება ქართული მწერლობისთვის არ-ახალია. მსგავსი შემთხვევა ჩვენამდე მოღწეულ პირველსავე ჰაგიოგრაფიულ ძეგლში დასტურდება. იაკობ ხუცესი ვარსქენს მგელს და ღმერთის მტერს უწოდებს. ჩოხელისეული ნოვაცია ის გახლავთ, რომ მხოლოდ კი არ შეადარა, ნამდვილად მგლად აქცია. მკვლევართა მტკიცებით, ამ გზით ავტორმა ბოროტების არსის შიგნიდან დანახება შეძლო მკითხველისათვის.

რომანი სამი ნაწილისგან შედგება: ქალაქი, წითელი მგელი და სოფელი.

ჩოხელის მოგონებებიდან ირკვევა, რომ ნაწარმოების პირველ ნაწილში მოთხრობილ ამბავთა უმრავლესობა თავად ავტორს გადახდენია სტუდენტობისას. ქალაქის მონაკვეთი ქაოსით იწყება. თანდათან ქაოსი დალაგებული, მოწესრიგებული და გააზრებული ბოროტებით იცვლება. ვერ იღებს ქალაქი ლუკას, ვერ ითვისებს, მეტისმეტად სუფთაა ბიჭი მისთვის. ხდება გმირის გაუცხოება გარემომცველ გარემოსა და ადამიანებთან. მწერალი ერთმანეთის მიყოლებით აღწერს უფრო და უფრო დიდ

საშინელებებს: ჯერ პალტოს ჰპარავენ მთავარ პერსონაჟს, მერე შეშლილი ქალი წყალს შეასხამს პერანგისამარა ქუჩაში გამოსულს. მერე ინსტიტუტში სცემენ სტუდენტი ბიჭები, სიყვარულის გამხელის გამო თანაკურსელი გოგონასთვის. გონებადაკარგულს ისევ წყლით აფხიზლებენ. საავადმყოფოში აღმოჩენილი ლუკა იძულებული ხდება, დატოვოს სამკურნალო დაწესებულება. საავადმყოფოდან წამოსულს ტაქსის მძღოლის უსინდისობა მილიციაში ამოაყოფინებს თავს.

ლუკა გარბის ქალაქიდან.

„ასე ამბობდა ზარატუსტრას“ მესამე ნაწილის ბოლოსკენ არის ერთი მონაკვეთი სათაურით: „კაცი, რომელიც იკურნება“. ჰაიდეგერს განკურნება ესმის როგორც შინდაბრუნება. „ის ვინც იკურნება, გზაშია თავისი თავისკენ“ (ჰაიდეგერი, 2014:51). ზოგიერთი კრიტიკოსი მიუთითებს, რომ ოპოზიცია ქალაქი-სოფელი ისევე უპირისპირდება ერთმანეთს, როგორც ჯოჯოხეთი და სამოთხე. მთავარი გმირი ტოვებს ჯოჯოხეთს (ქალაქს) და განსაწმენდლის (მგელყოფილი თევდორეს სახლის) გავლით ბრუნდება სამოთხეში (სოფელში). თუმცა სამოთხე სახეშეცვლილია და მხსნელს ელის. სოფელში დაბრუნებით კი გმირი საკუთარ თავს უბრუნდება.

რომანში ასახული ეს გადანაცვლებები შეიძლება დავუკავშიროთ ლიმინალობის თეორიას. პროფ. ირმა რატიანი, წიგნში „ტექსტი და ქრონოტიპი“, განიხილავს ამ თეორიის არსს: „გენეპი მიიჩნევს, რომ გადაადგილების ანუ ტრანზიტულობის ყოველი პროცესი სამი ფაზით ხასიათდება: 1.გამოცალკევება, გამოყოფა, ანუ სეპარაცია; 2. მარგინალობა ანუ ლიმინალობა; 3. გაერთიანება, ანუ ინკორპორაცია. პირველი ფაზა, სეპარაცია, გულისხმობს კონკრეტული ინდივიდუალური ფორმის ან რჩეული ინდივიდის, ე. წ. „ინიციანტის“ იზოლირებას ფიქსირებული სოციალური ან კულტურული სტრუქტურისაგან. იგი აღნიშნავს ინიციანტის მოწყვეტას რეალური დრო-სივრცული გარემოსაგან; მეორე ფაზა, ლიმინალობა, გამოხატავს ინიციანტის, იმავე „ტრანზიტული მგზავრის“ ამბივალენტურ მდგომარეობას, მის გადანაცვლებას შუალედურ, ამბივალენტურ სოციალურ ზონაში, ე. წ. „ლიმბოში“; მესამე, ინკორპორაციის ფინალური ფაზა,

შეესატყვისება ინიციანტის დაბრუნებას საზოგადოებაში, მხოლოდ განახლებული სოციალური სტატუსით, ე. ი. ინდივიდის „რეაგრეგაციას“ (რატიანი, 2010:110). „წითელი მგლის“ მთავარი გმირი სამივე დასახელებულ ფაზას გადის. პირველ ეტაპზე ის ქალაქს ტოვებს, ე. ი. ემიჯნება არსებულ სოციალურ გარემოს; მეორე, ლიმინალურ ფაზაში, საკუთარ თავს უღრმავდება ხელახლა პოულობს და ბოლოს გადასხვაფერებული სახით უბრუნდება საზოგადოებას.

„ _ აუუუუუ! _ გაისმა შემოდგომის ფერწასულ ხეობაში მგლის ყმუილი.“ (ჩოხელი, 2007:30)

ასე იწყებს რომანის მეორე, ძირითად ნაწილს ავტორი.

გ. ჩოხელი მიზანმიმართულად ირჩევს ჩაკეტილ გარემოს მოქმედების გასაშლელად. ნანა კუციას აზრით, ეს იმიტომ ხდება, რომ განმარტოების ეფექტი შექმნას, რადგან სწორედ ამ დროს ხდება მზერის ჩაშინაგანება და სულის სიღრმეთა მოხილვა (კუცია, 2012).

ხეობაში მიდის მარტოკაცი. სიცივეა, გარშემო მგლების ყმუილი ისმის და მაინც ეს უფრო უყვარს, ეს უფრო ახლობელია.

„მისთვის [ლუკასთვის _ ნ.ნ.] მშობლიური იყო მთელი ხეობა და ამდენი ხნის მონატრებულს, ახლა ყველაფერი სამოთხედ ეჩვენებოდა, გულსა და გონებას უხსნიდა და ათასნაირ ბავშვობისდროინდელ თავგადასავალს წარმოუდგენდა თვალწინ“ (ჩოხელი, 2007:33).

ლუკას წარსულიდან ახსენდება მგელქალი, სოფლის გაღმიდან აყმუვლებულ მგელს გამოღმა ბანიდან რომ პასუხობდა ყმუილით. თურმე ამ დროს ყველაზე გულადი ძაღლებიც კი ჩუმდებოდნენ და თავიანთ სახლებში იმალებოდნენ. ყველამ იცოდა ქალის ვინაობა, მაგრამ ვერ ამხელდნენ, პირველი ვერავინ ბედავდა ხმის ამაღლებას.

ერთხელაც მგელქალმა პატარა ბიჭს ცხენი დაუფრთხო და მდინარეში გადაღუპა. მწყემსმა შეასწრო თვალი ამ ამბავს და სოფელში მოირბინა, ყველა გამოდით და ვიცნობ იმ ქალსო. ერთი ამოხედა ამ ქალმა და დაფრთხა მწყემსი, ვეღარ ამოიცნო.

ამ თვალების გახსენებაზე დიდობაშიც აჟრჟოლებს უკაცრიელ ხეობაში მიმავალ ლუკას.

ნ. კუციას აზრით, თვალებზე ხაზგასმა არ არის შემთხვევითი. შუასაუკუნეობრივი ესთეტიკის თანახმად, სხეულიდან მხოლოდ თვალებს და ხელებს შეუძლია სულის გამოხატვა. ხელებს ეტყობაო სულის მოძრაობა, ხოლო თვალებით სული გამოანათებს სხეულიდან. ფრესკებზეც ხომ მხოლოდ ეს ორი დეტალი არის აქცენტირებული.

ქალს ვაჟი ჰყავდა. „ნეტავ სად არის ახლა ის ბალღი. იმას ხომ კუდიანი ქალის ძუძუ ჰქონდა ნაწოვი. იქნებ ისიც მგლად მოიქცა და დადის კაცთა შორის. ანდა ვინ იცის, რამდენი მგელი დადის კაცის თუ ქალის სახით. ეს ამბავი ერთხელაც არ გახსენებია ქალაქში. სოფელი პატარაა და ერთმა მგელქალმა ხეირიანად ვერც კი დამალა თავი. ქალაქი დიდია, უამრავი ხალხი ირევა. ნუთუ მართლა შეიძლება მგელი კაცივით დადიოდეს. თუ ასეა, ვინ იცის რამდენჯერ გადაჰყრია მგელს. ზოგმა შემთხვევით ჩაუარა ქუჩაში, ზოგმა... იქნებ დაძრწიან დღისით და ღამით სამგლო საქმეებით დატვირთულნი, უჯდებიან ერთმანეთს მანქანებში, ანდა საავადმყოფოებში იპარებიან... ანდა უცებ თავს დაგესხმიან და ციხეში ამოგალპობენ, ან საგამოცდო კომისიაში დაგხვდებიან, ვინ რა იცის რომ მგელთანა აქვს საქმე, კაცის სახე აქვს და ფარდობითობის თეორიას გეკითხება“ (ჩოხელი, 2007:43).

კვლავ გაუცხოებას ხატავს მწერალი გარემომცველ სამყაროსთან. ჯერ კიდევ შოპენჰაუერი წერდა, „ჩვენ უბედურნი უნდა ვიყოთ და ვართ კიდეც. თან ყველაზე დიდ უბედურებათა თავწყარო თვითონ ადამიანია __ ადამიანი ადამიანისთვის მგელია! ვისაც კარგად ახსოვს ეს, მას ქვეყანა ერთგვარ ჯოჯოხეთად წარმოუდგება. ეს ჯოჯოხეთი საშინელებით აღემატება დანტესას, რადგან აქ ერთი ადამიანისთვის მეორე უნდა იყოს ეშმაკი. ეს კი ყველას ერთნაირად როდი ხელეწიფება. ხოლო ვისაც ეს ყველაზე კარგად ეხერხება, ის არქიეშმაკია. მას დიდმპყრობლის სახე მიუღია, მწყობრად დაურაზმავს ასეულ ათასობით ადამიანი ერთმანეთის პირისპირ და დაჰყივის ზედ: „ტანჯვა და სიკვდილი __ აი, თქვენი ხვედრი! მაშ, დაჰკაფეთ

ერთმანეთი თოფებითა და ქვემეხებით!“... და ისინიც ჰმორჩილებენ“ (შოპენჰაუერი, 2012:45).

ძალიან საინტერესოა ქადაგად დაცემული ქალის გახსენება (სხვათა შორის, ჩოხელი ერთ-ერთ ინტერვიუში ამტკიცებს, რომ მსგავს ამბავს პირადად შეესწრო ბავშვობაში, თითქოს „ქალი ქადაგად დაეცა, შემდეგ აფრინდა და ჰაერში გაჩერდა გარკვეულ სიმაღლეზე“ (ჩოხელი, 2012:154). ეს ქალი ერთხელაც მოულოდნელად ქრება სოფლიდან და იმის შემდეგ აღარავინ იცის მისი ასავალ-დასავალი. მხოლოდ თეთრუაი ირწმუნებოდა, რომ ქალი ცაში გაფრინდა, თან იმ თავის „წყალწაღებულ ბალღს“ იფიცებოდა. მგლადყოფილი თევდორე მერე მოუყვება ლუკას, რომ ის ქალი არსადაც არ გაფრენილა, მგლებმა შეჭამეს. მაშ რაღატომ ცდილობდა თეთრუა, ეს უბედური დედა, ხალხის დაჯერებას თითქოს სასწაულს შეესწრო?

თეთრუა არ არის ჩვეულებრივი ქალი. ის იყო ერთადერთი ადამიანი მთელ სოფელში, რომელმაც გაბედა და მგელქალი ამხილა, აკი ამას შეეწირა მისი პატარა ბიჭიც. ის არ შეუშინდა საფრთხეს და მაინც ქმრის კერაზე დარჩა, მიუხედავად იმისა, რომ წასასვლელიც ჰქონდა და წასასვლელადაც ჰქონდა საქმე. ჩანს, ამ ქალის მადლი მოქმედია და არა პასიური. იგი უპირისპირდება ბოროტებას და ხელს უწყობს სიკეთის გაძლიერებას. მას ესმის, რომ ხალხს რწმენა სჭირდება და ამ რწმენის ჩასანერგად ტყუილსაც არ ერიდება.

თხრობა ახლანდელ დროში გრძელდება. ლუკას სინათლე გამოელია, მგლების რკალში აღმოჩნდა და რომ არა ამ რკალში უეცრად შემოვარდნილი უცნაური მოხუცი, სიკვდილი არ ასცდებოდა. ასე შემოჰყავს ავტორს რომანში მეორე მთავარი გმირი და მგელყოფილი კაცის ისტორიის თხრობას იწყებს. თევდორეს მონაყოლი სიკვდილს მიახლოვებული ადამიანის აღსარებაა, რომელშიც აღწერილია გზა ადამიანობიდან მგლობისკენ და უკან.

თევდორეს დამჭკნარი, მაგრამ მაინც ულამაზესი ყვავილი აქვს მიკერებული გულის ჯიბესთან. როგორც თვითონ ამბობს, ეს ყვავილი მამამისია. ლუკას მოხუცი თავიდანაც გიჟი ეგონა მგლებში შევარდნის გამო, ახლა კი აზრი უფრო გაუმტკიცდა.

საინტერესო ფერისცვალებას გვიჩვენებს ავტორი: ბიჭი იმდენად შეეჩვია ბოროტებას, რომ სიკეთის დაჯერება აღარ შეუძლია. ეჭვებშია ჩავარდნილი, რისთვის გადაარჩინა თევდორემ? იქნებ უბრალოდ სხვა მგლებს წაართვა, რომ თავად შეეჭამა? ლუკა ის აღფრთოვანებული ბავშვი აღარ არის, პირველად რომ ჩავიდა ქალაქში და ყველაფერი მოზეიმე ეჩვენა. მრავალგზის გაცრუებულმა იმედმა ადამიანების ნდობა დაუკარგა. მაგრამ, როგორც უკვე ვთქვით, ის ჯერ გზაშია. სულ მალე საკუთარ თავთან დაბრუნდება.

თევდორე თავის მამაზე უყვება ეჭვით შეპყრობილ ბიჭს. მამას თანდილა ერქვა და სიკეთის გარდა არაფერი უკეთებია მთელი თავისი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე. სიცოცხლით კი მართლაც დიდხანს იცოცხლა. იმდენად, რომ ხალხში ამბობდნენ, ღმერთს დაავიწყდაო ბერიკაცი.

მკვლევარ ნანა კუციას აზრით, ღვთისგან რჩეულობაზე მიუთითებს თანდილას ხანგრძლივი სიცოცხლე და პარალელს ქართულ ჰაგიოგრაფიულ ძეგლებში პოულობს. „ფრიად გარდარეულად დაბერდა“ გრიგოლ ხანძთელიც (კუცია, 2012).

სიცოცხლის ბოლო დღეებში თანდილას ეშმაკი ეჩვენებოდა, სულს სთხოვდა და, უარის შემთხვევაში, შვილის დაღუპვით ემუქრებოდა. არ გატყდა მოხუცი. ერთხელაც ბანზე ჩამოჯდა და აყვავდა. ქარმა გაფანტა ეს ყვავილები. მერე სიზმარში ეცხადებოდა მამამისი თევდორეს და ეხვეწებოდა, ყვავილი ეპოვნა. თავიდან ცდილობდა ვაჟი თანდილას სურვილის ასრულებას, მაგრამ ამ ძებნაში ნადირობას გაუგო გემო და მოეწონა, ბოლოს კი სულაც დაივიწყა ყვავილი. ასე გადაუხვია შვილმა მამის გზას და ეშმაკისას დაადგა.

თხრობის დასასრულს პერსონაჟი ყვავილს საკუთარი სახლის ჭერხოში პოულობს, ჯიბეზე დაიკერებს და დადის უშიშრად მთელ ქვეყანაზე.

„საცნაურია და საგულისხმო ყვავილის [უფლის პარადიგმის] საკუთარი სახლის ჭერხოში პოვნა __ უფალი ყოველთვის შინაა, ახლოს, გულში“ (კუცია, 2012:59).

ყვავილს გოდერძი ჩოხელის შემოქმედებაში განსაკუთრებული დატვირთვა აქვს. ის სიკეთის სიმბოლოდ გაიაზრება. მწერლის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში ვხვდებით ერთ ლექსს, სათაურით "მიწამ დააბარა იას".

"მიწამ დააბარა იას:

წადი,შვილო,

ქვეყანას თვალი გაუხარე,

სურნელება აფრქვიე,

სიყვარული გაუღვივე

ვაჟსა და ქალს,

სინაზე აჩვენე ხალხს,

თორე,

უფრო გამხეცდებიან და

ვაი ისევ ჩვენი ბრალი.

და

ამოვიდა ია" (ჩოხელი, 2011:92).

ნაწარმოებში ბოროტების სავანეს დორაისხევი ჰქვია. ყჰავს წინამძღოლი და მის მიერ შემუშავებულ წესებს ემორჩილება. მკვლევართა აზრით, სწორედ დორაისხევით გამოხატა ავტორმა საბჭოთა იმპერიის სახე. ჩვენ კი ზოგადად ბოროტების განსხეულებად ვხედავთ.

დორაისხევში მგლად გადააქცევენ და მონათლავენ თევდორეს. საშიშია მისი კაცად დატოვება, რადგან „კაცმა შეიძება ყვავილი იპოვოს“ (ჩოხელი, 2007:66). სიმბოლურად ყვავილის პოვნა სიკეთისკენ შემობრუნებას ნიშნავს. სანამ ცოცხალია, ადამიანს ყოველთვის შეუძლია უკეთესი გახდეს. ამიტომაც უსპობენ დორაისხეველები თევდორეს ყვავილის პოვნის შანსს.

„_ინათლება მგლად..._ დაიწყო წესის გამრიგემ.

_დღეის მერე ევალება:

იყოს მგელი და მხოლოდ მგელი, სახე მისი არა კაცის ფერი, არა სხვა რამის

მსგავსი, არცა კატის, არცა ეშმაკის.

დღეის მერე იყოს მორჩილი მბრძანებელისა ჩვენის და მისგან განწესებული ყოველი კანონის!

დღეის მერე სვას სისხლი და ერიდოს მძორს!

არ დაინდოს ადამიანის ძე!

არ უღალატოს მგლებს!

ნადირობისას არ მოშალოს რკალი!

არ გადავიდეს წინამძღოლის ნება-სურვილს!

ყოველივე, რაიც განწესდება ჩვენს სამსჯავროზე, იყოს შეუვალი კანონი მისთვის!

ყელს გადაცმული ალდახი იყოს მისი მგლობის ბეჭედი.

_ მოინათლოს! _ ბრძანა დორაისხეველმა.

გამონასკვეს ალდახი ჩემს ყელზე და ვიქეცი მგლად.

_ სისხლი! _ ისევ ბრძანა მბრძანებელმა.

მოიტანეს მგლის სისხლი და ზედ გადამასხეს.

ასე გავხდი წითელი მგელი“ (ჩოხელი, 2007:66-67) __ მონათვლის ამბავს ასრულებს თევდორე და თავისი მგლური საქმეების მოყოლას იწყებს. მისი თქმით, მგლების ხროვას ყოველთვის დაჰყვებოდა ერთი ჯაშუში, რომელსაც დორაისხეველისთვის ევალებოდა ანგარიშის ჩაბარება. მიუხედავად იმისა, რომ ეს ამბავი ფარულად ხდებოდა, ჯგუფის ყველა წევრი ხვდებოდა დამსმენის ვინაობას. ძალაუნებურად გვახსენდება წითელი ეპოქის დასმენების მთელი სერია, მუდმივი შიში და უნდობლობა, რომელმაც ხალხში ასეთი გამოთქმა გააჩინა, ამდენ შინაურში ერთი ინაური აუცილებლად გამოერევაო. („ინაური“ გარეულის, უცხოს რუსული ვარიანტია ქართული აფიქსით გაფორმებული, გარდა ამისა, გვარად ინაური გახლდათ საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე 1954-1986 წლებში).

ყოველი გაბრძოლება დამყარებული რეჟიმის წინააღმდეგ, მეამბოხის დასჯით სრულდება. ნიშანდობლივია, რომ სასჯელის ფორმა დორაისხევშიც, საბჭოთა იმპერიის მსგავსად, სიკვდილი ან გადასახლებაა.

ლუკას ეშინია ყოფილი მგლის. ვერ ენდობა მის სიკეთეს. ეჭვებით შეპყრობილს აღარც ძილი ეკარება და იწყება მოგზაურობა ბავშვობის მოგონებებში.

რომანის კითხვისას იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს, მთავარი გმირი საკუთარ მახსოვრობაში ანკესით თევზაობდეს და მოგონებებს იჭერდეს. ლექსიკაც ისეთი აქვს მწერალს მომარჯვებული, რომ ეს შეგრძნება უფრო გააძლიეროს მკითხველში:

„ახლა, რატომღაც, მთელი არსებით მოუნდა, ისევ გასჩვენებოდა თავისი ბავშვობისდროინდელი რომელიმე დღე, თუნდაც წითელი ზამთარი, მაგრამ ამჟამად გაზაფხულის მოჟივჟივე ჩიტებით აჟრიამულებული დღე ამოჰყვა მეხსიერებას“ (ჩოხელი, 2007:106).

ძალაუნებურად გვახსენდება ჭოლა ლომთათიძის მოთხრობა „სახრჩობელას წინაშე“, სადაც ავტორი თავისი პერსონაჟის მეხსიერებაში წამოტივტივებული სურათებით გვიხატავს მის სახეს. წერის ამგვარი მანერის გამო ზოგიერთი მკვლევარი „ცნობიერების ნაკადის“ არსებობაზე საუბრობს ჭ. ლომთათიძის შემოქმედებაში.

მწერალი მთავარი პერსონაჟის საშუალებით მგლობის ფენომენზე გვაფიქრებს: „ნუთუ იმიტომ მომრავლდნენ კაცთა შორის მგლები, [...] რომ მგლებს ცხოვრებაში პირველობის მეტი უფლება აქვთ. შეუვალია მათი კანონი, იგი მხოლოდ ანადგურებს და არ ქმნის. მგლები თავისუფალნი არიან ადამიანური სიწმინდეებისაგან. მგლობა უფრო ხელსაყრელია და მრავლდებიან. ვინ არის პირველი? _ ვინც უფრო მგელია“ (ჩოხელი, 2007:89).

და აქვე კითხულობს:

„რომელი სჯობია რომ ვიყო: კურდღელი? თუ, მგელი?“ (ჩოხელი, 2007, გვ. 105).

ზ. კაკაბაძე ექსისტენციალური ფილოსოფიის ძირითადი დებულებების განხილვისას წერს: „ადამიანი ან იმას ირჩევს, რომ თვითონ, საკუთარი მოფიქრებისა და მოაზრების საფუძველზე ირჩევდეს ცხოვრების გზას; ანდა იმას, რომ ეს მოფიქრება,

მოაზრება და გზის არჩევანი სხვებს გადააბაროს, უბრალოდ მათ კვალს მიჰყვებოდეს და მათ მიხედვით ცხოვრობდეს; სხვაგვარად: ადამიანი ან გასაქანს აძლევს თავისუფლებას, ანდა თავისუფლებას იმისთვის იყენებს, რომ უარი უთხრას მას და აღიკვეთოს“ (კაკაბაძე, 2012, გვ. 230). ლუკაც დიდი ცდუნების წინაშე დგას. თავისი გადაწყვეტილებით მას შეუძლია ცხოვრება მარტივად გააგრძელოს. ამისთვის ისიც საკმარისია, რომ სხვებს დაემსგავსოს, მგლებს შეუერთდეს.

რომანში ჩართულია მონაკვეთები გოდერძი ჩოხელის სხვა ნაწარმოებებიდანაც. ასე მაგალითად, ლუკას ბავშვობის ერთ მოგონებაში შემოიჭრება ხმა მოთხრობიდან „ბუს გზა“:

„სადღაც იკივლა ბუკიოტმა გამყინავ ხმაზე:

_ თევდორეეე! თევდორეეე!

_ რაო! რაოოო! _ გამოეძახა გაღმა ტყიდან იმას მეორე.

_ ვერ იპოვეაა!

_ ვერა, ვერაააა! _ იყო პასუხი“ (ჩოხელი 2007:92).

ამ მოგონებაში თავის დამარცხებულ ხარს ეძებს ლუკა. მაინც მისია. და ახლა ყველაზე მეტად უყვარს, ყველაზე მეტად სჭირდება.

შავი ხარი მთლად თეთრი დაბრუნდა სახლში, ჩონჩხადქცეული. მერე ამოიხვნეშა და ჩაიმუხლა ეზოში. სოფელში წითელი თოვლი მოვიდა. წითელი ზვავი წამოვიდა და წითელი მდინარე გადაკეტა. ხალხმა კი რა ქნა? მშრალზე დარჩენილი თევზების კრეფა დაიწყო. თითქოს ცდილობდნენ გაემართლებინათ ცოტა ხნის წინ ნათქვამი: „კაცი მგელია, ყველაფერს გადაიტანს“ (ჩოხელი 2007:96).

შემდეგ მონაკვეთში მფრინავ ბერებზე მოგვითხრობს მწერალი. მსგავსი ამბავი გვხვდება რომანში „სულეთის კიდობანი“

ერთ-ერთი მოგონება შემდგომში ჩოხელმა ფილმად აქცია და „ლუკას სახარება“ უწოდა. მონაკვეთიდან მთავარი გმირის უტეხი ხასიათი იკვეთება. ლუკა ჯერ ისევ ბავშვია, მაგრამ დირექტორის უსამართლო სასჯელს უსიტყვოდ იტანს და თავისი რწმენის ერთგული რჩება:

„ორმოცდამეთხუთმეტე წრეზე მთელი ეზო თვალებში დაუტრიალდა ლუკას და გონი აერია, მუხლები მოეკვეთა და წაიქცა. დირექტორმა წამოაყენა და ჩაეკითხა:

_ აბა, აღსდგა ქრისტე?

_ ჭეშმარიტად მასწავლებელო! _ ამოილუღლუღა ლუკამ“ (ჩოხელი 2007:109).

"ლუკას სახარება" თავიდან ბოლომდე ქრისტიანული სიმბოლოკითაა გაჯერებული. ამ კონკრეტული სახარების სახე-სიმბოლო ხარი ყოფილა ქრისტიანულ მსოფლმხედველობაში. ჩოხელის თქმით, თვითონაც მოგვიანებით გაიგო ამის შესახებ. ბიჭი, ხარი, სახარება __ ეს სამება აქვს გამოყენებული მწერალს მოთხრობაში. მერე სამება ირღვევა და აუცილებლად უნდა აღდგეს. ასეც ხდება ნაწარმოების ბოლოს: დირექტორის წართმეულ სახარებასაც იბრუნებს ბიჭი და ხარიც თავისით ბრუნდება უკან.

რომანში კი, მოგონებებში ჩაძირული მთავარი გმირი ახლა თავისი ძველი ნაცნობებიდან ცდილობს მგლების გამორჩევას.

მეხსიერებიდან ახლა გარსიას სახე ამოკრთება. მგლად მიჩნეულ ზოოლოგიის მასწავლებელს ამოჰყვება ეს უცნაური კაცი, რაღაიდა ერთხელ ცემას დაუპირებს და ვერ კი გაიმეტებს, ბავშვების ხათრით. გარსია სულ სავაჟკაცო საქმეებს ეძებს და ერთთავად შეხვეული თავით დადის, მუდამ ხიფათის მდევნელი. სწორედ გარსია გაბედავს იმ წითელ გველეშაპზე ამხედრებას, რომელიც ქვესკნელიდან მიწას ამოანგრევს და შავად აბობოქრებულ არაგვს ჩამოჰყვება სოფელში. ზღვაში გაუჩინარებულ უხსენებელსაც არ მოეშვება გმირი. წყალში დახრჩობა, ქართული ფოლკლორისა და ლიტერატურული ტრადიციის მიხედვით, არ ნიშნავს უცილობელ სიკვდილს. ალბათ ამიტომაც მოელიან სოფელში გარსიას დაბრუნებას. ამიტომ არ ქოლავენ გველეშაპის ამონგრეულ ხვრელს მიწაში, რომლიდანაც მათი რწმენით ქვესკნელის სუნთქვა ისმის. ფიქრობენ, ამ საქციელით ერთადერთ გზას მოუჭრიან თავიანთ გმირს სამზეოში ამოსასვლელად.

გაიპარა ლუკა თევდორეს სახლიდან. ეჭვებმა იმდენი ქნეს, სტუმრად მიღებული, ფანჯრიდან გადაიყვანეს ქურდივით. გზაში ისევ მგლები შემოხვდნენ და

უკან მობრუნებას რომ აპირებდა, თევდორეს ძაღლი გამოეცხადა, მგლებს მუქარით დაუყეფა და სახლისკენ გაუძღვა დარცხვენილ მგზავრს.

კიდევ ერთი მოგონება: მწყემსებმა ფეხმოტეხილი ცხენი მიატოვეს გზაში და ძაღლმა არ გაწირა, ყარაულად დაუდგა. მერე ზამთარმა გაიარა, ცხენი მგლებმა შეჭამეს, ძაღლსაც მგელმა გამოფატრა მუცელი, მაგრამ სიცოცხლის ბოლოს მაინც უკანმობრუნებულ პატრონს აედევნა ლასლასით, მიუხედავად იმისა, რომ პატრონმა ფეხი წაჰკრა გადმოყრილ ნაწლავებზე, არ მიიკარა. იმ დღიდან სჯეროდაო ლუკას ძაღლის ერთგულების, წერს ჩოხელი.

მწერლისთვის ამგვარი ადამიანური სისასტიკეების ჩვენება არ არის უცხო. სხვაგან თევდორეს მეხსიერებაში ჩარჩენილ ერთ ამბავს აღწერს: სამი მგელი რომ ჩაცვივა ორმოში ადამიანთან ერთად და შიმშილის მიუხედავად რამდენიმე დღე რომ არ დააკარებენ პირს მათსავით გაჭირვებაში მყოფს. ბოლოს ადამიანი საფეხურებს გამოჭრის და ზემოთ ავა, მგლები ელოდებიან, რომ სამშვიდობოს გასული არც მათ დაივიწყებს, მაგრამ სიკეთის ნაცვლად კაცი ორ მგელს იქვე მოკლავს, მესამეს კი მხოლოდ იმიტომ დაინდობს რომ წითურია და მისი ღირებულება ბაზარზე საკმაოდ დიდი იქნება.

„რა არის ეს? მგლებს „მგლურმა ბუნებამ“ თავისნაირ გასაჭირში ჩავარდნილი კაცი შეაბრალა, კაცს კი „ადამიანურმა ბუნებამ“ გული არ შეუქანა არც სიბრალულით და არც, თუნდაც, მადლიერების გრძნობით“ (წიკლაური, 2010:211).

რისი თქმა უნდა ავტორს ადამიანის და ცხოველების ამგვარი დაპირისპირებითა და ამ უკანასკნელთა უპირატესობის ჩვენებით? ვფიქრობთ იმის, რომ ადამიანი თუ არ „ეკრძალა“ საკუთარ სულს, შეიძლება ცხოველზე დაბლა დავიდეს. ერთგან წერს კიდეც, ადამიანის საქმე ადამიანობაა, ესენი კიდევ მგლობენ და გველობენო. მკვლევარ მაია წიკლაურის აზრით, ეს ილიასეული სარკეა, მოყვასისთვის მიტანილი, რათა შიგ ჩავიხედოთ და თუ რამ ცუდი გვაცხია, მოვიცილოთ.

„ხალხში ვეღარ ვჩერდები __ აგრძელებს აღსარებას თევდორე მგელყოფილი __ გული ხან რომელ კაცზე მეტყვის, ეს კაცი მგელიაო, ხან რომელზე. ერთხელ ქალაქში

ვიყავი, კინაღამ გადავირიე, სოფელში ცოტა ხალხია და ისე არ იგრძნობა, ქალაქი სავსეა მგლებით. სადაც კი წავსულვარ, მთელ ქვეყანაზე მგლის სუნი ტრიალებს. მე ხო მარტო მგლობა მქონდა მოსჯილი და იმათ, ვისაც კაცის სახით ხალხში უშვებენ, ზოგს რა ჰქონდა დავალებული და ზოგს რა. აი, ეგეთი მგლები დაწანწალებენ და ნადირობენ. შენ რომ კეთილ საქმეს აკეთებ, ლუკავ, ეგ მგლები იმდენს ეცდებიან, ისე გაძვრებ-გამოძვრებიან რო, შენ კეთილ საქმეს ავად მოაჩვენებენ ხალხს, თავისნაირ მგლებს შენზე დაგეშავენ და სისხლს გამოგწოვენ. თვითონ მგლის სული უდგათ და კარგს ვერაფერს აკეთებენ, აბა მგლისგან როგორ გამოვა ადამიანური, შენი კი შურთ, შურთ და თანაც დავალებული აქვთ ყელი გამოღადრონ კეთილ საქმეს“ (ჩოხელი, 2007:135-136).

რომელსა არ ძალუძს ამაღლება, ცდილობს სხვის დამდაბლებას, აცხადებს ძველი ქართული სიბრძნე. თვითონ არ შეუძლიათ, შენი კი შურთ _ ადასტურებს ჩოხელი.

რომანში დრო არ კონკრეტდება, მაგრამ სხვადასხვა მინიშნებებით შეგვიძლია დაახლოვებით მივხვდეთ რომელ პერიოდზეა საუბარი. ნაწარმოების მოქმედების დროითი მონაკვეთი საბჭოთა რეჟიმის ბატონობის ხანას ემთხვევა:

„იმდროინდელი ვარ, ეს ცხოვრება რომ დაიწყო. ბალღობისდროინდელი ამბები კარგად არ მახსოვს, მაგრამ რომ დაიძახეს, კოლექტივიაო, ის მახსოვს“ (ჩოხელი, 2007:137).

მკვლევართა აზრით, არც წითელი ფერია შემთხვევით გამოტანილი სათაურში (როგორც, ჩანს მაშინდელი ხელისუფლების აზრითაც. რადგან ზოგიერთ გამოცემაში მწერალს მოუწია რომანი დაებეჭდა „მგლის“ სახელწოდებით, ფერის გარეშე). ზოგადად, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ნაწარმოებში კომუნიზმის მწვავე კრიტიკას ხედავენ. შესავალში ისიც ვთქვით, რომ ნაწარმოები მრავალმხრივია და მისი მხოლოდ ერთი მხრიდან დანახვა, არასწორი იქნებოდა. თუმცა მინიშნებები რომ აშკარად არის, ამაზე არავინ დავობს.

თევდორე მღვდელს იგონებს, ნათელსახიან თეთრწვერა თადეოზს, რომელიც შვილმა გაკრიჭა და ყელზე საბელგამობმული კომკავშირელებს მიაყენა ხატის განძეულობით დატვირთული. მამამ შვილს მხოლოდ ერთი სიტყვა უთხრა, „მოგეკითხება“, წავიდა და წავიდა, გადაიკარგა. მერე ისევ ნახა უკვე მგლადქცეულმა თევდორემ მღვდელი. თადეოზი თავისივე გაზრდილმა, მხეცების წინამძღოლად დაწინაურებულმა შვილმა შეჭამა. გადასვლა ისეთია, თითქოს, ერთ მოცემულობაზე საუბრობდეს მწერალი. კომკავშირი და მგლების ხროვა, ერთ ცნებად აღიქმევა მკითხველის მიერ. ორივე საკუთარ სისხლსა და ხორცს, საკუთარ საწყისს მოითხოვს მსხვერპლად. ქორამ ჯერ კომკავშირში მისაღებად დაამცირა და სულიერად მოკლა მამამისი, შემდეგ მგლების წინამძღოლობისას უკვე საბოლოოდ მოუღო ბოლო. არ ხდება მწერლის მიერ არავითარი შემზადება, არავითარი განწყობის შექმნა, რომ ქორაც მგლად მოიქცა, ან ქორაც იქ იყო. თევდორე პირდაპირ ამბობს:

„ერთხელ ქორა მგლის წინამძღოლობის დროს, ისევ დავწალიკდით ბერების მთისაკენ მიმავალ სერზე.

ქორას დორაისხევიდან ბრძანება ჰქონდა მღვდელზე თავდასხმისა და მუხლჩაუხრელად მივძუნძულებდით“ (ჩოხელი, 2007:145).

და მკითხველს სრულებით არაფერი უკვირს. რა თქმა უნდა, ქორა მგელი უნდა გამხდარიყო; მამამისსაც, რა თქმა უნდა, პირველი ქორა უნდა დასხმოდა თავს.

აქ აუცილებლად გაგვახსენდება ერთი პარტიისთვის თავგადადებული პოეტის ლექსი:

„მე მოვკლავ დედას, დავახრჩობ მამას
თუ რევოლუცია მიბრძანებს ამას“

თევდორეს მონათხრობით, ორ პატარა ბიჭს დედა მოუკლეს მგლებმა. იმ ქალის ძმაც დორაისხეველებმა დაღუპეს. ძმას ჯარჯი ერქვა და მთელ ხეობაში გულადობით იყო ცნობილი. დედა კი ასე მოსთქვამდა ხოლმე, თავის დაობლებულ შვილიშვილებთან რომ მიდიოდა:

„რას შვრები ღმერთო, დალოცვილო, ქვეყნად რომ მგლები გაამრავლე!...“ (ჩოხელი, 2007:148).

ძალიან საინტერესოდ არის გადმოცემული დორაისხევის, როგორც ბოროტების საუფლოს მოწყობის პრინციპი. კიდევ ერთხელ ავლებს მკითხველი პარალელს უკვე განვლილ ისტორიულ სინამდვილესთან.

„დორაისხევში ხშირად იცვლებოდნენ მბრძანებლები და სულ გარდაქმნებში და დაძაბულობაში ვიყავით. ზოგი მბრძანებელი თვითონ კვდებოდა თავისი სიკვდილით, ზოგსაც კლავდნენ. ჩვენ გვეუბნებოდნენ რომ მოკვდაო, მაგრამ სამსჯავროდან ხმა ამოდიოდა, ესა და ეს მბრძანებელი მოკლესო.

მბრძანებლებს იქვე, დორაის კლდეში ასაფლავებდნენ დიდი პატივით. ჩემი იქ ყოფნისას, რამდენიმე მბრძანებელი გამოიცვალა და ყველა თავისებურ კანონებს გვიწესებდა. წინა მბრძანებელს უცებ ვივიწყებდით და ახლის წინაშე ვკანკალებდით“ (ჩოხელი, 2007:149).

თევდორე ახლა ჯარჯის ამბავს უყვება ლუკას. ამ გულად ყმაწვილს მგლებმა თავიანთი ლეკვი მიუჩინეს. ჯარჯიმ გაზარდა მგლის ნაშიერი და ყველგან თან ატარებდა. ერთხელაც უცნაური სურათი დახვდა ახლადგაღვიძებულს: მგელი გაიქცეოდა, მდინარეში ჩაწვებოდა, ისევ ცეცხლთან მობრუნდებოდა და სველ ტანს იბერტყავდა, ალის ჩაქრობას ცდილობდა. ახალგაზრდა კაცმა ჯერ იფიქრა ცეცხლი აშინებსო ჩემს მცველს, მაგრამ როცა მგელმა საწადელი აისრულა და პატრონის ნაბადს დაესხა თავს, მერე მიხვდა რაშიც იყო საქმე. საინტერესოა, რატომ გადაწყვიტა ავტორმა, რომ მგელს ცეცხლი აუცილებლად უნდა ჩაექრო და მხოლოდ მერე შეესრულებინა თავისი მგლური განზრახვა. იქნებ იმიტომ, რომ სინათლეში ბნელი საქმეების კეთება გაცილებით უფრო რთულია. იქნებ ვერ უნდა ხედავდე შენს ნამოქმედარს, რომ გულმა გაგიშვას.

მკვლევარი ლ. სორდია მგელსა და ცეცხლში ეშმაკისა და ღმერთის ალეგორიებს ხედავს, რომლებიც ერთმანეთთან აფსოლუტურად შეუთავსებელია და ამიტომაც ცდილობს ასე მონდომებით მგელი ცეცხლის ჩაქრობას (სორდია, 2009).

კიდევ ერთი რამ: რატომ მაინცდამაინც ჯარჯი ამოირჩიეს მგლებმა დასაღუპად? თევდორე ამ კითხვას თვითონვე პასუხობს:

„დორაისხევში ვერ იტანდნენ თუ ქვეყანაზე სადმე გულადი კაცი დაიარებოდა. იმდენს ეცდებოდნენ, სანამ ასეთ კაცს სულს არ გააყიდვინებდნენ და სათავისოდ არ მოაქცევდნენ. ზოგს თავიდანვე იშორებდნენ გზიდან, ან მგლებს მიგვისევდნენ, ანდა რაიმე ხიფათს გადაჰყრიდნენ. ამ კანონს ყველა ახალი მბრძანებელი უცვლელად სტოვებდა დორაისხევის სამსჯავროზე“ (ჩოხელი, 2007:149).

დორაისხეველებმა ჯარჯის ვერაფერი დააკლეს თავიანთი ავი საქმეებით და ბოლოს ისევ სიყვარულით მოუღეს ბოლო. ქაჯი შეუყვარდა ვაჟს და იმისმა სურვილმა ჩამოლია.

ღამდება და ისევ წამოეშლება ლუკას ავი ფიქრები:

„მოქცეული ხარ მგლების რკალში!...

თუ შესძლებ და ამისათვის გეყოფა შენ თავში რწმენა და ძალა, მიდი გაარღვიე ეს წრე, თუ არა და დანებდი, შენც მგლად იქეცი, იმათ წრეში ჩადექი და სხვას ჩაუსაფრდი. მერე რა, რომ მგლად იქცევი, განა ერთი და ორი მგელია შენს გარშემო? ქვეყანა სავსეა მგლებით, იმათია ასპარეზი, ხოლო ვინც კაცი გააჩინა, დაკარგულია, სადღაც იმალება, იშვიათად თუ ვინმემ იცის მისი ადგილ-სამყოფელი.

იმალება გამჩენი...

მგლებს კი წრე აქვთ შეკრული.

მიდი და გაარღვიე ეს წრე, თუ ვაჟკაცი ხარ“ (ჩოხელი, 2007:159).

მარტინ ჰაიდეგერი მან-ის, გაურკვეველი სუბიექტის, დიქტატურაზე საუბრობს, რომელიც ეპატრონება და განაგებს ადამიანთა ცხოვრებას. თუ ლუკა ვერ გაარღვევს მგლების რკალს, ეს ნიშნავს, რომ ისიც იმ საერთო, გაურკვეველ და წამლეკავ მთლიანობას დანებდა და შეუერთდა. მან-ის ქვეშევრდომობაში ყოფნას კი ზ. კაკაბაძე არყოფნასთან აიგივებს.

ბევრი მცდელობის მიუხედავად, რამდენიმე ღამის უძინარ ლუკას ძილი ერევა და საინტერესო რამ ესიზმრება. სიზმარს, როგორც წესი, დიდი დატვირთვა აქვს

ხოლმე ლიტერატურულ ნაწარმოებში. სიზმრით ავტორი დიდ სათქმელს გვანდობს შეფარვით. დიმიტრი უზნაძე წერდა: „როდესაც ადამიანი საზოგადოდ ზურგს აქცევს სინამდვილეს, როდესაც მას ამ უკანასკნელთან ურთიერთობა აღარ აინტერესებს, მაშინ რასაკვირველია, ფანტაზიას აღარაფერი უშლის ხელს სრულიად თავისუფლად გაიშალოს. ეს განსაკუთრებული სისრულით ძილში ხორციელდება და მაშინ სიზმარი თავიდან ბოლომდე ფანტაზიის შეუფერხებელ გამოვლენას წარმოადგენს“ (ნიშნიანიძე, 2005:9). სიზმარში, ჩვეულებრივ, სამართლიანად ხდება ყველაფერი. ადამიანებმა ჩვენ თვითონ ხომ მაინც „ვიცით“ ჩვენი თავი, როგორებიც არ უნდა ვჩანდეთ გარეგნულად და შორიდან. ხოდა სიზმრებიც სამართლიანი გამოგვდის. გოდერძი ჩოხელთან ორი სიზმარი იქცევს ყურადღებას. განსაკუთრებით იმის გამო, რომ შეგვიძლია ისინი ერთმანეთთან დაპირისპირებულ ორ მოცემულობად განვიხიოთ: ერთია ლუკას სიზმარი რომანიდან „წითელი მგელი“, მეორე შიო მღვდლისა _ რომანიდან „მღვდლის ცოდვა“. არც ერთ ამ პერსონაჟს არ აკმაყოფილებს გარემო, ორივე „ზურგს აქცევს სინამდვილეს“. და ორივე ისეთ სიზმარს ხედავს, როგორიც მის პიროვნებას შეესაბამება, როგორც სამართლიანობა მოითხოვს. სიზმრები ჰგავს ერთმანეთს. შიოც და ლუკაც აპოკალიფსს ნახულობენ. მაგრამ სხვადასხვანაირია განაჩენი: ლუკა ცაში მიფრინავს და ღმერთი მას სიყვარულის, სინათლის გამრავლებას ავალებს. შიო კი ფეხზეც ვერ დგება, ისე აქვს სული დამძიმებული, თავისივე ნებით ძვრება სამარეში. არის კიდევ ერთი სხვაობაც: ლუკას თუ ღმერთი ეცხადება, შიოს არ დაუმსახურებია ამხელა ბედნიერება, ამიტომ ღმერთის ნაცვლად თავისივე განწირულ მღვდელს ისიზმრებს.

„ცეცხლი უკიდია დედამიწას, ხტუნავს, ტორტმანებს.

ერთიმეორეში ირევა ხალხი.

ვერ გაიგებ ვინ საით გარბის.

ცეცხლი ეკიდება დედამიწას,

ტყვრება.

ტორტმანებს.

ხალხი აბღავლებული ცხვრის ფარასავით აწყდება აქეთ-იქით, მაგრამ ყველგან ცეცხლია.

ტირილი;

კვნესა;

ხვეწნა;

მუდარა _ ერთმანეთშია არეული.

ლუკაც ხალხშია, ისიც გასასვლელს ეძებს.

კვამლის სუნი ახრჩობს ხალხს.

კვამლმა ღრუბელივით დაფარა გარემო.

აღარაფერი აღარა ჩანს.

გადის ერთი დღე;

მეორე;

მესამე;

ლუკა ძილში გრძნობს დღეების გასვლას.

დაიქუხა.

მთელი ცის სიგრძე-სიგანეზე გაკრთა ელვა.

გაიფანტა კვამლი და გამოჩნდა:

დაკარგული ღმერთი!...

მაღლა გაჩერდა და ხალხს ჩამოსძახა:

_ უცოდველნი ამოფრინდით!

ფრენით წავიდა აღმა ხალხი.

ვითომ ლუკაც მათ შორის იყო.

ვინც ფრენა ვერ შეძლო, ისინი ისევ მიწაზე დარჩნენ და ახლა კაცის ხმაზე კი არ შესთხოვდნენ შველას, ყმუოდნენ.

მიწას ცეცხლი ეკიდა და ჰაერში ტორტმანებდა.

ლუკა ვითომ ღმერთს ეხვეწებოდა ხალხის შველას, რომლებიც ყმუილით შეჰბღაოდნენ ცას.

_ წადი, იპოვე ყვავილი! _ მხარზე ხელი დაადო ღმერთმა და ლუკა ძირს დაეშვა. უცებ გაეღვიძა“ (ჩოხელი, 2007:160-161).

რომანში თხრობა გრძელდება და თევდორე და ლუკა ახალი სიცოცხლის დაბადებას ზეიმობენ _ ძროხა ხბოს იგებს. ბედნიერება მძიმე მოგონებებს აუშლის მგლადყოფილს. მას მხეცის ტყავით ჩადენილი ცოდვები ისე არ ემძიმება, როგორც მანამდე, ადამიანის სახე როცა ჰქონდა. ერთხელ ბოჩოლა დავკალი, საკუთარი დედის რძეში მოვხარშე და შევჭამეო, უყვება ლუკას. იმ ღამესაც დასიზმრებია მამამისი, შეწუხებული და გაოგნებული უყურებდა.

ფსიქოლოგიაში ცნობილია, რომ ადამიანის არ შეუძლია დიდხანს იყოს უთანხმოებაში თავის სინდისთან. ამიტომ როდესაც ცუდად ვიქცევით და მერე ვწვალობთ ამის გამო, ჩვენი ტვინი იწყებს მუშაობას მწუხარების სამკურნალოდ. „მკურნალობა“ კი შემდეგნაირად ხდება: გონება დაბლა სწევს ჩვენს მორალურ სტანდარტებს და ცდილობს გაამართლოს ჩვენივე ჩადენილი სიმდაბლე. ესე იგი, ჩვენ აღარ მოვითხოვთ საკუთარი თავისგან ისეთ ეთიკურ სიწმინდეს, როგორსაც მანამდე მოვითხოვდით. ამიტომ შემდეგი ცოდვის ჩადენა გაცილებით უფრო მარტივდება.

ასე დაემართა თევდორესაც. ჯერ ერთი ცხოველი მოკლა, მერე მეორე, მერე თანდათან სიბრალულის გრძნობისგან სრულიად გათავისუფლდა. ბოლოს კი იქამდე მივიდა, რომ სიკვდილის გარეშე ვეღარ ძლებდა, გამიერთგულაო სიკვდილმა, ამბობს ლუკასთან საუბრისას.

ღვთის მადლი სად აღარ მისწვდება და მგლადყოფილი თევდორეც ხროვის ერთ წევრს იხსენებს. ფაცა ერქვა სახელად და კაცივით სულ ქუდს დაატარებდა, ხან პირით, ხან თავით. კეთილი გული ჰქონდა ფაცას, ამის გამო ნახევრად მშიერს უწევდა სიარული. ერთხელ ჩიტმა კვერცხები დადო მის ქუდში და მგელმა მანამდე უყარაულა ბარტყებს, სანამ არ დაფრთიანდნენ და გაფრინდნენ. დორაისხეველები ამგვარ საქციელს, რა თქმა უნდა, ვერ აიტანდნენ. ფაცას ქუდი დაუგორეს ფერდობზე და ისიც უფსკრულში გადაჰყვა თავის ერთადერთ ხილულ მაკავშირებელს ადამიანობასთან. ხილულს, თორემ უხილავი _ ბარე ორ ადამიანზე მეტი ჰქონდა.

მერე თევდორე თავის ძმას იგონებს, ლეგოს. ისეთი გული ჰქონდა ლეგოს, ომში წასული გველის წიწილებს რძეს უზიდავდა, ობლები ეგონა და პატრონობდა. სწორედ ამ თავისმა სიკეთემ გადაარჩინა.

ავტორი შეურყვნელ სიკეთეს ხატავს მამა-შვილის, ლეგოსა და თანდილას სახით. ასეთი გმირი კი გამოუსადეგარი ხდება ტრაგედიისთვის. უბედურება მათ ვერ დაატყდებათ თავს. არისტოტელე წერს თავის „პოეტიკაში“: ტრაგედიის გმირი არ უნდა იყოსო, არც მეტისმეტად კეთილი და არც მეტისმეტად ბოროტი. მეტისმეტი სიკეთე მაყურებელში უსამართლობის გრძნობას გააჩენს, რადგან ცუდი ამბავი ყოველგვარი საფუძვლის გარეშე მოევლინება პერსონაჟს. ასევე არ ვარგა ნაწარმოების მოქმედი პირის გადამეტებული ბოროტებაც, რადგან ტრაგედიის მთავარი დანიშნულებაა თანაგრძნობა გამოიწვიოს და ამ გზით კათარსისამდე აამაღლოს მსმენელი თუ მკითხველი. თუკი უბედურება პერსონაჟს დამსახურებულად შეემთხვევა, ტრაგედია თანაგრძნობის ნაცვლად კმაყოფილებას მოჰგვრის მაყურებელს (არისტოტელე, 1979).

სამაგიეროდ ტრაგედიისთვის ძალიან „გამოსადეგია“ თევდორეს გმირი. ამ პერსონაჟის სულიერი დაცემა სრულიად მოსალოდნელი იყო. მან გადაუხვია მამის გაკვალულ სიკეთის გზას და ნელ-ნელა საკუთარი ნებით დაიმძიმა სული. ასეთი სულის მონადირება კი უკვე ძალიან მარტივი შეიქმნა ეშმაკისათვის. როგორც ნ. კუცია წერს, ეშმაკი პიროვნების ნებისმიერი არჩევანით შედის გვამში და მერე ნების საწინააღმდეგოდ აწამებს მას (ჩოხელი, 2012).

თევდორეს სამგლო საქმეების მოსმენით შეშინებული ლუკა გულის გასამაგრებლად ისევ უშიშარ გარსიაზე იწყებს ფიქრს. გველეშაპს გადევნებული გარსია საიქიოს მოივლის და მერე ისევ თავის სოფელს უბრუნდება ლანდის სახით. გოდერძი ჩოხელისეული ქვესკნელის სურათი ჰადესს უფრო გვაგონებს ანტიკური ლიტერატურიდან, ვიდრე ქრისტიანულ ჯოჯოხეთს. იქ ყველაფერი წითელია, მხოლოდ ადამიანების ლანდები არიან შავები. არ გვიყვება არავითარ ცეცხლსა და ტანჯვაზე ავტორი. პირიქით, უკან მობრუნებული გმირი ამბობს, რომ მოეწონა

ქვესკნელი, ხალხიც მოეწონა, ერთადერთი საწუხარი ის ჰქონდა, რომ იქ საგმირო საქმეებს არად აგდებდნენ. მაგრამ განა სააქაოს აგდებდნენ გმირობას რამედ, სანამ ცოცხალი იყო?!

ლუკა მაინც ვერ იშორებს ავ ფიქრებს, პირიქით კიდევ უფრო უმძიმდება და უმუქდება აზრები. ბოლოს იქამდე მიდის, რომ თევდორეს მოკვლასაც კი გაივლებს გულში, მაგრამ მაშინვე უკუაგდებს, რადგან ხვდება, რომ ვინმეს მოკვლის აზრი უფრო ზარავს, ვიდრე მგლად მოქცევის ან მგლებისგან შეჭმის.

ერთადერთი ხსნა ისევ ისტორიის ბოლომდე მოსმენაშია.

დატყვევებულმა კაცმა რომ თავი გაითავისუფლა და შეყვარებული მგლები ორმოში ამოხოცა, თევდორე მეცნიერთან აღმოჩნდა საცდელ ცხოველად. ნამდვილი ჯოჯოხეთი გამოიარა მგლადქცეულმა ადამიანმა. პროფესორი და მისი ასისტენტები ხან დენზე შეაერთებდნენ, ხან ნარკოტიკს გაუკეთებდნენ და კმაყოფილებით გაიძახოდნენ, კარგია, ძალიან კარგიაო. მწერალი ისე ხატავს, რომ მკითხველიც გალიიდან უყურებს დატყვევებულ ცხოველზე ახარხარებულ ბიჭებს თუ თავად მგლებს. აქაც ისევ ის ფრაზა გახსენდება „ღმერთის შვილებიდან“, ადამიანის საქმე ადამიანობაა, ესენი კიდევ მგლობენ და გველობენ.

დორაისხევში დაბრუნებულ თევდორეს დილეგში ამწყვდევენ იმის გამო, რომ ტყვედ ჩავარდა. ეს მომენტი ძალაუნებურად გვაგონებს საბჭოთა იმპერიის დამოკიდებულებას ტყვეობიდან თავდახსნილი ჯარისკაცების მიმართ, რომლებიც ხშირად მთელ დარჩენილ სიცოცხლეს მშობლიურ საპატიმროებში ატარებდნენ.

როგორც იქნა, თევდორემ ისიც ამოთქვა, როგორ დააღწია მგლობას თავი. თურმე მთელი საიდუმლო მის კისერზე გამონასკვულ თივის ალდახში ყოფილა, ერთხელ ავ საქმეზე მიმავალი რაღაცას გამოედო იმ საყელურით, გაუწყდა და ისევ კაცად იქცა.

მათეს სახარებაში ვკითხულობთ: „თივაი იგი ველისაი... დღეს არის და ხვალე თორნესა შინა შთაეგზნის“ (მათე 6, 30) (კუცია, 2012:58).

ნ. კუციას აზრით, ბოროტების ასეთი სუსტი, წარმავალი სიმბოლოთი აღნიშვნა, გოდერძი ჩოხელის რწმენაზე მეტყველებს, მწერალს სწამს, რომ ბოროტება არასუბსტანციური, არამარადიულია (ჩოხელი 2012).

აღსარება მთავრდება და თევდორეს ამ ქვეყნად ყოფნის დროც ნელ-ნელა იწურება. ავადმყოფი უკვე ლოგინიდან ვეღარ დგება და ლუკას პირით თავის ძმას უხმობს. ლეგოს სოფელში ლუკა თავის მეზობლებს შეხვდება და სახლში გაჰყვება.

ამის შემდეგ იწყება რომანის უკანასკნელი, მესამე ნაწილი რომელსაც „სოფელი“ ეწოდება. მწერალი თითქმის უცვლელად გადმოსცემს საკუთარ დაბადების ისტორიას. ლუკაც ერთი „წამოყუდებული“ [მწერლის ტერმინია_ ნ.ნ.] კლდის ქვეშ იბადება, გზაში; მის დედასაც ლელა ჰქვია; მისი დაც ოთხი წლით უფროსია მასზე; ისიც ნაწილიანია (ნაწილიანი ერქვა მზის ან მთვარის ნიშნით დაბადებულ ადამიანს. მთაში სჯეროდათ, რომ ზოგიერთ ბავშვს მუცლიდან ასეთი ნიშანი დაჰყვებოდა და ღამით უნათებდა. „ნაწილიანები“ ფრთხილობდნენ, ხალხს ეკრძალებოდნენ, არ აჩვენებდნენ ღვთის საჩუქარს. გ. ჩოხელის დის, ელისოს მტკიცებით, მწერალიც ნაწილიანი იყო, ოღონდ მას ეს ამბავი გვიან გაუგია (ზედელაშვილი 2012). არის განსხვავებაც, ლუკას მამა ნადირობისას იკარგება, და მასზე ლეგენდები დადის სოფელში, ავტორის მამამ კი ხანდაზმულობამდე იცოცხლა.

სოფელს ცოფი აქვს მოდებული. შიშიანობაა ჩამოვარდნილი. არავის უშვებენ საზღვრის გარეთ. ვეღარც ერთმანეთს ენახებიან თანასოფლელები. ასეთ სიტუაციაში აუცილებლად უნდა გამოჩნდეს მხსნელი. სწორედ ასეთი ფუნქცია აქვს ლუკას დაკისრებული მწერლის მიერ. იგი უნდა გაიპაროს სოფლიდან და თევდორესგან ნაანდერძევი ყვავილით მობრუნდეს ადამიანების გადასარჩენად. ამას გულისხმობდა სიზმრის წინასწარმეტყველებაც. ნიშანდობლივია, რომ პერსონაჟს საგმირო საქმეების გასაკეთებლად სიყვარული აძლევს ძალას. მის სიყვარულს ანა ჰქვია და სიკეთის ბუდეში, ლეგოს სახლში იზრდება.

„სოფელი აავსო ყვავილის სურნელმა.

წამოვიდა ლუკა,

დადიოდა სოფელ-სოფელ, დადიოდა ქალაქიდან-ქალაქში. დადიოდა ანას სიყვარულით ანთებული.

ხელში ყვავილი ეჭირა და იმის დანახვაზე გარბოდნენ მგლები. გარბოდნენ სოფლებიდან. გარბოდნენ ქალაქებიდან. მგლებისგან იცლებოდა ქვეყანა.

ლუკას ხელში თანდათან ღვივდებოდა ეს ყვავილი და მთელ დედამიწას თავის სურნელებით ავსებდა. დორაისხეველებსაც მისწვდენოდათ ეს სურნელება და კანკალებდნენ, თრთოდნენ, შეშინებულნი დიდ საგონებელში იყვნენ ჩაცვივნული.

დადიოდა ლუკა ქვეყანაზე, რომლის ერთ ბოლოში ანა ელოდებოდა“ (ჩოხელი 2007:224-225).

ყვავილის განედლების სასწაული ძველი აღთქმიდან მომდინარედ ესახება ნ. კუციას:

„ყუაოდა კუერთხი აარონისი სახლად ლევისა: და გამოიღო მორჩი და გამოყუავილდა ყუავილი და გამოიღო ნიგოზი“ (რიცხუთაი 17, 23) (კუცია, 2012:60).

ლ. სორდია ყვავილს ქრისტეს სიმბოლოდ მოიაზრებს (სორდია, 2009). რელიგიურ შინაარსს ხედავს ყვავილში მ. ჯალიაშვილიც, ოღონდ მას არა ქრისტეს, არამედ ღვთისმშობლის სახედ განიხილვას (ჯალიაშვილი, 2006).

ჩვენი აზრით, ყვავილი ზოგადად სიკეთის გამოხატულებაა და მასში კონკრეტულად სამების რომელიმე ჰიპოსტასის ან წმინდანის დანახვა არ მიგვაჩნია სწორად.

გოდერძი ჩოხელის „წითელმა მგელმა“ განსაკუთრებული დაინტერესება გამოიწვია მკვლევართა შორის. ნაწარმოებს ყველა თავისებურად განიხილავს, ზოგიერთი მასში ქრისტიანული სიმბოლიკით დატვირთულ ლიტერატურულ ძეგლს ხედავს, ზოგი __ მხოლოდ საბჭოთა რეჟიმის კრიტიკას, ზოგიც __ მთაში შემორჩენილი მითების კრებულს, მგლის შესახებ. საქმე ისაა, რომ რომანი ყველა ამ ასპექტს აერთიანებს, მაგრამ უფრო მეტია, ვიდრე თითოეული მათგანი ან თუნდაც მათი მექანიკური ჯამი. ჩვენი აზრით, ნაწარმოებში ასახულია სიკეთისა და ბოროტების დაპირისპირების, გაუცხოების, საკუთარი თავის ძიების, არჩევანის თავისუფლების

ზედროული და ზოგადსაკაცობრიო თემები. ამავე დროს რომანი გაჯერებულია ქრისტიანული სიმბოლიკით, მითოსური პლასტებითა და ისტორიული სინამდვილის კრიტიკით.

***

გოდერძი ჩოხელის შემოქმედებაში უხვად ვხვდებით ექსისტენციალურ მოტივებს. სადისერტაციო ნაშრომის მოცემული მონაკვეთი სწორედ ამ ტენდენციების გამოვლენასა და ახსნას წარმოადგენს. ნაშრომის თეორიული ნაწილი ექსისტენციალიზმის, როგორც ფილოსოფიური მიმდინარეობის, ჩამოყალიბებასა და მისი რაობის გაანალიზებას დაეთმო. პრაქტიკულ ნაწილში კი განვიხილეთ გ. ჩოხელის ნაწარმოებები: „აღმართი“, „თევზის წერილები“, „წერილი ნაძვებს“, „დავიწყების მდინარე“, „არწივთან ფრენა“, „ადამიანთა სევდა“, „წითელი მგელი“. დასახელებულ მოთხრობებსა და რომანებში ავტორი ეხება ექსისტენციალიზმისთვის ნიშანდობლივ საკითხებს: გაუცხოების, გადაგდებულობის, თავისუფლების, სიცოცხლის აბსურდულობის, ყოფნა-არყოფნის, მარადისობაში გადასვლის თემებს.

მწერალი ყოფნას ირჩევს არყოფნის წინააღმდეგ, ხოლო ამ ყოფნის აზრს კვალის დატოვებაში ხედავს. ამგვარად, გოდერძი ჩოხელმა ამქვეყნიურ აბსურდს ცხოვრების მარადისობაში გაგრძელების შესაძლებლობა დაუპირისპირა.

თავი V. ბუნება გოდერძი ჩოხელის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში

ბუნება გოდერძი ჩოხელის შემოქმედებაში განსაკუთრებულ ადგილს იკავებს. მწერალი ცოცხლად აღიქვამს თავის გარემომცველ სამყაროს. ამის გამო ჩოხელს ხშირად ვაჟა-ფშაველასაც კი ადარებენ. უნდა აღინიშნოს, რომ ამ შედარებას მწერალი და კინორეჟისორი აღფრთოვანებით ხვდებოდა და ხშირად იმეორებდა: ვაჟა-ფშაველა ღმერთს გაუვარდა ჯიბიდან, მე კი _ ვაჟა-ფშაველასო (ჩოხელი, 2012). თუმცა, ჩვენი დაკვირვებით, გოდერძი ჩოხელმა თავისი ახალი განზომილებაც შემოიტანა ადამიანისა და ბუნების ურთიერთმიმართებაში. ავტორის მსოფლმხედველობრივი თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ მან (თითქმის) სრულიად წაშალა ზღვარი პიროვნებასა და გარესამყაროს შორის.

სადისერტაციო ნაშრომის მოცემული მონაკვეთი ორ ნაწილად იყოფა. პირველში ვარკვევთ ბუნების მწერლისეულ აღქმას. მეორეში კი, ბუნებისადმი ჩოხელის პერსონაჟთა დამოკიდებულების საკითხს განვიხილავთ.

5.1. ავტორი და ბუნება

„ყველაზე დიდი, ყველაზე იდუმალი, ყველაზე ლამაზი, ყველაზე მარადიული ამ დედამიწაზე (რამდენადაც შეიძლება დედამიწა მარადიული იყოს) _ ბუნება და ბუნებაში _ გაზაფხული“ (გ. ჩოხელი) (ზედელაშვილი 2012:9).

გოდერძი ჩოხელის მიმართება გარემომცველ სამყაროსთან სრულიად განსაკუთრებულია. როგორც უკვე ვთქვით, ხშირად აღნიშნავენ მისი და ვაჟა-ფშაველას გარკვეულ მსგავსებას და სავარაუდოდ, უმეტესად ამ მსგავსებაში სწორედ ბუნების საკითხი მოიაზრება. მწერლისეული შეხედულებები, ჩვენი აზრით, ვასილ ბარნოვთანაც ამჟღავნებს ნათესაობას. კერძოდ, ვგულისხმობთ ე.წ. სულთა გადასახლების თეორიას.

კ. ლორია თავის ნაშრომში „ვასილ ბარნობის მსოფლმხედველობისათვის“ (წიგნიდან „ლიტერატურული ჰორიზონტები“) განიხილავს ბარნოვის მსოფლმხედველობას და გამოაქვს დასკვნა:

„ვასილ ბარნოვი, მისი შემოქმედებიდან გამომდინარე ე. წ. სულთა ღოღვის თეორიას აღიარებს“ (ლორია, 2009:106). ამ თეორიის მიხედვით, რამდენჯერმე დაბადების უნარი შესწევს ადამიანის სულს. რიგ შემთხვევებში განსხეულება კვლავ ადამიანის სახით ხდება, ხან კი სული ცხოველში, მცენარეში გადაინაცვლებს.

მკვლევარს განსაკუთრებული ყურადღება აქვს გამახვილებული ბარნოვის ერთ მოთხრობაზე, სადაც მთავარი პერსონაჟი წინა ცხოვრებაში ჩადენილი ცოდვისთვის ისჯება. კეკლუცმა დიდგვაროვანმა ხელი ჰკრა თავისი ქვეშევრდომის სიყვარულს, რის გამოც შემდეგი ცხოვრების გატარება კუზიან სხეულში მოუწია. სიკვდილის წინ ქალი საქორწინო კაბას იკერავს და უარყოფილ სატრფოსთან შესახვედრად ემზადება. საგულისხმოა, რომ კაბა ძველ ტანზეა შეკერილი.

სულთა გადასახლების თეორიას ეხმიანება გ. ჩოხელის ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟიც, რომანიდან „წითელი მგელი“. ლუკასთან საუბრისას თევდორე ასეთ

საინტერესო აზრს გამოთქვამს:

„ყველანი იმად არიან დღემდე, რადაც გააჩინა გამჩენმა.

მერე, ვინ იცის, ზოგი მგლად ვიქცევით, ზოგი ფუტკრად, ზოგი ობობად ზოგიც ციცინათელებად, იმისდამიხედვით თუ ვინ როგორ ვცხოვრობდით ამ ქვეყანაზე“ (ჩოხელი 2007:179).

ვფიქრობთ, მსგავსება აშკარაა. მაგრამ არის განსხვავებაც: ჩოხელისეული ხედვით, სულმა შეიძლება სხვა სხეულში გადაინაცვლოს, მაგრამ ჯერ ერთში უნდა დაასრულოს თავისი არსებობა, შემდეგ კი სრულად დაივიწყოს განვლილი ცხოვრება. სრული დავიწყება დასასრულს ნიშნავს მწერლისთვის.

მანანა კვაჭანტირაძესთან ჩაწერილ ინტერვიუშიც, რომელიც მწერლის ხუთტომეულის უკანასკნელ ნაწილშია დაბეჭდილი, ვკითხულობთ, რომ ჩოხელის კოსმოსი ერთი დაუნაწევრებელი მთლიანობაა. საბოლოოდ ყველაფერი ერთმანეთს ერთვის, სულიერიც და მატერიალურიც, რადგან ასეთია ღვთიური კოსმოსის წესი (ჩოხელი, 2012).

ავტორისთვის ბუნების თითქმის ყველა მოვლენა ადამიანურ თვისებებს ატარებს. აშკარაა, რომ მწერლისთვის ეს უკვე აღარ არის მხოლოდ მხატვრული ხერხი, თუნდაც ძალზე ხშირად გამოყენებადი. გოდერძი ჩოხელი ცოცხლად მიიჩნევს ყველაფერს, რაც მის გარშემოა და მკითხველსაც ასე წარმოუდგენს.

„სიოც კი არ ქროდა, მაგრამ თუ დაუკვირდებოდით, ეს გაყვითლებული ფოთლები კრთოდნენ, ირხეოდნენ, თითქოს გრძნობდნენ დასასრულს და შიშით კანკალებდნენ“ (ჩოხელი 2007:32).

„საღამოობით, როცა მზე ჩაიწვერება ხოლმე, ქვემოთ ჭალებიდან აიყრებიან არაგვზე წყლის დასალევად ჩამოსული ნაგრილები. შეჰყვებიან მთის ფერდს ნაბიჯით, ნება, წელშიმოხრილები. ნასახლარებთან რომ ავლენ, მოხუცებივით დაიბჯენენ ხოლმე გულთაბოძების ჩრდილებს და მერე ასე ჯოხდაბჯენილნი მიდიან ცისკენ“ (ჩოხელი, 2011:165).

„საოცრება იყო, როდესაც მოლოდინით გაფერმკრთალებულ მთებს, სათოვარი

ღრუბლები გადმოადგებოდნენ თავზე, გადაეკვროდნენ მთელ ცას, პირშეკრული ზეცა, ქვემოთ, ხეობის სიღრმისაკენ ნელ-ნელა, სვენებ-სვენებით ჩამოიწევდა და წიფლიანი ტყეების ზემოთ შეჩერდებოდა, დაიმუხტებოდა. მაშინ დედამიწაც, ზეცის მოახლოვებას გრძნობდა და იმის გულს ბაგა-ბუგი გაუდიდოდა“ (ჩოხელი 2007:33).

გოდერძი ჩოხელის ნაწარმოებების კითხვისას შეუძლებელია მხედველობიდან გამოგვრჩეს ის მზრუნველობა, რომელსაც მწერალი გარესამყაროსადმი იჩენს. მისთვის ბუნება არ აღიქმება რესურსად, რომელიც უნდა გამოიყენო, გამოწურო, სადამდეც შეგიძლია. პირიქით, ჩოხელი ადამიანს მიიჩნევს ბუნების პატრონად (მაგრამ არა ბატონად) და, თუ შესაძლებელია ასე ითქვას, მსახურადაც: "გაველურდებოდი, შენ დედამიწავ, ადამიანი რომ არ გყავდეს მოსამსახურედ" (ჩოხელი, 2011:160). მწერალი ყველაფერს ეფერება, რაც მის გარშემოა, ყველაფრის მიხმარებას ლამობს:

„_იცი, ხშირად რას ვნატრობ?

_რას?

_მე რომ ისეთი დიდი ვიყვე... მართლა რომ ისე დიდი ვიყვე... ღმერთმა რომ თავისი ძალა მომცეს, რას ვიზამ, იცი?

_რას?

_ავიყვანდი და ხელისგულზე დავსვამდი მიწას.

_რატომ?

_ამდენს რომ ბრუნავს, ერთი წამით დავასვენებდი“ (ჩოხელი 2017:105).

ზემოთ მოხმობილი სტრიქონები კიდევ ერთ მონაკვეთს გვახსენებს მწერლის ლექსიდან:

"ო, შემოქმედო, მომეც ტკივილი,

რომ ტკივილები შეგიმსუბუქო"(ჩოხელი 2012:177).

რა კომენტარი შეიძლება გაუკეთდეს ამ სიტყვებს, გარდა იმისა, რომ უცნაურზე უცნაური სიკეთე იხედება ჩოხელის ნაწარმოებებიდან. ლიტერატურის მკვლევართა ერთი ნაწილის მტკიცებით, ანა კალანდაძის სახელს უკავშირდება „სამშობლო_შვილის“ სახის შემოტანა ქართულ ლიტერატურაში. ვგულისხმობთ, რომ მანამდე პატრიოტული გრძნობები რაღაც ხელშეუხებელი, ბუმბერაზი და ღრუბლებს მიღმა მყოფი ფენომენისკენ იყო მიმართული. ანა კალანდაძემ კი ეს ცნება დაბლა ჩამოიყვანა და აკვანში ჩააწვინა. გვითხრა, რომ ჩვენი საზრუნავია და ჩვენ მეტი პატრონი მას არ ჰყავს. შეიძლება მსგავსი ქმედება მივაწეროთ გოდერძი ჩოხელსაც, ოღონდ ბუნებასთან მიმართებით.

"თეთრ ნისლებს რატო იკრავენ შიშველ შუბლზე, თავი ხომ არ სტკივათ ნეტარ?...

გინდათ, ლოცვას გეტყვით, მთებო:

შაკიკის ქარი შამოჩნდა სათიბისა ჭალასა,

ეგე სძოვდა რკინასა, როგორც ხარი თივასა,

წმინდამ გიორგიმ დასწყევლოს, გაპარულა დილასა,

გერგოთ და გეწამლოთ! გერგოთ და გეწამლოთ!“ (ჩოხელი, 2011:160). ან კიდევ:

„დადექ, დაისვენე,

წინ წასულო ნიავო,

რაღაც უნდა გითხრა,

რაღაცით უნდა გაგახარო:

გუშინ დედაშენი ვნახე __

გულმოკლული საბრალო ქარი.

შენ გეძებდა;

შვილი დავკარგეო, ტიროდა;

თმაგაწეწილი სახეს იხოკავდა.

ერთთავად შენ გეძახდა:

__ ნიაოო! ნიაოო! __ საცოდავად კიოდა,

აქეთ და იქით ეხეთქებოდა,

სადაც კი ღია კარს ან ფანჯარას ნახავდა,

იხედებოდა,

ყველას შენს ამბავს ეკითხებოდა.

მეც შემეკითხა.

რა მოსიყვარულე დედა გყოლია,

რა მგრძნობიარე.

წამო ახლა,

ნუღარსად წახვალ,

ჩემთან დაისვენე, ჩემთან იყავი.

თუ გინდა აივანზე ავიდეთ და იქ მეთამაშე.

თუ გინდა კაკლის ძირში ვითამაშოთ

დაჭერობანა.

ან ნაკადულთან ჩაგიყვან.

ხო გიყვარს ნაკადული?

ჰოდა, ამასობაში დედაშენიც მოვა.

კარგი?

წამო, წამო!“ (ჩოხელი, 2011:90).

დედამიწა სულიერ არსებად აღიქმება მოთხრობაში „წერილი ნაძვებს“. საუბარია ბერის სიზმარზე, სადაც პერსონაჟი ზემოდან დაჰყურებს ჩვენს პლანეტას, შემდეგ კი ნანახს სხვებსაც უზიარებს:

„სუნთქავს მიწა... მიწის გულიდან რომ გამოვდივარ, ყველაფერი რაც კი მის ტანზე ხდება, მიწის სიზმარი მგონია.

ხან შორს მიმაფრენს და შორიდან ვუყურებ დედამიწას.

დედამიწას იქიდან სხვანაირს ვხედავ: ცოცხალს!

შორიდან კარგად ჩანს, როგორ გამოდიან ათასნაირი სახეები მიწიდან და ისევ მიწას უერთდებიან...

ნეტავი ერთხელ ჩემს სიზმრებში ჩაგახედათ და განახათ, როგორი სახე აქვს იქ დედამიწას" (ჩოხელი 2010:47-48).

„ადამიანთა სევდის“ პერსონაჟიც კითხვაზე, სული უდგას თუ არა დედამიწას, პასუხობს, რომ ამას თქმაც არ სჭირდება.

როგორც ვხედავთ, დედამიწა სიცოცხლის წყაროა, გოდერძი ჩოხელის მსოფლაღქმაში. სიცოცხლე ამოდის და ჩადის მიწაში. ხდება მარადიული წრებრუნვა. თვითონაც ცოცხალია მიწა და სწორედ ამის გამო შეუძლია დაბადოს და შემდეგ შთანთქას სიცოცხლე. დედამიწის სახე დიდ დედად გაიაზრება მწერალთან. მსჯელობის დასტურს სხვა ნაწარმოებებშიც ვხვდებით. მიწა დედასავით არიგებს თავის შვილებს:

„მიწამ დააბარა იას:

წადი, შვილო,

ქვეყანას თვალი გაუხარე,

სურნელება აფრქვიე,

სიყვარული გაუღვივე

ვაჟსა და ქალს,

სინაზე აჩვენე ხალხს,

თორე,

უფრო გამხეცდებიან და

ვაი ისევ ჩვენი ბრალი.

და

ამოვიდა ია“ (ჩოხელი, 2011:92).

აქ უთუოდ გაგვახსენდება ვაჟა-ფშაველას ლექსი „იას უთხარით ტურფასა“, თუმცა მსგავსება მხოლოდ გარეგნულია. ორივე ავტორს თავისი ინდივიდუალური და სრულიად განსაკუთრებული სათქმელი აქვს: თუ დიდი ფშაველი ყვავილს მიწის უბეში დარჩენას ურჩევს, რათა ამ ქვეყნად მოსვლით არ დაზარალდეს (ცხადია, გვესმის, რომ ნაწარმოების შექმნის იდეა სულ სხვა რამეში მდგომარეობს და

ლიტერატორთა მიერ იის სახე-სიმბოლოს განმარტებაც ცნობილია ჩვენთვის), გოდერძი ჩოხელს, პირიქით, სუსტი იაც კი ადამიანთა გამაკეთილშობილებელი ძალის მატარებლად მიაჩნია და ამ დანიშნულებით აგზავნინებს დედამიწას ქვეყანაზე. „წითელ მგელშიც“ სწორედ ყვავილით ამარცხებს მთავარი გმირი ბოროტებას.

გოდერძი ჩოხელს აქვს რამდენიმე ნაწილისგან შედგენილი ლექსი, რომლის ნაწილები ცალ-ცალკე სათაურდება, ყველა ერთად კი ბალახის შესახებ მოგვითხრობს. ვაჟა-ფშაველა წერდა: "უსულო საგნებს სული ჩავბერე,/ავასაუბრე ლოდები კლდისა/და, როგორც მეფე, გავათამამე მწირი ბალახი, ის ქუჩი მთისა./ მადლი მფენია მარჯვენაზედა იმ შემოქმედის მაღალის ღმრთისა“ (ვაჟა-ფშაველა 2011:5). გოდერძი ჩოხელიც ვაჟას ხაზის ერთგვარი გამგრძელებელია. ის თავისი შემოქმედების საგნად ჩვეულებრივ ბალახს აქცევს. აცოცხლებს და ასაუბრებს. ადამიანებს კი მეტ დანდობას, მეტი რამის შემჩნევას სთხოვს:

"გევედრებით,ნუ ჩაუვლით გულგრილად ბალახს.

სად გარბიხართ, სად გეჩქარებათ,

იქნება სწორედ ბალახია თქვენი წამალი" (ჩოხელი, 2011:136).

ბუნების შეგრძნების თვალსაზრისით, ძალიან საინტერესოა მოთხრობები: „იფნის წესი“, „ლოდი“, „ვედრება“, „მტირალი კლდე“ __ ყოველ მათგანში ავტორის განსაკუთრებული ხედვაა გადმოცემული, მაგალითად, დანგრეული სახლის გადარჩენილი გულთაბოძები სავედრებლად აწვდილ ხელებს აგონებს მწერალს, მტირალი კლდე კი დედამიწის თვალებად ესახება.

როგორც დავინახეთ, ბუნების აღქმის კუთხით გოდერძი ჩოხელი ერთ-ერთი ძალიან საინტერესო შემოქმედია ქართული ლიტერატურის ისტორიაში. მწერალი მთელ გარემომცველ სამყაროს, როგორც ცოცხალს, ისე წარმოადგენს მკითხველის წინაშე. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ბუნებისა და ადამიანის მიმართება ავტორის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში: მას ადამიანი ბუნების მსახურად, დამხმარედ მიაჩნია და არა ბატონ-პატრონად.

5.2. გოდერძი ჩოხელის პერსონაჟთა დამოკიდებულება ბუნების მიმართ

გოდერძი ჩოხელის ნაწარმოებებში წაშლილია ზღვარი ადამიანსა და ბუნებას შორის. აქ მგელს უმეგობრდება კაცი (მოთხრობა „მგელი“), ძმად ეფიცება არწივს პატარა ბიჭი („გიგია ბუბუნაურის ძმადნაფიცი“ რომანიდან „ადამიანთა სევდა“), დათვს უყვარდება ქალი, ცოლად მიჰყავს და თავს სწირავს მის გამო (მოთხრობა „ველური ყვავილების თაიგული“, „დათვი“ რომანიდან „სულეთის კიდობანი“).

მწერლის შემოქმედებაში არის რამდენიმე ნაწარმოები, რომლებშიც ადამიანები იჩემებენ რომელიმე ცხოველად ყოფნას. მაგალითად, ასეთებია: „თევზის წერილები“, სადაც მთავარი პერსონაჟი თევზობას იბრალებს. ასევე „მთავარი როლის შემსრულებელი“, რომელშიც კაცს თავი ირემი ჰგონია. ორივე გმირი უარყოფს ადამიანობას და სხვა არსებაში ცდილობს ამქვეყნიური ცხოვრების გაგრძელებას. მაგრამ პირველისთვის თუ ეს პროტესტის ფორმაა, მეორე მართლა იჯერებს თავის ირმობას.

განსაკუთრებით საინტერესოა გ. ჩოხელის ნაწარმოებთა ერთი წყება, სადაც ადამიანები რაიმეს კი არ იჩემებენ, არამედ პირდაპირ გადაიზრდებიან ბუნებაში. ასეთად შეიძლება დავასახელოთ, პირველ რიგში, მოთხრობა „წერილი ნაძვებს“, სადაც ბერი ნაძვად იქცევა, ხეში აგრძელებს ყოფნას. რაც მთავარია, ეს არ არის უბრალო გადაქცევა, ხე თავად პერსონაჟს ამოუვა მხარზე და ნელნელა ხდება ერთი სიცოცხლის ფორმის მეორეში გადაზრდა. მოთხრობის ბოლოს მთავარი გმირის ადამიანური ნაწილი კვდება და მის ნაცვლად ნაძვი ცოცხლდება. ბერი ტყეში წავა, წელამდე ჩადგება მიწაში და დაელოდება:

"უკანასკნელი, რაც ბერმა იგრძნო, ის იყო, თუ როგორ შეავსო ორმა სხეულმა ერთი მთლიანი და გახდა ერთსახე, რომელიც წვრილი ფესვებით საოცარი სისწრაფით ჩაებღაუჭა მიწას.

ხოლო პირველი, რაც ნაძვმა იგრძნო, ეს მზის ამოსვლა იყო" (ჩოხელი 2010:49).

ხსენებული ნაწარმოები სხვა, დამოუკიდებელ მოთხრობაში გრძელდება,

რომელსაც "ტყის ტრაგედია" ჰქვია და რომელშიც უკუ პროცესია ასახული. კერძოდ, ამ შემთხვევაში უკვე ნაძვად ქცეული კაცის ფესვებიდან ამოიზრდება ადამიანი. ჯერ მუხლამდე მიწაში დგას და ისე დადის, ფეხებს ზემოთ არ სწევს, თოვლივით მიიკვლევს მიწას. მერე ფესვებს მოსწყდება და ჩვეულებრივი ბიჭის მსგავსად შემოჯდება ხეზე. ზღვარი აქაც წაშლილია. ადამიანი გადაიზრდება ბუნებაში და ბუნება, თავის მხრივ, გადმოიზრდება ადამიანში.

გარკვეული თვალსაზრისით, ამავე რიგს შეიძლება მივაკუთვნოთ ზემოთ განხილული მოთხრობა „არწივთან ფრენაც“. ნაწარმოების მთავარ გმირს მაქსინას (რომელიც არწივის კლანჭებსაა ხელებით შეზრდილი) რთული არჩევნის გაკეთება უწევს: ან ფეხები უნდა მოაჭრას არწივს და ბარტყები შიმშილით დახოცოს, ან ისევ ბუდეში გაჰყვეს ფრინველს, სადაც გარდუვალი სიკვდილი ელოდება. პერსონაჟი მეორე ვარიანტს ირჩევს. ხალხადევნებულ და დამფრთხალ არწივს აფრენაშიც კი ეხმარება. მაქსინაც ბერის მსგავსად თავს იმეტებს სხვისი სიცოცხლისთვის, რომელიც არის კიდეც სხვა და არც არის. არ არის იმიტომ, რომ პერსონაჟის არსებობის ერთგვარი გაგრძელებაა შეცვლილი ფორმით.

არწივის მართვედ იქცევა ბავშვი „სულეთის კიდობანში“ ჩართულ მოთხრობაშიც. ამ ნაწარმოებში მონადირემ არწივის კვერცხები მოიპარა და თავის ორსულ ცოლს ჩაურია ჩუმად ტაფამწვარში. ქალმა გველი და ბიჭი დაბადა (ანალოგიური ამბავი „წითელ მგელშიც“ გვხვდება). ბიჭს მარცხენა მხარზე ჯერ გაუნათდა რაღაც, მერე ნათება ჩაქრა და არწივი გამოესახა. მერე დედალი არწივი მოსტაცებს შვილს მონადირეს. კარგა ხნის შემდეგ მართვესთან ერთად დაინახავს მონადირის ცოლი იმ არწივს. მართვე ანათებს და ქალი მთელი ხმით უხმობს თავის ფრინველად ქცეულ შვილს.

ძალიან საინტერესოა მოთხრობა „კესანე ბორბალოს მთაზე“. თავის წაწალზე შეყვარებულ გოგონას ძალით უპირებენ სხვაზე გათხოვებას. მთავარი გმირი ღამით მთაზე მიდის და ღმერთს შველას სთხოვს. პერსონაჟი ყვავილად იქცევა. მაგრამ ხდება უკან დაბრუნებაც. სატრფოს ვედრება ისევ გოგონას სახეს უბრუნებს კესანეს.

და ბოლოს, ამავე რიგში უნდა ჩავაყენოთ რომანი „წითელი მგელი“. აქაც ერთ-ერთი მთავარი გმირი, თევდორე ჯერ მგლად, შემდეგ კი ისევ ადამიანად იქცევა. და ის არ არის ერთადერთი. რომანში დახატული სხვა მგლებიც ოდესღაც ადამიანები იყვნენ და ზოგ შემთხვევაში ისინიც უბრუნდებიან თავიანთ პირვანდელ სახეს.

სწორედ ამ უკანასკნელი რიგის ნაწარმოებების გამო ვფიქრობთ, რომ ავტორმა, ბუნებასთან ურთიერთობისა და დამოკიდებულების თვალსაზრისით, ქართულ ლიტერატურაში სრულიად განსხვავებული სიტყვა თქვა.[2]

[2] სადისერტაციო ნაშრომის V თავში შემავალი ტექსტის ძირითადი ნაწილი გამოქვეყნებულია ჟურნალში „ქართველური მემკვიდრეობა“ (ქუთ., 2020, N24.) სტატიის სათაურია: „ბუნებასთან დამოკიდებულების საკითხი გოდერძი ჩოხელის შემოქმედებაში“

დასკვნა

უახლესი ქართული ლიტერატურის ერთ-ერთი გამორჩეული წარმომადგენელი, გოდერძი ჩოხელი გარკვეულწილად მაინც ერთგვარ ჩრდილშია მოქცეული. სადისერტაციო ნაშრომი მისთვის დამსახურებული ადგილის გამოძებნას ისახავს მიზნად ჩვენს ლიტერატურის ისტორიაში.

კვლევის პირველი თავის პირველი ნაწილი დაეთმო მწერლის შემოქმედებითი პორტრეტის გამოკვეთას, სადაც ვისაუბრეთ გოდერძი ჩოხელის მსოფლმხედველობაზე, წერის მანერასა და პრინციპებზე. მეორე ნაწილში კი ქრონოლოგიურად დავალაგეთ ქართული სალიტერატურო კრიტიკის გამოხმაურებები მწერლის შემოქმედებასა თუ პიროვნებასთან დაკავშირებით.

მეორე თავი, რომელიც ასე სათაურდება: „ქართველ მთიელთა რწმენა-წარმოდგენები გოდერძი ჩოხელის შემოქმედებაში“, დავყავით სამ ქვეთავად:

1. „ქართველთა უძველესი სარწმუნოებისა და ქრისტიანობის ურთიერთმიმართება გოდერძი ჩოხელის შემოქმედებაში“, რომელშიც განვიხილეთ ძველი და ახალი რელიგიების ურთიერთობა საუკუნეების მანძილზე. ვიმსჯელეთ მწერლის დამოკიდებულებაზე საქართველოს აღმოსავლეთ მთიანეთში შემორჩენილი რწმენა-წარმოდგენებისადმი.

2. „ქართველთა უძველესი სარწმუნოების რაობა და მისი ასახვა გოდერძი ჩოხელის შემოქმედებაში“. ქვეთავში განვიხილეთ მორიგე ღმერთის, ღვთისშვილების, ადგილის დედის, ავი სულების, ქადაგის ცნებები, მათი მნიშვნელობა და დანიშნულება. და მიუხედავად იმისა, რომ მასალის სიმწირის გამო კვლევა საკმაოდ რთული აღმოჩნდა, შევეცადეთ, მეტ-ნაკლებად სრული სურათი აღგვედგინა.

3. „საიქიოზე არსებული წარმოდგენების ასახვა გოდერძი ჩოხელის შემოქმედებაში“. ქვეთავში, ჩვენ ხელთ არსებული სამეცნიერო ლიტერატურის საფუძველზე, გავაანალიზეთ, თუ როგორ წარმოედგინათ საიქიო უძველეს ქართულ

სარწმუნოებაში. შემდეგ კი მის ასახვაზე ვიმსჯელეთ გოდერძი ჩოხელის ნაწარმოებებში.

მესამე თავში, „სამშობლოს თემა გოდერძი ჩოხელის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში“, განვიხილეთ მწერლის პატრიოტული სულისკვეთებით გამორჩეული პროზაული და პოეტური ნაწარმოებები, პუბლიცისტური წერილები. ცალკე გამოვყავით ორი ისტორიული რომანი („მღვდლის ცოდვა“, „სულეთის კიდობანი“), რომლებშიც განსაკუთრებულად ნათლად გამოჩნდა მწერლის მოქალაქეობრივი პოზიცია.

მეოთხე თავი, „ექსისტენციალიზმი და გოდერძი ჩოხელის ლიტერატურული მემკვიდრეობა“, დამყავით სამ ქვეთავად. პირველში წარმოვადგინეთ ექსისტენციალიზმის ჩამოყალიბების გზა და მისი რაობა. განვიხილეთ: შოპენჰაუერის, ნიცშეს, კირკეგორის, იასპერსის, ჰაიდეგერის, სარტრისა და კამიუს ფილოსოფიური ნააზრევი; მეორე ქვეთავში ვისაუბრეთ ხსენებული ფილოსოფიური მიმდინარეობის ძირითად ცნებებსა და დებულებებზე. მესამე ნაწილის დასაწყისში მიმოვიხილეთ ლიტერატურული ვითარება 70-80-იანი წლების საქართველოში. შემდეგ კი _ ექსისტენციალური ტენდენციები უშუალოდ გოდერძი ჩოხელის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში.

უკანასკნელ, მეხუთე თავში ვიმსჯელეთ ბუნებასთან დამოკიდებულების საკითხზე, რომელიც თავის მხრივ ორ ნაწილად დავყავით: „ავტორი და ბუნება“, „გოდერძი ჩოხელის პერსონაჟთა დამოკიდებულება ბუნებისადმი“.

სადისერტაციო ნაშრომში წარმოებული კვლევა-ძიების შედეგად შემდეგ დასკვნებამდე მივედით:

- ზოგიერთი კრიტიკოსის მხრიდან საყვედურების მიუხედავად, გოდერძი ჩოხელი სიცოცხლის ბოლომდე თავისი პრინციპის ერთგული დარჩა _ ეწერა იმაზე, „რაც კარგად იცოდა“ [მწერლის სიტყვებია _ ნ.ნ.]. ერთი შეხედვით, გუდამაყრის ხეობას არ გასცდენია, მაგრამ ზოგადსაკაცობრიო თემებს შესწვდა. მწერალი საკუთარი შემოქმედების მთავარ დანიშნულებად მკითხველის

გაკეთილშობილებას სახავს და ამ პროცესს ადამიანების სულებისთვის სევდის მარილის მოყრას უწოდებს.

- გოდერძი ჩოხელის გამოჩენას ქართული ლიტერატურული კრიტიკა კარგა ხანს ძალზე გულგრილად ეკიდებოდა. გარკვეულწილად ამის ბრალიცაა, რომ მწერლის ლიტერატურული მემკვიდრეობის შესახებ მეცნიერულ გამოკვლევათა რიცხვი ასე მცირეა. ჩოხელის შემოქმედების განხილვამ მხოლოდ ბოლო პერიოდში იწყო გამოცოცხლება.
- გოდერძი ჩოხელის მთელი შემოქმედება ქართული ფოლკლორით, მთაში შემორჩენილი ძველი ტრადიციებითა და რწმენა-წარმოდგენებით იკვებება. საქართველოს მთიანეთში ქართველთა უძველესი სარწმუნოება ფრაგმენტების სახით არის შემორჩენილი. ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესო იყო გაგვერკვია, თუ როგორ აისახა ძველი და ახალი რელიგიების ურთიერთდამოკიდებულების საკითხი მწერლის შემოქმედებაში. მკვლევართა ერთი ნაწილის მტკიცებით, ჩოხელი ქრისტიანობის სახელით უპირისპირდება და იმარჯვებს დრომორჭმულ სარწმუნოებაზე. მაგრამ ჩვენ ამგვარი მტკიცების საფუძველს ავტორის არც ერთი ნაწარმოები არ გვაძლევს. პირიქით, გოდერძი ჩოხელი გვესახება გუდამაყრის და მთელი საქართველოს მთიანეთის გულმხურვალე მოამაგედ და ქომაგად, რომელსაც მშვენივრად ესმის, რომ ისედაც დავიწყების საფრთხის წინაშე მდგომი ჩვენი უძველესი სარწმუნოების კვალი და ელემენტები ამოსაძირკვი კი არა, გადასარჩენი და მოსაფრთხილებელია. მწერლის შემოქმედებაში მშვიდობიანად თანაარსებობს ორი რელიგია და ორივე მის მხატვრულ აზროვნებას კვებავს.
- გოდერძი ჩოხელის, როგორც მწერლისა და მოქალაქის, პატრიოტული სულისკვეთება მრავალფეროვან გამოხატულებას პოულობს მის ნაწარმოებებსა და პუბლიცისტურ წერილებში. მწერალი ხან უბრალოდ, გულზე მჯიღის ცემის გარეშე, უდასტურებს სამშობლოს თავის სიყვარულს, ხანაც პირდაპირ მოწოდებაზე გადადის და მკითხველისგან დაჟინებით მოითხოვს

საქართველოს გაფრთხილებასა და გადარჩენას. მწერალი ძირითადად თანამედროვე პრობლემებს დასტრიალებს თავს, იმაზე გვიყვება, რაც პირადად უნახავს და განუცდია. მაგრამ ჩოხელის შემოქმედებაში არის რიგი ნაწარმოებებისა, რომლებშიც ჩვენი ქვეყნის წარსული ცოცხლდება. თუმცა არც ეს თხზულებები კარგავენ თანამედროვეობასთან კავშირს. ავტორს წარსულის გახსენება იმისთვის სჭირდება, რომ თანამემამულეებს იმედი გაუღვივოს, დაანახოს, როგორი ეკლიანი გზებით ვიარეთ და მაინც მოვაღწიეთ აქამდე.

- გოდერძი ჩოხელის შემოქმედება ავლენს აშკარა და საინტერესო კავშირს ექსისტენციალურ მიმდინარეობასთან. მწერლის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში ასახული და განხილულია ამ ფილოსოფიური მიმართულებისთვის ნიშანდობლივი ისეთი თემები, როგორიცაა გაუცხოება, გადაგდებულობა, სიცოცხლის აბსურდულობა, ყოფნა-არყოფნა, მარადისობაში გადასვლა, თავისუფლება. მწერალი ყოფნას ირჩევს არყოფნის წინააღმდეგ, ხოლო ამ ყოფნის აზრს ამქვეყნად კვალის დატოვებაში ხედავს.
- განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ბუნებისა და ადამიანის მიმართება ავტორის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში: მას ადამიანი ბუნების მსახურად, დამხმარედ მიაჩნია და არა ბატონ-პატრონად. გოდერძი ჩოხელმა (თითქმის) სრულიად წაშალა ზღვარი ბუნებასა და ადამიანს შორის. მის ნაწარმოებებში ხდება ცალკეული პერსონაჟების გადანაცვლება ცხოველებსა თუ მცენარეებში და შემდეგ მათი უკან დაბრუნება. რიგ შემთხვევებში ეს არის გადაზრდა (მაგალითად, როგორც ბერს დაემართა, მოთხრობებში „წერილი ნაძვებს“ და „ტყის ტრაგედია“), რიგ შემთხვევებში კი გადაქცევა („მგელი“, „სულეთის კიდობანი“, „კესანე ბორბალოს მთაზე“). ბუნებისა და ადამიანის შესაძლო ურთიერთმიმართების ამდაგვარად წარმოჩენის გამო, მიგვაჩნია, რომ გოდერძი ჩოხელმა ბუნებასთან დამოკიდებულების თვალსაზრისით, თავისი, ახალი და სრულიად განსხვავებული, სიტყვა თქვა ქართულ ლიტერატურაში.

მიუხედავად წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომის კომპლექსური ხასიათისა, ჩვენ მიერ ჩატარებულ კვლევას, ცხადია, მაინც არ აქვს გოდერძი ჩოხელის შემოქმედების განხილვა-ანალიზის საბოლოოდ ამოწურვის პრეტენზია. წარმოდგენილი გამოკვლევა მხოლოდ ერთი აგურია შესანიშნავი ქართველი მწერლის ლიტერატურული მემკვიდრეობის მეცნიერულად შესწავლის მნიშვნელოვან და ძალზე საინტერესო საქმეში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. არისტოტელე, (1979) „პოეტიკა“, თბ.: გამომც. „განათლება“;
2. ბაგრატიონი, ვ. (1842) „აღწერა საქართველოისა, სანკტ-პეტერბურგი: რუსეთის საიმპერატორო აკადემიის გამოცემა;
3. ბრეგაძე, ლ. (2012) „სამი ეტიუდი გოდერძი ჩოხელზე“, თბ.: გამომც. „საქართველოს მაცნე“;
4. ბუაჩიძე, თ. (2003) „ფილოსოფიური ნარკვევები“, ტ. I, თბ.: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა;
5. ბუაჩიძე, თ. (2013) „თანამედროვე დასავლური ფილოსოფიის სათავეებთან“, თბ.: გამომც. “Carpe diem”;
6. გოგოლაშვილი, გ. (2012) „გოდერძი ჩოხელი და ქართული ენა“, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „გოდერძი ჩოხელი _ შემოქმედება საზღვრების გარეშე“ სამეცნიერო შრომები, თბ.: გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის გამომცემლობა;
7. გოგოჭური, დ. (1986) „წარმართულ და ქრისტიანულ რწმენათა ბრძოლის ასახვა ზეპირსიტყვიერებაში“, ქართული ფოლკლორი XVI, თბ.: გამომც. “მეცნიერება“;
8. გურული, ვ. (2010) „დედამიწიდან გაფრენაზე მეოცნებე _ გოდერძი ჩოხელის შემოქმედების გააზრების მოკრძალებული ცდა“, თბ.: გამომც. „უნივერსალი“;
9. გურული, ვ. (2010) „მართალი გოდერძი _ გოდერძი ჩოხელის შემოქმედების გააზრების მოკრძალებული ცდა“, თბ.: გამომც. „უნივერსალი“;
10. გურული. ვ, (2012) „გოდერძი ჩოხელის სამყარო“, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „გოდერძი ჩოხელი _ შემოქმედება საზღვრების გარეშე“ სამეცნიერო შრომები, თბ.: გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის გამომცემლობა;

11. დათუაშვილი, ა., ხორბალაძე, გ. (2012) „მითოლოგიური და რელიგიური საწყისები გოდერძი ჩოხელის შემოქმედებაში“, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „გოდერძი ჩოხელი _ შემოქმედება საზღვრების გარეშე“ სამეცნიერო შრომები, თბ.: გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის გამომცემლობა;
12. დათუაშვილი, ლ. (2012) „ღმერთის შვილები და წუთისოფელი“ (გოდერძი ჩოხელის მოთხრობების მიხედვით),საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „გოდერძი ჩოხელი _ შემოქმედება საზღვრების გარეშე“ სამეცნიერო შრომები, თბ.: გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის გამომცემლობა;
13. ვაჟა-ფშაველა, (1937) „ეთნოგრაფიული წერილები“, თბ.: სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის გამომცემლობა;
14. ვაჟა-ფშაველა, (1956) „თხზულებანი“, ტ. VII, თბ.: გამომც. “სახელგამი“;
15. ვაჟა-ფშაველა, (1964) „თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად“, ტ. IX, თბ.: გამომც. „საბჭოთა საქართველო“;
16. ვაჟა-ფშაველა (2011) „რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად“, ტ. III, პოეზია, თბ.: გამომც. პალიტრა L;
17. ვახანია, ნ. (2102) „გოდერძი ჩოხელის პოეტური აზრისი“, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „გოდერძი ჩოხელი _ შემოქმედება საზღვრების გარეშე“ სამეცნიერო შრომები, თბ.: გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის გამომცემლობა;
18. ზედელაშვილი, ნ. (2012) „გოდერძი ჩოხელის ფილოსოფია“ (ინტერვიუ მწერალთან), საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „გოდერძი ჩოხელი _ შემოქმედება საზღვრების გარეშე“ სამეცნიერო შრომები, თბ.: გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის გამომცემლობა;
19. ზედელაშვილი, ნ. (2012) „ნაწილიანი“, მოგონებები გოდერძი ჩოხელზე, თბ.: გამომც. „საუნჯე“;

20. იარაჯული, ლ. (2017) „სამყაროს მხატვრულ-ესთეტიკური საზრისი გოდერძი ჩოხელის შემოქმედებაში“, დისერტაცია, თელავი;
21. ითონიშვილი, ვ. (2003) „ნარკვევები ქართული ქრისტიანობის ისტორიიდან“, თბ.: ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის გამომცემლობა „მემატიანე“;
22. კამიუ, ა. (2017). „სიზიფის მითი“, თბ: გამომც. „აგორა“;
23. კვაჭანტირაძე, მ. (2012) „ბრჭყალით ვუბყრივარ სევდასა“, გოდერძი ჩოხელი _ თხულებანი ხუთ ტომად, ტ. V, თბ.: გამომც. „საქართველოს მაცნე”;
24. კიკნაძე, გ. (1989) „ვაჟა-ფშაველას შემოქმედება“, თბ.: უნივერსიტეტის გამომცემლობა;
25. კუცია, ნ. (2009) ,,ქართული რომანის პარადიგმები”, თბ.: გამომც. ,,მერიდიანი“;
26. კუცია, ნ. (2012) „რო არა ეს ყვავილი...“ (საღმრთო სახელისათვის გოდერძი ჩოხელის რომანში „მგელი“),საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „გოდერძი ჩოხელი _ შემოქმედება საზღვრების გარეშე“ სამეცნიერო შრომები, თბ.: გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის გამომცემლობა;
27. კუცია, ნ. (2012) „ხატი ჟამისა“ (მგლის პარადიგმისათვის გ. ჩოხელის რომანში „მგელი“), გოდერძი ჩოხელი _ თხულებანი ხუთ ტომად, ტ. V, თბ.: გამომც. „საქართველოს მაცნე“;
28. კუცია, ნ. (2012) „მგლის პარადიგმისათვის გ. ჩოხელის რომანში „მგელი“, გოდერძი ჩოხელი __ თხზულებანი ხუთ ტომად, ტ. V, თბ. გამომც. „საქართველოს მაცნე“;
29. ლორია, კ. (2009) „ვასილ ბარნოვის მსოფლმხედველობისათვის“, „ლიტერატურული ჰორიზონტები“, თბ.: გამომც. „ლოგოსი“;
30. მაკალათია, ს. (1984) „ხევსურეთი“, თბ.: გამომც. „ნაკადული“;
31. „მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის“ (1938) რედაქტორი ს. ჯანაშია, ნაკვეთი 1, თბ.: სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის გამომცემლობა;

32. „მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის“ (1940). ტ. III, თბ.: სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის გამომცემლობა;
33. მახაური, ტ. (2008) „წარმოდგენები საიქიოზე სვანეთსა და ფშავ-ხევსურეთში“, თბ.: ინტერდისციპლინარული სამეცნიერო კრებული;
34. ნემსაძე, ა. (2014) „80-იანი წლების ქართული მოთხრობა“, კრიტიკა, თბ.: შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი;
35. ნიჟარაძე, ბ. (1962) „ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები“, ტ. I, თბ.: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა;
36. ნიშნიანიძე, რ. (2005) „სქართველო სამანს აქეთ... და სამანს იქით...“, წიგნი II, თბ.: გამომც. „მერანი“;
37. ორუელი, ჯ. (2014) 1984, „რჩეული ნაწარმოებები: 2 ტომად“, ტ. 2, თბ.: გამომც. “პალიტრა L”;
38. ოჩიაური, ალ. (1970) „ფშავ-ხევსურული პოეზია“, თბილისი;
39. ოჩიაური, ალ. (1993) „ქართული ხალხური დღეობების კალენდარი“, ხევსურეთი, თბ.: გამომც. „მეცნიერება“;
40. ოჩიაური, თ. (1954) „ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან“, თბ.: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა;
41. ოჩიგავა, მ. (2009) „ზოგი დიალექტური თავისებურებისათვის გოდერძი ჩოხელის ენაში“, თბ.: გამომც. „მერიდიანი“;
42. რატიანი, ი. (2010) „ტექსტი და ქრონოტიპი“, თბ.: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა;
43. რატიანი, ი. (2016) „ქართული მწერლობა კულტურული იზოლაციის წინააღმდეგ“, ქართული ლიტერატურა, ისტორია საერთაშორისო ლიტერატურული პროცესების პრიზმაში, თბ.: შოთა რუსთაველის ქ“ართული ლიტერატურის ინსტიტუტი;
44. რატიანი, ი. (2018) „ქართული მწერლობა და მსოფლიო ლიტერატურული პროცესი“, თბ.: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტი, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, უნივერსიტეტის გამომცემლობა;

45. რობაქიძე, გრ. (2012) „ნაწერები“, წიგნი I, თბ.: გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი;
46. სარტრი, ჟან-პოლ (1993) „სარკის მეორე მხარე“, თბ.: გამომც. „ლომისი“;
47. სარტრი, ჟან-პოლ (2006). „ეგზისტენციალიზმი ჰუმანიზმია“, თბ.: გამომც. „ჯეოპრინტი“სიგუა, ს. (1994) შენიშვნები ახალგაზრდულ პროზაზე, „ავანგარდიზმი ქართულ ლიტერატურაში“, თბ.: გამომც. „დიდოსტატი“;
48. სორდია, ლ. (2009) „გოდერძი ჩოხელის „მგელი“ (პრობლემატიკა და სახეები), თბ.: გამომც. „უნივერსალი“;
49. სორდია, ლ. (2012) „რწმენის და სამშობლოს მომავლის გადარჩენის პრობლემა გოდერძი ჩოხელის „სულეთის კიდობნის“ მიხედვით“, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „გოდერძი ჩოხელი _ შემოქმედება საზღვრების გარეშე“ სამეცნიერო შრომები, თბ.: გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის გამომცემლობა;
50. სურგულაძე, ი. (2002) „მითოსი, კულტი, რიტუალი საქართველოში“, თბ.: თსუ-ს გამომცემლობა;
51. ტურავა, მ. (2012) „სიცოცხლე შვენობს შენითა _ სიკვდილის პარადიგმა ქართულსა და უცხოურ მოდერნიზმში“, თბ.: ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოება;
52. ფანჯიკიძე, თ. (1986) „რელიგიურ რწმენათა კვალდაკვალ“, თბ.: გამომც. „ნაკადული“;
53. ქართლის ცხოვრება (1973) ტ. IV, თბ.: ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა;
54. ქართული მითოლოგია (1992) შეადგინა, შენიშვნები და კომენტარები დაურთო აპოლონ ცანავამ, თბ.: გამომც. „მერანი“;
55. „ქართული პროზა“ (1982). ტ. III, თბ.: გამომც. „საბჭოთა საქართველო“;
56. „ქართული ხალხური პოეზია“ (1973). ტ. II, თბ.: გამომც. „მეცნიერება“;

57. „ქართული ხალხური პოეზია“ (1992) შემდგენელნი: ზ. კიკნაძე, ტ. მახაური, თბ.: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა;
58. ქურდოვანიძე, თ. (2013) „ქართული ზეპირსიტყვიერების საგაძური“, I თქმულება და ეპოსი. თბ.: “საქართველოს მაცნე”;
59. ღანიშაშვილი, მ. (2003) ლექსი „მკვლელობა“, თბ.: მწერლის გაზეთი N17;
60. ყალიჩავა, თ. (2012) „სინამდვილის მიერ ადამიანში ღვთიური საწყისის მოკვდინება“ (გოდერძი ჩოხელის რომანი „მგელი“), საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „გოდერძი ჩოხელი _ შემოქმედება საზღვრების გარეშე“ სამეცნიერო შრომები, თბ.: გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის გამომცემლობა;
61. შარაშიძე, ჯ. (2012) „შემოქმედებითი პერსპექტივისათვის“, გოდერძი ჩოხელი _ თხულებანი ხუთ ტომად, ტ. V, თბ.: გამომც. „საქართველოს მაცნე“;
62. შოპენჰაუერი, ა. (1994) „ცხოვრებისეული სიბრძნის აფორიზმები“, თბ: გამომც. „ლომისი“;
63. შოპენჰაუერი, ა. (2012) „ცხოვრების ამაოება და სიმწარენი“, თბ.: გამომც. “Carpe diem”;
64. ჩოხელი, გ. (2007) „წითელი მგელი (ორი რომანი)“, თბ.: გამომც. “ბაკმი”;
65. ჩოხელი, გ. (2007) „თხზულებები“, ტ. I, თბ.: გამომც. საქართველოს მაცნე;
66. ჩოხელი, გ. (2010) „ჩემი წიგნი“, თბ.: „პალიტრა L“;
67. ჩოხელი, გ. (2010) „თხზულებები“, ტ. III, თბ.: გამომც. საქართველოს მაცნე;
68. ჩოხელი, გ. (2011) „თხზულებები“, ტ. IV, თბ.: გამომც. საქართველოს მაცნე;
69. ჩოხელი, გ. (2011) „ოთხი რომანი“, ლიტერატურული პროექტი „ქართული პროზის შედევრები“, თბ.: გამომც. „ბაკმი“;
70. ჩოხელი, გ. (2011) „თხზულებები“, ტ. IV, თბ.: გამომც. საქართველოს მაცნე;
71. ჩოხელი, გ. (2012) „თხზულებები“, ტ. V, თბ.: გამომც. საქართველოს მაცნე;
72. ჩოხელი, გ. (2013) “ბინდისფერი ხეობიდან ცამდე“, თბ.: გრიგოლ ხანძთელი სახელობის ფონდი;

73. ჩოხელი, გ. (2016) „მოთხრობები“, თბ.: გამომც. „პალიტრა L“;
74. ჩოხელი, გ. (2017) „პოეზია, პროზა, წერილები“, თბ.: გამომც. “პალიტრა L”;
75. ჩხაიძე-აბესაძე, ნ. (2012) „სისხლის აღების ადათის გმობა ქრისტიანულ აღმსარებლობასთან მიმართებით გოდერძი ჩოხელის შემოქმედებაში“ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „გოდერძი ჩოხელი _ შემოქმედება საზღვრების გარეშე“ სამეცნიერო შრომები, თბ.: გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის გამომცემლობა;
76. ჩხაიძე-აბესაძე, ნ. (2013) „გოდერძი ჩოხელი ბინდისფერი ფარდის მიღმა“, თბ. გამომც. „მერიდიანი“;
77. ცანავა, ა. (1986) „ვაჟა-ფშაველა - მავნე ტრადიციების წინააღმდეგ მებრძოლი“, ქართული ფოლკორი XVI, თბ.: გამომც. „მეცნიერება“;
78. ციციშვილი, თ. მოდებაძე, ი. (2016) „ფერისცვალების მოლოდინში“ (80-იანი წლების „ახალგაზრდული“ ქართული პროზა), ქართული ლიტერატურა, ისტორია საერთაშორისო ლიტერატურული პროცესების პრიზმაში, ნაწილი II, თბ.: შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი;
79. ცოცანიძე, გ. (1987) „გიორგობიდან გიორგობამდე“, თბ.: გამომც. „საბჭოთა საქართველო”;
80. წიკლაური-ლამიხი, ე. (2012) „მოგონებები გოდერძი ჩოხელზე, ან გოდერძის საფლავზე ამოსული იები“, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „გოდერძი ჩოხელი _ შემოქმედება საზღვრების გარეშე“ სამეცნიერო შრომები, თბ.: გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის გამომცემლობა;
81. წიკლაური, მ. (2006) „გოდერძი ჩოხელი _ ერისა და მთის შვილი“, თბ. გამომც. „ბაკმი“;
82. წიკლაური, მ. (2010) „გოდერძი ჩოხელი _ შემოქმედება საზღვრების გარეშე“, თბ.: გამომც. „გიორელი“;
83. წიკლაური, მ. (2012) „გოდერძი ჩოხელის შემოქმედების ჟანრობრივი ნოვაციები“, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „გოდერძი ჩოხელი _

შემოქმედება საზღვრების გარეშე“ სამეცნიერო შრომები, თბ.: გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის გამომცემლობა;

84. წოწორია, თ. (2012) „თევზის წერილები“ და „წერილი ნაძვებს“ პოეტიკა“,საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „გოდერძი ჩოხელი _ შემოქმედება საზღვრების გარეშე“ სამეცნიერო შრომები, თბ.: რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის გამომცემლობა;
85. წულეისკირი, ნ. (2012) „საზიარო ყვავი“, გოდერძი ჩოხელი _ თხულებანი ხუთ ტომად, ტ. V, თბ.: გამომც. „საქართველოს მაცნე“;
86. ჭილაძე, თ. (1980) „ბუდე მეცხრე სართულზე“, პიესები, თბ.: თეატრალური საზოგადოების გამომცემლობა;
87. ჭილაძე, ო. (2006). „გოდორი“, თბ.: გამომც. “Arete”;
88. ჭუმბურიძე, ი. (2012) „უსათაურო სევდა“ _ გოდერძი ჩოხელის ერთი ახალი მოთხრობის გამო, გოდერძი ჩოხელი _ თხულებანი ხუთ ტომად, ტ. V, თბ.: გამომც. „საქართველოს მაცნე“;
89. ხანგოშვილი, მ. (2012) „მგლის ფენომენი გოდერძი ჩოხელის შემოქმედებასა და კავკასიის რეალობაში“, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „გოდერძი ჩოხელი _ შემოქმედება საზღვრების გარეშე“ სამეცნიერო შრომები, თბ.: რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის გამომცემლობა;
90. ხარაძე, რ. რობაქიძე, ალ. (1965) „მთიულეთის სოფელი ძველად“, თბ.: გამომც. „მეცნიერება“;
91. ხორბალაძე, გ. (2015) „იების სევდა _ გოდერძი ჩოხელის შემოქმედების ძირითადი ტენდენციები“, თბ.: გამომც. „უნივერსალი“;
92. ჯავახიშვილი, ივ. (1960). „ქართველი ერის ისტორია“, ტ. I, წიგნი პირველი, მეხუთე გამოცემა, თბ.: სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა;

93. ჯალაბაძე, ნ. (1986) „ღვთაება „ადგილის დედის“ ბუნებისათვის“, კრ. რელიგიისა და ათეიზმის ისტორიიდან საქართველოში, თბ.: გამომც. „მეცნიერება“;
94. ჯალიაშვილი, მ. (2006) „კაცი ყვავილით მგლების რკალიდან“, სიცოცხლის საიდუმლო, თბ.: გამომც. „წყაროსთვალი“;
95. ჯალიაშვილი, მ. (2012) „მგლობის ფენომენის მითოპოეტური ასპექტები გოდერძი ჩოხელის რომანში „მგელი“, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „გოდერძი ჩოხელი _ შემოქმედება საზღვრების გარეშე“ სამეცნიერო შრომები, თბ.: რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის გამომცემლობა;
96. „ჯვარ-ხატთა სადიდებლები“ (1998) თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტი, ფოლკლორისტიკის კათედრის შრომები 2, ტექსტები შეკრიბეს, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთეს ზურაბ კიკნაძემ, ხვთისო მამისიმედიშვილმა და ტრისტან მახაურმა, თბ.: გამომც. „ნეკერი“;
97. ჯიყაშვილი. ლ. (2011) „გუდამაყრელი იები“, თბ.: გამომც. „პალიტრა L“;
98. ჰაიდეგერი, მ. (2014) „რა არის ეს __ ფილოსოფია?“ თბ.: გამომც. “Carpe diem”;
99. Каландаришвили, М. (2012) „Волк и волчье“ глазами читателя в ро“ мане Годердзи Чохели „Волк“, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „გოდერძი ჩოხელი _ შემოქმედება საზღვრების გარეშე“ სამეცნიერო შრომები, თბ.: რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის გამომცემლობა;
100. ანტუან დე სენტ-ეკზიუპერი, „პატარა უფლისწული“, http://biblioteka.litklubi.ge/admin/files/%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%90%20%E1%83%A3%E1%83%A4%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%AC%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98%20-%20%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%A3%E1%83%90%E1%83%9C%20%E1%83%93%E1%83%94%20%E1%83%A1%E1%83%94%E1%83%9C%E1%8

3%A2-
%E1%83%94%E1%83%92%E1%83%96%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%9E%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%98.pdf (უკანასკნელად გადამოწმებულია: 22.01.2021);

101. ვაჟა-ფშაველა, (1914) „ეპისკოპოს ანტონის აზრი ფშავ-ხევსურთა სარწუნოებაზე“, http://www.orthodoxtheology.ge/vajafshavela/ (უკანასკნელად გადამოწმებულია 18/06/2020);

102. კაკაბაძე, ზ. (2012) „რჩეული ფილოსოფიური შრომები“, ერთტომეული, ბათუმი: შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა და სტამბა, https://docs.google.com/file/d/0B73tobDsGmXFamFyXzFkOFlOZXc/edit (უკანასკნელად გადამოწმებულია: 08.01.2021);

103. ინაშვილი, ზ. დოკ. ფილმი „ნოდარ დუმბაძე“, https://www.youtube.com/watch?v=1SudkvVmNSg (უკანასკნელად გადამოწმებულია 21.07.2021);

104. ნაზღაიძე, ნ. (2020) „ქართველთა უძველესი სარწმუნოების რაობა და მისი ასახვა გოდერძი ჩოხელის შემოქმედებაში“/ „Ancient Georgian Religious Beliefs in Goderdzi Chokheli's Works“ ორენოვანი საერთაშორისო რეფერირებადი ჟურნალი „Scientia", თბ., N1, გვ. 83-101 https://scientia.ge/nino-nazgaidze-2/?fbclid=IwAR2PDmP-mzlbyROTj6ov3oGfM4HoAuDzwP_qAqAkr68_icX2PB77XKQDD8U (უკანასკნელად გადამოწმებულია 20.07.2021);

105. ნაზღაიძე, ნ. (2020) „ბუნებასთან დამოკიდებულების საკითხი გოდერძი ჩოხელის შემოქმედებაში“ სამეცნიერო რეფერირებადი ჟურნალი „ქართველური მემკვიდრეობა“, ქუთ., N24. , გვ. 111-115, http://ejournals.atsu.ge/Kartvelology/issues/XXIV/NazghaidzeNino.pdf (უკანასკნელად გადამოწმებულია 20.07.2021);

106. ნაზღაიძე, ნ. (2020) The Relations of Christianity and the Preceding Religion in Goderdzi Chokheli's Literary Works“, ელექტრონული ჟურნალი „LITINFO“, N14, თბ., http://www.litinfo.ge/vol-14/nino%20nazgaidze.pdf (უკანასკნელად გადამოწმებულია 20.07.2021);

107. ნაზღაიძე, ნ. (2021) „უძველესი რწმენა-წარმოდგენები საიქიოს შესახებ და მათი ასახვა გოდერძი ჩოხელის შემოქმედებაში”, საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „კულტურათაშორისი კომუნიკაციები“, თბ., N34 http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/331325/1/Kulturatshoris_Komunikaciebi_2021_N34.pdf (უკანასკნელად გადამოწმებულია 20.07.2021);

108. ხარანაული, ბ., „აბიათარ“, https://www.aura.ge/101-poezia/8495-besik-xaranauli--dardisagan-cxoveli-gaxda.html (უკანასკნელად გადამოწმებულია: 22.01.2021).